



არმაში ნიმუში გროვის ორგანის
[REDACTED] საქართველოს სასოფლო-სამეცნიერო
ინსტიტუტის ეროვნული
გიგა-სოციალისტი

გამები

XXXIV

ТРУДЫ

ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА



გამოის ნიმუში გროვის ორგანის
[REDACTED] საქართველოს სამეცნიერო
სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტის გამოცემობა

თბილისი—1951 წ.



სარჩევაბლი პოლიტიკა:

თოც. გ. ყ. ურუ შადე (ქ/მგ. რედაქტორი), საქ. მეცნ. აკად. წ.-კ., მეცნ. დამს. მოღვ. პროფ. ლ. ლ. დეკაპრელი, საქ. მეცნ. აკად. წ.-კ., მეცნ. დამსახ. მოღვ., პროფ.-დოქტორი ლ. პ. კალანდაძე, საქ. მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი, მეცნ. დამსახ. მოღვ., პროფ.-დოქტორი ტ. ყ. კვარაცხელია, საქ. მეცნ. აკად. წ.-კ., მეცნ. დამსახ. მოღვ., ი. ნ. ლომოური, პროფ.-დოქტორი ი. ლ. ჭავია.

Редакционная коллегия:

Докт. Г. К. Урушадзе (ответств. редактор), член-кор. АН Груз. ССР, заслуж. д. н., проф. Л. Л. Декапрелевич, проф.-доктор И. Л. Джашвили, член-кор. АН Груз. ССР, засл. д. н., проф.-доктор Л. П. Каландадзе, действ. чл. АН Груз. ССР, засл. д. н., проф.-доктор Т. К. Кварацхелия, член-кор. АН Груз. ССР, засл. д. н., проф. Ю. Н. Ломоури.

ეროვნული
გირშემოსის

პ. მიარამაძე

სოფლის მეურნეობის მეცნ. კანდიდატი

ხორბლის სელექციური ჯიშების „დოლი 35-4“-ისა და „თეთრი დოლი 18-46“-ის გარცევის, მიმღების უზრუნველობის
ცვალებაზოგადი სამართველოში

ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინ არ ერთხელ გაუმახვილებია ყურადღება მარცვლეულის უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე. „მარცვლეულის პრობლემა—მიგვითოთებს ამხანაგი სტალინი—წარმოადგენს ძირითად რგოლს სოფლის მეურნეობის სისტემაში და გასაღებს ამ უკანასკნელის ყველა სხვა პრობლემის გადასაჭრელად“ (1).

თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1950 წლის 9 მარტს წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი პურის პრობლემის საკითხს საქართველოში. მან თქვა:

„საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა. მისი ოლიმპიადეთი რაიონები — კახეთი და ქართლი — ყოველთვის კვებავდნენ ქართველ ხალხს.

თუმცა მარცვლეულის, კერძოდ ხორბლის, საერთო მოსახლეობი წარსულთან შედარებით მნიშვნელოვნებად გადიდდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ კმარი. ხორბლის მოსახლიანობა ჯერ კიდევ არ არის მაღალი. საქართველოს კოლმეურნეობები ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით იძლევანან სასაქონლო მარცვლეულს, მარცვლეული კულტურების დამზადება რესპუბლიკაში პურის პროდუქტების იმ საერთო რაოდენობის ერთ მესამედზე ნაკლებს შეადგენს, რაც საჭიროა საქართველოს ქალაქების მოსახლეობის მოსამარაგებლად.

საქართველოს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ მთლიანად დაიკმაყოფილს მოთხოვნილება საქუთარი წარმოების მარცვლეულით და არ შემოიტანოს იგი სსრ კავშირის შორეული ოლქებიდან. საჭიროა ფართოდ გავაგრეოთ ხორბლის აღვილობრივი ძეირფასი ჯიშები: დოლის პური და სხვა ჯიშები, გავაძლიეროთ სასელექციო მუშაობა ამ ჯიშების სამეურნეო თვისებათა შემდგომი. გაუმჯობესებისათვის“ (2).

საქართველოს კ. პ. (პ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმშა, რომელიც ჩატარდა 1950 წლის 3-4 აპრილს, განიხილა რა ჩევნი რესპუბლიკის საკუთარი მარცვლეულით უზრუნველყოფის საკითხი, მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დასახა მარცვლეულ კულტურათა მოსახლიანობის სწრაფად გადიდების საქმეში.

საქართველოს ბოლშევიკების ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა ჩატარებული კვიან მა ამ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში განასკუთრებით ვართხეობილ ყურადღება ხორბლის, ყველაზე ძვირფასი კულტურის, მოსალილობის გადადებაზე. მან აღნიშნა:

„საქმე ეხება არა ყოველგვარ მარცვლეულს, არამედ სპეცგვლის ჭარბი უმნიშვნელოვანეს სასურსათო კულტურის—ხორბალს“ (3).

აქედან ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად დიდი ლირსებისაა ხორბალი და მისგან მიღებული პროდუქტი მინდვრის სხვა კულტურათა შორის. მისი საუკეთესო თვისებები დამოკიდებულია მარცვლის ქიმიურ შედგენილობაზე. ჩვენ მიერ შესწავლილი ხორბლის იმ სელექციური ჯიშების ქიმიური შედგენილობის დადგენა, რომელთაც აღმოსავლეთ საქართველოში წამყვანი ადგილი უკავიათ (ცოლი 35-4 და ცეტრი ცოლი 18-46), საშუალებას გვაძლევს გარევით განვითარებით, თუ რომელ რაიონებშია შესაძლებელი მაღალხარისხოვანი პროდუქტის მიღება. ამიტომ, ვფიქრობთ, ეს საკითხი მეტად დროული და აქტუალურია, მით უმეტეს ამჟამად, როდესაც ჩვენ ვგაინტერესებს ხორბლის უხვი მოსავლის მიღება და ამასთან ერთად მიღებული პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებაც. მარცვლის ქიმიური შედგენილობის შესწავლა მით უფრო საინტერესოა და საჭირო, რომ იგი იძლევა გარევით მასალას საქართველოს ყველაზე ძვირფასი—ცოლის პურის სელექციური ჯიშების შესახებ. ჩვენი ქართული ხორბლის ჯიშები კი ამ მიღვომით ჯერჯერობით ნაკლებადაა შესათვისებელია.

ხორბლის მარცვალს ადამიანი უძველესი დროიდანვე იყენებდა საკვებად. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხორბლის მარცვალში და საერთოდ პურეულში აზოტურ და უაზოტო ნივთიერებათა შეფარდება ისეთია (ერთ ნაწილ ცილოვან ნივთიერებაზე მოდის ექვსი ნაწილი ნახშირწყალი), რომ მარტო პურით კვების დროსაც კი ადამიანს შეუძლია იკოცხლოს. ხორბლის მარცვალში ყველაზე კარგად არის წარმოდგენილი ის ცილოვანი ნაერთები, რომელნიც ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებლად საჭიროა და ადვილად შესათვისებელია.

მაშასადამე, ჩვენ მიერ განხილული საკითხი არ უნდა იყოს ინტერესს მოელებული და ვფიქრობთ, რომ დასმული საკითხის გარჩევით მცირეოდნენ წვლილი შეგვიძლია შევიტანოთ იმ დიდ საქმეში, რომელიც ითვალისწინებს უახლოეს პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი მარცვლეულით უზრუნველყოფას. საქართველოს ხორბლის სელექციური ჯიშების ქიმიური შედგენილობის შესწავლა, ზონალობასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო თეორიული თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკულ-სამეცნიერო თვალსაზრისითაც.

მარცვლის ქიმიური შედგენილობის გამორკევა გვაძლევს შესაძლებლობას, გავიგოთ, თუ რომელი ჯიში და რა პირობებში იძლევა დიდ მოსავალთან ერთად მაღალხარისხოვან ცილებს, ცხიმს, სახამებელს, ვიტამინებსა და სხვა ქიმიურ ნივთიერებებს.

შცენარის ქიმიური ბუნების ცვალებადობის შესწავლა გვაძლევს შესაძლებლობას შევარით საუკეთესო მაღალხარისხოვანი და უხმოსავლინი ჯიშები ჩვენი სოციალისტური საკოლმეტურნეო მინდვრებისათვის.

ბუნების დიდი გარდამშვნელი ი. მიჩურინი (21) გვისწავლის, — რომ ერთი და იგივე ჰიბრიდული თესლები, სხვადასხვა პირობებში — მოყავნადი, გვაძლევენ განსხვავებული სამეურნეო თვისებების მქონე ჯიშებსა და ინდივიდებს, რაც, უდავოდ, მხედველობაში მისალებია მსგავსი საკითხების განხილვის დროს.

ა კ ა დ. ტ. ლისენკო (15) მიგვითითებს, რომ მცენარის სიცოცლისა და განვითარებისათვის საჭირო პირობების წარმართვა გვაძლევს შესაძლებლობას ზედმიწვნით შევისწავლოთ მისი ბუნება და დავაწესოთ მისი შეცვლის საშუალებანი აღამინისათვის საჭირო მიმართულებით.

ცნობილია, რომ ხორბლის მარცვლიდან მიღებული პროდუქტის — გამომცხარი პურის — ხარისხი დამრეკილებულია მარცვლის ქიმიურ შედგენილობაზე, ხოლო ამ უკანასკნელზე დიდ გავლენას ახდენს მთელ რიგ ფაქტორთა მოქმედება: გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, ნიადაგი, მისი ქიმიური შედგენილობა, აგროტექნიკის დონე, თვით ხორბლის ჯიშური ხასიათი და სხვა.

სხვადასხვა დროს მრავალრიცხოვან მკვლევართა მიერ სხვადასხვა ჯიშე ჩატარებული ანალიზების შედეგად ხორბლის მარცვლის საშუალო ქიმიურ შედგენილობას ჩვეულებრივად შემდეგი მაჩვენებლებით ახასიათებენ:

წყალი	14,4%
ნაცარი	1,7%
ნედლი პროტეინი	13,0%
უჯრედანა	3,0%
უაზოტო ექსტრიქტული ნივთიერებანი	66,4%
ნედლი ცხიძი	1,5%

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ხორბლის ძირითადი შემაგენელი ნაწილია ცილა და სახამებელი; მიტრომაც ამ ორი მთავარი ელემენტის ცვალებადობის შესწავლის საკითხი დიდი ხნიდანვე იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას.

ზოგიერთი მკვლევარის ცნობით, ცილის რაოდენობა ხორბლის მარცვალში მერყეობს $7,07\%$ -დან (შოტლანდია) $24,16\%$ -მდე (კავკასია).

მილონგა (5) 1854 წელს ალნიშნა რუსეთული ხორბლის ცილის მაღალი შემცველობა, ხოლო ლიასკოვსკის (16) მიერ 1865 წელს ხორბლის მარცვალში ცილის მერყეობის საზღვრები ევროპულ რუსეთში აღნიშნული იყო $12,19\%$ -დან $26,56\%$ -მდე. მისივე მონაცემით, ცილის უმაღლესი რაოდენობა ($26,87\%$) ნახული იყო ერევნის მახალაში. ამრიგად, რუსეთის ხორბლის სიმდიდრე ცილებით აღნიშნული იყო ჯერ კიდევ 70 წლის წინათ.

გამოკვლევების შედეგად მიღებული სხვაობა ლიასკოვსკიმ ახსნა, ერთი მხრივ, კლიმატის, ტენის, სასუქებისა და, მეორე მხრივ, თვით ხორბლის ჯიშური თვეისტებურებით.

მრავალ მკელეგარს აღნიშნული აქვს ზორცვლის ქიშიფრ შედგენაფობაზე კლიმატის მკეთრი გავლენა, რაც, სხვათა შორის, გამოიხატება იმაშიც, რომ შრალ, კონტინენტურ პირობებში მიღებული ხორბლეს შრტფენალების მეტ რაოდენობას იძლევა.

სკვარკინი (26). სჭავლობდა რა რუსეთის ხორბლების ქიმიურ შედგენილობას, იძლევა დასკვნას, რომ ცილის საკმაო მატება ხდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (დაახლოებით $1,60\%$ -დან $4,30\%$ -მდე). ეს ფაქტი შემდგომ მრავალჯერ იყო დადასტურებული.

ჰავისა და გეოგრაფიული ფაქტორების მკეთრ გავლენას ხაზგასმით აღნიშნავს აკად. პრიანიშნიკოვი (24). საქაეშირო შემცენარეობის ინსტიტუტის გეოგრაფიული ნათესები (ეს თესა თოხი წლის, 1923—1926 წ. წ. განმავლობაში ტარდებოდა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე), იძლევა მრავალ საინტერესო ცნობას ხორბლის ქიმიური შედგენილობის შესახებ. მეტად მნიშვნელოვანი და ფართო გამოკვლევები როგორც ხორბლის, ისე სხვა კულტურების ქიმიური თვისებების შესახებ მოგვცა პროფ. ივანოვმა თავის, კლასიკურ ნაშრომებში (5, 6, 7, 8).

საქართველოს ხორბლის პირველი ქიმიური გამოკვლევა ჩაატარა გ. ნიკოლსკიმ (22) 1903 წელს; ზან აღნიშნა, რომ კავკასიური ხორბალი ცილით მდიდარია, მაგრამ მისი გამოკვლევა მთლიანად ვერ ასახავს ჩვენი პურეულის ქიმიურ თვისებას—მასალის სიმცირისა და ჯიშების გაურკვევლობის გამო, თუმცა არ შეიძლება არ აღნიშნოს ის გარემოება, რომ აქ პირველად შევეცემდით მითითებას მის შესახებ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ხორბალი უფრო მდიდარია ცილებით, ვიდრე დასავლეთ საქართველოსი.

პ. მელიქი შვილი (20) ხორბლის ქიმიური ანალიზების შედეგად იძლევა დასკვნას, რომ ხორბლის მარცვალში ცილის დაგროვებასა და ატმოსფერულ ნალექებს შორის არსებობს უკუბროპორტული დამოკიდებულება. გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ ნალექებით მდიდარ ზაფხულში ცილის რაოდენობა ხორბლის მარცვალში შედარებით უფრო ნაკლებია, ვიდრე შშრალ და გვალვიან პირობებში. შშრალ ადგილებში, ცხელი ზაფხულის პირობებში, განსაკუთრებებით მლაშე ნიადაგებზე, რბილი ხორბალი ხშირ შემთხვევაში იძლევა ნამდვილ რქისებრი კონსისტენციის მარცვალს და, პირიქით, ხორბლის მაგარი ჯიშები სარწყავ ადგილებში იძლევა ფქვილისებრი კონსისტენციის მარცვალს, რაც პირდაპირ მიგვითითებს ცილების მეტნაკლებობას. 1937—38 წელს მემცნარეობის კათედრის მიერ (17) ხორბლის ჯიშ „კონპერატორებს“ მარცვლის ქიმიური შედგენილობის შესწავლისას გამოიკვა, რომ ცილის მაქსიმალური რაოდენობით გამოიჩინება შირაქი ($15,57\%$), ხოლო ტენით კველაზე მდიდარი ალაზნის გაღმა მხარე—ყვარელი და ლაგოდეხი—იძლევა ცილის კველაზე ნაკლებ რაოდენობას ($11,78\%$). ჩენენებური ხორბლის ქიმიური შედგენილობის შესახებ ცნობებს გვაძლევს აგრეთვე გ. ნაცვლაშვილი (23). მის მიერ შესწავლილ პუნქტებს შორის ცილის მეტი რაოდენობა აღნიშნულია საგარეჯოსა და სტალინირის პუნქტზე.

როგორც ჩავთ აღნიშნეთ, ჩენ მიზანს შეადგინდა გამოგვერდვია ამერიკულ საქართველოში უკვე დარაიონებული ხორბლის სელექციური ჯიშების

„დოლი 35-4“-ისა და „თეთრი დოლი 18—46“-ის მარცვლის ქიმიური შედეგენალობის ცვალებადობა. საჭირო იყო გამოვეურკვია, თუ როგორ იცელება / ეს ჯიშები განსხვავებულ სამეურნეო და ეკოლოგიურ პირობებში, დაგვადგინა, თუ რა გაელენას ახდენს განსხვავებული გარემო უშუალოდ ზრუნვლის ქმნიურ ბუნებაზე და როგორ იცვლება მარცვლის შემადგენელი ცალკეულ ცენტრების კოერებები საქართველოს მრავალფეროვან ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან დაკავშირებით, და ისიც, თუ, ამ ჯიშების გამოყავინის ადგილთან შედარებით, რა ქიმიური ელემენტების მარტებას ან დაკლებას აქვს ადგილი და ამ მხრივ ჯიშები განიცდის გაუარესებას თუ გაუმჯობესებას.

საანალიზოდ ნიმუშების აღება დავიწყეთ 1939 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯიშთა გამოცდის შემდეგ პუნქტებზე: ამბროლაური, საჩხერე, ახალციხე, ახალქალაქი, გორი, სტალინირი, საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი, წითელწყარო, მარნეული, თიანეთი და საქ. სელექციის სადგური (ნატახტარი). ნიმუშების აღების წესი ყველა პუნქტზე ერთი და იავით იყო.

1939 წლს მარცვლის ქიმიური ანალიზი ჩატარდა ყველა ზემოდასხელებულ პუნქტზე აღებული ხორბლის 96 ნიმუშზე, გარდა თანანეთის პუნქტისა (ამ პუნქტზე 1939 წ. ძლიერი სეტკვის გამო ხორბლის ნათესი იმდენად დაზიანდა, რომ საანალიზოდ ნიმუშების აღება ვერ მოხერხდა). 1940 წლს ეს ანალიზები ხელმეორედ იყო ჩატარებული ყველა პუნქტის მასალაზე. აღნაშნულ წელებში ეს მუშაობა შესრულებული იყო ჩერნ მიერ ლ. ბერიას სახ. საქ. სას. სამ. ინსტიტუტის ბიოქიმიის ლაბორატორიაში, ხოლო 1946 წლს ვისარგებლეთ ვ. ნაცელიშვილის ამავე ჯიშების ანალიზის მონაცემებით. სამწუხაოოდ, 1946 წლს ქიმიური ანალიზები მხოლოდ ოთხი პუნქტის მასალაზე იყო შესრულებული (საგარეჯო, სტალინირი, გორი, თელავი). დასახელებული ჯიშების მარცვლის ქიმიური შედგენილობიდან განსაზღვრული იყო შემდეგი ძირითადი კომპონენტები: ცილა, სახამებელი, ცხიმი, უჯრედანა, ფოსფორმჟავა, საერთო ნაცარი და ჰიგროსკოპული წყალი. ანალიზებს ვახდენდით ამავად მიღებული მეთოდებით (4).

ମେଘନାଦ କାମିତ୍ତମି । ଫିଲେ ୧୩

ცნობილია, რომ პურის მარცვალში მისი განვითარების პერიოდში წყლის რაოდენობა განუწყვეტლივ იცვლება. მარცვლის სიმწიფის დასაწყის სანაზი წყლის შემცველობა ჩვეულებრივ მთელი მარცვლის წონის დაახლოებით $72-75\%$ -ს უდრის, ხოლო შემდგრმ პერიოდში, სიმწიფის მომდევნო საფეხურებზე გადასცვლისას, მარცვალი, თანდათან შრება, კარგავს წყლის საგრძნობ რაოდენობას და სრული სიმწიფის ფაზაში ნორმალურად შემოსული მარცვალი, მაგალითად ჩვენში, სულ $10-12\%$ წყალს შეიცავს.

შელის რაოდენობას უკვე შემოსულ მარცვალში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მხოლოდ ნორმალური სიმშრალის თესლი წარმოადგენს „შესვენებულ“ მდგომარეობაში მყოფ ორგანიზმს, რომელშიაც მინიჭუბამდეა დასული ყოველგვარი სასიცოცხლო პროცესები, კერძოდ ენზიმების მოქმედება, რომელთა აქტივიზაციისათვის, კიბელისა და გორდიენ-

კოს (9) მიხედვით, საჭიროა პურის მარცვალში ტენის არსებობა $14\text{--}15\%$ -
მდე მაინც. ამ ნორმაზე ნაკლები რაოდენობით წყლის შემცული მარცვალი
უზრუნველყოფილია ყოველგვარი ჩახურების, აშმორებისა და ამ მიზეზით ხა-
რისხის გაუარესებისაგან შენახვის დროს.

ეროვნული

როგორც აღნიშნეთ, ნორმალურ პირობებში მომწიფებულია კულტური
და წესიერი და შენახული ხორბლის მარცვალი შეიცავს წყალს სულ $10\text{--}12\%$ -
მდე, მაგრამ არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც მარცვლის გამოშრო-
ბა თვით მინდობრში ვერ ხდება ბოლომდე. საერთოდ, ტენით მდიდარი პავა,
წვიმიანი ამინდი პურის შემოსელისა და მკის დროს ხშირად იწვევს მარც-
ლის „ნორმაზე“ მაღალ ტენიანობას, რაც, თავისითავად ცხადია, დიდ უარყო-
ფით მოვლენას წარმოადგენს და საჭიროდ ხდის მთელ რიგ ლონისძიებათა
ჩატარებას ასეთი „სკელი“ მარცვლის ნორმალურ სიმშრალემდე დასაყანად.

აღმოსავლეთ საქართველოს პავა, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდ-
ში ხანგრძლივი და საგრძნობი სიმშრალე, უზრუნველყოფს უმეტეს რაიონებ-
ში ჯერ ისევ ფეხზე მდგომი ყანის მთლიანად გამოშრობა-გახმობას და ამის
გამო, როგორც წესი, ჩვენი პურეულის მარცვალში წყლის რაოდენობა არ
აღემატება შემოაღნიშნულ ნორმას. ეს გარემოება მრავალჯერ იყო აღნიშ-
ნული სხვადასხვა მკვლევრის მიერ და ჩვენი მასალაც ამის დამადასტურებელ
ცნობებს გვაძლევს (იხ. მე-2 ცხრილი). როგორც ცხრილიდან ვხედავთ, ჩვენს
მასალაში ჯიშების, წლებისა და პუნქტების მიხედვით პიგროსკოპული წყლის
რაოდენობა ერთგვარ მერყეობის განიცდის, მაგრამ მერყეობის ფარგლები.
შედარებით უმნიშვნელოა.

დიდი არის სხვაობა მონაცემებში პუნქტების მიხედვითაც, მაგრამ აქ
მაინც მოჩანს ერთგვარი კანონზომიერების რაღაცა ნიშანი. ამაზე მიგვითოთებს
ის გარემოება, რომ დოლი „35-4“ და ოთორი დოლი „18-46“ ჯიშის 2—3
წლის საშუალოში მარცვლის ტენიანობის მაქსიმალური მაჩვნენებელი (12% -ზე
მეტი) გვაქვს ლაგოდებისა და ამბობლაურის პუნქტებზე. ტენიანობის საქმაოდ
მაღალ პროცენტს გვაძლევენ აგრეთვე, ერთი მხრივ, მთიანი რაიონები: ახალ-
ქალაქის ($11,95\text{--}11,96\%$) და თიანეთის ($12,30\text{--}11,97\%$), მეორე მხრივ—
საჩხერის პუნქტი ($11,92\text{--}11,98\%$). ესცე აგრეთვე საესებით გასაგები მოვ-
ლენაა, რომელიც უკავშირდება ამ აღილების კლიმატურ ხასიათს და არა ერთ-
ხელ ყოფილა აღნიშნული სხვების მიერაც.

ის გარემოება, რომ ჩვენი ცხრილის საშუალო მონაცემებში ნატახტა-
რის პუნქტი ყველა დანარჩენ პუნქტთან შედარებით პიგროსკოპული წყლის
მინიმალურ პროცენტს გვიჩვენებს, არ უნდა გვაძლევდეს საბუთს დასკვნი-
სათვის, რომ, ამ პუნქტის მიღამოებისაგან დაკილებამ გამოიწვია შესწავ-
ლილ ჯიშებში მეტი „წყლიანობა“ და ამით მოხდა ამ ჯიშების ჯიშური თვი-
სების შეცვლა. ასეთი დასკვნა არ იქნებოდა საბუთიანი, რადგან ხორბლის
მარცვლის მეტი თუ ნაკლები ტენიანობა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც
მარტო ჯიშური თვისება, არამედ უფრო მეტად—როგორც შედეგი იმ პირო-
ბათა გავლენისა, რომელშიაც მიმდინარეობდა ყანის დაპუნქტა-მომწიფება,
გალეშვა და შენახვა.

ს ა ე რ თ თ ნ ა ც ა რ ი

ეს კომპონენტი შესწავლილი იყო სხვადასხვა გველევრის შეირ. კინგა-
გინიჩევი (10), რომელმაც 1939 წელს ხორბლის ჯიშ „ცეზიუმის“ ანალიზი
ჩაატარა, აღნიშვნას, რომ ნაცრის რაოდენობა სხვადასხვაც ჰანქერზე გან-
სხვავდებულია. მაგრამ დიდ სხვაობას არა აქვს აღვილი. ამასთანავე იგრძელებუ-
თითებს, რომ საშემოდგომო ხორბლის ფორმები ნაკლებ ნაცარს შეიცავს,
ვიდრე საგაზიაფხულო ფორმები. ზოგიერთი მევლევარის თანახმად, რომ ნაც-
რის ელემენტების დაგროვება ხორბლის მცენარეზე დაკავშირებულია PH-თან.
ამ აფტორების აზრით, როცა საკვების სუბსტრატში RH უდრის 3,6, P₂O₅ და
H₂O შეითვისება ½%-ზე და ¾%-ზე მეტად, ვიდრე მაშინ, როცა PH—7,0-ია.

არა ერთხელ იყო შესწავლილი ხორბალზი ნაცროვან ელემენტთა დაგ-
როვების საკითხი, მთელ რიგ მომენტებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ჯი-
შური თავისებურება, კლიმატურ-ნიადაგური პირობები, ვეგეტაციის ხანგრძლი-
ობა, ხორბლის ფორმა (საშემოდგომო და საგაზიაფხულო), იაროვიზაციის
გავლის პერიოდი, სასუქები, მორწყვა, აგროტექნიკის დონე და სხვ. ნაცრის
ძირითადი ნაწილი მოდის გარსზე და ალეირონის ზრდები. მარცვლის სხვადა-
სხვა ნაწილი ნაცარს სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს (კანზი, ჩანასახში, ენ-
დოსპერმში). არის ცნობები, რომ კარბი ნალექების შემთხვევაში მცენარე მე-
ტი რაოდენობით აგროვებს სხეულში ნაცარს, მაგრამ რამდენად სწორია ეს
დებულება, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია, რადგან არსებობს ამის საწინა-
აღმდეგო შეხედულებაც.

კინიაგინიჩევის (10) აზრით, წვრილმარცვლიანი ხორბლის ჯიშე-
ბი მეტ ნაცარს შეიცავს მარცვალში, ვიდრე მსხვილმარცვლიანი.

ჩეენი ანალიზების 2—3 წლის საშუალო მონაცემების განხილვა (იხ.
ცხრილი 2) გვიჩენებს, რომ ჯიშ „35-4“-სათვის ნაცრის მაქსიმუმ რაოდენობას
იძლევა საჩხერისა და ლაგოდების პუნქტები (1,96%), მინიმუმს კი ახალ-
ქალაქისა (1,66%) და თიანეთის (1,69%); ჯიშ „18-46“-სათვის ნაცრის რაო-
დენობა შედარებით ვიწრო ფარგლებში მერყეობს: ყველა პუნქტის საშუა-
ლოს მიხედვით ნაცრის შემცველობა „35-4“-სათვის უდრიდა 1,81%, „18-46“-
სათვის კი 1,80%. როგორც ვხედავთ, სხვაობა ამ ორ ჯიშს შორის ნაცრის
შემცველობის მხრივ სრულიად უმნიშვნელოა.

ყველა პუნქტის საშუალოზე ნაკლებ მაჩვენებლებს ჯიშ „35-4“-სათვის
იძლევა—ახალქალაქის (1,66%), თიანეთის (1,69%), ახალციხის (1,73%),
ნატაბერარისა (1,76%) და ამბროლაურის (1,78%) პუნქტები.

ყველა პუნქტის საშუალოზე მაღალ მაჩვენებლებს იძლევა საჩხერის
(1,96%), ლაგოდების (1,96%), სტალინირის (1,89%), გორის (1,86%), წითელ-
წყაროს (1,85%), გარეულისა (1,84%) და საგარეჯოს პუნქტები (1,79%).
„18-46“-ის შემთხვევაში ნაცრის მაქსიმუმი მოგვეკა ლაგოდების (1,93%),
ნატაბერარისა (1,90%) და საჩხერის (1,89%) პუნქტებმა. შედარებით ნაკლები
ნაცრისანობით ხასიათდება ახალციხის (1,71%), საგარეჯოს (1,72%) და
თელავის (1,72%) პუნქტები.

ყველა პუნქტის საშუალოზე მეტი მაჩვენებელი მოგვეკა: ლაგოდების
(1,93%), ნატაბერარის (1,90%), საჩხერეს (1,89%), სტალინირის (1,87%) და
მარნეულის (1,81%) პუნქტებმა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამბოლაურისა და გორის პუზტების საშუალო მონაცემები ემთხვევა ამ ჯიშის ყველა პუნქტის საშუალო მონტების, ე. ი. იგი გამოიხატა $1,80\%$ -ით.

ყველა პუნქტის საშუალოშე დაბალ მაჩვენებელს იძლევა; ეს ჟალუკების ($1,71\%$), საგარევოს ($1,72\%$), თელავის ($1,72\%$), წითელწყაროს ($1,74\%$) და თიანეთის ($1,7\%$) პუნქტები.

ორივე ჯიშის საშუალო ციფრების განხილვიდან ჩანს, რომ ნაცრის ყველაზე მეტ რაოდენობას იძლევა ლაგოდებისა ($1,94\%$) და საჩერის ($1,92\%$) პუნქტები, უმცირესს კი თელავისა ($1,72\%$) და თიანეთისა ($1,72\%$).

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დაგესკვნათ, რომ ნაცრის რაოდენობის მიხედვით ეს ორი ჯიში ($35-4\%$ და $18-46\%$) დიდად არ განსხვავდება ერთმეტრისაგან და დაახლოებით ერთი და იგივე პუნქტები გვაძლევს ნაცრის მეტ რაოდენობას (ლაგოდებისა და საჩერის). ეს ის პუნქტებია, სადაც მოსული ნალექების რაოდენობა საკმაოდ დიდია. ეს მოვლენა აგრეთვე სრულ დადასტურებას პოულობს ნ. კაზმინისა და ვ. კრეტოვისის (11) გამოკვლეულებშიც.

ფოსტორის დიდ მნიშვნელობას ხორბლის მარცვალში გვიჩვენებს თუნდაც ის გარემოება, რომ ნაცრის სერთო რაოდენობიდან $40-65\%$ -მდე მოდის მასზე, ხოლო აქედან 85% -მდე შედის რთულ ორგანულ შენაერთებში.

ზოგი მკვლევარი იძლევა ცნობას, რომ მარცვალში ფოსტორი ასეთიანიად ნაწილდება: ფოსტორი მინერალური— $16,82\%$, ფოსტორი ლეიციტინის სახით— $1,52\%$, ფოსტორი ფიტინში— $18,26\%$, და ფოსტორი ნუკლეპროტონიდებში— $63,4\%$. მარცვლის ცალკეულ ნაწილებში ფოსტორი, გოგირდი, კალიუმი და სხვა ელემენტები სხვადასხვანირად არის განაწილებული. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ (ნედლი ნაცრის განხილვისას), ნაცრის ელემენტებით მდიდარია მარცვლის პროფერიული ნაწილი.

ფოსტორმების რაოდენობა ხორბლის მარცვალში ჩვეულებრივად $0,75-0,85\%$ -ის ფარგლებში მეტყობს, თუმცა არც ისე იშვიათად იგი აღწევს $1,00\%$ -ს და ზოგჯერ მეტსაც.

ჩვენი ანალიზების შედეგი გვიჩვენებს მეტყობის უფრო დიდ საზღვრებსაც, ვინაიდან ცალკე შემთხვევებში მინიმუმი (თელავის პუნქტზე) უდრის $0,65-0,69\%$ -ს, ხოლო მაქსიმუმი (სტალინირი) $1,14-1,18\%$ -ს. მეტყობის საზღვრები, რა თქმა უნდა, მცირდება $2-3$ წლიანი მონაცემების საშუალოებში (იხ. ცხრ. 2). ისე, ჯიშ „ $35-4\%$ “-სათვის მინიმუმ-მაქსიმუმი შეაღენს $0,75\%$ (საჩერის პუნქტი) და $1,05\%$ -ს (წითელწყარო), ხოლო „ $18-46\%$ “-სათვის იმავე პუნქტებზე— $0,76-0,99\%$. კველა პუნქტის საშუალო პირველი ჯიშისათვის უდრის $0,88\%$ -ს, მეორესათვის— $0,86\%$. ამრიგად, ჯიშური თავისებურება ფოსტორმების შემცველობის მხრივ არაფრთ არ არის გამოხატული და, თუ იგი არსებობს, როგორც ჩანს, თითქმის მთლიანად ბათოლდება ეკოლოგიურ ფაქტორთა მოქმედებით. ამ უკანასკნელთა გავლენა კი საკმაოდ დიდია. თუ ჯიშ „ $35-4\%$ “-სათვის ყველა პუნქტის საშუალო უდრის

0,88% -ს, მაშინ ამ საშუალოზე დაბალ მაჩვენებლებს გვაძლევს ამბოოლმურის (0,78%), საჩხერის (0,75%), გორის (0,78%), თელავისა (0,75%) და ჭალუბის (0,84%). პუნქტებით სამაგიროდ, საშუალოზე უფრო მაღალი ციფრებით ხასიათდება საგარეჯოს (0,93%), მარნეულის (0,94%), ალტერნატივის (0,98%), თიანეთისა (1,02%) და წითელწყაროს (1,05%) პუნქტებით.

ალსანიშნავია ის გარემოება, რომ ხსენებული საშუალო მაჩვენებელი ამ ჯიშის შემთხვევაში ემთხვევა ნატახტრის და აგრეთვე ახალქალაქისა და ლაგოდების პუნქტებს. მეორე ჯიშისათვის (18-46%), რომლის კველი პუნქტის საშუალო შედგენის 0,86% -ს, უფრო ნაკლები ფოსფორიანობით ხასიათდება საჩხერის (0,76%), გორის (0,77%), თელავის (0,78%), ამბოოლაურის (0,79%), საგარეჯოსა (0,82%) და თიანეთის (0,83%) პუნქტებით, ხოლო ამ ნივთიერების უფრო მაღალ შემცველობას გვიჩვენებს მარნეულის (0,90%), ნატახტრის (0,93%), ლაგოდების (0,95%), სტალინირისა (0,96%) და წითელწყაროს (0,99%) პუნქტებით.

როგორც ვხედავთ, ნატახტრის პუნქტებთან შედარებით, ფოსფორმეჯავას მხრივ მარცვლის გალარიბება და გამდიდრება ორივე ჯიშისათვის თითოეულის ერთსა და იმავე პუნქტებზე აღინიშნება. მაგრამ ამ ვანაწილებაში ძნელია რაიმე კანონზომიერების მონახვა ექოლოგიურ პირობათა გარევეული. მიმართულებით გავლენის თვალსაზრისით, რადგან ფოსფორით როგორც მდიდარ, ისე ლარიბ მარცვალს გვაძლევ არა თუ განსხვავებული, არამედ ექოლოგიურად ერთმანების საჭინააღმდეგო ხასიათის პუნქტებით.

ნ ე დ ლ ი უ ჯ რ ე დ ა ნ ა

უჯრედანა წარმოადგენს მარცვლის გარსის მთავარ შემაღენელ ნაწილს, რომელიც მარცვლის ტექნოლოგიური გამოყენების თვალსაზრისით შეიძლება ზედმეტ ბალასტურ ჩაითვალოს, რადგანაც იგი ძნელად მოსანელებელია.

პრიანიშნიკოვი და იაკუშკინი (25) მიუთითებენ, რომ ხორბლის სხვადასხვა სახეობა უჯრედანას სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს. ასე, მაგალითად, რბილი ხორბალი უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს მას, ვიდრე მაგარი ხორბალი. ეს მით არის გამოწვეული, რომ მაგარი ხორბლის თესლის კანი უფრო თხელია, ვიდრე რბილი ხორბლისა. რაც უფრო წვრილია მარცვალი, მით უჯრედანას შემცველობაც მეტია, რადგან ასეთ მარცვალში გარსის საერთო ზედაპირი მეტია, ვიდრე მსხვილ მარცვალში. ჩვენი ანალიზების 2-3 წლის საშუალო მონაცემები ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (№ 2) გვიჩვენებს, რომ დოლი 35-4 უჯრედანას მაქსიმალურ რაოდენობას იძლევა საჩხერის პუნქტზე (2,57%). ამ პუნქტთან ახლოს დგანან საგარეჯოსა და მარნეულის პუნქტები, რომელთა მონაცემები თანაბარია და 2,39% -ს შეადგენს. უჯრედანას ნაკლები რაოდენობა მოგვცეს ახალქალაქისა და თელავის პუნქტებში (2,25-2,23%). საჩხერის პუნქტზე უჯრედანას მეტი რაოდენობა იმით უნდა ისხსნას, რომ მარცვალი ამ პუნქტზე ორივე წელს (1939-1940 წ. წ.) ბეჭიტი იყო, რამაც გამოიწვია მარცვლის გარსის საერთო მასის მომატება. უნდა ითქვას, რომ ამ პუნქტზე აგრეთვე მეტი იყო საერთო ნაცრის დფენობაც.

ჯიშ 35-4-სათვის ყველა პუნქტის საშუალო $2,35\%$ -ს შეადგენს. ამ სა-შუალოსთან შედარებით უჯრედანის რაოდენიმედ მეტი რაოდენობას იძლე-ვა საჩხერის ($2,57\%$), ლაგოდეხის ($2,44\%$), მარნეულის ($2,39\%$), საგარე-ჯოს ($2,39\%$), წითელწყაროსა ($2,39\%$) და ამბროლაურის ($2,38\%$) პუნქტები. ყველა პუნქტის საშუალოზე ნაკლებია ახალციხის ($2,33\%$), გორის ($2,32\%$), ნატარის ($2,32\%$), თიანეთის ($2,31\%$), სტალინირისა ($2,31\%$) და ახალ-ქალაქის ($2,25\%$).

„18-46“-სათვის პუნქტების მიხედვით, უჯრედანის მინიმუმ-მაქსიმუმი მერყეობს $2,14\%$ -დან (თელავი) $2,47\%$ -მდე (ლაგოდეხი). ყველა პუნქტის სა-შუალო შეადგენს $2,34\%$ -ს. ამაზე მცირე რაოდენობის უჯრედანათი ხასიათ-დება თელავის ($2,14\%$), ახალციხის ($2,27\%$), წითელწყაროს ($2,28\%$), ახალქალაქის ($2,30\%$), საგარეჯოსა ($2,30\%$) და თიანეთის ($2,32\%$) პუნქტები.

სტალინირის პუნქტის საშუალო მონაცემი ემთხვევა ყველა პუნქტის საშუალო მონაცემს, ე. ი. იგი უდრის $2,34\%$ -ს. დანარჩენი პუნქტები უფრო მეტი უჯრედანათი ხასიათდება, ვიდრე ყველა პუნქტის საშუალო. ასე, მაგა-ლითად, ლაგოდეხი იძლევა ($2,47\%$), საჩხერე ($2,46\%$), გორი ($2,44\%$), ნა-ტარი ($2,41\%$) და ამბროლაური ($2,40\%$). ორივე ჯიშის (35-4 და 18-46) საშუალო მონაცემების კითხრების ანალიზიდან ჩანს, რომ უჯრედანის მაქსი-მუმს იძლევა საჩხერის ($2,52\%$), ლაგოდეხისა ($2,45\%$) და გორის ($2,38\%$) პუნქტები, ხოლო მცირე რაოდენობა მოგვცა: თელავის ($2,18\%$), ახალქალა-ქის ($2,27\%$) და ამბროლაურის ($2,29\%$) პუნქტებმა. აქ განხილული ჯიშების (35-4, 18-46) ყველა პუნქტის საშუალოს შედარება ერთიმეორესთან გვიჩვე-ნებს, რომ სხვაობა სრულიად უმნიშვნელო.

ხორბლის მარცვალში უჯრედანის დაგროვება დამოკიდებულია კლიმა-ტურ-ნიადაგურ პირობებზე და მასთან გარკვეულ დამოკიდებულებაშია მარცვალში საერთო ნაცრის შემცველობასთან, ე. ი. მარცვალში უჯრედა-ნის მეტი რაოდენობა გვაძლევს აგრეთვე მეტი რაოდენობის ნაცარს.

ნ ე დ ლ ი ც ხ ი მ ი

ხორბლის მარცვალში ცხიმი საშუალო 2% -მდე მერყეობს. მისი უდი-დესი ნაწილი მოდის ნასახეზე, ნაკლები ოდენობა კი ენდოსპერმზე. ის ცხიმი, რომელიც ენდოსპერმზი შედის, უფრო ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე ნა-სახში შემავალი ცხიმი.

ვ. ნაცვლი შილი, სწავლობდა რა ხორბლის ქიმიურ შედგენილო-ბას (23), ალნიშნავს, რომ სხვადასხვა რაონის ხორბლის მარცვალი ცხიმს სხვადასხვა ოდენობით შეიცავს, მაგრამ განსხვავება იმდენად მცირეა, რომ ზოგი იგი ცდომილების ფარგლებში შეიძლება მოექცეს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ცხიმის მერყეობა ხორბლის მარცვალში დიდი არ არის. ეს გა-რემორბა კარგად ჩანს ჩეცნს ანალიზებშიაც.

როგორც აქ მოყვანილი ცხრილიდან (№ 2-დან) ჩანს, ჯიშ 35-4-სათვის საშუალო მონაცემების მიხედვით მინიმუმ—მაქსიმუმი ცხიმის რაოდენობისა ($2,14\%$ და $2,23\%$) მოდის თიანეთისა და ამბროლაურის პუნქტებზე. ყველა პუნქტის საშუალო ამ ჯიშისათვის $2,26\%$ -ს უდრის. საშუალო ოდენობაზე

გეტ ცხიშის იძლევა: ამბროლაურის (2,33%), ლაგოდეხის (2,32%), წითელ-ჭიარის (2,31%), მარნეულის (2,29%), საგარეჯოს (2,28%), სტალინიარისა (2,27%) და ნატაბტრის (2,27%) პუნქტები.

ყველა პუნქტის საშუალოზე ნაკლები ცხიმიანობით ხასიათდება თანამდებობის (2,14%), ახალქალაქის (2,22%), გორის (2,23%), ახალგორისა (2,23%) და საჩხერის (2,25%) პუნქტები. დაახლოებით ასეთსავე სურათს ცხიმის შემცველობის მხრივ იძლევა მეორე ჯიში (18-46). წლების საშუალოდან ვხედავთ, რომ ცხიმის მაქსიმალურ რაოდენობას აქვთ კვლავ ამბროლაურის პუნქტი იძლევა (2,32%), მინიმუმს კი — თელავის (2,23%). ყველა პუნქტის საშუალოსთან შედარებით 6 პუნქტი იძლევა ამ საშუალოზე შეტ, ცხიმს, სახელდობრ, ამბროლაურის (2,32%), წითელწყაროს (2,30%), თიანეთის (2,30%), მარნეულის (2,29%), ლაგოდეხისა (2,29%) და საჩხერის (2,29%) პუნქტები, ხოლო ყველა პუნქტის საშუალოზე ნაკლები ცხიმი მოგვცა შემდეგმა პუნქტებმა: თელავის (2,23%), ნატაბტრის (2,24%), გორის (2,22%), სტალინიარის (2,25%), ახალქალაქისა (2,26%) და ახალციხის (2,26). თუ ამ ციფრებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ წლების საშუალო, პუნქტების მიხედვით, „18-46“-ის შემთხვევაში უფრო ნაკლებ სხვაობას იძლევა, ვიდრე „35-4“.

ამ ორი ჯიშის საშუალო ყველა პუნქტის მონაცემებით ერთმიერეს ძალიან უახლოვდება („35-4“-სათვის იგიუდრის 2,26%-ს, ხოლო „18-46“-სათვის — 2,27%-ს).

განხილული ჯიშების საშუალო მონაცემთა ინალიზი გვიჩვენებს, რომ ცხიმების რაოდენობის მაქსიმუმს აქვთ ამბროლაურის (2,32%), ლაგოდეხისა (2,30%) და წითელწყაროს (2,30%) პუნქტები იძლევა, ხოლო მინიმუმს — თიანეთის (2,22%), გორისა (2,22%) და თელავის (2,23%) პუნქტები.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხიმის რაოდენობა, როგორც 2—3 წლის საშუალო მონაცემებში, ისე ყველა პუნქტის საშუალოს შემთხვევაშიაც ორივე ჯიშის მიხედვით დიდ სხვაობას არ იძლევა. ეს უფრო მეტად შეიძლება ითქვას ჯიშ „18-46“-ის მიმართ. ის სხვაობა, როგორიც აქ არის მოცემული ცალკე პუნქტებს შორის, უნდა აიხსნას იმ კლიმატურ-ბუნებრივი პირობების სხვაობით, რომლითაც ხასიათდება ესა თუ ის პუნქტი. ცხადად მოჩანს მხოლოდ ერთი გარემოება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მაღალი ტენის მქონე პუნქტები (ამბროლაური და ლაგოდეხი) იძლევა შედარებით უფრო მეტი ცხიმიანობის შემცველ მარცვალს.

ს ა ხ ა მ ე ბ ე ლ ი

ხორბლის მარცვალში სახამებელი საშუალოდ 70%-მდე მცრუებობს. ვ. მილოვსკაია (19) სწავლობდა რა სახამებლის მდგომარეობას ფერმენტაციული მოქმედების დროს, აღნიშნავდა, რომ ხორბლის მარცვლის სახამებლის სტრუქტურული თავისებურებანი სპეციფიკურია ხორბლის ცალკეული ჯიშებისათვის და ამასთან ერთად დამოკიდებულია აგრეთვე იმ კლიმატურ და ნიადაგურ პირობებზე, რომლებშიაც მცენარეს უხდება ზრდა-განვითარება. ხორბლის მარცვლის სახამებელი შედგება ორი ნაწილისაგან: ამილოზისა

და ამილოპექტინისაგან. სახამებლის ბუბკლს წებოვნება დამოკიდებულია უმთავრეს შემთხვევაში ამილოპექტინზე, რომელიც ხორბლის მარცვლის სახამებელში 33,7%-ს აღწევს.

მარცვლის უდიდეს ნაწილს შეადგენს სახამებელი. საერთოდ ცნობილია, რომ სახამებელი და ცილა ხორბლის მარცვალში უკუპრეტენდის დამტკიდებულებაში იმყოფება. ხორბლის მარცვალში სახამებლის დაგროვება ევგერტაციის უკანასკნელ პერიოდამდე მიმდინარეობს.

ამის გამო ყველა ის პირობა, რომელიც ახანგრძლივებს ვეგერტაციას და აძლევს მცენარეს თესლის უფრო სრული განვითარების საშუალებას, ამავე დროს უზრუნველყოფს სახამებლის მეტი რაოდენობით დაქროვების მარცვალში. ასეთ ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს შედარებით გრილი ამინდი, მარცვლის შემოსელა-მომწიფების დასაწყის პერიოდში ხშირი ნალექები ან მორწყევა, პარის შეფარდებითი ტენიანობის საქმაოდ მიღალი დონე და სხვ. პირიქით, ცხელი და მშრალი ქარები, გვალვიანი ამინდი აბრკოლებს სახამებლის დაგროვებას მარცვალში, რას შედეგად ეს უკანასკნელი გამოდის წვრილი, „მზიერი“ და მასში შეფარდება ცილასა და სახამებელს შორის პირველის სასარგებლოდ იცვლება.

საერთოდ უსათუოდ ნართალია კნიაგინიჩევი (10), რომელიც აღნიშნავს, რომ ყველა ის პირობა, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით იყრისებს ასიმილაციას, ამავე დროს ამცირებს სახამებლის რაოდენობასაც მარცვალში. ზემოაღნიშულის მიხედვით მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ჩვენს საკვლეული მასალაშიაც საქმაოდ დიდი განსხვავება იქნებოდა სახამებლის როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი რაოდენობის მხრივ, ვინაიდან იგი მიღებული გვქონდა მეტად განსხვავებულ ეკოლოგიურ გარემოში, ერთა მხრივ—ლაგოდებისა და მარნეულის რაიონებში, მეორე მხრივ კი თანახოთისა და ახალქალაქში ინდა ამბროლაურსა და საგარეჯოში და ა. შ.

მართლაც, ქვემოთ მოთავსებულ ცხრილებში (№1, №2-ში) ნათლად ვხედავთ სახამებლის შემცველობის მხრივ თვალსაჩინო განსხვავებას და მისი რაოდენობის მჭიდრო კავშირს ამა თუ იმ ჰუნქტის კლიმატოლოგიურ ელემენტებთან.

ორივე ჯიშის 2—3 წლიან საშუალოში პუნქტებს შორის განსხვავება საქმაოდ დიდია; მინიმუმ-მაქსიმუმის მაჩვენებლები მერყეობს 63,54% -სა და 68,58% -ის ფარგლებში, ე. ი. განსხვავება 50%-ს აღწევს.

ამავე დროს ორივე ჯიშისათვის მინიმალური მაჩვენებელი მოდის საგარეჯოს, წითელშეყაროს, მარნეულისა და აგრეთვე სტალინირის პუნქტებშე, ხოლო მაქსიმალური—ამბროლაურის, სახერის, ლაგოდებისა და თანახოთის პუნქტებშე, ე. ი. სწორედ იქ, სადაც, როგორც ამას ცოტი ქვემოთ დავინახავთ, ცილების შემცველობა ყველაზე დაბალია.

2—3 წლიან პერიოდში ყველა 13 ჰუნქტის საშუალო ჯიშ „35-4“-სათვის უდრის 66,34% -ს, „18-46“-სათვის კი 66,00% -ს, ე. ი. ორივე ჯიშის საშუალო 66,17% -ს უდრის.

საყურადღებოა, რომ ყველა ჰუნქტის ამ საშუალო მაჩვენებელს ეფარდება ახალქალაქის, ახალციხისა და ნატახტრის მონაცემები, და რადგან ნა-

ტახტის პუნქტი, როგორც ამ ჯიშების შექმნა-ჩამოყალიბების ადგილი, ჩვენ მიღებული გვაქვს მათ ჯიშურ თვისებათა ამა თუ იმ მომართულებით შეცვლის საზომად, ამიტომ შეგვიძლია დიავსევნათ, რომ ორივე ჯიში თვი-დაპირველი სახამებლიანობა შეინარჩუნა ახალქალაქისა და ახლოცის შექტები დანარჩენ 10 პუნქტზე კი ამ თვისების მხრივ ცვლილება სუბჟექტურული საჩინოა: სახამებლიანობის მკვეთრად შემცირებისაკენ მიღრებილება ემჩნევა საგარევოს, წითელწყაროსა და მარნეულის პუნქტებზე, ხოლო მომატებისა— ამბოლაურის, საჩერის, ლაგოდების, თელავისა და თიანეთის პუნქტებზე.

ცხრილში მოყვანილი ციფრების უფრო დეტალური ანალიზით და ბათი შეტოლებით ცალკეული პუნქტებისა და წლების მეტეოროლოგიურ მონაცემებთან შესაძლებელი უნდა იყოს იმის დადგენაც, თუ რა გავლენას ახდენს სახამებლის მეტნიკულებობაზე ამა თუ იმ წლის ამინდის პირობები ცალკეული პუნქტის მიხედვით, მაგრამ, თუმცა ეს საკითხი დიდ ინტერესს წარმოადგენს როგორც თეორიულად, ისე წმინდა პრაქტიკული საწარმოო თვალსაზრისით, ჩვენ აქ მის დეტალურ განხილვაზე არ შევჩერდებით.

დასასრულ, ჩვენ წინაშე ბურებრივად ისმის საკითხი: არსებობს თუ არა რაიმე განსხვავება მარცვლის სახამებლიანობის მხრივ საკვლევად აღებულ ჯიშებს შორის, ე. ი. წარმოადგენს თუ არა სახამებლიანობის ესა თუ ის დონე ჯიშურ თავისებურებას, რამე მყარ შემცვიდრულ ბიოქიმიურ ნიშანებისგას, რომელიც თავის ხასიათს ინარჩუნებს ეკოლოგიურ ფაქტორთა ნაირსახიანი და მუდამ ცვალებადი ზეგავლენის გარეშე.

ამ საკითხის გადასაშეცვეტად ჩვენ მივმართეთ ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ მეთოდს—დაკვირვებათა სხვადასხვა პუნქტზე მიღებული მაჩვენებლების 'ინტეგრაციას. ამის შედეგი მოცემულია ზემოაღნიშნული ცხრილის უკანასკნელ სერტში, საიდანაც ვხედავთ, რომ ჯიშ „35-4“-სათვის სახამებლის რაოდენობა მარცვალში ყველა პუნქტის საშუალოში 66,34%/₀-ს შეადგენს, ხოლო ჯიშ „18-46“-სათვის—56,00%/₀-ს.

თვალში ვევეცება აგრეთვე ორივე ჯიშისათვის სახამებლის რაოდენობითი მაჩვენებლების მსგავსება ცალკე პუნქტების ორი-სამი წლის საშუალოებში და ყველაფერი ეს გვაძლევს საბუთს დაივსევნათ, რომ მარცვლის ქიმიურ შედეგენილობაში სახამებლის მეტსა თუ ნაკლებ რაოდენობას განსაზღვრავს ძირითადად მცნარეთა ზრდა-განვითარებაზე მოქმედი 'გარეგანი ფაქტორები და არა საკუთრივ ჯიშური თავისებურება.

ც ი ლ ა

ცილა ხორბლის მარცვლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს აღმიანის კვებითი თვალსაზრისით. 1745 წელს ბერკარიმ (13) გამოყო პურის ცომიდან გამორცხვით წებოვარა, რომელიც კოლოიდს წარმოადგენს და დიდი პიღრატაციის უნარით ხასიათდება. ცომის ძარღვიანობა, ნორმალური გაფურება და ცხობა დიდად არის დამოკიდებული წებოვარაზე.

წებოვარა ძარითადად (80%/₀-ით) ორი ნაწილისაგან შედგება—გლიადინისა და გლუტენინისაგან. გარდა ამისა, იგი შეიცავს აგრეთვე ნახშირ-

შეკლებს — 9,44%. ხორბლის მარცვალში ცილა ძირითადად ოთხი ხაზითაა წარმოდგენილი: ალბუმინით, გლობულინით, გლიადინითა და გლუტენინით. მრავალმა მქელევარმა დაადასტურა, რომ პური საუკეთესო ცხრის უნარს იძლევა მაშინ, როცა გლუტენინისა და გლიადინის ურთიერთშეფარულება... 75:25 უდრის.

როგორც აღვნიშნეთ, ცილოვანი ნივთიერებანი პირუეულად მოყიდებულებაშია უაზოტო ექსტრაქტულ ნივთიერებასთან (სახამებელთან). ცილის დაგროვებაში გადამწყვეტი როლი უნდა მიეწეროს კლიმატს: მშრალი კონტინენტური ჰავა ხელს უშესობს მის დაგროვებას, წესტიან პირობებში კი მის შემცირებას აქვს იდგილი. ამიტომაც არის, რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ცილების რაოდენობა კლებულობს, ხოლო ჩრთილოეთიდან სამხრეთისაკენ მატულობს. ამის საილუსტრაციო მაგალითს იძლევა ლიასკოვსკი (16), რომელმაც აღნიშნა, რომ თუ საფრანგეთში ცილის რაოდენობა ხორბლის მარცვალში საშუალოდ $9,0\%$ -ს უდრის, კიევში იგი $20,4\%$ -მდე აღწევს. ასეთსაც დასკვნას იძლევა პროფ. ივან როგიც (4,5), რომელიც ფრიად ფართოდ წარმოებული გეოგრაფიული ნათესებიდან მიღებული მასალის მიხედვით აღნიშნავს, რომ ცილის რაოდენობა ხორბლის მარცვალში „დეტსკოე სელოში“ (ლენინგრადის ოლქი) $14,43\%$ -ს უდრიდა, პოლტავაში კი $18,95\%$ -ს, რაც ერთხელ კადეც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის სამხრეთი რაიონების ხორბალი უფრო მდიდარია ცილით, ვიდრე ჩრდილოეთისა, (საინტერესოა ის გარემოებაც), რომ იაროვიზებული თესლი ცილის მეტ რაოდენობას შეიცავს).

როგორც ზემოთაც იყო ნათევამი, საქართველოს ხორბლების პირველი ქიმიური დახასიათება ეკუთვნის პ. ნიკოლსკის (22) (1903 წ.). მან შესწავლა ყოფილი 5 მახრა (ბორჩალოს, გორის, შორაპნის, რაჭისა და ლეჩხუმის). მის მიერ ცილის უდიდესი რაოდენობა აღნიშნული იყო გორის მაზრაში ($19,52\%$), ხოლო უმცირესი ლეჩხუმში ($14,63\%$).

შემდეგი გამოკვლევა საქართველოს ხორბლებისა ეკუთვნის პროფ. მელიქ შვილს (20). ნიკოლსკისაგან განსხვავდით, აქ მოცემულია მასალის სადაურობა და ჯიშის დასახელება. უფრო გვიან ჩატარებულ გამოკვლევაში პროფ. ი. ლომოური, ვ. სუპარტაშვილი, ო. კვანგახაძე (17) აღნიშნავენ, რომ ხორბლის ჯიში „კონაბერატორეა“ ცილის სხვებზე მეტ რაოდენობას იძლევა შირაქში ($15,57\%$), უმცირესი კი ლაგოდეხის პუნქტე — $11,47\%$. უკანასკნელი გამოკვლევა საქართველოს ხორბლის ქიმიური შედგენილობის შესახებ ეკუთვნის ვ. ნაცვლი შვილს (23), რომელიც აღნიშნავს ცილის მეტ რაოდენობას საგარეჯოსა და სტალინის პუნქტებს. ჩვენი მონაცემებიც, რომელიც საერთოდ ეთანხმება უკანასკნელ მქელევართა მიერ მიღებულ შედეგებს, ამავე დროს მეტად მეტად დაშეარავებენ ერთისა და იმავე ჯიშის შემთხვევაში იდგილმდებარეობისა და მისგან შეპირობებული კლიმატის უალრესად დიდ გავლენას ხორბლის მარცვალში ცილის რაოდენობის ცვალებადობაზე.

ქვემოთ მოთავსებულ ცხრილში (№ 2) მოყვანილი ცნობების განხილვისას უპირველესად ყოვლისა თვალში გვიცემა შესასწავლიდ აღებული ხორ-

	პუნქტების დასახველება	ჯიშების დასახველება	თეორეტული ურავსამარტინი	სახელმწიფო სახელმწიფო
		ცენტრ	ცენტრ	ცენტრ
1	აშბროლაური	35—4 18—46	12,28 12,11	68,24 68,58
2	საჩხერე	35—4 18—46	12,14 12,00	68,96 68,96
3	ლაგოდები	35—4 18—46	12,37 12,63	68,07 68,00
4	წითელწყარო	35—4 18—4	16,25 16,68	63,68 63,68
5	საგარეჯო	35—4 18—46	15,77 15,65	63,67 63,81
6	მარნეული	35—4 18—46	15,51 15,76	64,11 63,54
7	ნატანტარი	35—4 18—46	14,98 15,19	66,20 65,08
8	გორი	35—4 18—46	12,62 12,50	67,08 67,37
9	სტალინირი	35—4 18—46	14,90 15,28	64,02 65,27
10	ახალციხე	35—4 18—46	14,48 14,16	66,28 66,38
11	ახალქალაში	35—4 18—46	13,79 13,70	67,13 66,38
12	თელავი	35—4 18—46	12,73 12,89	67,86 68,44
13	თიანეთი	35—4 18—46	12,88 12,14	68,18 68,20

Table 4: Selected Socioeconomic characteristics

Geographical Subdivision	Age group	Male		Female		Total
		Urban	Rural	Urban	Rural	
Agricultural Labour	15-44	12.23	11.92	11.54	11.95	12.04
	15-45	12.15	11.98	11.91	11.96	11.96
	Other gender category	12.19	11.95	11.72	11.96	12.00
Sugarcane	15-44	1.78	1.95	1.78	1.96	1.86
	15-45	1.80	1.80	1.71	1.78	1.80
	Other gender category	1.80	1.92	1.72	1.72	1.80
Non-agricultural, P.D.	15-44	0.28	0.25	0.34	0.36	0.28
	15-45	0.79	0.70	0.82	0.86	0.77
	Other gender category	0.79	0.76	0.81	0.87	0.75
Tobacco	15-44	2.98	2.57	2.82	2.25	2.32
	15-45	2.49	2.19	2.37	2.09	2.11
	Other gender category	2.19	2.52	2.30	2.25	2.29
Cotton	15-44	2.83	2.25	2.23	2.22	2.29
	15-45	2.32	2.29	2.36	2.26	2.22
	Other gender category	2.02	2.37	2.24	2.38	2.22
Handloom	15-44	65.24	65.91	66.28	65.19	67.03
	15-45	65.58	65.46	65.38	65.39	67.02
	Other gender category	65.41	65.71	65.33	65.25	67.20
Ropewhisk Manufacture	15-44	12.39	12.14	14.09	13.79	13.62
	15-45	12.11	12.00	14.16	13.70	12.86
	Other gender category	12.19	12.07	14.02	13.74	12.78

Table 5: Selected Socioeconomic characteristics

Geographical Subdivision	Age group	Male		Female		Total		
		Urban	Rural	Urban	Rural			
15-44	11.89	11.28	12.05	11.87	12.22	11.41	12.30	11.89
15-45	11.28	11.34	12.21	12.03	11.80	11.69	11.87	11.88
Other gender category	11.58	11.48	11.56	12.13	11.85	11.98	11.72	11.96
15-44	1.76	1.82	1.97	1.71	1.85	1.84	1.89	1.86
15-45	1.87	1.90	1.72	1.80	1.72	1.74	1.81	1.74
Other gender category	1.89	1.83	1.76	1.94	1.72	1.79	1.83	1.80
0.58	0.88	0.83	0.87	0.75	1.05	0.94	1.02	0.88
0.96	0.93	0.82	0.95	0.78	0.99	0.90	0.88	0.96
0.97	0.90	0.88	0.91	0.76	1.02	0.92	0.82	0.97
2.31	2.32	2.29	2.14	2.25	2.38	2.39	2.31	2.35
2.34	2.41	2.39	2.47	2.14	2.38	2.05	2.32	2.34
2.32	2.36	2.34	2.45	2.18	2.33	2.37	2.32	2.34
2.27	2.27	2.28	2.22	2.23	2.31	2.29	2.14	2.26
2.25	2.24	2.26	2.28	2.23	2.30	2.29	2.20	2.27
2.36	2.38	2.37	2.30	2.23	2.30	2.39	2.22	2.36
64.02	65.20	63.67	68.07	67.86	65.08	64.11	65.13	65.34
65.27	65.08	65.81	67.54	68.44	65.03	65.54	65.20	65.00
64.84	65.64	65.74	67.80	68.15	65.65	65.82	65.16	66.17
14.90	14.80	15.77	12.97	13.73	16.26	15.81	12.89	13.89
15.28	15.20	15.65	12.63	12.89	16.08	15.76	12.14	13.88
15.09	15.06	15.71	12.45	12.81	16.16	15.83	12.48	13.88

ბლის ორივე ჯიშის თვალსაჩინო მსგავსება მარცვალში ცილის რაოდენობის მხრივ. ეს მსგავსება განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ყოველი პუნქტის 2/3 წლის საშუალოს ურთიერთთან შედარებისას.

ჯიშ „35-4“ მარცვალში ცილების შემცველობა მერყეობს 12,14% და 16,25% -ის ფარგლებში, „18-46“ -სათვის კი ეს მინიმუმ-მაქსიმუმი 12,0% -სა და 16,08% -ს შორის თავსდება. როგორც ვხედავთ, ციფრები თითქმის ემთხვევა ერთმანეთს და ძნელია რომებ უბირატესობა მიკეთ ან ერთ ან მეორე ჯიშს. ცილებით სიმღიდორის თვალსაზრისით ეს მსგავსება განსაკუთრებით თვალსაზინო ხდება მაშინ, როდესაც ორივე ჯიშისათვის მიღებულ წლების საშუალოებს გადავინაგარიშებთ კველა პუნქტის საშუალოზე. ამ შემთხვევაში „35-4“ -ს მაჩვენებელი უფრის 13,88% -ს, „18-46“ -სა კი 13,89% -ის გვაძლევს სრულ საბუთს დავასკვნათ, რომ ცილოვან ნივთიერებათა შემცველობის მხრივ ჯიშები „35-4“ და „18-46“ ერთმანეთისაგან არავითარ განსხვავებას არ იძლევა.

ურიად დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ წელთა საშუალოებში მცდავნდება სრულიად გარკვეული და კანონმიტირი დამკაიდებულება ცილების პროცენტული რაოდენობისა გეოგრაფიულ ერთეულებთან. ასე, ორივე ჯიშისათვის ცილების მინიმალური %, მოდის საჩერის პუნქტზე, მაქსიმალური კი წითელწყაროზე. უფრო მეტიც: ცილებით კველაზე ღარიბ მარცვალს (12,00—12,99% -ის ფარგლებში) ჯიში „35-4“ გვაძლევს ამბროლაურის, საჩერის, გორის, ლაგოდების, თელავისა და თიანეთის პუნქტებზე და ზუსტად იგივე პუნქტები ამნაირივე დაბალი. ცილიანობით ხასიათდება ჯიშ „18-46“ შემთხვევაშიც.

ასეთივე სურათი გვაქვს მაქსიმალური მაჩვენებლის მხრივაც: 15% -ზე უფრო მეტი ცილიანობით ჯიშ „18-46“ -სათვის აღინიშნება სტალინირის, ნატანტრის, საგარეჯოს, წითელწყაროსა და მარცელის პუნქტები. მეორე ჯიშისათვის 15% -ზე მეტი ცილიანობით ხასიათდება საგარეჯოს, წითელწყაროსა და მარცელის პუნქტები და თითქმის იმავე მაჩვენებლით (14,90—14,93%) სტალინირისა და ნატანტრის მასალა.

თუ ნატანტრის პუნქტის მაჩვენებლებს მივიღებთ ორივე ჯიშისათვის, როგორც „ნორმას“, შაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ამბროლაურის, საჩერის, გორის, ლაგოდების, თელავისა და თიანეთის პუნქტებზე და რამდენადმე აგრეთვე ახალქალაქისა და ახალციხის პუნქტებზეც ამ ჯიშებმა ცილების მხრივ გარკვეული გაღარიბების პროცესი განიცადეს. სამაგიეროდ საგარეჯოში, მარცელისა და წითელწყაროში ნათლად აღინიშნა საჭირაომდევი მოვლენა და აქ ხორბლის ორივე ჯიშის მარცვალი თვალსაზინოდ გამდიდრდა ცილებით. ცილოვან ნივთიერებათა შემცველობაში ასეთნაირი ცვლილება არ არის არც მოულოდნელი და არც შემთხვევითი. რომ ტენით შედარებით მდიდარი რაონები (ამბროლაური, საჩერი, ლაგოდები) და აგრეთვე მთანი აღილები (ახალქალაქი და თიანეთი), გვაძლევს ცილებით ღარიბ მარცვალს, — ეს საესებით გასაგებია და სრულიად ეთანხმება იმას, რაც არაერთხელ ყოფილა აღნიშნული სხვა მკვლევრების მიერაც. ასევე გასაგებია ამის საჭირაომდევი მოვლენაც, როდესაც ზაფხულის გვალვიან პირობებში (წვენი გა-

შოკვლეუებში საგარეჯოს, წითელწყაროსა და მარნეულის პუნქტები) ხორბლის მარცვალში საგრძნობლად მატულობს ცილების რაოდენობა. შავრამ ამ ფალ-საზრისით გაუგებარი იქნება გორისა და თელავის პუნქტებზე მიღებული შე-დევი. ორივე ამ პუნქტზე მარცვალი ხასიათდება ცილების მინიმალური რაო-დენობით და ეს გარემოება ვერ იძნება ვერც ტენის. სიუშვირ წრე ფრულ მაღალი მდებარეობით. როგორც ჩანს, აქ ცილების შემცველობაზე გატლენას ახდენდა კიდევ სხვა ფაქტორიც, რომელმაც დაჩრდილა, გააბათილა კიდევ პავის ელემენტების გავლენა. ჩვენის აზრით, ამ პუნქტზე მიღებული მარცვლის სიღარიბე ცილოვანი ნივთიერების მხრივ გამოწვეულია უმთავრესად იქაური ნიადაგების საერთო სიმწირით და, კერძოდ, აზოტის სიმცირით. ეს გარემოე-ბა ჩვენ თავიდანვე გვქონდა აღნიშნული.

სახამებლისა და ცილის შესახებ ყველა ზემონათქვამი ილუსტრირე-ბულია № 1 ცხრილით, სადაც მოცემული ცნობები გაანგარიშებულია 2—3 წლის საშუალოების სახით.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ხორბლის მარცვლის ჭი-მიურ შედგენილობაში ჯიშური სპეციალის არაფრით არ მეღავნდება. სამა-გიეროდ მყაფიოდ ჩანს განსხვავება, გამოწვეული ეკოლოგიური გარემოს გავ-ლენით. ეს ეხება პირველ რიგში თესლის ტენიანობის 0%-ს და იგრეთვე სა-ხამებლისა და ცილოვან ნივთიერებათა შემცველობას.

პიგროსკოპული წყლით შედარებით მდიდარ მარცვალს ორივე ჯიშის შემთხვევაში გვაძლევს, ერთი მხრივ, ამბროლაურის, საჩერისა და ლაგო-დების პუნქტები, მეორე მხრივ—მთინი ჩაიონები (ახალქალაქი და თიანე-თი). ამ მოვლენასთან ჟველა პუნქტის კლიმატოლოგიურ მონაცემთა შეპი-რისპირება ნათლად გვეუბნება, რომ მარცვლის მეტი თუ ნაკლები „სისვე-ლე“ არ უნდა იყოს ჯიშური თვისება, არამედ იგი დამკიდებულია ამინ-დის პირობებში მთელი ვეგეტაციის განვითრებით კი იმ პერიოდში, როდესაც ხდება ყანის დაპურება.

სახამებლის პროცენტული შემცველობის მხრივ ორივე ჯიში ერთსა და იმავე პუნქტზე თითქმის თანაბარ მაქენებლებს იძლევა, მაგრამ განსხვავება მკვეთრად აღინიშნება პუნქტებს შორის. დამახასიათებელია, რომ სახამებ-ლიანობის თავდაპირველი ოდენობა (ე. ი. ნატახტრის პუნქტის მონაცემების მიხედვით) ორივე ჯიშში მხოლოდ ახალციხისა და ახალქალაქის მასალებში შეინარჩუნა. დანარჩენ 10 პუნქტზე ამ თვისების მხრივ გადახრა საემაოდ თვალსაჩინოა. ასე, სახამებლის მკვეთრი შემცირება აღნიშნულია საგარეჯოს, წითელწყაროსა და თიანეთის პუნქტებზე, რაც გვაძლევს საბუთს დავასკვნათ, რომ ტენით მდიდარ ან უზრუნველყოფილ რაიონებში სახამებლის შეფარდე-ბითი ოდენობა ხორბლის მარცვალში, ჯიშის მიუხედავად, იზრდება, მშრალ, გვალვიან რაიონებში კი, პირიქით, კლებულობს.

ერთსა და იმავე ეკოლოგიურ პირობებში, ე. ი. ერთსა და იმავე პუნქტზე, ორივე ჯიში გვიჩვინებს აგრეთვე „ნედლი პროცენტის“ დაახლოებით თანაბარ რაოდენობას, მაგრამ პუნქტებს შორის განსხვავება აქაც, მსგავსად სახამებლისა, საქმაოდ დიდია. ოღონდ ცვლილება აქ გამოხატულია — საშუალებებით და სავსებით დასტურებს იმ ქანონის მიზნურაფურაზე, რომ იდენტური მოკიდებულებას პროცენტის შემცველობასა და კლიმატურ პირობათა შორის, რომელიც მრავალჯერ ყოფილა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში და რომლის თანახმად ტენით მდიდარ რაონინგბში ამ ნივთიერების 1% ხორბლის მარცვალში კლებულობს, ხოლო მშრალ პირობებში, პირიქით, მატულობს. მართლაც, ჩვენი გამოკვლევის მონაცემების ანალიზი გვიჩვინებს, რომ პროცენტის მინიმალური რაოდენობა მოდის საჩხერის მასალაზე, მაქსიმალური კი — წითელწყაროს პუნქტზე. თუ ნატახტრის მაჩვენებლებს მიეღოდოთ შესადარებელ „ნორმად“, დავინახავთ, რომ ცილოვან ნივთიერებათა მხრივ ხორბლის ორივე ჯიშის მარცვალმა განიცადა გაღარიბება საჩხერის, გორის, ლაგოდეხისა და თელავის პუნქტებზე, ხოლო მატება — საგარეჯოში, მარნეულსა და წითელწყაროში.

მონაცემები საერთო ნაცრის, ფოსტოორმეავას, უჯრედანასა და ცხიმის შესახებ არ იძლევა ცვალებადობის რაიმე გარკვეულ სურათს. შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს რომ ტენის მხრივ შედარებით უფრო მდიდარ რაონინგბში (საჩხერე, ლაგოდეხი, ამბროლაური) ხორბლის მარცვალი ააშკარავებს ნაცრის, უჯრედანასა და ცხიმის მატების ტენინგციას, მაგრამ პირველი ორი ელემენტის შესახებ მეაფიო დასკვნის გამოტანას ხელს უშლის მეორე მოვლენის გავლენა — ესაა მარცვლის დასრულების ხარისხი, რადგან ნათლად ემჩნევა, რომ ბეიტ „შშიერ“ მარცვალში, აღილმდებარეობის მიუხდევად, საერთოდ ნაცრისა და უჯრედანას 1%, თვალსაჩინოდ მატულობს და საგრძნობლად ჩრდილავს ეკოლოგიურ პირობათა გავლენას.

П. С. ГВАРАМАЗЕ
Кандидат с/х. наук

ИЗМЕНЧИВОСТЬ ХИМИЧЕСКОГО СОСТАВА ЗЕРНА ПШЕНИЦЫ СЕЛЕКЦИОННЫХ СОРТОВ „ДОЛИ 35-4“ И „ТЕТРИ ДОЛИ 18-46“ В ГРУЗИИ

РЕЗЮМЕ

В данной работе освещаются вопросы изменения химического состава зерна пшениц в разных климатических районах. Этот вопрос изучался в течение трех лет. Как известно, хлебопекарные качества в основном зависят от химического состава зерна. На химический же состав зерна решающее влияние оказывает ряд факторов: географическое положение, климат, почва и ее состав, уровень агротехники, а также сортовые свойства. В наших исследованиях сортовая специфичность не была обнаружена, но зато ясно можно заметить разницу, вызванную влиянием экологических факторов.

Это, главным образом, относится к влажности зерна, а также к содержанию крахмала и белков в зерне. Наибольший процент гигроскопической воды в зерне дают в одном случае Амбролаурский, Сачхерский и Лагодехский пункты, а в другом высокогорные районы: Ахалкалакский и Тианетский.

ЗПБ-ДПРИОЗ

На основании наших анализов влажность зерна не является сортовым его свойством, а зависит от метеорологических условий вегетационного периода и, главным образом, в период созревания зерна. В отношении же крахмала оба сорта (Доли „35-4“ и Тетри Доли „18-46“) в одном и том же пункте дают одинаковые показатели, но ясно заметна разница между пунктами. Оба сорта свой первоначальный химический состав зерна более или менее сохраняют только в Ахалкалакском и Ахалцихском пунктах, в остальных же десяти пунктах количество крахмала значительно изменяется: наименьший процент крахмала дают Сагареджинский, Цателцкаройский и Марнеульский, а наибольший — Амбролаурский, Сачхерский, Лагодехский и Тианетский пункты. Из сказанного можно заключить, что независимо от сорта, более влажные районы дают больший процент крахмала в зерне, а сухие и засушливые районы, наоборот, меньший. В одних и тех же экологических условиях, т. е. на одном и том же пункте, оба сорта также показывают приблизительно один и тот же процент белковых веществ. Но и здесь, подобно крахмалу, отмечается большая разница между пунктами, но только в противоположном направлении: более влажные районы дают меньший процент белковых веществ, а засушливые районы, наоборот, наибольший. Проведенные нами анализы показывают, что наименьший процент протеина дает Сачхерский пункт (влажный район), а наибольший — Цателцкаройский (более засушливый район).

Если показатели анализов Натахтарского пункта (пункт, где были выведены оба сорта) сравним с таковыми других пунктов, увидим, что в обоих сортах процент белковых веществ уменьшился в Сачхерском, Горийском, Лагодехском и Телавском пунктах, а в Сагареджинском, Марнеульском, Цателцкаройском пунктах, наоборот, процент белковых веществ увеличился.

Данные относительно общей золы, фосфорной кислоты, клетчатки и масла не дают какой-либо ясной картины изменения. Можно только отметить, что в более или менее влажных районах (Сачхерский, Лагодехский, Амбролаурский) в пшеничном зерне заметна тенденция к повышению золы, клетчатки и масла. Но относительно золы и клетчатки трудно сделать твердое заключение, ввиду неполного созревания зерна на некоторых пунктах. Однако, надо заметить, что в шуплых зернах, независимо от местоположения пункта, % золы и клетчатки значительно увеличивается и это явление затушевывает влияние экологических факторов.



САМРІЗБУЛ
ЗПІЧПРІДІС

Е. С. ЧЕРНЫШ

Кандидат с/х наук

Разновидностный состав «Долис-Пури» в Картли в зависимости от его зонального распространения

«Необходимо широко продвинуть местные ценные сорта пшеницы „Долис-Пури“ и другие сорта».

Л. П. Берия.

Основными сортами озимой пшеницы Грузии являются «Долис-Пури». Полученные в результате длительной народной селекции и воздействия определенных естественно-исторических условий, они хорошо приспособлены к местным условиям и до сих пор еще не превзойдены по целому ряду ценным хозяйствственно-биологическим признакам. По сравнению с завозными сортами они дают наиболее устойчивые урожаи. Поэтому в основных районах зернового хозяйства Грузии сортами «Долис-Пури» и выведенными из них селекционными сортами в настоящее время занято 66,1% от общей площади посева озимой пшеницы.

დესაც გაიშალა მათი ყველა-
ლები.

I ვარიანტის ხელში ხდ.



სურ. 4. უბენიაყოფმისხმიარე თემთა

I ვარიანტის ხევბი ხელუხლებლივ დავტოვეთ ცდის დაწყებიდან დაბოლოვებამდე, რომ მათი ფოთლების განვითარება ისე წარმართულიყო, როგორც ეს მას ახასიათებს.

II ვარიანტის ხედს მთლიანად შევაკრიფეთ ყვავილედები, რომ ამით თავილან აგვილებინა ნაყოფის გაჩენა.

III ვარიანტის ხევბის ვარჯის ტოტების ერთონახევარს ყვავილედები სულ მოვაცილეთ, მეორე ნახევარს კი დაუკროვეთ.

IV- ვარიანტის ხევი დატოვებული იყო ხელუხლებლივ მანამდე, ვიდრე ნაყოფი არ მიუახლოვდა სიმწიფის პერიოდს, რა დროსაც მთელი ნაყოფელები გავკრიტიკო.

სეკრონდ ალსანიშვანია, რომ თუთის ჯიშის „ლუ“ ყლორტები განვითარების პირველ სამ ფაზაში შემოსილია ხოლმე ყვავილედებით, რომლებიც შემდეგ ნაყოფებად განვითარდებიან, ხოლო ამ დროს დაიწყებენ განვითარებას კენჭეროს ფოთლები. ფოთლების ინტენსიური განვითარება კი მხოლოდ ნაყოფის

დამშვიდებისას მიმდინარეობს. გვიან განვითარების გამო ფოთლები ინახუნებენ მეტ სინაზეს და ამიტომ კარგ საყვებს წარმოადგენ ზარფულის კუნძულის დროს შეის პირველი ასაკებისათვის.

იმისათვის, რომ უფრო მეტობრივ გამოგვეხატა სხვადასხვა, უფრო ზრდას ხეების ფოთლების ფირფირის ზრდის დინამიკა, ერთსა და უმცირეს დროში უფრო კარიანტიდან აღებული ფოთლების ფირფირები. გასაზომად აღებული იყო ას-ასი ფოთოლი და შემდეგ გავიანგარიშეთ საშუალო მაჩვენებლები, რომლებიც მოცემულია მე 2 ცხრილში.

ცხრილი 2

I ვარიანტის ფოთლების ზომის საშ. სმ-ით		II ვარიანტის ფოთლების ზომის საშ. სმ-ით		III ვარიანტის ფოთლების ზომის საშ. სმ-ით		IV ვარიანტის ფოთლების ზომის საშ. სმ-ით	
სიგრძე	სიგანე	სიგრძე	სიგანე	სიგრძე	სიგანე	სიგრძე	სიგანე
სმ.	სმ.	სმ.	სმ.	სმ.	სმ.	სმ.	სმ.
13,7	10,6	16,6	13,8	14,6	11,5	14,0	11,2

ცხრილი 3

ვარიანტების დასახელება	აზოტის რაოდენობა მშრალ ნივთიერებაში % -ით
I	3,81
II	3,24
III	3,47
IV	3,79

აზოტის ასეთი მეტყველება ცალკეულ ვარიანტებში აღნიშნულ ცდების დროს, ჩვენი აზოტით, უფრო ფოთლის უიზოოლოგიური განვითარებით აისხება, ვიდრე ნაყოფის მხსმოიარების სიძლიერით. განსაკუთრებული ყურადღება აზოტის შემცველობას მიეთქმით იმდენად, რამდენადაც თუთის ფოთლის ორგანული ნაწილი აზოტიან და უაზოტო ნივთიერებებს შეიცავს. პირველ მათგანს მიეკუთვნება ცილები, მეორეს—ნახშირწყლები და ცხიმები. ამათგან ცილებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს აბრეშუმის ჭიისათვის, რამდენადაც ჭიის მიერ გამოყოფილი აბრეშუმის ძაფი, რომელსაც ფიბროინს უწოდებენ, ცილოვან ნივთიერებას წარმოადგენს.

გარდა ამისა, დოც. ლ. ჯაფარიძე თავის ნარკვეში „Новые данные по половому дифференциалу водосодержания у растений“ ამბობს რომ „დედული ორგანიზმები მეტ წყალს შეიცავენ ვიდრე მამეული, რაც ვრცელდება თეთი თუთის მცენარეზედაც“.

წყალი აბრეშუმის ჭიის ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და კია მას მხოლოდ თუთის ფოთლიდან იღებს. აქედან ცხადია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თუთის ფოთლობში წყლის შემცველობას.

შემომკავანილი მაგალითები ვიტამინების, წყლისა და აზოტის შეცვალობაზე, აგრეთვე ფოთლის განვითარების დინამიკა ვეგეტაციის პერიოდ-ზე

ში უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მდედრობითი თუთის მცენარეები უფრო მეტი კვებითი ღირებულების ფოთოლს იძლევიან.

აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. ნაყოფმსხმოიარე თუთის ჯიშების მომრავლებას ჯერული მფრიდავ-ბა უნდა მიექცეს და სათანადო სიმაღლეზე იქნეს აყვანილი.

თუთის ნაყოფმსხმოიარე ჯიშები უნდა გაშენდეს განსაკუთრებით ახალ რაიონებსა და იმ ადგილებში, სადაც სხვა ხეხილი ნაკლებად ხარობს.

3. თუთის ნაყოფიანი ჯიშები უნდა დაირგოს მეფრინველობის და მელორეობის ფერმებში, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს მათ როგორც საკვები და მაჩრდილობელი მცენარე.

4. თუთის თესლის დამამზადებელი სიდედე პლანტაციებისათვის უნდა შეირჩეს და დაირგოს უხვი, კარგი ღირსების თესლის მომცემი თუთის ჯიშები.

5. საფუძვლიანად შესწავლილი უნდა იქნეს და გამოვლინდეს საქართველოში გავრცელებული საყურადღებო ადგილობრივი ჯიშები, როგორიც არის ლაგოდების, ყვარლის, სოფელ მთის ძირის (ხაშალ-ხუთი), მარნეულის, გორის, ახალციხის, ქუთაისისა და მახარაძის რაიონების ჯიშები.

6. უნდა შედგეს ნაყოფმსხმოიარე თუთის ჯიშების საქართველოს ასორტიმენტი.

Док. Г. К. ДЖАПАРИДЗЕ

Кандидат с/х наук.

ПЛОДОВЫЕ СОРТА ТУТОВЫХ ДЕРЕВЬЕВ И ИХ ИСПОЛЬЗОВАНИЕ В СЕЛЬСКОМ ХОЗЯЙСТВЕ

РЕЗЮМЕ

Целью опубликования настоящей работы является ознакомление читателя с значением плодовых сортов шелковицы в сельском хозяйстве.

Одна из основных задач принятого Верховным Советом СССР „Закона о пятилетнем плане восстановления и развития народного хозяйства СССР на 1946—1950 гг.“ состоит в том, чтобы „добиться подъема сельского хозяйства и промышленности, производящей средства потребления для обеспечения материального благополучия народов Советского Союза и создания в стране обилия основных предметов потребления“.

Исходя из вышеизложенной задачи, с целью удовлетворения растущей потребности социалистического сельского хозяйства на пищевые продукты, в особенности в северных и нагорных районах, мы должны размножать такие культуры, которые дадут возможно больше пользы потребителю и улучшат экономическое благосостояние народа.

К числу таких всесторонне полезных культур можно отнести и тутовое дерево.

На основании постановления Совета Министров Грузинской ССР и ЦК КП(б) Грузии от 11 ноября 1949 г. „О мерах по подъему шелководства, улучшению заготовок и первичной обработки коконов в 1950—1960 гг.“ утверждается план новых посадок шелковицы: плантаций — на площади 10 тысяч га и высокостволовых деревьев в количестве 24 ~~миллионов~~^{тысяч} курней.

Несмотря на это, в области тутоводства на сегодняшний день стоят те задачи, которые нам наметил товарищ Л. П. Берия еще 15 мая 1937 года на X съезде КП(б) Грузии „... необходимо форсировать закладку новых тутовых насаждений для расширения кормовой базы во всех районах Грузии и, в особенности, в районах Восточной Грузии, где шелководство идет хорошо и имеет широкие перспективы развития.“

Исходя из ответственных задач, возложенных партией и правительством, мы, работники шелководства обязаны принять все меры, чтобы размножить лучшие сорта шелковицы, в числе коих определенное место должны занять и плодовые сорта.

О времени культивирования шелковицы в Грузии никаких сведений не имеется, но многие исследователи Грузию считают одним из очагов происхождения тутового дерева. Шелковица в диком состоянии и в настоящее время входит в состав пойменных лесов, окаймляющих реки Грузии. И. Ф. Палибиным (1935 г.) шелковица отмечена в отложениях плиоцена.

Таким образом, можно считать установленным, что уже с третичного периода шелковица свойственна флоре Грузии.

Название шелковицы „Тута“ татарского происхождения (Шавров), по-грузински же она называется „жола“ (Сулхан-Саба Орбелиани).

Как видно из существующих литературных данных, шелковица в начале в Грузии разводилась как плодовое и декоративное дерево при усадьбах, о чем более наглядно гласят многовековые деревья шелковицы, сохранившиеся во многих уголках Грузии.

Еще тогда соплодия шелковицы использовывались более широко как пищевой продукт, из них приготовляли бадаги (бекмаз), перегоняли водку и т. д. Тогда размножению плодовых сортов туты уделялось больше внимания.

После того, как население Грузии познало тайны шелководства, вполне естественно, что шелковицу стали размножать для кормления гусениц тутового шелкопряда, но благодаря необоснованному мнению некоторых шелководов о преимуществе листа неплодоносящей шелковицы для кормления шелкопряда, плодовые сорта постепенно стали выходить из строя.

Как известно, листья выкормочных сортов шелковицы по своей питательности для шелкопряда значительно отличаются друг от друга. Сообразно с тем, листьями каких сортов выкармливается шелкопряд, он дает коконы различного качества и количества.

В сталинском плане преобразования природы предусматривается посадка в полезащитных лесных полосах, кроме лесных пород, 10—15 процентов плодовых растений, в числе коих плодовая шелковица принесет

большую пользу, тем более, что имеется решение включения шелковицы в полезащитные полосы Грузии.

Как известно, свежие сахаристые плоды шелковицы являются прекрасной питательной пищей как для человека, также для птиц и животных. Плодовые ягодные растения, как указывает И. В. Мичурин, «послужат источником дохода благодаря своим качествам».

Доцент Груз. СХИ имени Л. П. Берия С. Еркомайшвили в 1941 г. определил в листьях 12 сортов шелковицы количество витаминов А и С. Как известно, свежие плоды содержат витамины, а отсутствие витаминов А и С в пище человека и животных ведет к нарушению определенных функций их организма и к тяжким заболеваниям.

Кроме всего остального, плодовые сорта шелковицы нужны для целей гибридизации и получения доброкачественных семян, тем более, что шелковица в основном размножается семенами.

Несмотря на то, что плодовые сорта приносят большую пользу и потребность на саженцы плодовых сортов шелковицы сильно растет как со стороны птицеводческих и свиневодческих ферм, также и со стороны городского и сельского населения, выпуск плодовых сортов шелковицы с госпитомников сильно сокращен.

Чтобы доказать ложность мнения о вредности листьев плодовых сортов шелковицы, вами приводятся доводы и результаты ваших опытов, говорящие за хорошие кормовые свойства листа плодовых сортов.

Если мы тщательно проследим за развитием листьев как плодовых, так и бесплодных сортов шелковицы, то убедимся в том, что плодоносящие вовсе не снижают кормовых качеств листа, а в некоторых случаях даже повышают.

В качестве листа главную роль играют физические свойства листа, накопление воды и химических веществ.

Выкормочные качества листа складываются из физических и химических свойств.

Как физические, так и химические свойства имеют тесную связь с возрастом листа, т. е. они меняются в течение всего вегетационного периода, с момента распускания вплоть до листопада.

По мере роста листовой пластинки, его удельный вес падает, крепость увеличивается, желтозеленая окраска постепенно переходит в густо-зеленую, а потом она становится бурой и к моменту листопада переходит в явно желтый цвет, а иногда в красный. С возрастным изменением листа меняется и химический состав листа, постепенно уменьшается количество содержащейся влаги и кислот.

По данным К. Н. Дгебуадзе (1948), с возрастом листа женских экземпляров шелковицы сортов „Кокусо № 13“, „Грузия“ и „Татарика“ увеличиваются показатели РН⁺.

Кормовая ценность листьев меняется в зависимости от характера кислот, количества и распределения их и тем вреднее для шелкопряда, чем больше их в листе.

Содержание азотистых веществ в листе в период его созревания увеличивается до 30 дней, а по мере старения снова уменьшается.

Таким образом, в один из моментов своего развития лист шелковицы является подходящим кормом для шелкопряда.

Такого рода изменение листа разно протекает как у отдельных сортов, так и отдельных полов одного и того же сорта.

Как правило, у большинства мужских экземпляров отдельных сортов листья распускаются на 11—12 дней позже, чем у женских, после опадения соцветий.

У женских экземпляров листья и цветы одновременно развиваются и на много дней раньше, чем у мужских экземпляров.

Исключение составляют некоторые женские растения типа сорта „Лу“, характер цветения и облиствления коих такой же, как у мужских особей, т. е. листья интенсивно растут после плодоношения.

Таким образом, выкормочные свойства листа зависят не от плодоношения, а от характера развития листа.

Доцент Л. И. Джапаридзе в своем труде „Новые данные по половому дифференциалу водоснабжения у растений“ приходит к выводу, что „женские организмы содержат больше воды, чем мужские“. Это явление еще раз говорит в пользу годности листьев женских экземпляров шелковицы.

Наши опыты с листьями сорта „Лу“ по содержанию общего азота в сухом веществе дали разницу лишь сообразно с физическим развитием листа.

Таким образом, исходя из вышеизложенных данных, мы приходим к следующим выводам:

1. На размножение плодовых сортов шелковицы следует обратить должное внимание, тем более, что они могут принести многостороннюю пользу.

2. Плодовые сорта шелковицы надо размножать особенно в новых районах, в частности там, где мало других плодовых пород.

3. Плодовые сорта шелковицы полезно сажать в птицеводческих и свиневодческих фермах, как один из питательных кормов, а также создающих тень.

4. Специально подобранные плодовые сорта надо сажать в семенных маточных плантациях для сбора доброкачественных гибридных семян.

5. Надо основательно изучить ассортимент грузинских плодовых сортов шелковицы, например, сорта: Лагодехские, Кварельские, Марнеульские, Горийские, Ахалцихские, Кутаисские, Махарадзевские и т. д.

6. Надо составить полный ассортимент грузинских плодовых сортов шелковицы.

ეროვნული

სახაკონფერენცია

დოკ. გ. ურავაძე

მინისტრის სასურათო აღგილობრივი უმტანის
ტექნიკისათვის

საკავშირო კ. პ. (მ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის 31-ებურნეობის მეურნეობის წინაშე ფრიად საპასუხისმგებლო მოცანა დასახა: „.... უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობის ისეთი აღმავლობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს შორის ვადაში შევჭმათ სურსათის სოფელები მოსახლეობისათვის, ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის და სურსათისა და ნედლეულის აუცილებელი სახელმწიფო რეზერვების დაგროვება“.

ამავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სსრკ-ში 1950 წლს მარცვლოვანი კულტურების საერთო მოსავალი 127 მილიონ ტონამდე უნდა ავიდეს, მარცვლის საშუალო მოსავალი კი ჰქონდა 12 ცენტნერი უნდა იყოს.

საქ. კ. პ. (მ) მეთოთხმეტე ყრილობაში საქ. კ. პ. (მ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეურნეობის წინაშე დააყენა ამოცანა—უახლოეს 8—10 წლიწადში საკუთარი მარცვლით რესპუბლიკის მოთხოვნილების მითლიანად დაკავყოფილების შესახებ.

ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდის საქმეში სამრეწველო და ადგილობრივი მნიშვნელობის სასუქების რაციონალურად გამოყენებას სხვა აგროტექნიკურ ლონისძიებათა კომპლექსში მეტად ღილი მნიშვნელობა აქვს.

საკავშირო კ. პ. (მ) მე-18 ყრილობაში ამხ. კ. მოლოტოვმა თავის გამოსკლაში აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ერთერთ ბაზას წარმოადგენს „.... სოფლის მეურნეობაში სასუქების სწორი სისტემის შემოღება, მინერალური სასუქებით მომარავების გადიდება და საერთოდ სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის განვითარება“.

სტალინური ხეთწლედის პერიოდში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი ქიმიური მრეწველობა, რის შედეგად სოციალისტური სოფლის მეურნეობა ყოველწლიურიდ მზარდი ღდენობით ღებულობს მინერალურ სასუქებს. სსრკ კავშირის მფლობელობაშია სამრიწველო ნედლეულის განუსაზღვრელი რაოდენობის რესტრისები.

საკავშირო კ. პ. (მ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენურზე 1933 წლის 7 იანვარს ამხანაგმა სტალინმა

სთქვა: „ჩვენ არ გაგვაჩნდა თანამედროვე ქიმიური მრეწველობა, უს ჩვენ
ასლა გვაძეს“.

აგრონომიული საბადოების — ფოსფატებისა და კალიუმის მარილების —
მარაგის სიღილის მიხედვით ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში პირველი ადგილი
უკავია, ხოლო სუპერფოსფატის წარმოების მიხედვით მეორე ადგილი უტე-
რავს. ჩვენს სამზომლოში უექმნილია აზოტის მძლავრი მრეწველობა, რომლის
პროდუქცია უხვ გამოყენებას პოულობს სოციალისტური სოფლის მეურნე-
ობის მინდვრებზე.

შიუხედავად ამისა, მარცვლოვანი და სხვა პროდუქტიული კულტურუ-
ბისთვის მინერალური სასუქების გამოყენება უმნიშვნელო რაოდენობით წარ-
მოებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის დადგენილებით სსრ
კავშირის საქმაოდ ტენიან არაზავიტის ზონის რაიონებში მარცვლეული კულ-
ტურების მოსავლიანობის გადიდების მიზნით 1948 წლიდან იყენებენ მინერა-
ლურ სასუქებს. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით საქართველოს პირო-
ბებში 1950 წლიდან მარცვლეული კულტურებისთვის ფართოდ უნდა იქნეს
გამოყენებული როგორც სამრეწველო, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის სა-
სუქები.

ამერამად სოფლის მეურნეობის მუშაკების უმნიშვნელოვანეს ამოცანას
წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სასუქების მაღალი ეფექ-
ტუანობის უზრუნველყოფა. ცნობილია, რომ სასუქების ჩემულებრივი მობნე-
ვის წესით ნიადაგის ზედაპირზე შეტანა ვერ უზრუნველყოფს უხვ მოსავალს,
რადგან ამ შემთხვევაში საკვები ელემენტები ნიადაგის დიდ მასასთან კონ-
ტრაქტის შედეგად მცენარისათვის ძნელად შესათეისებელ (ფოსფორიან) ფორ-
მაში გადადის ან, უხვი რწყვისა და დიდ ნალექების შემთხვევაში, ნიადაგის
ღრმა ფენებში ჩაირეცხება (აზოტოვანი სასუქები), რის გამო მცენარის მიერ
მისი შეთვისება დაბალია. ექსპერიმენტული მონაცემებით დამტკიცებულად
ითვლება, რომ ჩემულებრივი წესით სასუქების გამოყენებისას სასუქების გამო-
ყენების კოეფიციენტი ფოსფორიანი სასუქებისათვის დაახლოებით $10-20\%$ -ს,
ხოლო აზოტოვანი სასუქებისათვის $20-40\%$ -ს არ აღვმატება.

სწორედ აქედან გამოდიოდა აყადემიკოსი ვილიამსი, როდესაც უსაყვე-
დურებდა აგროქიმიკოსებს და ამბობდა — თქვენ ნიადაგს ანოუიტებთ და არა
მცენარესო.

ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამრეწველო აკადემიის საიუ-
ბილეო სესიაზე ტ. ლისენკომ სასუქების გამოყენების კოეფიციენტს სერო-
ზული ყურადღება მიაქცია და აღნიშნა, რომ სასუქების გამოყენების ასე-
თი დაბალი კოეფიციენტი აუტანელია როგორც წარმოებისათვის, ისე
მცენარეებისათვის, და მან ამ მიმართულებით აგრონომიული მეცნიერების
წინაშე ფრიად სერიოზული საკითხი დააყენა გადასაჭრელად; სასუქების გამო-
ყენების კოეფიციენტის გადიდების საქმეში სხვა აგროტექნიკურ ღონის-
ძეებებთან ერთად სასუქების გამოყენების ტექნიკის შესწავლას მეტად დიდი
მნიშვნელობა აქვს. ზემოთ მტლიდან გამომდინარე, ჩვენ მიზნად დავისახეთ
დასვლეთ საქართველოს პირობებში შეგვესწავლა შემდეგი საკითხები:

1. მინერალური სასუქების ეფექტურობა სიმინდის კულტურის მიზანთ;
2. სასუქების შეტანის ტექნიკის ეფექტურობა სიმინდის კულტურის მიმართ და
3. კირით განეიტრალებული სუპერფოსფატის ეფექტურობა მიმინდის კულტურის მიმართ.

სანამ უშუალოდ ზემოდასახელებულ საკითხებში დაყენებული ცდების შედეგების განხილვას დავიწყებდეთ, მანამ მოკლედ შევეხებით საცდელი ნაკვეთების ნიადაგურ და კლიმატურ საკითხებს.

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს რაიონებში წითელმიწა და გაეწრებული ნიადაგები საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული. წითელმიწა ნიადაგები ფორმირებულია შავი ზღვის სანაპიროების სერებითა და გორაკებით დასერილ ფართობებზე, დიდი ატმოსფერული ნალექებისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში.

წითელმიწა ნიადაგების გავრცელების რაიონებში საშუალო წლიური ტემპერატურა $13-15^{\circ}$ შეადგენს, ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა კი 1500-დან—2000 მმ-დან მერყეობს; უფრო დაბლობ ფართობებზე, სადაც ნალექების შედარებით ნაკლები რაოდენობაა და პარალი ტემპერატურა უფრო დაბალი, მეტწილად გახვდება ეწერტიპის ნიადაგები.

დასავლეთ საქართველოს წითელმიწა და ეწერტიპის ნიადაგების გენეზის, მათი ფიზიკურ-ქიმიური და გროვიტაციური თვისებების შესწავლას საქმაოდ დიდი დროის მანძილზე ექცევადა ყურადღება და ამ საკითხების შესწავლი-სადმი მიძღვნილია მრავალრიცხვანი მეცნიერული ზრომები, ამიტომ წითელ-მიწა და ეწერტიპის ნიადაგების გენეზისზე და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების განხილვაზე არ შევჩერდებით. როგორც ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებით, ასევე ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს, რომ SiO_2 და R_2O_3 საერთო შემცველობის მიხედვით წითელმიწა და ეწერტიპის ნიადაგები ერთმანეთისა-გან მცველრიცხვად განსხვავდება, მაგალითად: SiO_2 -ის რაოდენობა წითელმიწა ნია-დაგებში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეწერტიპის ნიადაგებში, R_2O_3 კი, პი-რიქით, წითელმიწა ნიადაგებში გაცილებით მეტი რაოდენობით მოიპოვება,

ვიდრე ეწერნიადაგებში, როს გამოც მოლეკულური შეფარდება $\frac{\text{SiO}_2}{\text{R}_2\text{O}_3}$ წი-თელმიწა და ეწერტიპის ნიადაგებისათვის მეტად სხვადასხვაა. წითელმიწა ნიადაგები ხასიათდება $\frac{\text{SiO}_2}{\text{R}_2\text{O}_3}$ უფრო ვიწრო მოლეკულური შეფარდებით, ვიდრე ეწერტიპის ნიადაგები. აღნიშნულის დასმტკიცებლად იხ. ცხრილი 1, სადაც ნაოლად ჩანს, რომ SiO_2 ეწერტიპის ნიადაგებში გაცილებით მეტი რაოდენობით მოიპოვება, ვიდრე წითელმიწა ნიადაგებში. მაგალითად: ზუგდი-დისა და დიდი ჯიხაშის ეწერტიპის ნიადაგებში SiO_2 -ის რაოდენობა $63-68\%$ -მდე აღწევს, ხოლო ჩაქვის წითელმიწა ნიადაგებში მისი რაოდენობა $40,76\%$ -მდეა. R_2O_3 რაოდენობა კი, პირიქით, ეწერტიპის ნიადაგებში ნაკლებია და $28,5\%$ -მდე აღწევს, წითელმიწა ნიადაგებში კი ის ხშირად 50% და მეტიც არის.

ალსანიშნავია ის, რომ როგორც წითელმიწა ნიადაგებში, ისე ეწერტიპის
ნიადაგებში Al_2O_3 მეტია, ვიდრე Fe_2O_3 . ეწერტიპის ნიადაგებში $\frac{\text{SiO}_2}{\text{R}_2\text{O}_3}$ მოლუკუ-
ლური შეფარდება მერყეობს 4,28—4,90-მდე, იმ დროს როგორც წითელ-
მიწა ნიადაგში $\frac{\text{SiO}_2}{\text{R}_2\text{O}_3}$ შეფარდება 1,52-ს უახლოვდება, ამაზეც დიტი შეიძლე-
ბა აქვს სასუქების გამოყენების საქმეში.

მაღალი ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების
შედეგად წითელმიწა და ეწერტიპის ნიადაგის შთანთქმული კომპლექსიდან
ერთ და ორვალენტოვანი კათიონები გამოირეცხილა, რის გამო ეს ნიადა-
გები ფუძეებით დარიბია. წითელმიწა და ეწერტიპის ნიადაგები კალიუმსა
და მაგნიუმს უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს — 0,42—0,74%-მდე (იხ.
ცხრილი 1).

გარემოს მაღალი ტემპერატურისა და დიდი რაოდენობის ატმოსფერული
ნალექების ზემოქმედების გამო კალიუმისა და მაგნიუმის გამორეცხვა ნიადა-
გის შემწურავი კომპლექსიდან იწვევს ნიადაგის არის შემცვებას და ნიადაგის
შთანთქმული კომპლექსის გამდიღრებას Al და H -ის იონებით; ნიადაგის
შთანთქმულ კომპლექსში Al და H იონების რაოდენობისა და ნიადაგის არის
რეაქციის შემცვების ინტენსივობის მხრივ წითელმიწა ნიადაგები დიდად
განსხვავდება ეწერტიპის ნიადაგებისაგან, რადგან წითელმიწა, ნიადაგები
უფრო მეტი მეტაიონობით და მოძრავი ფორმის ალუმინის მეტი შემცველო-
ბით ხასიათდება, ვიდრე ეწერტიპის ნიადაგები.

SiO_2 და R_2O_3 შემცველობა საცდელი ნაკვეთების ნიადაგში

ცხრილი 1

	ნიადაგის ნიმუშების ალების ადგილი	ნიმუშის ნორმის მდგრადი დანარჩენი	SiO_2 %-%თ	R_2O_3 %-%თ	Al_2O_3 %-%თ	Fe_2O_3 %-%თ	$\frac{\text{SiO}_2}{\text{R}_2\text{O}_3}$	CaO %-%თ	MgO %-%თ
1	დიდი ჯობაიში (ეწერტიპის ნიადაგი)	0—15	63,22	28,5	22,5	6,0	4,28	0,74	0,72
		15—40	65,10	26,2	19,8	6,4	4,60	0,62	0,97
		40—60	63,08	27,6	18,4	9,2	4,44	0,65	1,26
		60—8	63,50	27,9	18,8	9,1	4,38	0,54	1,08
2	ზუგდიდი (ეწერტიპის ნიადაგი)	0—7	65,68	25,4	18,4	7,0	4,90	0,70	0,61
		7—21	68,44	24,0	17,2	6,8	4,85	0,42	0,65
		2—36	66,56	26,2	19,0	7,2	4,77	0,40	0,76
		36—69	64,90	27,2	18,3	8,9	4,61	0,50	0,83
3	ჩაქვი (წითელმიწა ნიადაგი)	0—1:	59,19	50,48	31,82	18,66	1,52	0,59	0,70
		17—2:	40,76	50,65	32,83	17,82	1,56	0,50	0,78
		2—4:	40,17	52,28	33,34	18,94	1,53	0,50	0,99
		51—62:	39,98	51,96	32,52	19,44	1,50	0,45	1,05

შეავიანობათა ფორმები და მოძრავი ალუმინის ოდენობა ნიადაგის განვერის სილრმის მიხედვით მოცემულია მე-2 ცხრილში. იმ ცხრილიდან ჩანს, რომ წითელმიწა ნიადაგის წყლის გამონაწურის PH შეაღენს 5,0, ხოლო KCl გამონაწურის — 4,2.

წითელმიწა ნიადაგში გაცვლითი შეავიანობა ჰორიზონტური შესაბამისად თანდათანობით მატულობს. მაგალითად, 0—12 სანტიმეტრის სიღრმეში გაცვლითი შეავიანობა 4,2 მილიგრამეკვივალენტია 100 გრამ ნიადაგში, ხოლო 51—62 სან. კი 7,8. გაცვლითი შეავიანობას ანალოგიურ ცვლილებას განიცდის გაცვლითი ალუმინი. გაცვლით შეავიანობასა და გაცვლით ალუმინის შორის ჩენ მიერ აღნიშნულია კორელაციური დამოკადებულება. ზუგდიდის ეჭერტიპის ნიადაგი ნაკლები შეავე რეაქციით ხასიათდება, მისი შეავიანობა იზრდება ნიადაგის განაპერის სიღრმესთან ერთად.

ზუგდიდის ნიადაგის წყლის გამონაწურის PH მერყეობს 5,85—დან ზედა ჰორიზონტური 5,7-მდე ქვედაში. მარილის გამონაწურში ამავე ნიადაგის PH მერყეობს 4,4—დან ზედა ჰორიზონტური 4,1-მდე ქვედაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის ეჭერტიპის ნიადაგის წყლისა და მარილის გამონაწურის PH გაჩენების სხვაობა საგრძნობლად დიდია. ზუგდიდის ეჭერტიპის ნიადაგებში გაცვლითი შეავიანობისა და გაცვლითი ალუმინის რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე წითელმიწა ნიადაგებში. ნიადაგის განაპერთა სიღრმესთან ერთად გაცვლითი შეავიანობისა და გაცვლითი ალუმინის რაოდენობა იზრდება 0,37 მგ—ეკ. 100 გ ნიადაგში ზედა ჰორიზონტური 2,34 მგ—ეკ. მდე ამავე ნიადაგის ქვედა ჰორიზონტური. აქაც გაცვლითი ალუმინისა და გაცვლითი შეავიანობის სიღრმეებს შორის კორელაციური დამოკიდებულება ვლინდება.

შედარებით ნაკლები შეავიანობით ხასიათდება დიდი ჯიხაიშის საცდელი ნაკვეთის ნიადაგი. აქტუალური შეავიანობა ამ ნიადაგებისათვის (PH წყლის გამონაწურში) მერყეობს 6,0-დან ზედა ჰორიზონტური 5,7-მდე ქვედა ჰორიზონტური, PH მარილის გამონაწურში კი იცვლება 5,0-დან 4,2-მდე ქვედა ფენაში.

ჰორიზონტების მიხედვით საცდელი ნაკვეთების ნიადაგის შეავანობის
ცალკებადობა

ცხრილი 2

ნიმუშის აღებას აღგალი	სიღრმე	PH		ნოტი ცალკებად ნიადაგის გამონა- წური	ნოტი ცალკებად ნიადაგის გამონა- წური	ნოტი ცალკებად ნიადაგის გამონა- წური	ნოტი ცალკებად ნიადაგის გამონა- წური	ნოტი ცალკებად ნიადაგის გამონა- წური
		სმ-ით	კეტულ.					
დიდი ჯიხაიში	0—15	6,0	5,0	0,32	0,93	0,32	0,32	0,32
	15—40	5,9	4,65	0,52	1,51	0,52	0,52	0,52
	40—60	5,8	4,45	0,67	2,45	0,67	0,67	0,67
	60—80	5,7	4,20	0,94	2,77	0,94	0,94	0,94
ზუგდიდი	0—7	5,85	4,4	0,37	3,73	0,37	0,37	0,37
	7—22	5,75	4,2	1,08	3,50	1,08	1,08	1,08
	22—36	5,75	4,1	2,52	4,42	2,52	2,52	2,52
	36—69	5,70	4,1	2,34	4,55	2,34	2,34	2,34
ნაკლ	0—12	5,0	4,2	5,0	9,2	5,0	5,0	5,0
	17—24	4,9	4,0	6,3	10,1	6,3	6,3	6,3
	32—43	4,8	3,9	7,1	10,4	7,1	7,1	7,1
	57—62	4,8	3,9	7,8	11,2	7,8	7,8	7,8

გაცელითი მქავიანობისა და გაცელითი ალუმინის რაოდენობა წიგდაგის განაკერის სიღრმესთან ერთად მატულობს 0,32 მილ-ეკვ-დან 100 გ წარაგში ზედა ჰორიზონტიდან 0,94 მილ-ეკვ-მდე ნიადაგის ქვედა ფენებში. წითელშიწა ნიადაგების ანალოგიურად, გაცელით ალუმინისა და გაცელით მუავინურას შეარის ეშვრტიპის ნიადაგებშიც შემჩნეულია ჩავივალენტური დამუჯიფლულებული სუკ-დელი ნაკვეთების ნიადაგებში, გარდა ზემოაღნიშვნული ანალიზების, ზედა ჰორიზონტში ჩატარდა PO_4 იონთა შთანთქმის ტევადობის განსაზღვრა; უკანასკნელის ექსპერიმენტული მონაცემები მოყვანილია მე-3 ცხრილში.

იონ PO_4 შთანთქმის ტევადობა საცდელი ნაკვეთების ნიადაგში

ცხრილი 3

	ნიმუშის აღების ადგილი	ნიმუშების აღების სილრმე	PO_4 -ის შთანთქმის ტევადობა %
1	ჩაქვი (წითელშიწა ნიადაგი)	0—20 სმ	0,77
2	ზუგდიდი (ეშვრტიპის ნიადაგი)	0—20 სმ	0,43
3	დიდი ჯიხაიში (ეშვრტიპის ნიადაგი)	0—20 სმ	0,40

მე-3 ცხრილიდან ჩანს, რომ PO_4 იონები შეტი პროცენტობით შთანთქმება წითელშიწა ნიადაგში ეშვრტიპის ნიადაგთან შედარებით.

გარდა ზემომოყვანილი ანალიზებისა, საცდელი ნაკვეთებიდან ნიადაგის ნიმუშებში ჩატარდა აგროქიმიური ანალიზები ნიადაგის აგროქიმიური დახასიათებისათვის. ციფრობრივი მონაცემები მოყვანილია მე-4 ცხრილში.

დიდი ჯიხაიშის ნიადაგისათვის ჰუმუსის რაოდენობა იცვლება ზედა ჰორიზონტში 3,2%-დან 0,8%-მდე ქვედა ჰორიზონტში; ზუგდიდის რაიონის ნიადაგში—4,0%-დან 1,07%-მდე; წითელშიწა ნიადაგებისათვის—3,1%-დან 0,7%-მდე. საერთო აზოტის რაოდენობით საცდელი ნაკვეთის ნიადაგები შეიძლება მიეკუთვნოთ აზოტის საშუალო რაოდენობით შემცველ ნიადაგებს. ადვილად ხსნადი ფოსფორის მეავას მხრით დიდი ჯიხაიშის ნიადაგები საკმაოდ მდიდარ ნიადაგებს შეიკუთვნება. ჩვენი მონაცემების მიხედვით, ადვილად ხსნადი P_2O_5 -ის რაოდენობა 25 მილიგრამიდან 100 გ ნიადაგში.

ნიადაგის განაკერის სიღრმის შესაბამისად ადგელად ხსნადი P_2O_5 რაოდენობა მცირდება და 100 გ ნიადაგში 4 მგ-მდე აღწევს. ზუგდიდის რაიონის ეშვრტიპის ნიადაგებში ადვილად ხსნადი ფოსფორის მეავას რაოდენობა საკრძნობლად ნაკლებია და 6 მილიგრამს უდრის 100 გ ნიადაგში. ნიადაგის განაკერის სიღრმის მიხედვით ადგელად ხსნადი ფოსფორის მეავას ოდენობა მცირდება და ქვედა ჰორიზონტებში ის სრულებით არ მოყოფება. წითელშიწა ნიადაგებში კი ადვილად ხსნადი P_2O_5 -ს თითქმის არ მოიპოვება.

საცუდელო ნაკვეთების ნიადაგის აგროქიმიკური თვისებები ნიადაგის გამაჭურის
სილრშის შესეღვით

ცხრილი 4

ნიმუშების აღების ადგილი	ნიმუშების აღების სილრში		სატრო P ₂ O ₅ % / იდ	სატრო N % / იდ	აფენილურ წანიდ P ₂ O ₅ მგ./ 100 გ. ნიადაგი	N % / იდ	სატრო N მგ./ 100 გ. ნიადაგი	აქტიური რეინა მეტალი 100 გრ. ნიად.	P1050 ჰაზარ რეინა მეტალი 100 გრ.		
	ნიმუშების აღების სილრში	კუნძული %							Fe ⁺⁺	Fe ⁺	აქტ. მეტალი ს კაბუნის ფასი
დიდი ჯიხაიში	0—15	3,2	0,13	25	0,159	18,95	17	15	6,0	5,0	12,94
	15—40	1,85	0,10	12	0,112	12,9	13	12	6,9	4,65	7,58
	40—60	0,80	0,08	4	0,083	—	10	10	5,8	4,45	7,58
	60—80	0,80	—	4	0,069	6,9	9	8	5,7	4,20	4,52
ზემდიდი	0—7	4,0	0,12	6,0	0,144	18,1	11	9	5,85	4,4	6,08
	7—22	2,20	0,09	4,0	0,113	—	9	8	5,75	4,2	2,34
	22—36	1,49	0,07	არა	0,102	11,9	7	7	5,75	4,1	2,54
	36—69	1,07	—	არა	0,091	10,9	7	7	5,70	4,1	3,84
ჩაქვი	0—12	3,1	0,11	არა	0,175	18,0	8	8	5,0	4,2	—
	17—29	1,0	0,07	არა	0,118	—	6	6	4,9	4,0	—
	32—43	0,8	0,06	არა	0,093	12,0	4	4	4,8	3,9	—
	51—62	0,7	0,05	არა	0,078	9,6	4	4	4,8	3,9	—
ანასული	0—12	3,5	—	არა	0,11	—	—	—	5,0	4,3	—

აქტიური რეინა წითელმიწა ნიადაგებში უფრო ნაკლები რაოდენობით აღმოჩნდა, ვიდრე ეწერტიპის ნიადაგებში; დიდი ჯიხაიშის ნიადაგებში ის საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვება. წითელმიწა ნიადაგებში სრულებით არ მოიპოვება ორგალენტროვანი რეინა, რაც ამ ნიადაგებში დაიგნოსის პროცესის ინტენსიური მსელელობის მაჩვენებელია. წითელმიწა ნიადაგები უკეთესი ფიზიკური თვისებებით ხასიათდება, ვიდრე ეწერტიპის ნიადაგები, მექანიკური შედგენილობის მიხედვით (იხ. ცხრილი - 5); წითელმიწა ნიადაგები მეტწილად ძალშე წვრილნაწილაკებიან თიხნარ ნიადაგებს მიეკუთვნება და მასში 0,01 მმ ნაწილაკების შემცველობა საშუალოდ 60—80% უდრის, ხოლო ქვედა პორიზონტებში ხშირად 90%-მდე აღწევს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წითელმიწა ნიადაგები ხასიათდება შოქარბებული მეტავიანობით, აქტიური ალუმინის დიდი რაოდენობით, საკვები ნივთიერების მცირე რაოდენობით, PO₄ იონების მაღალი შთანთქმის უნარიანობით და სხვა, რაც აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული სასუქების გამოყენების დროს.

ნიმუშის აღების ადგილი	ნიმუშის აღების სილრმე	1—0,25 8/8	0,25—0,05	0,05— 0,01 0,005	0,01— 0,005 0,001	0,005— 0,001 0,0005	ულებელი
დიდი ჯიხაიში	0—15 15—40 40—60 60—80	0,64 0,95 0,95 2,16	33,56 28,78 28,73 39,59	31,62 37,18 31,46 28,51	13,68 12,73 16,24 7,76	15,40 15,16 16,72 16,87	5,10 5,20 5,90 5,11
ზუგდიდი	0—7 7—22 22—36	1,98 1,25 3,00	18,99 10,66 9,18	29,13 32,84 22,84	30,51 31,10 25,77	16,92 19,45 25,24	2,47 4,70 13,97
ჩაქვი	0—12 17—24 32—43 51—62	1,3 1,0 1,3 0,5	8,3 4,3 0,7 0,8	32,4 22,6 10,8 7,5	8,7 6,7 17,0 17,0	21,6 32,4 18,9 18,9	26,5 32,8 51,3 56,1

როგორც ჩემოთ იყო აღნიშნული, პირველ ყოფლისა ჩევნ მიერ შესწავ-ლილი იყო მინერალური სასუქების ეფექტურობა დასავალეთ საქართველოს წითელმიწა და ეწერტიპის ნიადაგებზე, რისთვისაც აღნიშნულ ნიადაგებზე ჩატარებული იყო მინდვრის ცდები.

მინდვრის ცდის ჩატარებამდე საცდელი ნაკვეთიდან აღებული იყო ნიადაგის ნიმუშები 0—20 სმ-ის სილრმეზე და გასში განსაზღვრულ იქნა PH როგორც წყლის გამონაწურში, ისე KCl გამონაწურში, გაცვლითი მეავიანობა, პილროლიზებული მეავიანობა, გაცვლითი Al, ჰუმური, საერთო აზოტი, ალვილად ხსნადი P_2O_5 .

ანალიზის შედეგები მოყვანილია მე-6 ცხრილში.

მე-6-ე ცხრილში მოყვანილი ციფრობრივი მონაცემებიდან ჩანს, რომ წითელმიწა ნიადაგი უფრო მეავე რეაქციისა და მეტად ლარიბია საკვები ნივთიერებით, ვიდრე ეწერტიპის ნიადაგი. წითელმიწა და ეწერტიპის ნიადაგებზე მინერალური სასუქების ეფექტურობის დასადგენად ჩატარებულ იქნა მინდვრის ცდები ორი განმეორებით:

1. საკონტროლო და
2. NPK.

მინდვრის ცდა ჩატარებული იყო სამი განმეორებით. დანაყოფის სიდიდე უდრიდა 100 კგ მეტრს. საცდელ ნაკვეთზე შეტანილი იყო აზოტი-მეავა ამონიუმის სახით ჰექტარზე 90 კგ სუფთა საკვები ნივთიერების რაოდენობით, ფოსფორი სუპერფოსფატის სახით ჰექტარზე 90 კგ სუფთა P_2O_5 სახით და კალიუმი ქლორიკალიუმის მარილის სახით ჰექტარზე 60 კგ.

საცდელი ნაკვეთების ნიადაგის აგროქიმიური დახასიათება

ცხრილი 6

	ნიადაგის ნიმუშ-შების აღგილი	ნიადაგის დასახელება	PH		ნიადაგის ტესტი გაცდელი მ/გ 100 გ	აგროქიმიური ნიადაგის ტესტი P ₂ O ₅ მ/გ 100 გ				
			H ₂ O	KCl						
1	ჩაქვი	წითელმიწა ნიადაგი	4,9	4,2	6,1	9,7	6,1	3,6	0,10	არა
2	ანასული	"	5,0	4,3	5,2	8,1	5,2	3,5	0,11	არა
3	აჯამეთი	ეწერტიპის ნიად.	6,0	5,4	0,3	0,9	0,3	2,1	0,10	2,0
4	ზუგდიდი	"	5,6	4,5	1,0	3,8	1,0	3,7	0,12	5,0
5	დიდი ჯიბარში	"	6,0	5,3	0,5	1,0	0,5	3,0	0,13	18,0

მინდვრის ცდების მონაცემები მოყვანილია გე-7 ცხრილში, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ დასაცლეთ საქართველოს წითელმიწა ნიადაგებზე მინერალური სასუქების გამოყენებით სიმინდის მოსავლიანობა ძლიერ დიდფება. მაგალითად, ჩაქვის წითელმიწებზე მინერალური სასუქების გამოყენებით საკონტროლოსთან შედარებით სიმინდის მოსავალი 8,8 ც-ით გადიდდა, ხოლო ასეთივე ტიპის ნიადაგზე ანასულში—9,3 ცენტრერით ჰექტარზე.

სრული მინერალური სასუქი (NPK) საგრძნობლად ზრდის სიმინდის მოსავალს სუბტროპიკული რაიონების ეწერტიპის ნიადაგებზე. სიმინდის მოსავალი NPK სასუქების გამოყენებით გადიდდა ზუგდიდის რაიონის ეწერტიპის ნიადაგზე 20,2 ც-ით ჰექტარზე, დიდი ჯიბარშის ასეთივე ტიპის ნიადაგზე 12 ც-ით ჰექტარზე. ამრიგად, ჩატარებული მინდვრის ცდების შედეგად დასტურდება დასაცლეთ საქართველოს შევე ნიადაგებზე სიმინდის კულტურის მიმართ სრული მინერალური სასუქების მაღალი ეფექტურობა.

დასაცლეთ საქართველოს ეწერტიპისა და წითელმიწა ნიადაგებზე სიმინდის კულტურის მიმართ მინერალური სასუქების ეფექტურობა

ცხრილ 7

მინდვრის ცდების აღგილმდებარეობა	ნიადაგი	ცდის სქემა	სიმინდის საკონტროლო		სიმინდის საკონტროლო მ/გ 100 გ	სიმინდის საკონტროლო მ/გ 100 გ	სიმინდის საკონტროლო მ/გ 100 გ
			სიმინდის საკონტროლო მ/გ 100 გ	სიმინდის საკონტროლო მ/გ 100 გ			
1	ჩაქვი	წითელმიწა ნიადაგი	საკონტროლო NPK	13,5	4,7	—	100
2	ანასული	*	საკონტროლო NPK	14,2	8,8	287	100
3	აჯამეთი	ეწერტიპის ნიადაგი	საკონტროლო NPK	2,26	4,9	289	100
4	ზუგდიდი	*	საკონტროლო NPK	8,18	5,9	361	100
5	დიდი ჯიბარში	*	საკონტროლო NPK	17,5	—	100	215
			საკონტროლო NPK	37,7	20,2	100	32,2
			საკონტროლო NPK	24,2	—	100	12,0
			საკონტროლო NPK	32,2	12,0	133	—

წითელმიწა ნიადაგებზე ფოსფორის ადგილობრივიად
შეტანის ეფექტიანობა

ეროვნული

დასავლეთ საქართველოს ეწერტიპის და წითელმიწა ნიადაგებზე წარ-
გორუ ზემო მოყვანილიდან დაიგინახეთ, ჩვეულებრივი აგროტექნიკური დოზებით
მინერალური სასუქების გამოყენება უზრუნველყოფს სიმინდის მოსავლიანო-
ბის დიდ ზრდას.

მიუხედავად ამისა, მინერალური სასუქების გამოყენება ისეთი კულტუ-
რებისთვის, როგორიცაა მარცვლონები, მეტად უმნიშვნელო იყო. ამავე დროს
ცნობილია, რომ წითელმიწა და ეწერტიპის ნიადაგებში შეტანილი სასუქების
გამოყენების კოეფიციენტი, განსაკუთრებით ფოსფოროვანი სასუქების, მეტად
მცირეა. აქედან გამომდინარე, საჭიროა გამომუშავებულ იქნეს ნიადაგში სა-
სუქების შეტანის ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს უკანასკნელის დიდ
ეფექტიანობას, ე. ი. სასუქების მცირე დოზებიც საგრძნობლად გაადიდებს
მოსავალს, ამის შესაბამისად საგრძნობლად გადიდება სასუქების გამოყენე-
ბის კოეფიციენტი.

ცნობილია, რომ სსრ კავშირში არსებული ნიადაგების ტიპებიდან წი-
თელმიწა ნიადაგები ხასიათდება ყველაზე მკვეთრად გამოსახული ბაზოდებური
თვეისების მატარებელი კოლოიდების დიდი რაოდენობით და ან იონების ინტე-
სიური შთანთქმით. ამის შედეგად წითელმიწა ნიადაგებში შეტანილი ხსნადი
ფოსფორიანი სასუქების PO₄ შეფაისება მცენარის მიერ მეტად უმნი-
შენელოა.

ჩატარებული ცდებიდან მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები ნათლად
გვიჩვენებს, რომ ჩვეულებრივი მობნევით შეტანილი ხსნადი ფოსფორიანი სა-
სუქე (სუპერფოსფატი) ძლიერ დაბალ ეფექტს იძლევა წითელმიწა ნიადაგზე.
მეცნიერთა მიერ შესწავლილია ფოსფორიანი სასუქების ეფექტიანობის გადი-
დების ლონისძიებები და დამტკიცებულია, რომ ფოსფორიანი სასუქების ეფექ-
ტიანობა შეიძლება გადიდეს ნიადაგის მოკირიანებით, მოსილივარებით,
ნიადაგში ორგანული სასუქების შეტანით, სასუქების შეტანის ტექნიკის გაუმ-
ჯობესებით და სხვა.

ფოსფორიანი სასუქებით (განსაკუთრებით მათი ხსნადი ფორმების)
ეფექტიანობის გადიდების ლონისძიებებიდან ყველაზე რაციონალურ ლონის-
ძიებად მისი შეტანის ტექნიკა ითვლება. წითელმიწა ნიადაგში ხსნადი ფოს-
ფატების ეფექტიანობის გადიდების საკითხე მეტად საგულისხმიერო მონა-
ცემები მიღლო ასეინაზმი (5).

ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ასკინაზმა ნათლად გვიჩვენა
კირით განეიტრალებული სუპერფოსფატის მწყრივში შეტანის უაღრესად დი-
დი ეფექტი მუვავე ნიადაგის პირობებში.

კირით განეიტრალებული სუპერფოსფატის ეფექტიანობის შესასწავლად
1946 წელს ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტის სავეგეტაციო სახლში წითელმიწა ნიადაგზე ჩატარე-
ბულ იქნა სავეგეტაციო ცდა შემდეგი სქემით:

1. საკონტროლო.
2. NK — შეტანილი ნიადაგთან არევით.
3. NPK — შეტანილი ნიადაგთან არევით.
4. NK — შეტანილი ნიადაგთან არევით + Pe ადგილობრივიად.
5. NK — შეტანილი ნიადაგთან არევით + Pe განეიტრალუბული კიბიზ შეტანილი ადგილობრივიად.
6. NK — შეტანილი ნიადაგთან არევით $+ \frac{1}{2}$ Pe ადგილობრივიად.
7. NK — შეტანილი ნიადაგთან არევით $+ \frac{1}{2}$ Pe განეიტრალუბული კორიზ შეტანილი ადგილობრივიად.

სავეგეტაციო ცდებისათვის აღებულ იქნა 5 კილოგრამის ტევითობის ჭურჭლები. ცდებში გამოყენებულ იქნა გოგირდმევა ამონიუმი, ქლორიდი კალიუმი, კალციუმის კარბონატი (ქიმიურად სუფთა) და სუპერფოსფატი. ჭურჭლებში შეტანილ იქნა: აზოტი 0,5 გ, P₂O₅, 0,5 გ და K₂O — 0,75 გ.

სუპერფოსფატის გასანეიტრალუბულ კალციუმის კარბონატი აღებულ იქნა შეფარდებით 2,5:1. სავეგეტაციო ჭურჭლები: დაიკრენა 20/V, ქერი დათესა 21/V და მოსავლის აღება ჩატარდა სრული სიმწიფისას — 28/VII. სავეგეტაციო ცდების მონაცემები მოყვანილია მე-8 ცხრილში.

კირით გაუნეიტრალუბებული და განეიტრალუბული სუპერფოსფატის ეფექტიანობა
ადგილობრივ შეტანის დროს

ცხრილი 8

ს ე რ ბ ა	შეტანის დროზე მოყვანილი	ჭურჭლების მარ- ცვლის წონა		შეტანის დროზე მოყვანილი	შეტანის დროზე მოყვანილი
		გ-ით	%		
1	საკონტროლო	2,8	0,5	55,5	2,3
2	NK ნიადაგთან არევით შეტანილი .	4,7	0,9	100	3,8
3	NPK ნიადაგთან არევით შეტანილი .	5,1	1,2	133,3	3,9
4	NK შეტანილი ნიადაგთან არევით + Pe ადგილობრივიად . . .	6,1	1,5	166,6	4,6
5	NK შეტანილი ნიადაგთან არევით + Pe განეიტრალუბული კირით შეტანილი ადგილობრივად .	10,5	2,9	322,2	7,6
6	NK შეტანილი ნიადაგთან არევით $+ \frac{1}{2}$ Pe — ადგილობრივიად . . .	5,3	1,4	155,5	3,9
7	NK შეტანილი ნიადაგთან არევით $+ \frac{1}{2}$ Pe განეიტრალუბული კო- რიზ შეტანილი ადგილობრივიად	8,2	2,2	246,0	6,0

მოყვანილი ექსპერიმენტული მონაცემებიდან 3—8 ცხრილში ნათლად ჩანს, რომ როგორც NK, ისევე NPK შეტანით ნიადაგთან არევით საგრძნობ-ლად გაიზარდა მოსავალი საკონტროლო ვარიანტთან შედარებით. ასე, მაგალითად, NK ნიადაგთან არევით შეტანამ ქერის საერთო მოსავალი 2,8 გ-დან

ასწია 4,7 გ-მდე კურპელზე, ხოლო მარცვლის მოსავალი გაათიალ 0,5 გ—0,9 გ-მდე, ე. ი. 44,5% -ით საკონტროლოსთან შედარებით. სრული მინერალური სასუქების (NPK), ნიადაგთან არევით შეტანამ გამოიწვია ჟავრთო, მისავლი-გადიდება 2,8 გ-დან 5,1 გ-დე კურპელზე, ხოლო მარცვლის მოსავალის გადიდება—0,5-დან 1,2 გ-დე კურპელზე.

ამრიგად, ფოსფორიანი სასუქების ნიადაგში არევით შეტანისას მოსა-ვალი 33,3% -ით გაიზარდა. სუპერფოსფატის აღვილობრივად შეტანით იფექტი საგრძნობლად გადიდება. ასე, მაგალითად, საერთო მოსავალი საკონტროლო კურპელზე 2,8 გრამი იყო, სუპერფოსფატის აღვილობრივად შეტანით კი მოსავა-ლი 6,7 გრამიმდე გაიზარდა. ასევე გაიზარდა მარცვლის მოსავალიც. ამრიგად, სუპერფოსფატის აღვილობრივად შეტანამ გამოიწვია მარცვლის მოსავლის 66,6% -ით გადიდება, რაც სუპერფოსფატის ნიადაგთან თანაბარი შეტევით შეტანასთან განსხვავებით მარცვლის მოსავლის ორმაგი გადიდებას ნიშნავს.

განსაკუთრებით დიდი მატება, როგორც საერთო მასის, აგრეთვე მარ-ცვლის მოსავლისა, მიღებულ იქნა კირით განეიტრალებული სუპერფოსფატის აღვილობრივად შეტანის დროს. ასე, მაგალითად, უცვლელ ფონზე სუპერ-ფოსფატის აღვილობრივი შეტანამ გააღიდა ქერის საერთო მასის მოსავალი 2,6 გ-ით და მარცვლის—0,6 გ-ით კურპელზე, ანუ 66,6% -ით, ხოლო ამავე ფონზე კირით წინასწარ განეიტრალებული სუპერფოსფატის აღვილობრივად შეტანამ უზრუნველყო ქერის საერთო მასის მოსავალი 10,5 გ., ხოლო მარც-ვლის მოსავალი—2,9 გ.

საინტერესოა აღინიშნოს ის, რომ კირით განეიტრალებული სუპერ-ფოსფატის ნახევარი დოზა შეტევებული და განეიტრალებული მოსავალის მთლიანი დოზა განეიტრალების გარეშე. ამრიგად, წითელმიწა ნიადაგზე კი-რით სუპერფოსფატის განეიტრალებას და მას მშერივში შეტანას, კფაქტობო, უალრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება.

ზემომოყვანილი ექსპერიმენტული მონაცემები ამტკიცებს, რომ წი-თელმიწა ნიადაგში სხნადი ფოსფორიანი სასუქების (სუპერფოსფატის) მშერივში შეტანით უმჯობესდება მცენარის მიერ P_2O_5 შეთვისება და მოსა-ვალიც, მაგრამ მცენარის მიერ ფოსფორის უფევისება და მოსავალიც დიდად იზრდება წინასწარ კირით განეიტრალებული სუპერფოსფატის მშერივში შე-ტანისას.

წითელმიწა ნიადაგებზე კირით განეიტრალებული სუპერფოსფატის აღვი-ლობრივად შეტანის მაღალი ეფექტიანობა შეიძლება ახსნილ იქნეს, ერთი მხრით, ნიადაგში P_2O_5 იონების რეტროგრადაციის შემცირებით და, მეორე მხრით, განეიტრალებული სუპერფოსფატის შეტანის ზონში მცენარის მიერ P_2O_5 შეთვისებისათვის საქმაოდ ხელსაყრელი პირობების შექმნით. ზემო-აღნიშნული წესით სუპერფოსფატის გამოყენება პპირობებს მცენარეთა ფოს-ფორით კვების გაუმჯობესებასა და მოსავალიანობის გადიდებას.

როგორც ჩვენ მიერ ჩატარებული ცდების მონაცემები, ასევე სხვა შეკვეთათა მიერ მიღებული სავეგეტაციო ცდების შედეგები ნათლად გვი-ჩვენებს წითელმიწა ნიადაგებზე სასუქების აღვილობრივად შეტანის დიდ შინიშვნელობას. სავეგეტაციო ცდებით დადასტურდა განეიტრალებული

სუპერფონსფატის დიდი ეფექტიანობა წითელმიწებზე; ეს კანონზომიერება არ იყო შესწავლილი მინცვრის ცდების პირობებში. ამიტომ ჩვენ მიზნად და-ვისახეთ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული წითელმიწა და ეწერტი-პის ნიადაგებზე მინცვრის ცდების პირობებში შეგვესწავლა როგორც ჩვეთვებ-რივი სუპერფონსფატის, ისე წინასწარ კირით განეიტრალებული სუპერფონსფა-ტის მწერივში შეტანის ეფექტიანობა სიმინდის კულტურის შემართ.

ცდებისთვის შევარჩინეთ ძლიერ მჟავე და ფოსფორის შთანთქმის დიდი უნა-რის მქონე წითელმიწა ნიადაგი და ამასთან შედარებით უფრო ნაკლები მჟა-ვიანობისა და ფოსფორის შთანთქმის შედარებით მცირეუნარიანი ეწერტიპის ნიადაგები.

მინცვრის ცდები ჩატარდა წითელმიწა ნიადაგებზე ჩაისა და სუბტროპი-კულ კულტურათა საქართველო სამეცნიერო-კვლევითი ონსტიტუტისა და მისი ჩაქ-ვის ფილიალის ტერიტორიაზე. ეწერტიპის ნიადაგებზე, ზუგდიდის რაიონში 26 კომისარის სახელმისამართისაში და დიდი ჯიბიაშის სასოფლო-სამეცნიერო ტექნიკუმის ფართობებზე. საცდელი ფართობის ეწერტიპისა და წითელმიწა ნიადაგების აგრძელიმოური დახასიათება მე ცუმულია მე 6 ცხრილში.

სუსტად გაეწრებულ წითელმიწა ნიადაგზე ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო კლევითი ონსტიტუტის ტერიტორიაზე 1945—47 წლებში ჩატარდა მინცვრის ცდები შემდეგი სქემით:

1. საქონტროლო;
2. NPK შეტანილი მობნევით;
3. NPK შეტანილი იდგილობრივად მწერივში;
4. სუპერფონსფატი კირით განეიტრალებული + NPK შეტანილი მწერივში;
5. კირით განეიტრალებული $\frac{1}{2}$ დოზა სუპერფონსფატი და $\frac{1}{2}$ NPK შეტა-ნილი მწერივში.

ცდა დაყენებული იყო სამი განმეორებით, დანაყოფის სიდიდე უდრიდა 100 კგ მეტრს. ცდებში გამოყენებულ იქნა სასუქები: გოგირდმევა ამნიიუ-მი, ანგარიშით 120 კგ აზოტი ჰექტარზე, სუპერფონსფატი — 90 კგ P₂O₅, და ქლორიანი კალიუმი — 60 კგ. K₂O ჰექტარზე განეიტრალება ჩატარდა ერთ ნაწილ სუპერფონსფატში 2,5 ნაწილი კალიუმის კარბონატის გულდასმით შერე-ვით. ფოსფორისა და კალიუმის მთლიანი დოზა და 30 კგ აზოტი თანახმად სქემისა შეტანილ იქნა საცდელ ნაკვეთზე სიმინდის დათესვის წინ, დანარჩენი ნაწილი აზოტისა შეტანილ იქნა მცენარის გამოკვების სახით ორჯერ. 45 კგ აზოტი შეტანილი იყო სიმინდის პირველი გათოხნისას, მეორე 45 კგ კი მეორე გათოხნის დროს.

სიმინდის მოსავალი აღებულ იქნა მარცვლის სრული სიმწიფისას. ცდი-დან მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები მოყვანილია მე-9 ცხრილში.

ადგილობრივად შეტანილი კირით განეიტრალუებული და გაუმჯობესებული
სუპერფოსფატიანი მინერალური სასუქების ეფექტუანობა

ძროვაზე 9

ცდის სექტმა ¹	1946 წ.			1947 წ.		
	სიმინდის მოსავალი ტ/ტ	მომატება ტ/ტ	სიმინდის მოსავალი %-%ით	სიმინდის მოსავალი ტ/ტ	მომატება ტ/ტ	სიმინდის მოსავალი %-%ით
1 საკონტროლო	5,3	—	100	4,5	—	100
2 NPK მონეცით	14,2	8,9	268	12,6	7,8	280
3 NPK მწყრიცხი	19,5	14,2	368	18,0	13,5	400
4 სუპერფოსფატი, კირით განეიტრალუებული + NP მწყრიცხი	22,4	17,1	422	21,2	16,7	471
5 კირით განეიტრალუებული $\frac{1}{2}$ P ₂ O ₅ + $\frac{1}{2}$ NK მწყრიცხი	12,1	6,8	228	11,1	6,6	246

¹ ორივე წლის მონაცემები წარმოადგენს სამი განმორების საშუალოს.

ცხრილ № 9-ში მოყვანილ ექსპერიმენტული მონაცემებიდან ჩანს, რომ წითელმიწა ნიადაგზე სასუქების ადგილობრივად შეტანა თვალსაჩინოდ ზრდის სიმინდის მოსავალს. ვაგალითად, სასუქების (NPK-ს) მონეციის წესით ნიადაგზე შეტანისას სიმინდის მარკევლის მოსავალი მიღებულ იქნა 14,2 ტ/ტექტრაზე, ხოლო NPK-ს იმავე დოზით მწყრიცხი შეტანის დროს — 19,5 ტ/ტექტრაზე, ანუ 5,3 ცენტრერით მეტი. ადგილობრივად შეტანა სრული მინერალური სასუქისა (NPK), რომელშიაც სუპერფოსფატი წინასწარ იყო განეიტრალუებული კირით, კიდევ მეტად ადიდებს შარცვლის მოსავალს, სახელდობრ: როდესაც სასუქების ადგილობრივი წესით შეტანამ მოგვცა მოსავალი 19,5 ტ/ტექტზე, იმავე დოზით და წესით იმავე სასუქებმა, რომელებშიც სუპერფოსფატი კირით იყო განეიტრალუებული, გაადიდა მოსავალი 22,4 ტ/ტდე, ანუ მოსავლის ნამატი აქ ჰეთხევებაში შეადგენდა 2,9 ტ/ს. კირით განეიტრალუებული სუპერფოსფატის ადგილობრივი წესით შეტანამ მობნევის წესით ჩვეულებრივ სუფერფოსფატის შეტანასთან შედარებით სიმინდის მოსავალი გაადიდა 8,2 ტ/ტით, ხოლო P₂O₅ ნახევარმა დოზამ, რომელშიც სუპერფოსფატი განეიტრალუებული იყო კირით, თითქმის იგივე მოსავალი მოგვცა, რაც მობნევის წესით NPK-ს სრულმა დოზამ.

ანალოგიური შედეგები იყო მიღებული 1947 წელსაც. ორივე წლის ცდების მონაცემები გვაძლევს საფუძველს დავასკნათ, რომ წითელმიწემზე სასუქების ადგილობრივი წესით შეტანა საგრძნობლად ზრდის სიმინდის მოსავალს.

ამასთან ყველაზე დიდ ეფექტს ეღლებულობთ მაშინ, როდესაც სრულ მინერალურ სასუქებთან (NPK) ერთად ვიყენებთ კირით განეიტრალუებულ სუპერფოსფატი, მარიგად, სუსტად გაწრებულ წითელმიწებზე სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კირით განეიტრალუებული სუპერფოსფატისა და მინერალური სასუქების ადგილობრივი წესით შეტანას. ამავე საკითხების წითელმიწა ნიადაგზე შესწავლის მიზნით

1948 წელს ჩატარებული იყო შინდვრის ცდა ჩაისა და სუბტროპიკულ კულ-
ტურათა ხავეჭირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის
ტერიტორიაზე შემდეგი სქემით:

1. საკონტროლო;
2. NPK მობრევით;
3. NPK ადგილობრივად (მწერივში);
4. კირით განეიტრალებული სუპერფოსფატი + NK შეტანილი მწერივ-
ში (ადგილობრივად);
5. სუპერფოსფატის გასანეიტრალებლად საჭირო კირის რაოდენო-
ბა + NPK შეტანილი მობრევით;
6. კირით განეიტრალებული სუპერფოსფატის $\frac{1}{2}$ დოზა + $\frac{1}{2}$ NK მწერივ-
ში შეტანით.

ცდა ჩატარდა სამი განმეორებით, დანაყოფთა სიდიდე იყო 100 კგ
მეტრი. ცდებში გამოყენებულ იქნა გოგირდმეგავა ამონიუმი ანგარიშით 60 გ
აზოტი ჰექტარზე, სუპერფოსფატი 50 კგ P₂O₅ და ქლორინი კალიუმი—60 კგ
K₂O—ჰექტარზე. ფოსფორი და კალიუმი სქემის შესაბამისად სიმინდის თეს-
ვის წინ შევეკონდა. აზოტი კი შეტანილ იყო ორჯერ, გამოკვების სახით.
აზოტოვანი სასუქის $\frac{1}{2}$, დოზა—სიმინდის პირველი თოხნის, ხოლო მეორე $\frac{1}{2}$ დო-
ზა—სიმინდის მეორე თოხნის დროს. ცდის მონაცემები ნაჩვენებია მე-10
ცხრილში. მე-10 ცხრილში მოყვანილი ციფრობრივი მონაცემებიდან ჩანს,
რომ ჩაქვის მეავე წითელმიწა ნიადაგებზე, ანასულში ჩატარებული მინდვრის
ცდების ანალოგიურად, სასუქების ადგილობრივი შეტანა საგრძნობლად
ზრდის სიმინდის მოსავალს.

სრული მინერალური სასუქი (NPK), შეტანილი მონდევით, გვაძლევს
13,5 ც სიმინდის მარცვალს ჰექტარზე, იგივე სასუქი შეტანილი ადგილობრი-
ვად (მწერივში) უხრუნველყოფს 17,8 ც მოსავალს. სიმინდის მოსავლის უფ-
რო მეტ მატებას იქვს ადგილი სრულ მინერალურ სასუქთან ერთად კირით
განეიტრალებული სუპერფოსფატის გამოყენების დროს. თუ სრული მინერა-
ლური სასუქი (NPK) გაუნეიტრალებელი სუპერფოსფატის შემთხვევაში ჰექ-
ტარზე იძლევა 17,6 ც სიმინდის მოსავალს, იგივე დოზები NPK შეტანილი
ადგილობრივად, რომელშიაც სუპერფოსფატი კირითაა განეიტრალებული,
21,3 ც მოსავალს გვაძლევს, ე. ი. მოსავალს 79%-ით.

კირით განეიტრალებული და გუნეიტრალებელი სუპერფოსფატანი მინერალური სასუქების
აუ ილობრივად შეტანა ს უფერტიანობა (ჩაჭვი)

ცხრილი 1

	ც დ ე ბ ი ს ს ქ ე ბ ა	სიმინდის მოსავალი ც/ჸ	სიმინდის მოსავლის ნამატე ც/ჸ	სიმინდის მოსავალი % -ით
1	საკონტროლო	4,7	—	100
2	NPK მობრევით	13,3	8,8	287
3	NPK ადგილობრივად (მწერივში)	17,6	12,9	374
4	სუპერფოსფატის გასანეიტრალებლად საჭირო კი- რი + NPK მობრევით	15,3	10,6	325
5	კირით განეიტრალებული P _c + NK (მწერივში) ადგი- ლობრივად	21,3	16,6	458
6	კირით განეიტრალებული $\frac{1}{2}$ P _c + $\frac{1}{2}$ NK მწერივში	11,3	6,6	240

ჩაქვში წითელმიწა ნიადაგზე ჩატარებული მინდვრის ცდის მონაცემი
ადასტურებს კირით განეიტრალებული სუპერფოსფატის მინერალური სასუ-
ქებთან ერთად ადგილობრივად შეტანის წესის დიდ ეფექტიანობას. მინერალუ-
რი სასუქის ნახევარი დოზა, რომელშიაც სუპერფოსფატი განეიტრალებული
იყო კირით, თავისი ეფექტიანობით უახლოედება სუპერფოსფატის ფაზეეიტ-
რალებლად, მონერების წესით გამოყენებულ სრული მინერალური-საბუქების (NPK) დოზებს.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ცდები კირით განეიტრალებული და
გაუნეიტრალებული სუპერფოსფატის ადგილობრივად შეტანის ეფექტიანობაზე
ჩატარდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ეჭერტიპის ნიადაგზე. ერთ-
ერთი მინდვრის ცდა სასუქების ადგილობრივად შეტანის ეფექტიანობაზე
1948 წელს ჩატარდა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურის ტე-
რიტორიაზე, ზემდეგი სქემით:

1. საკონტროლო;
2. NPK მობნევით;
3. NPK მშერივში;
4. $\frac{1}{2}$ დოზა NPK მშერივში;
5. $\frac{1}{2}$ დოზა კირით განეიტრალებული სუპერფოსფატი + $\frac{1}{2}$ NK მშერივში.

ცდა ჩატარდა სამი განმეორებით. დანაყოფის სიდიდე იყო 100 კგ
მეტრი. ცდებისთვის გამოყენებულ იქნა: გოგირდმევა ამონიუმი ანგარიშით
60 კგ აზოტი ჰექტარზე, სუპერფოსფატი—90 კგ P₂O₅ და ქლორიანი კალიუ-
მი—60 კგ K₂O ჰექტარზე. სუპერფოსფატის განეიტრალება ტარდებოდა ზე-
მომოხსენებული წესით.

ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები შეტანილ იქნა სქემის შესა-
ბამისად დათესვამდე, აზოტი კი შეტანილ იქნა ნახევარი დოზა სიმინდის
პირველი თოხნისას, ხოლო მეორე ნახევარი—სიმინდის მეორე თოხნის დროს.
ცდიდან მიღებული შედეგები მოყვანილია მე-11 ცხრილში. ამ ცხრილის მო-
ნაცემები გვიჩვენებს რომ წითელმიწა ნიადაგებისაგან განსხვავებით დიდი
ჯიხაიშის ეჭერტიპის ნიადაგიან საცდელ ნაკვეთზე სიმინდის მოსავალი საერ-
თოდ დიდია და მინერალური სასუქები დიდ ეფექტს იძლევა ასე, მაგალი-
თად, თუ წითელმიწა ნიადაგებზე სრული მინერალური სასუქების მიერ მო-
საელის მატება მერყეობს 7,8—8,9 ც/ჰექტარზე, ამავე სასუქით დიდი ჯიხაი-
შის ეჭერტიპის ნიადაგზე სიმინდის მარცვლის მოსავალის მატება შეადგენს 11,5 ც/ჰექტარზე.

კირით განეიტრალებული და გაუნეიტრალებული სუპერფოსფატით მინერალური სასუქების
ადგილობრივად შეტანის ეფექტიანობა (დიდი ჯიხაიში) ცხრილი 11

ცდების სქემა	სიმინდის მოსავალი ც/ჸ	სიმინდის მოსავალი ც/ჸ	სიმინდის მოსავალი %-%ით
1 საკონტროლო	24,2	—	100
2 NPK მობნევით	35,6	11,4	147
3 NPK მშერივში	37,7	13,5	156
4 $\frac{1}{2}$ NPK მშერივში	35,2	11,0	145
5 $\frac{1}{2}$ PC კირით განეიტრალებული + $\frac{1}{2}$ NK მშერივში	36,6	12,4	151,2

ამ ცდების მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სრული მოწყობა: ლური სასუქის ადგილობრივად შეტანა დიდი ჯიხაიშის სუსტ ეწერობოდა ნიადაგზე, შედარებით დაბალ ეფექტის იძლევა. მაგალითად, NPK-ს სრული დოზის მობნეების წესით შეტანა გვაძლევს მარცვალს 35,6 ც/ჰეტარზე, მაშინ როდესაც ადგილობრივად (მწერივში) მისი შეტანა იძლევა 37,5 ც/ჰეტარზე, ანუ 2,1 ც მატებას.

უნდა აღინიშნოს, რომ NPK-ს ნახევარი დოზა ადგილობრივად შეტანილი იძლევა სიმინდის თითქმის ისეთსაცე მოსავალს, როგორც მობნევით შეტანილი NPK-ს სრული დოზა. მინერალური სასუქების სრული დოზის ადგილობრივად (მწერივში) შეტანის შედარებით დაბალი ეფექტი იმით უნდა აისწნოს, რომ 1948 წლის გვალვის გამო ნიადაგს არ გააჩნდა საკმაო სინესტე. ადგილობრივად შეტანილი განეიტრალებული სუპერფოსფატიც იგრძეთვე დაბალ ეფექტს იძლევა. მაგალითად, NPK-ს ნახევარმა დოზამ, სუპერფოსფატის გაუნეიტრალებლად ადგილობრივად შეტანით, მოგვცა სიმინდის მოსავალი 35,2 ც/ჰეტარზე, სასუქების იმავე დოზამ სუპერფოსფატის განეიტრალებით მოგვცა 35,6 ც/ჰეტარზე, ანუ მატება მხოლოდ 1,4 ც/ჰეტარით. აღნიშნულ ცდებში განეიტრალებული სუპერფოსფატის ასეთი დაბალი ეფექტიანობა აისწნება, ერთი შერით, დიდი ჯიხაიშის საცდელი ნაკვეთის ნიადაგის სუსტი მეტე რეაქციით, მეორეს შერივ კი ამ ნიადაგების მიერ PO₄—იონების მცირე აღსორებით.

დასასრულ, სასუქების ადგილობრივად შეტანის ეფექტიანობაზე კიდევ ექნა ჩატარებული ერთი მინდვრის ცდა ზუგდიდის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში 1948 წელს. ცდა ჩატარდა შემდეგი სქემით:

1. საკონტროლო
2. NPK შეტანილი მობნევის წესით;
3. NPK შეტანილი ადგილობრივად (მწერივში);
4. სუპერფოსფატი განეიტრალებული კირით + NK მწერივში.

ცდები დაყენებულ იქნა სამი განმეორებით, დანაყოფების 100 კგ მეტრის სიღილით. მინერალურ სასუქებიდან გამოყენებული იყო გოგირდმევა ამნიუში ანგარიშით 60 კგ აზოტი ჰეტარზე, სუპერფოსფატი—90 კგ P₂O₅ და ქლორიანი კალიუმი—60 კგ K₂O ერთ ჰეტარზე.

როვორც მახასიათებლიდან ჩაინს, სიმძლავრის ზრდა კაკტე შეადგენს
3,3 (3. d.

დინამომეტრის შედეგების შედარება მოყვანილია ქვემომოთავსებულ ცხრილში:

No	Name Species	Geographical location	Altitude meters	Soil type	Soil depth cm	Soil moisture N _{sat}	P _{sat}	Soil water holding capacity Q _{sat}		Soil water content Q _{0.5}	Soil water content Q _{0.4}
								Q _{0.5} mm	Q _{0.4} mm		
1	Subtropical semi-evergreen forest	—	413	I	—	9,4	800	9,8	6,6	1045	—
2	Tropical evergreen forest	—	5,2	I	—	12,7	940	9,8	4,75	770	—
	Total %/v-van	—	—	—	—	35	17,5	—	—	—	—
	Average %/v-van	—	—	—	—	—	—	—	28	24,2	—

ამგვარად, ახალქალაქის პირობებში „სასიმაღლო სახურავების“ ვაშოუ-ნებით, ე. ი. 4,13-დან 5-მდე კუმშვის ხარისხის ზრდით „СХТЗ“ 15/30 ტრაქტორის კაცური სიმძლავრის ზრდა საშუალო 30%, შეადგენს; წევის ძალა კაცვების ზრდება 130—150 კგ-ით, ხოლო საწვავის ხვედრით ხარჯი ცვლილება 25% ით. უქმ სკლაშე საწვავის საათური ხარჯის შემცირება უქმდება 20+25%.

საექსპლოატაციო-საწარმოო პირობებში „სასიმაღლო სახურავების“ შემოწმების მიზნით სპეციალურად შექმნილმა კომისიამ, ახალქალაქის მტს-ის დირექტორის, უფროსი მექანიკოსის, სათანადო ბრიგადის ბრიგადირის, ტრაქტორისტებისა და მექანიზაციის საცდელი სადგურის ჭარბომაღლენლის შემაღენლობით, აწარმოა საწვავის ხარჯის უშუალო გაზომვა საექსპლოატაციო პირობებში.

კომისიამ შეამოწმა, დაადგინა და სათანადო აქტებით გააფორმა¹, რომ:

1) 26 და 28 ივლისს № 17 ტრაქტორზე სოფ. ხულგუმაში ორტანიანი გუთით ხენის დროს სტანდარტულ სახურავებზე მუშაობით საწვავის ხარჯი ჰექტარზე უდრიდა 49 კგ, ხოლო „სასიმაღლო“ სახურავით ($\varepsilon=4,94$) მუშაობის დროს ხარჯი ჰექტარზე შეადგენდა 33 კგ., რაც იძლევა ეკონომიას სტანდარტულ სახურავთან შედარებით 32,5% -ის რაოდენობით.

2) 7 და 13 სექტემბერს № 12 ტრაქტორზე სოფ. დილისკაში ერთი 24—რიგანი დისკოებიანი სათესით მუშაობის დროს სტანდარტულ სახურავებზე საწვავის ხარჯი ჰექტარზე უდრიდა 4,2 კგ, ხოლო „სასიმაღლო“ სახურავებზე საწვავის ხარჯი შეადგენდა 3,3 კგ, რაც იძლევა საწვავის ეკონომიას სტანდარტულ სახურავთან შედარებით 21% -ის რაოდენობით.

საექსპლოატაციო პირობებში საწვავის ხარჯის ასეთი მკვეთრი შემცირების მიზეზს ჭარმოაღების არა მარტო ძრავის სიმძლავრისა და ეკონომიურობის ზრდა, არამედ ისიც, რომ კაცვები წევის ძალის ზრდის გამო შესაძლებელი გახდა ტრაქტორის მუშაობა I სიჩქარის ნაცვლად II სიჩქარეზე, რამაც მკვეთრად გაზარდა ტრაქტორის მწარმოებლობა და, მაშასიდამე, გამოიწვია შესრულებული სამუშაოს ერთეულზე (ჰექტარზე) საწვავის ხარჯის მკვეთრი შემცირება.

„სასიმაღლო“ სახურავების გამოყენებით მკვეთრად გაუმჯობესდა აგრეთვე ძრავის გაშვების თვისებებიც.

როგორც ცნობილია, ძრავის გაშვებასთან დაკავშირებული რიგი საკითხების სწორ გადაჭრის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ძრავის გაშვების თვისებებზე დითადა დამოკიდებული ტრაქტორის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა საწარმოო პირობებში სატრაქტორო აგრეგატის მომსახურების სიადგილე, ეკონომიურობა და მწარმოებლობა.

საბჭოთა ჭარმოების ტრაქტორები საერთოდ ხასიათდება გაშვების კარგი თვისებებით, მაგრამ მაღალმოან პირობებში, დაბალი ტემპერატური-

¹ საწვავის ხარჯის შემოწმების აქტები დაზღულია საკლევო თემის 1949 წლის წლიურ ანგარიშებზე და ინახება ავტოტრაქტორების კათედრაზე და მანქანათა საჭამოცდო ზონადურ სადგურზე.

სა და კუმშვის დასასრულს შემცირებული ჭნევის გამო, ძრავის გაშვები მოიტ ძნელდება, განსაკუთრებით გვიანი შემოდგომის, ზამთრისა და აღრიც გახაუ-ხულის პირობებში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა შედარებით დაბალია.

ამის გამო მაღალმთანი რაიონების მტს-ებში (ახალქალაქის-ტორგა-ნოვეის, გაჩიანის, თიანეთის, დუშეთის და სხვა) ბუქსირების წესით, ცეცხლის ალით ძრავის შემწოვე სისტემისა და კარტერის გახურებით და სხვა დაუშვე-ბელი ღონისძიებებით ტრაქტორის გაშვება სისტემატურ ხასიათს ატარებს. ხშირად ძრავის გაშვება გრძელდება 20—30 და მეტ წუთს და მომსახურე პერსონალისათვის დამქანცელ მუშაობას წარმოადგენს.

ძრავის გაშვების თვისებებშე „სასიმალლო“ სახურავების გამოყენების გავლენის შესასწავლად 1949 წლის 12 სექტემბერს იმავე შემადგენლობის კო-მისიამ მოახდინა № 8 ბრიგადის № 17 ტრაქტორის გაშვების შემოწმება და აღმოჩნდა, რომ მაშინ როდესაც სტანდარტულ სახურავზე ძრავის გაშვებისა-თვის დაიხარჯა 30 წუთი, „სასიმალლო“ სახურავზე ძრავი პირველ ბრუნ-ზედვე ამჟავდა.

13 სექტემბერს № 9 ბრიგადის № 12 ტრაქტორის ანალოგიური შემოწ-მებით გამოირკვა, რომ სტანდარტულ სახურავზე ძრავის გაშვებას დასკირ-და 22 წუთი, ხოლო „სასიმალლო“ სახურავზე ძრავი პირველ ბრუნზედვე ამჟავდა.

„სასიმალლო“ სახურავების გამოყენების შედეგად ძრავის გაშვების თვისე-ბების ასეთი შეკვეთრი გაუმჯობესება შემდეგით აისხება:

სამუშაო ნარევის ანთებისა და წვის პროცესის ნორმალური მიმდინა-რებისათვის უცილებელია განსაზღვრული ტემპერატურული და წნევის პი-რობები. ყოველი შედეგნილობის ნარევს აქვს თავისი შესაბამისი ოპტიმალუ-რი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნარევის აალებას.

ძრავის განვარიშების დროს ნარევის აალების ოპტიმალურ პირობებად ალებულია კუმშვის დასასრულს წნევა და ტემპერატურა, რომლებიც მიიღება ნორმალურ ატმოსფერულ პირობებში. მაღალმთან რაიონებში ეს პირობები დარღვეულია, ნარევი ვერ ასწრებს მთლიან აორთქლებას, ვერ ხდება მისი სათანადო შეთბობა, ცილინდრის კედლები და ღვეულის ძირზე სითბოს ინტე-სიური გადაცემის გამო მისი ტემპერატურა მცირდება, კუმშვის დასასრულს მიღებული წნევაც დაბალია, რაც აუარესებს ნარევის აალების უნარიანობას და ამნელებს ძრავის გაშვებას.

ალებულ სიმალლეზე „სასიმალლო“ სახურავების გამოყენებით, ე. ი. კუმ-შვის ხარისხის ზრდით, წნევა და ტემპერატურა კუმშვის დასასრულს იზრდება და შათი მნიშვნელობები უახლოედება ნორმალური ატმოსფერული პირობე-ბისათვის შესაბამის ოპტიმალურ მნიშვნელობებს.

ამგვარად, კუმშვის დასასრულს ნარევის აალებისათვის საჭირო ოპტი-მალური პირობები, რომლებიც შეესაბამება ნორმალურ ატმოსფერულ პირო-ბებს და სიმალლის გავლენით იზრდევა მაღალმთან რაიონებში მუშაობის დროს, „სასიმალლო“ სახურავების გამოყენებით ინარჩუნებენ თავის მნიშვნე-ლობებს, რაც უზრუნველყოფს ტრაქტორის გაშვების თვისებების შენარჩუ-ნებასაც.

მაშასადამე, ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდით სატრაქტორო კაბუკო-ტორიანი ძრავი, რომელიც ჩვეულებრივად ნორმალური ატმოსფერული პირ-ბებისათვის გეგმარდება, კარგის სიმძლავრეს, რაც იწვევს სატრაქტორო აგრეგატის ეკონომიურობისა და მწარმოებლობის შემცირებას, მიზრომ არსებული ტრაქტორების გამოყენება სხვადასხვა ვერტიკალურ ზონაში ცენტრული დონისძიების ან ლონისძიების გარეშე, რაც სიმაღლის მავნე გავლენას შეასუსტებს, არ შეიძლება რაციონალურად ჩაითვალოს.

სიმაღლის ზრდით მუნებრივად იქმნება ძრავის კუმშვის ხარისხის ზრდის შესაძლებლობა. რაც შეტი სიმაღლით ხასიათდება ვერტიკალური ზონა ზღვის დონიდან, მით მეტი შეიძლება იყოს კუმშვის ხარისხის დასაშენები მაქსიმალური მნიშვნელობა და მაშასადამე, მით მეტია შესაძლებლობა, რომ ძრავის მუშაობა რაციონალური და ეკონომიური გახდეს.

კუმშვის ხარისხის გაზრდამ „სასიმაღლო“ სახურავების გამოყენებით „СХТЗ“ ტრაქტორებზე ახალქალაქის მტს-ის პირობებში (1800—2000 მეტ-რი ზღვის დონიდან) შემდეგი შედეგები მოგვცა:

- 1) სიმძლავრე კაკებზე გაიზარდა საშუალოდ 30%.
- 2) წევის ძალამ კაკებზე მოიმატა 130—150 კგ.
- 3) საწვავის საათური ხარჯის შემცირება უქმ სკლაშე შეადგინა 20—25%.

4) წევდრითი ხარჯი ერთ კაკებზე ცხენის ძალაშე საათში შემცირდა საშუალოდ 25%-ით.

5) მთლიანად აღდგენილ იქნა ძრავის გაშვების ოვისებები, რაც აადვილებს ტრაქტორის ექსპლოატაციას, ზრდის მის მწარმოებლობას და დროის გამოყენების კოეფიციენტს.

მაღალმითიან რაინებში მომუშავე სატრაქტორო კაბუკო-ტორიანი ძრავების სიმძლავრის, ეკონომიურობისა და ტრაქტორის მწარმოებლობის გაზრდის მიზნით და აგრეთვე სამანქანო-სატრაქტორო პარკის სწორი და გეგმვისათვისა და აგრეგატირების სისტემების სტაბილიზაციისათვისა საჭიროა:

ა) გატარდეს სატრაქტორო კაბუკო-ტორიანი ძრავების კუმშვის ხარისხის დიფერენცირების სისტემა ვერტიკალურ ზონალობის მიხედვით.

ბ) ტრაქტორებით დასამუშავებელი მიწის მთელი ფონდი და სამანქანო-სატრაქტორო პარკი განაწილდეს და მოთავსდეს ხუთ ვერტიკალურ ზონაში:

I ზონა ზღვის დონიდან 0—500 მეტრის სიმაღლეზე;

II	"	"	500—1000	"	"
III	"	"	1000—1500	"	"
VI	"	"	1500—2000	"	"
და V	"	"	2000 მეტრი და ზემოთ.		

გ) დამზადდეს ვერტიკალური ზონების მიხედვით „სასიმაღლო სახურავები“ (შესაბამისი კუმშვის ხარისხებით) და მომარაგდეს ამ სახურავებით ტრაქტორები.

აღნიშნული სისტემისა და ლონისძიებების გატარებით შევთრად გაიზრდება მთათან პირობებში მომუშავე ტრაქტორების სიმძლავრე, ეკონომიურობა და მწარმოებლობა, რაც სახელმწიფოს უდიდეს ეკონომიას მისცემს.



Док. Г. А. ХАНТАДЗЕ
Кандидат тех. наук

РЕЗУЛЬТАТЫ ИСПЫТАНИЯ „ВЫСОТНЫХ ГОЛОВОК“ БЛОКО-ДВИГАТЕЛЯ ТРАКТОРА СХТЗ

Конструктивные, динамические, экономические и эксплуатационные показатели карбюраторных, тракторных двигателей рассчитываются и устанавливаются применительно к нормальным атмосферным условиям. Установление допустимой величины степени сжатия (главного фактора повышения мощности и экономичности двигателя) также производится для нормальных условий.

Действительные условия работы тракторов, в большинстве случаев, вообще отличаются от нормальных атмосферных условий, а в частности, в горных районах это отличие настолько велико, что значительно снижает показатели двигателя.

В горных условиях с увеличением высоты над уровнем моря мощность двигателя падает и это падение в пределах 500—2000 метров над уровнем моря составляет 6—22%, от нормальной (проектной) мощности.

Ввиду того, что сопротивление на самоперекатывание трактора почти не изменяется с увеличением высоты, потеря мощности двигателя целиком отражается на крюковой мощности и уменьшает ее на 12—40%.

Вследствие этого, начиная с 500 м. и выше, укомплектованные по инструкции (т. е. для нормальных условий) тракторные агрегаты уже не могут работать на рабочей передаче и вынуждены работать на низшей передаче или на меньшую ширину захвата с/х орудий, что вызывает резкое уменьшение производительности и громадный перерасход горючего.

Исходя из вышеизложенного, можно заключить, что существующие системы планирования и эксплуатации тракторного парка и комплектования тракторных агрегатов не предусматривают влияние вертикальной зональности на работу трактора, не отражают действительной картины работы тракторов и поэтому непригодны для высокогорных районов.

Для горных МТС устанавливать стандартные нормы расхода горючего по удельному сопротивлению почвы, без учета влияния высоты, неправильно.

Поэтому карбюраторный тракторный двигатель, сконструированный для нормальных атмосферных условий, не должен быть использован без каких-либо изменений или приспособлений на разных высотах при таких нежелательных последствиях.

С увеличением высоты над уровнем моря естественно возникает возможность увеличения степени сжатия двигателя; чем выше вертикальная зона над уровнем моря, тем больше допустимое значение величины степени сжатия, а следовательно, тем больше возможностей сделать работу двигателя более рациональной.

Наши исследования и проведенные опыты в районах Ахалкалакской и Богдановской МТС (высота над уровнем моря 1800—2000 м.) показали, что, например, двигатель трактора СХТЗ, который имеет стандартную степень сжатия 4,13, с успехом работает в указанной зоне со степенью сжатия 4,94—5 и на II-й передаче выполняет работу, которую раньше мог выполнить только на I-й передаче.

Увеличение степени сжатия на тракторе СХТЗ, путем применения „высотных головок“ блока (где уменьшен объем камеры сгорания) дало следующие результаты:

- 1) мощность двигателя в среднем увеличилась на 3 л. с., что увеличивает крюковую мощность на 30%;
- 2) тяговое усилие на крюке увеличилось на 130—150 кг.;
- 3) уменьшение часового расхода на холостом ходу составляет 20—25%;
- 4) удельный расход на крюковую силу в час уменьшается на 25%;
- 5) полностью восстанавливаются пусковые качества двигателя, что облегчает эксплоатацию и увеличивает коэффициент использования времени.

С целью повышения мощности, экономичности и производительности тракторов, работающих в высокогорных районах, для правильного планирования работы машинно-тракторного парка и стабилизации существующих систем эксплоатации, с тем, чтобы отразить более действительную картину работы тракторных агрегатов, требуется:

Ввести „систему дифференцирования степеней сжатия карбюраторных, тракторных двигателей по вертикальной зональности“.

Для этого:

- 1) Все наличие трактороудобных земель колхозов и машинно-тракторного парка МТС и совхозов распределить и разместить в пяти вертикальных зонах:

I	Зона	от	0	до	500	м. над уровнем моря
II	"	"	500	"	1000	"
III	"	"	1000	"	1500	"
IV	"	"	1500	"	2000	"
V	"	"	2000	и выше		

2) Организовать выпуск и снабжать карбюраторные двигатели тракторов (работающих в разных вертикальных зонах) "высотными головками" со степенями сжатия соответствующими этим зонам.

Проведение этой системы обеспечит для тракторов с карбюраторными двигателями, работающими в горных условиях: 8П2-ППЮЮ

- 1) повышение экономичности трактора;
- 2) повышение мощности трактора;
- 3) повышение производительности трактора.

ოცნების შესახებ მიმღები
სოფლის მეურნეობის მეცნ. კანფიდატი

იურის ფილატელისა და მოგრაფის რედაქციის მიმღების მიერ და პირების
დაღი გადამუშავების მიმღები

ბოჭკოს მომცემი უმრავი მცენარიდან, რომლებიც ბუნებაში გვხედება
კულტურული ან ეკულური სიხით და გამოყენებულია ადამიანის მიერ, განსაკუთ-
რებით ფართოდ გავრცელებული და საინტერესო ბამბა, ჯუთი, სელი, კა-
ნაფი, სიხალი, მანილის ქერელი, ახალი ზელანდიის სელი და სხვ.

მცენარეული ბოჭკოების ხელმისაწილით წონა, საფეიქრო მრეწველობაში გა-
მოყენებული ბოჭკოების საერთო მსოფლიო ბალანსში, საქამოდ დიდია.
მიგალითად, 1945—46 წ. წ. ბამბის ბოჭკოების მსოფლიო წარმოება 6300 ათას
ტონას ანუ 54,9% -ს აღწევდა, ლაფნის ბოჭკოების—18,9% -ს, მათ შორის
სელის—4,2% -ს, ჯუთის—8,9% -ს ქერელისა და სხვ. უხეში ბოჭკოების—
5,8% -ს.

საფეიქრო ბოჭკოების მსოფლიო წარმოებაში მეორე მსოფლიო ომის
დროს საგრძნობი ცვლილებები მოხდა; ომის წლებში ძალიან გადიდდა ხე-
ლოვნური და სინთეზური ბოჭკოების წარმოება, რის გამოც მათმა ხელმისაწილა-
მით აიწია 1,8% -დან 1929 წ. 14% -მდე 1945—46 წლებში. ამავე პერიოდ-
ში საგრძნობლად გაიზარდა ბამბის ბოჭკოს წარმოება. მაგალითად, 1945—
46 წ. წ. ბამბის ბოჭკოების ხელმისაწილით წონა, როგორც აღნიშნეთ, 54,9% -ს
შეადგენდა წინააღმდეგ 49,5% -სა 1929 წ.

მსოფლიო საფეიქრო ბაზარზე ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების
და იგრეთვე ბამბის ბოჭკოების წარმოების გადიდებამ თავის მხრივ გამოიწვია
ლაფნის ბოჭკოების შემცირება: მათი ხელმისაწილით წონა 1945—46 წ. წ. 18,9% -ს
შეადგენდა, წინააღმდეგ 34,2% -სა 1929 წელს.

ცვლილებები მოხდა თვით ლაფნის ბოჭკოების ცალკეული სახეების
ხელმისაწილით წონის მხრივაც. 1945—46 წლისათვის ლაფნის ბოჭკოების მსოფ-
ლიო წარმოება 1929 წელთან შედარებით 41% -ით შემცირდა. განსაკუთრე-
ბით ძლიერ დაეცა ქერელის ბოჭკოების წარმოება. 1945—46 წ. წ. ქერელის ბოჭ-
კოების წარმოება 1929 წელთან შედარებით 61,5% -ით შემცირდა, ჯუთის
ბოჭკოების—47% -ით, მანილის ქერელისა და სიზალის—35,8% -ით და სე-
ლის—30,6% -ით.

ლაფნის ბოჭკოების მსოფლიო წარმოების შემცირება კაპიტალისტურ ქვეყნებში უმთავრესად შეორე მსოფლიო ომის შედეგებით და იაფეთა სიამი მუშახელის შოვნის სიძნელით აისწნება. გარდა ამისა, მანილას, სიზალისა და სხვ. ფოთოლბოჭკოენების წარმოების დაცემას ხელი შეუწყის მცირებულება პლანტაციების ველურმა ექსპლოატაციამ ომის წლებში რჩმაც წუდავს ძლიერი გამოყიტვა გამოიწვია.

საფეიქრო ნედლეულის მსოფლიო ბაზარზე ქრელის, ჯუთის, სიზალისა და მანილას ბოჭკოების ნაკლებობამ გამოიწვია მათი ფასების ზრდა და ზოგიერთი ქვეყნის მისწრაფება შეეცალათ ისინი სხვა სახის მცენარეთა ბოჭკოებით. ამის გამო, 1945—46 წლებში 1929 წ. შედარებით უხეში ბოჭკოების მომცემ ძირითად მცენარეთა შემცველი ნედლეულის წარმოება 63,9%-ით გადიდა.

საბჭოთა კავშირში ომის წლებში საგრძნობი ცვლილებები მოხდა საფეიქრო ნედლეულის წარმოების საქმეშიც. ომის შემდგომ პერიოდში ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული მთელი რიგი ღონისძიებების შედეგად საფეიქრო ნედლეულის წარმოებამ სწრაფი ტემპით იწყო წინსელა. ხუთწლიანი გეგმის მასალების მიხედვით 1950 წლის ბოლოსათვის ლაფნის ბოჭკოების ძირითად სახეებზე საფეიქრო მრეწველობის მოთხოვნილება შემდეგით განისაზღვრებოდა:

სელის ბოჭკო — 300.000 ტონა

ქრელის ბოჭკო — 120.000 "

კუნაფის ბოჭკო — 60.000 "

ქრელ-ჯუთის ნაწარმის გამოშევების გადიდების 1953 წლის გეგმას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ მოთხოვნილება ქრელის ბოჭკოზე 150.000 ტონამდე უნდა გადიდეს, ასევე უნდა გადიდეს სატომრე ქსოვილებისათვის საჭირო ბოჭკოს რაოდენობაც — 150.000 ტონამდე.

ლაფნის ბოჭკოებზე მოთხოვნილების ასეთი დიდი ზრდა გამოწვეულია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხევადასხვა დარგის სწრაფი ზრდით (რეინიგზისა და წყლის ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, თევზის მრეწველობა კვების მრეწველობა და სხვ.), რომელთაც დიდი რაოდენობით ბაწარი, ხეხი და შესაფუთავი ტარა სჭირდებათ.

ლაფნის ბოჭკოების რაოდენობის არასაკმარისობის დასაფარავად მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო იძულებულია გამოიყენოს იმპორტული ჯუთის, მანილისა და სიზალის ბოჭკო.

ამ მდგომარეობასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის წინაშე დასახულია გადაუდებელი დიდმინიშვნელოვანი ამოცანა — განვთავისუფლდეთ ლაფნის ბოჭკოების იშპორტისაგან. მშობლიური საფეიქრო ნედლეულის ბაზის გაფართოების ხარჯზე.

შედარებით რთულია მშობლიური ნედლეულით იმპორტული სიზალისა და მანილის ბოჭკოს შეცვლის საკითხი. სხვადასხვა სამეცნიერო-საკელევო

დაწესებულებების მიერ ჩატარებული მთელი რიგი სამუშაოები შეიცნობა. სანაბიროებზე, ყირიმში და აზერბაიჯანის სამხრეთ რაიონებში ბანანისა და ავაკის სხვადასხვა სახის ინტროდუქციის შესახებ XIX საუკუნის უკანასკნელ წლებში უშედეგოდ დამთავრდა.

ამასთან ერთად სუბტროპიკული ფოთოლბოკეუფანი კულტურების ზოგიერთი სახის ინტროდუქციულმა გამოცდამ გვიჩვენა, რომ საქართველოს პირობებში და საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებში შეიძლება წარმატებით განვითარდეს იუკა, დრაკენი და ახალი ზელანდიის სელი, რომლებიც სიზალის ტიპის ბოკის გვაძლევენ.

უცხოეთში სუბტროპიკული და ტროპიკული საფეიქრო მცენარეების ფოთლის გადამუშავება უმთავრესად ახლად მოქრილი ნედლი სახით ხდება და ძირითადად ხელით წარმოებს. საბჭოთა კავშირის პირობებში ხელით პრიული წესით გადამუშავების გამოყენებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამ კულტურების ფართო საწარმოო სახით გავრცელებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება დაისვას საკითხი, როდესაც დამუშავებელი იქნება ფოთლის არა მარტო ნედლი, არამედ ხმელი სახით გადამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმი, დამყარებული მექანიზებულ პროცესზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ფოთოლბოკეუფანი კულტურების ხმელი ფოთლების გადამუშავებაზე მექანიზი, ჩრდ. აშშ-ში და სხვაგან ჩატარებული ცდები უშედეგოდ დამთავრდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი შრომის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა საქართველოში გავრცელებული იუკის სხვადასხვა სახის ფოთლისა და ბოკის ანატომიურ-ტექნოლოგიური თვისებები და დაგვეღგინა იუკის ფოთლის ხმელი სახით გადამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმი.

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა იუკის ფოთლის ანატომიურ-მიკროქიმიური, ქიმიური და ფიზიურ-მექანიკური თვისებები და მათი შესწავლის საფუძველზე ჩივატარეთ ცდები ბიოლოგიური, ფიზიური და ქიმიური მეთოდების გამოყენებაზე იუკის ფოთლის ხმელი სახით გადასამუშავებლად.

ზოგიერთი ცოდნა იცნის

ვასახებ

Jucca L.—იუკა. ფოთოლბოკეუფანი სართავ მცენარეთა ჯგუფის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. იგი მრავალწლიანი მცენარეა, შრომინნაირ Liliaceae-ს ოჯახსა და Jucca-ს გვარს ეკუთვნის. გვხედება ხემაგვარი, მოკლე-ლეროიანი და ულერო-მრავალფოთლიანი. ხემაგვარ იუკას ეკუთვნის: Jucca aloefolia L., Jucca Elephantipes Regel და Jucca Treculiana Carr. მოკლე-ლეროიანებს ეკუთვნის: Jucca Gloriosa L., Jucca baecata Torr, Jucca recurvifolia Salisb და სხვ. ულეროს კი—Jucca filamentosa L.

იუკა შარადმწვევანე, მრავალწლიანი სუბტროპიკული მცენარეა. მის სამ-შობლოდ ჩრდილო ამერიკის ცენტრალური და სამხრეთი რაიონები ითვლება. იუკის ზოგიერთი სახე თვით კანალამდე გავრცელებულია. ევროპაში იუკა გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, უმთავრესად იტალიაში. ეს კულტური ძირითადად დეკორაციულია. დეკორაციული მიწისთავ შემოტანილი იუკა საქართველოსა და ყირიმში.

მიუხედავად იმისა, რომ იუკა სუბტროპიკული მცენარეა, იგი კარგად იტანს ყინვებს. მაგალითად, იუკის ზოგიერთი ფორმა უკრაინაში, როგორც ამას პროფ. საექინკო¹ აღნიშნავს, —30° C პირობებშიაც კი არ დაზიანებულია. იგი იდვილად იტანს გვალვებს და უკრაინის პირობებში ჰექტარზე 25 ცენტრნერამდე გამზმარ ფოთოლს და 5 ცენტრნერამდე ბოჭკოს იძლევა; პ. მელეგელევის ცნობით ეს შევი ზღვის სანაპიროს რაიონებისათვის 5—8 ტონა გამზმარ ფოთოლს ანუ 77—120 ტონა ნედლ ფოთოლს იძლევა ჰექტარიდან. ნ. ნედლიას მონაცემებით კოლხიდის დაბლობის რაიონებისათვის მცენარის ხნოვანებისა და იუკას სახეების მიხედვით იგი ჰექტარზე 10—60 ტონამდე ნედლ ფოთოლს იძლევა.

ჩვენში იუკა გამოყენებულია უმთავრესად დეკორაციული მიზნით, ხშირად იუკის ფოთოლს, ასახვევ მასალად იყენებენ მევნენბეობაში და მებალეობაში, დასავლეთ საქართველოში იუკის ფოთოლს ზოგჯერ ბაწრების გასაკეთებლადაც კი ხმარობენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოჭკოვანი იუკის ძვირფასი თვისება—ქვიშარი ნიადაგის გამაგრება; მას ძევს ძლიერ განვითარებული ფესვთა სისტემა, რომლის ძირითადი მასა 20—50 სმ. სილრმებზე ვითარდება ნიადაგში და ხელს უშლის ნიადაგის ჩამორეცხვას. როგორც ზოგიერთი აეტორი აღასტურებს, იუკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ტყის პირების. მოსაწყობად მინდორსაცავი ზოლების გაშენების დროს.

იუკის ფოთლის ანათომიურ-მიკრომიკოლი დახასიათება

როგორც უცხოურ, ისე საბჭოთა ლიტერატურაში თითქმის არაფერია აღნიშნული იუკის ფოთლისა და ბოჭკოს ანატომიური აგებულებისა და მიკროქიმიური დახსიათების შესახებ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ფოთლის ანატომიური აგებულების შესახებ ე. ლემლეინის მიერ 1929 წელს ჩატარებულ ზოგიერთ ცდას, 1947—48 წელს ჩვენ ჩატარებულ იქნა დასაკ-

¹ Проф. Я. Н. Савченко—Юкка Нитчатая. Киев, 1946.

ლეთ საქართველოში გაგრცელებული იუკის სხვადასხვა ფორმის ფოთლის ანატრომიური და მიკროქიმიური ჟესტიველია, რამაც შემდეგი გვიჩვენა: ფოთლის ზედა ეპიფერმისი დაფარულია კუტიკულის სქელი ფენით (სურ. 1). ეპიფერმისის ქვეშ იმყოფება მესირისებრი პარენქიმის თითო ჭყება, რომლისაგანაც ცენტრისაკენ მდებარეობს ღრუბლისებრი პარენქიმა. უკანასკნელი შედგება მომრგვალო უჯრედებისაგან, საქმაოდ დიდი ზომის უჯრედშორისებრით. ღრუბლისებრი პარენქიმის თითოების ჭყელა უჯრედი სავსეა ქლოროფილის მარცველებით. ჭურჭელ-ბოჭყვანი კონები განწყობილია ფოთლის სირბილის შუა ადგილას სწორი რიგობრივი დ ფოთლის ზედა ნაწილის გასწრივ. ეს კონები კარგადაა განვითარებული, მათში კარგადაა წარმოდგენილი ფლოება, ქსილემა და მექანიკური ქსოვილი, რომელიც შედგება ელემენტარული ბოჭყობისაგან. მექანიკური ქსოვილის ბოჭყო თავმოყრილია ორ კონაც; ერთი მოთავსებულია ფლოების მხარეს, ხოლო მეორე—ქსილების მხარეს. ბოჭყობს ვიწრო ნამგლისებრი ფორმა იქვეს.

მექანიკური ქსოვილი ეპიფერმისის ახლოს ჭურჭელბოჭყვანი კონებში ჭარბობს ფლოებისა და ქსილემის ელემენტებს, რომლებიც ზოგიერთ ადგილას ატროფირებულიც კი არიან.


ამ ადგილებში გვხვდება კონები, რომლებიც მხოლოდ მექანიკური ბოჭყებისაგან შედგება.

კველა ბოჭყოვანი და ჭურჭელბოჭყვანი კონა გარშემოხეულია მჭიდროდ შეერული ღრუბლისებრი პარენქიმის უჯრედებით.

ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარეს ელემენტარულ ბოჭყოს უფრო დიდი დიამეტრის შიგა არხი იქვეს, ვიდრე ეს არის წარმოდგენილი ფოთლის ზედა მხარეზე.

მექანიკურ კონებს ფოთლის ქვედა ნაწილში უფრო ფხვიერი აგებულება იქვეს, ვიღრე ზედა ნაწილში.

ელემენტარული ბოჭყოს არხის დიამეტრი სხვადასხვაა, როგორც ჭები, განვი კვეთებში აღნიშნულია, რომ ფოთლის პერიფერიისაკენ განწყობილია მცირე დიამეტრისა და უფრო ვიწროა არხიანი ელემენტარული ბოჭყო, ვიდრე ფოთლის ცენტრალურ ნაწილში.



სურ. 1. იუკის ფოთლის
განვით კველი

ბოჭკოვანი კონების კომპაქტური განწყობა შიგვითითებს იუკის ფოთლებიდან მტკიცე ტექნიკური ბოჭკოს მიღების შესაძლებლობაზე.

ელემენტურული ბოჭკოები უმრავლეს შემთხვევაში ოვალურ-ჰქონიანი გვანია. კურქელბოჭკოვანი კონების გარეგანი მოხაზულობა, ელემენტურული ბოჭკოების კედლების გამოწევის გამო, წვეტებიანია.

ფოთლის ეპიდერმისზე კუტიკულის სქელი შრის არსებობა აძნელებს ფოთლის სირბილეში ქიმიურ ნივთიერებათა და ბაქტერიების სწრაფ შეღწევას ხარშეის ან ლბობის პროცესში.

ლურჯბლისებრ პარენქიმას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქვს დიდი ზომის უჯრედშორისები, რომლებიც ფხვიერ აგებულებას ქმნიან, რაც სასურველ ფაქტორად ითვლება მაცერაციებული ფოთლების დამუშავებისას, რადგან ლბობისა და ხარშეის შემდეგ პარენქიმის უჯრედები აღვილად გამოიყოფა ბოჭკოსაგან.

გახევების რეაქციის დროს (ფლოროგლუცინი მარილმჟავასთან) გამოიჩვა, რომ ძლიერი შეფერვა მოწითალო-იისფრად შესამჩნევია ქსილემის კედლებზე, მონარინჯისფრო-ყვითელი შეფერვა შემჩნეულია იმ ელემენტურული ბოჭკოების კედლებზე, რომლებიც განწყობილია გამტარებელი კონების მახლობლად, რაც იმ ბოჭკოების ნაკლები გახევების მაჩვენებელია. გახევების ინტენსივობა სუსტდება გამტარებელი კონებიდან დაშორებასთან დაკავშირებით და ადგილ-ადგილ პრერიფერიებისაკენ შეფერვა სრულიად ქრება.

შელებილი პრეპარატების გარჩევისას შემჩნეულია, რომ ლიგნინით ელემენტურული ბოჭკოები გაუღენთილია არა სწორხაზობრივად, არამედ მრუდხაზობრივად. ცელულოზაზე რეაქციამ (ქლორცინკიოლი) გვაჩვენა, რომ ცელულოზის თავისებები იუკის ფოთლოში აქვს ფლოემის საცრისებრ მიღებს, რადგან ქლორცინკიოლისაგან ისინი ისტრად იღებება.

ყველა ბოჭკოვანი კონა ქლორცინკიოლით იფერება ყვითლად, რაც მიუთითებს იმაზე რომ მექანიკური ქსოვილის უჯრედებს აქვს ლიგნოცელულოზის თვისება.

ქლორინით რეინის წყალხსნარით პრეპარატის დამუშავებამ გამოიწვია ჰურქელბოჭკოვანი კონების ქსილემის უჯრედებისა და აგრეთვე ნაწილობრივად ფლოემის მუქ მწვანედ შეფერვა, რაც მიგვითითებს იუკის ფოთლებში ხსნადი მთრიმლავი ნივთიერების (ტანიდების) დიდი რაოდენობით შემცველობაზე.

იუკის ფოთლის კიმიური თვისებების დახასიათება

იუკის ფოთლის ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მას ლაფანბოჭკოვანი მცენარეების ღეროსთან შედარებით ქიმიური თავისებების მხრივ ზოგიერთი თავისებურება ხასიათებს. ამ თავისებურების მთლიანად გამოვლინების მიზნით და იმის გამოსარკვევად, თუ რა გავლენა შეუძლია მათ მოახდინონ ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობაზე, ჩვენ ჩავატარეთ ფოთლის ქიმიური ანალიზი. ასეთი ანალიზის ჩატარების აუცილებლობაზე მიგვითითებდა აგრე-

თვე ის, რომ არც უცხოურ და არც საბჭოთა ლიტერატურაში იუკის ფოთლის სრული ქიმიური შედეგენილობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

ქიმიური ანალიზი ჩატარდა პექტინის ნივთიერების (ნორმან-ნენჟის მეთოდით, საბუროვას მოდიფიკაციით და კარს მიხედვით) ლიგნინის, ცელულინის (კენიგის მეთოდით, კალმანოვერის მოდიფიკაციით), პჩოტის (ცელულის მეთოდით), მთრიმლავი ნივთიერებებისა (ლევენტრალის მეთოდით) და ნაცრის ელემენტების გამორჩევებაზე.

იუკის ფოთლის ქიმიური ანალიზის შედეგად მივიღეთ ზემოხსენებულ ნივთიერებათა შემდეგი რაოდენობა:

ნაცარი— $3,42\%$

პექტინის ნივთიერება— $3,38\%$

მათ შორის აღვილად ხსნადი— $1,97\%$

ძნელად ხსნადი— $1,41\%$

აზოტი— $1,07\%$

ლიგნინი— $9,42\%$

ცელულოზა— $29,03\%$

მთრიმლავი ნივთიერებანი— $1,23\%$

მათ შორის: ხსნადი— $0,83\%$

უხსნადი— $0,40\%$.

სხვა ფოთოლბოკეოვნებთან (ახალი ზელანდიის სელი, დრაცენა) შედარებით იუკის ფოთოლში ლიგნინი უფრო მცირე რაოდენობითაა და, მაშასადამე, იუკის ბოკეო შედარებით ნაკლებადაა გახევებული. პექტინის ნივთიერების რაოდენობა კი იუკის ფოთოლში საკმაოდ დიდია— $3,38\%$, ნაცელად $1,08\%$ -სა ახალი ზელანდიის სელის ფოთოლში. პექტინის ნივთიერების ჯგუფობრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღვილად ხსნადი პექტინები კარბონენიუკის ფოთოლში, მაშინ რაოდესაც ახალი ზელანდიის სელისა ცდა დრაცენას ფოთოლში, პირიქით, ძნელად ხსნადი პექტინები კარბონენ. იუკის ფოთოლში ნაცროვანი ნივთიერების შედარებით დიდი რაოდენობა, ვიდრე სხვა ფოთოლბოკეოვნებთან შედარებით პექტინის ნივთიერების კარბ რაოდენობაზე უნდა იყოს დამოკიდებული. ცელულოზა იუკიში შედარებით მცირეა, რაც პექტინის ნივთიერებისა და ნაცრის კარბი შემცველობით უნდა აიხსნას.

ბოჭალს ტაროლოგიური თვისებების დახასიათება

იუკის ფოთლების საფეიქრო მიზნისათვის გადამუშავების დროს საინტერესო ფოთლის კურპელბოკეოვანი კონების მექანიკური უჯრედები, რომელიც გამოიყოფა ტექნიკური ბოკეოს სახით. ცალკეულ უჯრედს თითოისტარის ფორმა აქვს. უჯრედის სიგრძე $2,5-5,5$ მმ, დიამეტრი— $6-12$ მი.მდე, უჯრედის ღრუ მოელი სიგანის $\frac{1}{4}-\frac{1}{2}$, შეაღვენს. უჯრედის გარსი გახევებულია. იუკის ტექნიკური ბოკეო თითქმის ყოველთვის შეიცავს ქსილებისა და პარენქიმის ელემენტების ნარევს.

ტექნიკური ბოჭკოს სიგრძე ფოთლის სიგრძეზეა დამოკიდებული და
0,8-დან 1,25 მეტრამდე მცრავების.

იუკის ფოთლიდან ბოჭკოს გამოსავალი, პროც. საეჩენჯოს მონაცემებით
(ჰაერზე შშრალ ფოთლობზე გადაანგარიშებით), ფოთლის ხარისხისა და გადამუშავების
ზე ხარისხის ხასიათის მიხედვით 15-დან 30% -მდე მცრავების. საუცხავა იუკის შეცდით
ფოთლებიდან ბოჭკოს გამოსავალი დასავლეთ საქართველოს პირობებში, მაგალითად,
ზავი ზღვის სანაპიროზე ნედლი ფოთლიდან 4,9-დან 10,2% -მდე, ხოლო
ჰაერზე შშრალი ფოთლიდან—19-დან 29% -მდე მცრავების. იუკის ბოჭკო საქმაოდ
მტკიცეა, ელვარე, მოგვაგონებს სელისა და აბრეშუმის ბოჭკოს. შეფერდით
თეთრი ან მოყვითალოა, სიმაგრით სჯობის სელისა და ქერქლის ბოჭკოს.
წყვეტითი სიგრძე 33,6 კმ-მდე აღწევს საშუალო მეტრული ნომრის 163-ის
შემთხვევაში.

იუკის ბოჭკო საესებით გამოსაღევია დასართავად და ძნის საკონი და
შესაქრავი ხეზის მისაღებად როგორც სუფთა სახით, ასევე ქერქლთან შერევით.
ბოჭკო საქმაოდ ჰიგროსკოპულია. მაგალითად, ჰაერზე შშრალი ბოჭკო 9-დან
12,5% -მდე ტენს შეიცავს. ტენით გაელენთოლ ჰაერში კი იგი 25—30% -მდე
ადის. ნაცრის რაოდენობა კარგად დამუშავებულ ბოჭკოში 0,63—1,0% -მდეა,
პექტინის ნივთიერება—1,5—1,8% -მდე, ცხიმი—1,08—1,18% -მდე, ცილულონი—
60,5—63,0% -.

იუკის გამხმარი ფოთლის გადამუშავების ტერიტორიული და გეოგრაფიული მდგრადი განვითარები

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ უცხოეთში და ჩეენშიც იუკის ფოთლების
გადამუშავება დღემდე ნედლი სახით წარმოებს, რაც დიდ სიძნელეებთან არის
დაკავშირებული.

იუკის გამხმარი ფოთლის გადამუშავების წესების შესწავლის მიზნით
ჩივატარეთ ცდები ფოთლის ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური წესით
გადამუშავებაზე.

ა) ბიოლოგიური ლბობა. ლიტერატურაში ფოთლობოკერვანი
შეცნარების ხმელი ფოთლების ბიოლოგიური წესით გადამუშავების შესახებ
თითქმის არაფერია აღნიშნული. ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია იუკის ნედლი ფოთლის ლბობა, მაგრამ ლბობის არავითარებულის არ იძლევა.

როგორც ცნობილია, ბოჭკოვან მუენარეთ ბიოლოგიური ლბობის ძირი-
თად კომპონენტის წარმოადგენს სალბობა სითხე, მაკროფლორა და სალბობი
მასალა. ლბობის ჩატარებისას ჩვენს მიზანს წარმოადგენდა გამოგვერკვაზე ყო-
ველი კომპონენტის თავისებურება ლატანბოკვერცხების კერძოდ კენაფის (როგორც
სამხრეთის ცენტრის) ლბობასთან შედარებით.


ცნობილია, რომ კენაფის ლეროს ლბობის პროცესი საში ძირითადი ფა-
ზისაგან შედგება: ფიზიკური, წინასწარბიოლოგიური და ძირითადი ბიოლო-
გიურ ფაზისგან. იუკის ლბობის პროცესში ყველა ზემოხსენებულ სამ ფაზას-
თან გვაქვს საქმე.

განვითარებული იუკის ფოთლის ლბობის ცალკეული ფაზების თავისებურება.

ფოთოლზე წყლის დასხმის შემდეგ იწყება ფოთლის გაჯირვება, რომელიც პუტიულური ქსოვილის სიმტკიცისა და ცვილის წრეთ დაუდენდება გამო ძალიან ნელა მიმდინარეობს. იუკის ფოთლუკის სტუდია ფაფურ-ჯვება წყლის ტემპერატურის 30° C დროს აღნიშნულია 10—12 საათის შემდეგ. ფოთლის დასველებასთან ერთად იწყება წყლის ფერის შეცვლა: იგი ხდება უფრო მცირებით სხვადასხვა ხსნადი ნივთიერებების (ზაქარი, ამინომეთვები, მინერალური მარილები და სხვ.) გამორცხვების გამო.

ექსტრაქტული ნივთიერების დაგროვების გამოსარევევად ლბობის დროს ჩვენ ჩავატარეთ ანალიზი სითხის დამეანგველობის გამორცვევაზე. სითხის დამანგველობას ვარკვევდით კუბელ-ტიმანის მეთოდით.

ანალიზის შედეგი ჩანს ქვემომოყანილ მრუდიდან.



დრო დარღვევის ლაციაბილან (ხასობრით)

სურ. 2. სითხის დამეანგველობის შეცვლის მრუდი.


თუ მრუდს დაფაკვირდებით, დაეინახვთ, რომ იუკის ფოთოლი დაახლოებით ისეთსაცე დამეანგველობას გვაძლევს, როგორსაც კენაფი, დიდი რაოდენობით შეიცავს ექსტრაქტულ და წყალში ხსნად ნივთიერებებს. სალბობ სითხეს კველაზე დიდი დამეანგველობა ლბობის დაწყებიდან ემნენვა 24 საათის შემდეგ და იგი გამოისახება 880 მილიგრამი უანგბადით ერთ ლიტრ სითხეში. ამ დროისთვის წყალში ხსნადი ნივთიერების მაქსიმალური რაოდენობით დაგროვება მიგვითითებს იმაზე, რომ ლბობის პროცესის ფიზიკური ფაზა დამთავრებულია და დაწყებულია შეორე ფაზა—ლბობის შინასწარი მიოლო-

და დაწყებულია და დაწყებულია შეორე ფაზა—ლბობის შინასწარი მიოლო-

გიური ფაზა. ექსტრაქციის დროს ფოთლიდან სითხეში გადადიან თრგანული და მინერალური ნივთიერებანი, კერძოდ ნახშირწყლები (ზექარი) და აზოტოვანი ნივთიერებანი.

სითხის დამეანგველობა მეორე ფაზის დროს საგრძნობლად ეცემა იქმნას-თან დაკავშირებით, რომ უკვე დაიწყო მიკროორგანიზმების მიღწევე-ული ექსტრაქტული ნივთიერების დულილი.. ამ ნივთიერებათა დაშლის შედეგად სითხეში გროვდება ორგანული მეავები (რძისა და სხვ.), წყალბადი და ნახშირ-ორეანგი. მეავების მონაშილეობის გამო სითხე მეავე ხდება.

მეავეიანობის მრუდი (სურ. 3) მეორე ფაზის დროს თანდათანობით მატუ-ლობს, რაც სითხეში ორგანული მეავას დაგროვებაზე მიგვითოვებს.



დრო დაზიანების დანეცვის დოზი (მათთბის)

სურ. 3. სითხის მეავეიანობის შეცვლის მრუდი.

ასეთივე თანამიმდევრობით იქლებს სითხის pH-იც (სურ. 4).

მეორე ფაზის დროს ადგილი აქვს სითხეში მყოფ ექსტრაქტულ ნივთიერებათა დულილს. რაც შექება თვით იუკის ფოთლებს, ისინი მეორე ფაზის პერიოდში ასებითად უცვლელი ჩრება და მათ მხოლოდ გალორწოვება და ეპიფერმისის ქსოვილის ოდნავი გამოყოფა ეტყობა.


იუკის ლბობის მეორე ფაზა იწყება დაახლოებით 24 საათის შემდეგ და გრძელდება 4—5 დღის განმავლობაში. ხსნარის დამეანგველობა მეორე ფაზის დროს ეცემა 200—525 მილიგრამ ქანგბადამდე.

ლბობის მესამე (ძირითადი) ბიოლოგიური ფაზის დაწყების პირველი ნიშნები (ფოთლებში პეტრინის ნივთიერებათა დულილი) იწყება დაახლოებით მეორე ფაზის შემდეგიდან.

ამ პროცესის განვითარებასთან დაკავშირებით სითხე ღებულობს არასა-სიამოვნო სპეციფიკურ სუნს, რომელიც ერბომეავას მიერაა გამოწვეული. ერბომეავა სითხეში წარმოიქმნება როგორც პეტრინის ნივთიერებათა დაშ-

შელელ მიკროორგანიზმების ცხოველმცუოფელობის შედეგი. ერბომერასტან ერთად სალბობ სითხეში წარმოიქმნება აგრეთვე ძმარმეავა, წყალბადი და ნახშირორეანგი.

ერმონელი
შიდა დორის განვითარება



სურ. 4. სითხის pH-ის ცვალებადობის ჩრული.

ლბობის მესამე ფაზის პერიოდში სითხის დამტანგველობა თითქმის უცვლელი რჩება. დამტანგველობის მრუდის სტაბილიზაცია ლბობის ძირითადი ბიოლოგიური ფაზის დროს იმით აისხნება, რომ პექტინის ნივთიერებები მიკროორგანიზმების მიერ მათი დუღილის გამო იშლება რიგ ორგანულ (შაქარი და სხვ.) და მინერალურ ნივთიერებებად, რაც სითხეში ექსტრაქტულ ნივთიერებათა დაგროვებას იწვევს.

სითხის მეაგვიანობა მესამე ფაზის დროს ნაკლებია, ვიდრე მეორე ფაზის დროს და პროცესის ბოლოსათვის ოდნავი შემცირების ტენდენცია აქვს.

საერთოდ მეაგვიანობის მაჩვენებლებით¹ ფოთოლბოჭკოვანი კულტურები საგრძნობლად ჩამორჩება კენაფს. კენაფის ლბობის პროცესის ძირითადი ფაზები ასე თუ ისე თანამიმდევრულად მიმდინარეობს და შეიძლება გარეგანი შეხედულებით ერთმანეთისაგან მათი გამიჯვნა. რაც შეეხება ფოთოლბოჭკოვანებს, კერძოდ იუკს, ჩვენ ვერ შევძლებით ფაზების ერთმანეთისაგან ასეთი გამიჯვნისათვის მიგველწია, მათი დაწყება და დამთავრება თანამიმდევრულად არ მიმდინარეობს.


¹ საერთო მეაგვიანობა ისაზღვრებოდა სითხის გატიტვრით NaOH-ის 1/100 ხსნარით ფენტაფტალეინის მონაწილეობით. აქტიური მეაგვიანობა—სითხის pH—ისაზღვრებოდა სტრულ-კოვის პოტენციომეტრზე ელექტრომეტრული გზით.

იუკის ფოთლის სადგომი სითხის მიეროფლორის დახასიათების შინინი

იუკის ფოთლის სალბობი სითხის მიეროფლორის დახასიათების შინინი ჩვენ ჩავიტარეთ სალბობი სითხის ლაბორატორიული გამოწვევება. სრული სინჯა კილებდით შემის მილით ცერტლის შეა ადგილიდან, ანალიზი წარმოქმნდა კენაფის ლბობის შემთხვევაში ყოველდღიურად, ხოლო იუკის—ყოველ ორ დღეში ერთხელ, 12 დღე-ლაბის განმეოლობაში.

ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანი იყო გვერობა საორიენტაციო წარმოდგენა სალბობი სითხის მიეროფლორაზე კენაფისა და სხვა ლაფანბოკერების ლბობის მიეროფლორასთან შედარებით.

მიეროფლორაზე დაკირცხულისას ემჩნევა, რომ იგი ბაქტერიოსკოპულად შემდეგ ჯგუფებად იყოფოდა: კოკები და ლიპლოკოკები, სხვადასხვა წერილი ჩინიები, კლოსტრილიდიული და პლექტრილიული ტიპის ჩინიები, მსხვილი, დიდი ჩინიები და თავისუფალი სპორები. დაკირცხულის შედეგები მოცემულია მეხუთე და მეექვსე მრუდებში.




სურ. 5. კენაფის სალბობი სითხის მიეროფლორის მრუდები.

თუ ამ მრუდებს განვითარეთ, შევნიშნავთ, რომ არამთავარ მიეროფლორას (კოკები და ლიპლოკოკები) იუკის ლბობის დროს, ისე როგორც კინაფის შემთხვევაში, თავის განვითარების ორი მაქსიმუმი აქვს—ერთი ექსტრაქტული ნივთიერების დუღილის შეა პერიოდში, ხოლო მეორე—პერტინის დუღილის დამთავრებისას. სალბობ სითხეში პერტინის დამშლელი ძირითადი მიეროფლორა წარმოდგენილია კლოსტრილიული და პლექტრილიული ტიპის ჩინიებით, აგრეთვე მსხვილი ორსპორიანი ჩინიებით.

კენაფის ლბობის შემთხვევაში კლოსტრილიები და პლექტრილიები უმნიშვნელო რაოდენობით გამოჩნდება ლბობის დაწყებიდან 36—48 საათის შემდეგ.

დეგ, იუკის ფოთლების ლბობის დროს კი კლოსტრიდიები და პლექტრიდები თითო-ორთოლა გვხვდება მხოლოდ 48 საათის შემდეგ.



სურ. 6. იუკის სალბობის სითხის მიკროფლორის მრუდები.

იუკის სალბობ სითხეში ჰექტინის დამშლელი ბაქტერიები მეტად ვითარდება მე-6, მე-8 დღე-ლამის შემდეგ. თბილი წყლით იუკის ფოთლის ლბობის პროცესი დაახლოებით 10—12 დღე-ლამის შემდე მთავრდება.

კ. მირონოვის მონაცემებით, კლოსტრიდიული ტიპის ჩინოვიტს შეესაბა- მება *Granulobacter pectinovorum*-ის ტიპის ბაქტერიები, ხოლო კლოსტრი- დიებს — *Bac. felsineus* და *Bac. amylobacter*.

თუ ჰექტინის დამშლელ ბაქტერიებს დაეყოფთ კ. მირონოვის მიხედ- ვით, მაშინ იუკის ფოთლის ჰექტინის ნივთიერების დაშლის დროს მთავარი მნიშვნელობა *Gr. pectinovorum*-ს ექნება; კლოსტრიდიებიდან გვხვდება *Bac. amylobacter*-ისა და ერთეული სახით *Bac. felsineus*-ის ჩინოვიტი.

Խայտն գոտունու քիմիուրո Շեդցըննօլոնծուս գո անարոմիուրո ացպէցլքիս տա-
կուսեծնորեմ լադանծովունցնեմու լուրուստան, յըրմուգ յընագուս լուրուստան, Շեդ-
հրեմուտ, թենու նոցուրու գանսեցազեմու լունծուս արուցըն գոտունու քիմակուլքիս
գո աշխուս թերուց. յընագուս լուրուս լունծուս Շեմտեցցամու մըյրուուրցին մըյրէուս Շեցը-
գամուցցուլու Յըյրունու նոցուուրուեմատ գո աշխու ցարչուցուլու տանիմուլքուրուեմա-
դու ժարմունքն: Հյուր ունցեմ մոյահացու յընացունու Շեդցըննօլոնծուս մըյրու Յըյրունու
նոցուուրուեմու գո աշխու, Շեմլցը յը პրուցքու ցրուցլունքա յամենուրո Շերուս Յըյրունու
նոցուուրուեմանց գո աշխու տանունու ունցեմ մըյրունու նոցուուրուեմու գո աշխու,
հռմիլ-
սաց, լագունու արունենքումա Շըուցաց. ասյտ տանամուլքուրունծուս, հռցուրու Շեմուտ
ուսու արնունցուլու, ույյունու գոտունու Յըյրունու նոցուուրուեմու գուլունունու գո ա-
ցունու արու այցես. Յըյրունու նոցուուրուեմանու ույյունու գոտուունու, ույյու հռցուրու սեց.
գոտուունունու լուրունու լուրունու տայցուսու մըյրուտագու մասուտ մըյրուսկեմ
գո անսակցուրուեմուտ յո լուրունունու արունենքումանու. ցըուգուրմուսնու յո Յըյրունու
նոցուուրուեմանու Շեդարուեմուտ նակլունքա լու գայլցենուունու գանսակցուրուեմուտ
ասալու նեղանգուստ սելուս գոտուունու ույյունուս լու ցըուլուս նոցուուրուեմուտ.

იუკის ფოთლის პექტინის ნივთიერების დაშლა მიკროორგანიზმების მიერ იწყება ჯერ ლრუბლისებური პარენქიმიდან, ხოლო შემდეგ იგი ვრცელდება მესრისებურ პარენქიმასა და ეპიფერმისზეც. პექტინის ნივთიერების დაშლის პროცესის განვითარებასთან ერთად ფოთლის ზედაპირზე ჩნდება ლორწოვანი შრე და იწყება ზედაპირული ქსოვილების გამოყოფა ბოკეოვანი მასისაგან, მაგრამ ლბობა არ უნდა მიეცივანოთ პექტინისა და სხვა ინკრუსტაციული ნივთიერების საბოლოო დაშლამდე. იგი უნდა დამთავრდეს იმ მომენტში, როდესაც ხდება კავშირის დაშლა ეპიფერმისსა და ლრუბლისებრ და მესრისებრ პარენქიმის შრებს შორის, ჩომელთა შორის (სისქეზი) განწყობილი არიან ჭურჭელბოკეოვანი და ბოკეოვანი კონები. ხმელი ფოთლების ლბობა შეიძლება დამთავრებულიდ ჩითაგალოს, თუკი ბოკეოვან მასას ფოთლის ზედა ქსოვილები გათხევით აღვილად სკოლდება.

ასეთ მაცერაციაქნილ ფოთლებს გამჩერ მანქანაში თუ გავატარებოდა ამავე დროს გაურეცხავთ წყლით, შეიძლება მიღწეულ იქნეს ბოჟკოს სავსებით გასუფთავება მფარავი და სხვ. თანამგზავრი ქსოვილებისაგან.

“უკის ფოთლის ლბობის რეეიმი. ლბობის შედეგად მიღებული ტექნოლოგიური ეფექტი დამკიდებულია მთელი რიგი ფაქტორებისაგან, რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს იმას, რასაც ლბობის რეეიმს ვუწოდებთ. ლბობის ძირითად ფაქტორებს წარმოადგინს:

- ა) მასალის ლბობისათვის მომზადების ხისიათი;
 - ბ) სალბომ სითხეში მასალის დატვირთვის წესი და მასალის სიმკერივე;
 - გ) წყლის ტემპერატურა ლბობის დროს;
 - დ) წყლის რეეფიმი ლბობის დროს და
 - ე) ლბობის პროცესის დამაჩქარებლები.

ამ ფაქტორებიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია წყლის რეკომი და ლბობის პროცესის დამარჯარებლები, რაზედაც ქვემოთ შევწერდებით.

წყლის რეეიმის (წყლის მოდული და წყლის გამოცვლა) ლბობის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვთ სითხის მეცნიერობის აუგვის-ლიტებაში, ე. ი. მიკრორგანიზმების ცხოველმყოფელობის საქმეში.

ლბობის ლაბორატორიული ცდები ჩატარებული იყო წყლის რეეიმის შემდეგ ვარიანტებზე:

- 1) წყლის გამოცვლელად (კონტროლი);
- 2) ავზში წყლის მთლიანად გამოცვლა 24 საათის შემდეგ, ხოლო შემდეგ უცვლელად დატოვება ბოლომდე;
- 3) წყლის გამოცვლა ავზის მოცულობის ნახევარზე 24 საათის შემდეგ, ხოლო შემდეგ ავზის მოცულობის $\frac{1}{4}$ -ზე ყოველ ორ დღეში ერთხელ.

ზემოხსენებული ვარიანტებით ლბობა ჩატარდა ორი განმეორებით, სითხის ტემპერატურა — 34—35°C, მასალის წონა — 200 გრამი ხმელი ფოთოლი. ლბობის პროცესში ყოველდღიურად წარმოებდა სითხის მეცნიერობის განსაზღვრა.

წყლის რეეიმის შესახებ ცდების შედეგი მოგვყავს ქვემოთ:

ცხრილი 1.

იუკა ვარიანტები	სწარის საშუალო ტემპერატუ- რა	ლბობის სა- შუალო ბან- გრძლივობა (დღედამე- ბით)	სითხის საშუ- ალო მეცნი- ერობა	ბოლოს სა- შუალო გამო- სავალი ფოთ- ლიდან %-ით
1. წყლის გამოცვლელად . . .	34,5°	12	1,62	26,1
2. წყლის სრული გამოცვლა 24 საათის შემდეგ, ხოლო შემ- დეგ უცვლელად დატოვება	34,8°	10	1,47	26,6
3. ავზის წყლის $\frac{1}{4}$ -ის გამოც- ვლა 24 საათის შემდეგ, ხოლო შემდეგ წყლის $\frac{1}{4}$ -ის გამოცვლა ყოველ ორ დღე- ში ერთხელ	34,7°	10	0,95	26,0

ზემომოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ მიზანშეწონილია ლბობის დროს წყლის სრული გამოცვლა 24 საათის შემდეგ პროცესის დაწყებიდან, ხოლო შემდეგ განვაგრძოთ ლბობა ბოლომდე წყლის გამოცვლელად. უნდა ითქვას, რომ წყლის ხშირი გამოცვლა მაინც დამაინც კარგ შედეგს არ იძლევა ერთ-ჯერად გამოცვლასთან შედარებით.

ლბობის ქიმიური დამაჩქარებლები. როგორც ცნობილია, იუკის გამხმარი ფოთოლი ლაფანბოკერვანი კულტურების (კენაფის, ჯუთის და სხვ.) ლეროებთან შედარებით ძალიან ძნელად განიცდის გაჯირვებას და ლბობისათვის უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

იუკის ფოთლის მიკროქიმიური და ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მის ფოთოლში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მთრიმლავი და ფისის. ნივთიერე-

ბანი და ლაფონონებთან შედარებით ფოთოლი ნაკლები რაოდენობით შეიცავს პექტინს, ხოლო დიდი რაოდენობით — ლიგნინს. პექტინის ნივთიერებაზე კი უმთავრესად ძნელად ხსნად ფორმას ეცუთვის. იუკის ფოთლის შედეგნილობის შემოალნიშნული თავისებურებანი წარმოადგენს სწორედ მა ფაქტორებს, რომლებიც აპირობებენ ბიოლოგიური ლბობის პროცესის სიჩროლესა და ხანგრძლიობას. აქედან გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჭრისულ ნივთიერებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორგორუ საკვები ნივთიერებანი ბაქტერიისათვის და, მაშინადამ, მათი განვითარებისა და მოქმედების გაუმჯობესებისათვის ლბობის პროცესში. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ გამოვერკვადა — ლბობის პროცესშე რა გავლენა ექნებოდა ნახშირმეავა და ორნახშირმეავა ნატრიუმს, როგორც ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც (არიან რა ბუფერული ხასიათის), ერთი მხრივ, pH-ის მნიშვნელობას სითხეში 6—6,5 დონეზე შეინარჩუნებენ, ხოლო მეორე მხრივ, ბაქტერიების კვებას გააუმჯობესებენ.

ლბობა ზემოაღნიშნული ნივთიერების დამატებით ჩატარდა ლაბორატორიულ პარობებში ორი განმეორებით 200 გრამ გახსნარ ფოთოლზე; ცდის ყოველი ვარიანტისათვის ქიმიური ნივთიერებანი შეგვენნდა სითხეში წყლის სრული გამოცვლის შემდეგ, ლბობის დაწყებიდან 24 საათის შემდეგ, 0,5% -ის რაოდენობით ფოთლის წონიდან.

ლბობის პროცესის დამაჩარებლების გამოყენებაზე ჩატარებული ცდების შედეგები მოგვყავს ქვემოთ (იხ. ცხრილი 2 — საშუალო მონაცემები ორი განმეორებიდან).

ცხრილი 2

ვარიანტის № №-ლბობის პროცესის დამაჩარებლების ბით	კონს. მდგრ. გრ/ლ სილიკა სილიკონი სილიკონი	კონს. მდგრ. გრ/ლ სილიკა სილიკონი სილიკონი	დაჩარების %	კონს. მდგრ. გრ/ლ სილიკა სილიკონი სილიკონი	კონს. მდგრ. გრ/ლ სილიკა სილიკონი სილიკონი	კონს. მდგრ. გრ/ლ სილიკა სილიკონი სილიკონი
1. კონტროლი	34,8	10	—	1,56	5,42	26,7
2. $(\text{NH}_4)_2\text{CO}_3$	35,1	8	20,0	1,32	5,91	26,9
3. NH_4HCO_3	34,6	8	20,0	1,24	6,18	25,8
4. Na_2CO_3	34,8	8	20,0	1,02	6,25	26,7
5. NaHCO_3	34,9	8	20,0	0,92	6,42	26,6

მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ იუკის ფოთლის ლბობის დასაჩარებლად ნახშირმეავა და ორნახშირმეავა ამონიუმის შეტანას ერთგვარი დადგითო მნიშვნელობა აქვს, იგი ლბობის პროცესს 20%-მდე აჩარებს ყველა შემთხვევაში.

გარდა ქიმიური ნიეთიერებებისა, ლბობის პროცესის დასაჩქარებლად ჩვენ მიერ შესწავლილი იყო მიკროორგანიზმების ფერმენტები, როგორც ბიოლოგიური სტამულატორების, გავლენა. ამ მიზნით ჩვენ გამოვიყენეთ ბსენთ მიკროორგანიზმები, რომლებიც ლიგნინისა და ძნელად ხსნადი პექტინის, მთრიმლავი და ფისის ნიეთიერების დამშლელ ფერმენტებს შეიცავდნენ. ლიტერატურაში ცნობილია ასეთი მიკროორგანიზმები.

მაგალითად, კ. მირონოვი და მ. კოგანი აღნიშნავენ, რომ ფერმენტებს Bac. macerans და Bac. felsineus აქვთ პექტინის ნიეთიერების კარგად დაშლის თვისება და ხელს უწყობს ლიგნინისა და ფისის ერთგვარი რაოდენბის მოცილებას ბოკეოდან.

იჩენესკი აღნიშნავს აგრეთვე მთელ რიგ სოკობს (Rhisopus, Alternaria, Trametes pini, Penicillium, Aspergillus და სხვ.), რომლებიც ლიგნინის მთრიმლავი ნიეთიერების, ცილებისა და სხვ. დაშლის უნარის შემცნევა ფერმენტებს შეიცავენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ამოცანად დავისახეთ მიგველო ამ მიკროორგანიზმებიდან ფერმენტები და მათი საშუალებით გვემოქმედა ლბობის პროცესის დასაჩქარებლად. ამის საფუძველს გვაძლევდა აგრეთვე მთელ რიგ წარმოებებში ფერმენტების ფართოდ გამოყენება (ჩიის, თამბაქოს, პურის და სხვ.). ფერმენტების მიღების დროს ჩვენ გამოვიყენეთ კლუპტის მიერ დამუშავებული მეთოდით, შემდგომ წარმატებით გამოყენებული კ. მირონოვისა და მ. კოგანის მიერ ლბობის პროცესის დასაჩქარებლად კენატისა და სხვა ლაფინის მცენარეების ლბობის დროს.

ამ მეთოდით შეინარჩის შემდეგ ში მდგომარეობს: დასაწყისში, ბაქტერიოლოგიური დათესვის წესით, გამოყოფენ მიკროორგანიზმებს, რომლებიც შეიცავენ ამა თუ იმ ფერმენტებს. შემდეგ ამ მიკროორგანიზმებს აეკითარებენ ისეთი ნიეთიერებებით მდიდარ გარემოში, რომელთა მოშორებასაც ვისახავთ მიზნად ლბობის დროს (პექტინი, ლიგნინი, ტანიდები და სხვ.). მიკროორგანიზმების ზრდა-განვითარების განსაზღვრული პერიოდის გავლის შემდეგ გარემო სათანადო დამუშავებას განიცდის (სრესა, გაწურვა და სხვ.) და წყლით გამოიხდება. მიღებული კესტრაქტი, რომელიც ფერმენტს შეიცავს, ითვლება იმ სითხედ, რომელშიც უნდა ჩატარდეს ლბობა.

სოკოებიდან ფერმენტების მიღებისას გარემოს, როგორც ფერმენტის შემაგრივებლის გარდა, ჩვენ მიერ ლბობის აქტივატორად შემოწმებულ იქნა აგრეთვე სოკოების მიცელიუმები, წარმოქმნილი უკანასკნელთა ამა თუ იმ არეში ზრდის დროს.

ფერმენტებით ლბობა ჩატარდა ლაბორატორიულ პირობებში, ჟოველი ვარიანტისათვის 200 გ წონის მასალით.

ცდების შედეგები მოვყავს შემთხვევაში ცდრილში.

იუკის ხმელი ფოთლის ლბობა ფერმენტებით

ცხრილი 3

ლბობის ეპიგანტები	სითბის საშუალო ტემპერატუ- რა	ლბობის ხან- გრძლივობა დღელამობით	დაჩქარების %	სითბის pH-ი	ბოკის სა- შედარები მიმდინარეობის ფაზულებრივობის %
კონტროლი	33,4	12	—	5,42	26,7
Bac. felsineus	33,5	7	41,7	6,37	25,5
Bac. macerans	33,7	10	30,0	6,21	26,5
Rhisopus	33,7	10	30,0	6,01	26,0
Alternaria	33,4	12	—	5,72	26,5
Fusarium	33,7	10	30,0	6,20	25,2
Trametes pini	33,5	7	41,7	6,32	26,3
Aspergillus	33,6	8	20,0	6,02	25,8

ცხრილიდან ჩანს, რომ იუკის ფოთლის ლბობა ფერმენტების მონაწილეობით გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ჩვეულებრივი — საკონტროლოში.

იუკის ფოთლის ლბობის პროცესის დაჩქარება $20-42\%$ -ს აღწევს. ფერმენტებით ლბობა სითბის pH-ს გვაძლევს 6,0-დან 6,5-მდე, ნაცვლად 5,4 და 5,5-სა ჩვეულებრივად ლბობის დროს.

პიმიდან ხარჯები

იმასთან დაკავშირებით, რომ ბიოლოგიური ლბობის შედეგად იუკის გამხმარი ფოთლების მაცერაცია შედარებით მაინც ძნელად მიმდინარეობს, ჩვენ შევისწავლეთ ფოთლის ქიმიური გადამუშავების საკითხებიც. გამოკველევის ჩატარებას საფუძვლად ის გარემოება დაედო, რომ ფოთლის შედგენილობაში მყოფი ძირითადი კომპონენტები (პექტინი, ცელულოზა, ლიგნინი, მირიმლავი ნივთიერებები და სხვ.) ქიმიური რეაგენტების მოქმედებით რამდენადმე სხვანაირად იცვლიან თვისებებს, ვიდრე ბიოლოგიური ლბობის დროს. მაგ., თუ პექტინის ნივთიერებანი ბიოლოგიური ფაქტორების შეგავლენით ძალიან ნელა იშლება, მათი ჰიდროლიზი სწრაფად მიმდინარეობს, როდესაც დულილს ვაწარმოებთ მევას ან ტუტის მონაწილეობით. შედარებით ადვილად მიმდინარეობს ჰიდროლიზი ძნელად ხსნადი პექტინებისა, რომელნიც ბიოლოგიური გზით ძალიან ნელა იშლება.

ქიმიური ხარშვა კარგ შედევს იძლევა ლიგნინის დაშლის თვალსაზრისითაც. უკანასკნელი, როგორც ვიცით, მიკროორგანიზმების მოქმედებით უფრო ძნელად იშლება, ვიდრე ცელულოზა. მევებით და ტუტებით ხარშვის

დროს კი იგი თითქმის მთლიანად იხსნება, მაშინ როდესაც ცილულია მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებას განიცდის.

მორიმლავი ნივთიერებანი, განსაკუთრებით პიროვატებინის ჯვაფის, ტუტისა და მეავის მონაწილეობით დუღილის დროს აგრძოფე იქნება, მაშინ როდესაც ლბობის დროს ისინი თითქმის უცვლელი ჩატებიან.

უცხოურ ლიტერატურაში არის ზოგიერთი მონაცემი იმის შესახებ, რომ ტროპიკული ფოთოლბოჭყვანი კულტურების ისეთი ბოჭყოს დართვითი თვისებების გასაუმჯობესებლად, რომელსაც ახლად მოკრილი ნედლი ფოთლიდან ღებულობენ, ფოთლის მექანიკური გზით ან ხელით პრიმიტულად გადამუშავების შემდეგ, დამატებით ამჟავებენ მეავის ან სხვა რომელიმე სსნარში ხარშეით.

იუკის ფოთლებიდან სელის ან აბრეშუმისმაგრარი ბოჭყოს მიღების მიზნით ზოგიერთი გერმანელი ავტორი მიუთითებს ახლად მოკრილი ფოთლის გადამუშავებაზე ტუტიან სსნარებში. ამ შემთხვევაში სსნარის ტემპერატურა აყვანილი უნდა იქნეს დუღილის წერტილამდე, ხოლო შემდეგ მასალა დამუშავდეს ქლორით. ალფა-ცელულოზას მიღების მიზნით გერმანიაში იუკის ფოთლებიდან მიღებულ ბოჭყოს პიპოქლორიტით ამჟავებდნენ ტუტებთან, ქლორის ორეანგთან, გოგირდმეუავა ნატრიუმთან და სხვა დეფიციტურ რეაქტივებთან ნაერთში.

საბჭოთა ლიტერატურაში არის მონაცემები მხოლოდ სელის, კანაფისა და კენაფის გამხმარი ლეროების ქიმიური გადამუშავების შესახებ. დავეყრდნობით რა ძირითადად საბჭოთა მეცნიერების გამოცდილებას, ამ დარგში ჩვენ საკიროდ ვცანით შევჩერებულიყავით გამხმარი ფოთლის ხარშევაზე ტუტიან სსნარებში.

ტუტიან სსნარებში ხარშევა. გამხმარი ფოთლების ტუტიან სსნარში ხარშევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ბოჭყოსათვის ცელულოზის თანამგზავრ ნივთიერებათა ჩამოშორება, ფოთოლზე ცხელი ტუტიანი სსნარის მოქმედებით. ტუტიანი სსნარის ტემპერატურა და კონცენტრაცია, აგრეთვე ხარშევის ხანგრძლიობა იმგვარად გაანგარიშებდლი უნდა იქნეს, რომ გადამუშავების შემდეგ არ მიეიღოთ შემცირებული სიმაგრის ბოჭყო. ტუტიან სსნარებში ფოთლის დამუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე მოცემული პროცესის თავისებურება, რაც იმაში მდგრმარეობს. რომ თანამოსახელე და ქიმიკატების მიმართ ერთგვარად რეაგირების უნარის მქონე ნივთიერებანი ფოთლიდან უნდა განიდევნოს და ნაწილობრივ დარჩეს კიდევ ბოჭყოზე. მაგალითად, პექტინის ნივთიერებისაგან ბოჭყოს სრულიად გაწმენდას შეიძლება მოპყვეს მისი „მუმბლიანობა“, ხოლო ამ ნივთიერების ზედმეტად დარჩენა იწვევს ბოჭყოების ერთმანეთთან შეწებებას.

როგორც ვიცით, ბოჭყოვან მცენარეებში პექტინი და სხვა შემწებავი ნივთიერებანი წარმოადგენენ—ლიოფილურ კოლოიდებს. რეაქტივების—ელექტროლიტების გაელენით ეს ნივთიერებანი—კოლოიდები შეიწოვს ტენსის, იჯირჯვება და მიღების რა ერთსა და იმავე მუხტს, ერთმანეთისაგან განიზიდება.

ასეთი დანაშილების დროს კოლოიდების ნაწილაკები ძლიერ წვრილ-მანქება და ერთსა და იმავე მუხრით დატვირთვის გამო ერთმანეთს ვერ უჩიტენება და ადვილად გამოყოფა მცენარეთა ქსოვილებისაგან.

ტურების ხანგრძლივი მოქმედებით შეიძლებოდა ყველა კოლოიდური ნივთიერება გამოვიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ქიმიურ შემთხვევაში გამოვიყება თავისი ყველაზე დიდი უპირატესობა — სისწრაფე.

აქედან გამომდინარე, ფოთლიდან ბოჭკოს გამოყოფის პროცესის დაწესებისათვის საჭირო გადამუშავების ისეთი რეების შეჩრევა, რომლის დროსაც ქიმიურ ფაქტორებთან ერთად ადგილი ექნება მაცერირებული ფოთლების ქსოვილებზე მექანიკურ ზემოქმედებას.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ ქიმიური ანალიზის შინედვით ფოთლის ხარშეის დროს კოლოიდები, რომლებიც გადადიან ხსნარ-ში და რჩებიან ბოჭკოზე იდენტური არიან.

მათი სხვადასხვანაირი ხსნადობა მხოლოდ კოლოიდების იმ ნაწილების „მოლეკულების“ სიდიდით უნდა აისხნას, რომლებიც ბოჭკოზე რჩებიან. მაგრამ, რადგანაც კოლოიდების ეს ნაწილი ლითოფილებს წარმოადგენს, ამიტომ ისინიც შთანთქმას ტენს და იჯირჯვება. ამის გამო კავშირი მათ შორის სუსტდება და სანამ ისინი ტენს შეიცავს ზეწებების უნარი არ ექნება.

ამის გამო მფარავი ქსოვილი, რომელიც შრობის დროს, ე. ი. კოლოიდებიდან ტენის მოშორებისას, ხელახლა მტკიცედ ზეწებებული ხდება ბოჭკოთ, სველი სახით ადვილად ძროება ბოჭკოდან.

მივიღეთ რა მხედველობაში კოლოიდების თვისება გაჯირჯვების დროს დაკარგონ ზეწებების უნარი, ჩენ საჭიროდ ჩავთვალეთ ქიმიური ხარშეის შემდეგ მაცერირებული ფოთლები სველი სახით დაგამუშაოთ გამჩეჩ მანქანაში და შემდეგ გაურეცხოთ წყლით. მანქანის შოლტების დიდი სისწრაფით დარტყმის გამო ფოთლის მფარავი ქსოვილი ირლევეა და ხდება ბოჭკოდან პარენქიმის ქსოვილის ძრო, ხოლო წყლის ძლიერი დენი ხელს უწყობს ბოჭკოდან მფარავი და პარენქიმის ქსოვილის ჩამორეცხვასა და პექტინის ნივთიერებათა ხარჩენების ჩამოშორებას.

ამის გამო ხარშეის პროცესი, ჩვენი აზრით, ბოჭკოების სრულ დანაშილებამდე არ უნდა მივიყანოთ, არამედ იგი უნდა დაკამთავროთ იმ მომენტში, როდესაც პექტინის ნივთიერების დაშლისა და გაჯირჯვების გამო მფარავი და პარენქიმული ქსოვილები ადვილად სცილდება ბოჭკოები შრეს, ფოთოლზე მანქანის მომუშავე ორგანოების ზემოქმედების გამო.

ზემოაღნიშვნული თეორიული მოსაზრებების საფუძველზე ჩავატარეთ ცდები იუკის გამხმარი ფოთლის ხარშების ნატრიუმის ტუტისა და კალცინირებული სოდის ხსნარით, როგორც შედარებით მეტად გავრცელებული ტუტიანი რეაქტივებით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ყოველი ხარშეის შემდეგ მაცერირებული ფოთლები ტარდებოდა M-2 ტიპის საჩეჩ მანქანაში, წყლით გარეცხვით. ყოველი ვარიანტისათვის საცდელად ილებული ფოთლის წონა 300 გ უდრიდა, NaOH-ის კონცენტრაცია იყო 8 გ ლიტრ წყალზე, კალ-

კინირებული სოლის კონცენტრაცია კი 10 გ ლიტრ წყალშე, ხსნარის ტემპერატურა იყო 95°C.

ხარშვის ხანგრძლივობის გარიანტები იყო 15, 30, 60, 90 და 120 წუთი.

ხარშვის ცდებმა NaOH-ის ხსნარში შემდეგ გვიჩვენა:

იუკის ფოთლის ქსოვილებს სრული მაცერაცია ემჩნევა 60—90 წუთის განმავლობაში. მანქანაში ასეთი ფოთლების გატარების შემდეგ ტემპერატურაზე კარგად დანაშილებულ რბილ ბოჭკოს, რაც იმას გვიჩვენებს, რომ NaOH იუკის ფოთლებისათვის კარგ რეაქტივს წარმოადგენს, მაგრამ რაღაც აც NaOH დეფიციტური რეაქტივია, ერთდროულად ცდები ჩატარებული იყო კალცინირებული სოლის გამოყენებით, როგორც შედარებით ნაკლებდეფიციტური რეაქტივით. ცდებმა გვიჩვენა, რომ ფოთლის ქსოვილების საკმაოდ სრული მაცერაცია კალცინირებული სოლის ხსნარში ხარშვის დროს 2 საათის შემდეგ ხდება. მანქანაში ასეთი ფოთლების გადამუშავების შემდეგ, როგორც პირველ შემთხვევაში, საკმაოდ კარგი ხარისხის ბოჭკოს ვლებულობთ.

760806 ძველ რაოდის დამუშავება

სუბტროპიკული ფოთოლბოჭკოვანი კულტურების ფოთლების ორთქლით დამუშავების შესახებ არც საბჭოთა და არც უცხოურ ლიტერატურაში არა-ვათარი ცნობები არ მოიპოვება. საბჭოთა ლიტერატურაში ვხვდებით ცდებს მხოლოდ სელისა და ზოგიერთი სხვ. ლაფნოვის ლეროს დაორთქველით დამუშავების შესახებ.

ცნობილია, რომ ლაფნანი მცენარეების პექტინის ნივთიერება და ლიგნინი მაღალ ტემპერატურაზე, წნევის ქვეშ, წყალში ხარშვის დროს ჰიდროლიზს განიცდის. ამ პროცესის დროს სახარშ ხსნარში ორგანულ ნივთიერებათა (კერძოდ წყალში ხსნადი ნახშირწყლების, აზოტისა და სხვ. ნივთიერებების) დაშლის შედეგად შეიძლება მევავები წარმოიქმნას. სახარშ ხსნარში მევავების დაგროვება ხელს უწყობს პექტინის ნივთიერებათა უკეთეს ჰიდროლიზს.

მასალის დაორთქველით წნევის ქვეშ, ე. ი. მისი დამუშავებით ორთქლით გაფლენთილ არეში, პექტინისა და სხვა ინკრუსტაციული ნივთიერებების ჰიდროლიზი ძირითადად ხდება ამ ნივთიერებებზე მაღალი ტემპერატურის მქონე ორთქლის მოქმედების გამო.

მაგრამ იმისათვის, რომ იუკის ფოთლის დაორთქველა, ე. ი. პექტინისა და სხვა ნივთიერებათა ჰიდროლიზი, სრულად მოხდეს, საჭიროა ეს ფოთლები, მსგავსად ლაფნოვან მცენარეთა ლეროებისა, წინასწარ დავილბოთ ცხელ წყალში, რის შედეგადაც პექტინისა და შემწებავ ნივთიერებათა გაჯირვება ხდება. ამ მდგომარეობის მხედველობაში მიღებით, რომ დაორთქველის წესით ფოთლის დამუშავებას შეიძლება დიდი უპირატესობა პქონდეს ქიმიურ ხარშვისათვის შედარებით, ჩვენ ჩაიგრავეთ ცდები წნევის ქვეშ დაორთქველის წესით იუკის ფოთლის დამუშავებაშე.

ორთქლის საშუალებით ფოთლის დამუშავების ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს დაორთქველის ხანგრძლივობა და ტემპერატურა აეტოლავში, დაორთქველამდე ფოთლის გალბობის ხანგრძლივობა და წყლის ტემპერატურა. 9. ზროგვები

Հայոց Տէղական Առաջնորդութիւնը մշտական է (օ. Հեր. 4).

ପ୍ରକଳ୍ପିତ ୫.

ს ე რ ი ნ ი ტ	გალობრა		დაორთქველა		ორგანიზაციური შეფასება		
	ტემპერა- ტურა C°	წუთობით	ატმოსფერ- ოსული წნევა	ტემპერა- ტურა C°	წუთობით	მაცერაციის მდგრადიობა	ბოჭკოს ჩარისხ
1	50	20	0,5	110,0	180	სრული მაცერა- ცია	ბოჭკო საცმაოდ განშრევებულია
2	"	"	1,0	119,6	90	"	და შედარეგისთ სულთა
3	"	"	"	"	120	"	(ალაგ-ალაგ ემინევა შინარე- ვები და გაჭუბ- ყანება)
4	"	"	1,5	126,7	60	"	
5	"	"	"	"	90	"	
6	"	"	2,0	132,8	40	"	ბოჭკო განშრე- ვულია, მაგრამ შეტენისა
7	"	"	"	"	60	"	
8	"	"	3,0	142,9	30	"	
9	90	60	0,5	110,0	180	სრული მაცერა- ცია	ბოჭკო სულთაა, კრგად გააშრე- ვებული
10	"	"	1,5	126,7	60	"	
11	"	"	2,0	132,8	40	"	ბოჭკო სულთაა, მაგრამ შეტად განშრევებული და შეტა
12	"	"	3,0	142,8	30	"	

ცდებმა გვიჩენია, რომ უფრო სუფთა და კარგად განშრევებული ბოჭკო
მიიღება გამხმარი ფოთლების დაორთქვლით 0,5 ატმოსფეროს წნევით 180 წუ-
თის განმავლობაში და წინასწარი გალბობით წყალში 90°C დროს 60 წუთის
განმავლობაში.

გალბობის ნაკლებინტენსიური რეემის დროს ბოჭკო მიიღება უფრო მუქი, განსაკუთრებით 2-3 ატმოსფეროს წნევით დაორთქველის დროს, მაგრამ პროცესის შედარებით ნაკლები ხანგრძლიობისას.

ზემოსხვნებული მდგომარეობა იმით აისხნება, რომ იუკის ფოთლები და-და, რაოდენობით შეიცავს ექსტრაქტულ ნივთიერებებს, რომლებიც გალბო-ბის შედარებით სუსტი რეაქტის დროს ვრჩ ასწრებენ საჭირო რაოდენობითა

და ხარისხით წყალში გადასცლას, ფოთლებში რჩებიან და დაორთქვლის შემდეგ ბოკეოს მუქად შეფერვას იწვევენ.

ცალკეულ შემთხვევაში ბოკეოს გამუქება ემჩნეოდა აგრეთვე ოპტიმალური რეჟიმის დროსაც. ზემოსხვნებული მოვლენა იმაზე მიგვიყენოუნდა რომ იუკის ფოთლებისათვის აუცილებელია გაძლიერებული წინასწარი გადაჭრება წყალში. ამ გაღმობის მიზანს უნდა შეადგენდეს წყალში ხსნადი ნივთიერებების საუკეთესო ექსტრაქცია ფოთლებიდან.

წყალში ხარშვა წნევით დაორთქვლის წესით იუკის გამხმარი ფოთლების დამუშავებამ ცხადყო, რომ ეს მეთოდი არ იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგს ბოკეოს ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნების მხრივ, რადგან, როგორც აღნიშნული იყო, ბოკეოს მუქი ფერისას ვდებულობთ. ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ დაორთქვლის დაწყებამდე გაღმობა თუმცა აუმჯობესებს ხარისხს, მაგრამ მაინც არ იძლევა წყალში ხსნადი ნივთიერებების სრული ექსტრაქციის საშუალებას. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ჩვენ ჩავატარეთ ცდები იუკის გამხმარი ფოთლების წყალში წნევით ხარშვაზე. ამ შემთხვევაში ჩვენ გვერდი ერთგვარი წინასწარი მონიცემები ლაფონვეანი მცენარეების, კერძოდ კენაფის და სხვ., წყალში წნევით ხარშვის შესახებ. ცდებით დამტკიცდა, რომ ცელულოზა წყალში ხანგრძლივად ხარშვის დროსაც არ განიცდის არსებით ცვლილებებს. პექტინის ნივთიერებანი თუმცა უფრო ნელა იშლება ვიდრე დაორთქვლის დროს, მაგრამ მათი პიდროლიში უფრო სრულად მიმდინარეობს გალაქტურონის მეავას, სპირტების, შაქრებისა და რიგი სხვა პროდუქტების წარმოქმნით.

ხარშვის დროს ექსტრაქტული ნივთიერებანი ხახარშ ხსნარში გადადის, რაც სითხის მეავიანობას ამ ნივთიერებათა დაშლის გამო ადიდებს. სითხეში მეავიანობის გადიდება კი ხელს უწყობს პექტინისა და სხვა ინკრუსტაციულ ნივთიერებათა პიდროლიშის უკათ მიმღინარეობას.

მაცერინებული ფოთლების ხარშვის შემდეგ დამუშავება ხდებოდა ისე, როგორც დაორთქვლის შემდე M-2 ტიპის საჩერ მანქანაში წყლით გარეცხვით.

იუკის ფოთლების ხარშვა შემდეგი ვარიანტებით ჩავატარეთ (იხ. ცხრ. 5).
ცხრილი 5.

დანართების ნომერი	ატმ წნევა	ტემპერატურა C	ხანგრძლივობა წუთობით
1	1,0	119,6	90
2	1,5	126,7	60
3	"	=	90
4	2,0	132,8	60
5	3,0 რამ	142,9	30

იუკის ფოთლის ხარშვის შედეგები ყველა ვარიანტისათვის სრულიად დამატაყოფილებელი მივიღეთ. მაცერირებული ფოთლების დამუშავებისას ბოჭკო ძალიან კარგად ირეცხებოდა მთარავი ქსოვილისა და სხვა მინარევებისაგან და ბოჭკოს ვლებულობით ღია ყავისფერის და თანამარი შეფერვით. ყველაზე ღია ფერის და მაგარი ბოჭკო მივიღეთ 1, 2 და 3 კარიანტის-დროს, ე. ი. 1 და 1,5 ატმოსფეროს წნევით ხარშვის დროს.

დასკვენები: ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შილებული მთელი რივ ლონისძიებებთან დაკავშირებით, რომლის მიზანია ჯუთის ბოჭკოს იმპორტისაგან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება და ნედლეულის საეჭ-თარი ბაზის შექმნა, საბჭოთა კავშირის სუბტროპიკულ და ზოგიერთ სამხრეთ რაიონებში წარმატებით შეიძლება განვითარდეს ფოთოლბოჭკოვანი კულტუ-რები, რომლებიც სინალისა და მანილის ტიპის ბოჭკოს შეიცავენ.

ამ სუბტროპიკული კულტურების ფართოდ განვითარებას წინ ელობება პირელადი გადამუშავების პროცესების სირთულე და დიდი შრომატევადობა. ამ მხრივ უცხოეთში გამოყენებული წესი ფოთლების ნედლი სახით გადამუშა-ვებისა, რაც პრიმიტულ წესებსა და კოლონიური ქვეყნების იაფად ლიჩებული მუშახელის გამოყენებას ემყარება, ჩვენს პირობებში გამოუსადეგარია.

1. იუკის გამხმარის-ფოთლის ანატომიურ-მიკროქიმიურმა და ქიმიურმა გამოკლევამ გვაწვენა, რომ მისი ფოთოლი, როგორც ქსოვილის აგებულებეს ასევე ქიმიური კომპონენტების შედეგისათვის მხრივ, შესაჩინევად განსხვავდება ტექნიკაში ცნობილი სართავი მცენარეებისაგან, როგორიცაა—სელი, კანაფი, კენაფი და სხვ.

2. იუკის ჭურჭელბოჭკოვანი კონები ღრუბლისებრ და მესრისებრ პარენ-ქიმიაშია და, ლაფნიანი მცენარეების ლეროსაგან განსხვავებით, ორი მხრიდან ფარგლები ფლოემასა და ქსილემას ერთმანეთთან კომპაქტური განწყობით. ეს გარემოება იმაზე მიგვითითებს, რომ იუკის ფოთლიდან შეიძლება მტკიცე ტექნიკური ბოჭკოს მიღება; გარდა იმ ბოჭკოებისა, რომლებიც გვხვდება ჭურ-ჭელბოჭკოვან კონებთან ერთად, საქმაოდ დიდი რაოდენობითაა პარენქიმულ ქსოვილში ცალკეული ჯგუფი ქსოვილებისა, რომელთა მაცერაცია გაცილებით ადგილად მიმდინარეობს.

3. იუკის ბოჭკოვან კონებს ლიგნოცელულოზური თვისებები აქვს, მაგრამ შედარებით ნაკლებად გამოსახული, ვიდრე ეს ახალი ზელანდიის სელისა და დრაცენას შემთხვევაშია.

ფოთოლი შეტად გაელენთილია მთრიმლავი ნივთიერებით, ახალი ზელან-დიის სელისა და დრაცენას ფოთლისაგან განსხვავებით. იუკის ფოთოლი აგრეთვე შეიცავს ადგილად ხსნად პიროგალოლის ხასიათის ნივთიერებებს (ტანიდებს). მთრიმლავ ნივთიერებებთან ერთად იუკის ფოთოლი გაელენთილია კიდევ ფისის ნივთიერებით.

4. ლიგნინის იუკის ფოთლები უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს, ვიდ-რე სელი და კანაფი, მაგრამ ნაკლებს, ვიდრე კენაფი, ჯუთი და შეია. ფო-თოლბოჭკოვანებთან შედარებით იუკა უფრო ნაკლები რაოდენობით შეიცავს ლიგნინს, ვიდრე ახალი ზელანდიის სელი და დრაცენა.

5. იუკის გამხმარი ფოთლის ბიოლოგიური ლბობის პროცესი, სევე, როგორც ლაფტიანი მცენარეების, სამ ფაზად მიმღინარეობს:

- ა) ფიზიკური ფაზა;
- ბ) წინასწარბოლოგიური ფაზა;
- გ) ძირითადი ბიოლოგიური ფაზა.

6. პექტინისა და სხვა ინკრუსტაციულ ნივთიერებათა დუღილი მესამე ფაზის დროს დაბირობებულია *Granulobacter pectinovorum* და *Bac. amylobacter*-ის ტიპის ბაქტერიებით — ჩხინებით.

Bac. felsineus-ის ტიპის ბაქტერიები, რომლებიც პექტინის ნივთიერების დამშელებ აქტიურ მიკროორგანიზმებს წაომოადგენენ, მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში გვხვდება. პექტინისა და სხვა ინკრუსტაციულ ნივთიერებათა დუღილის გამო ლბობის მესამე ფაზის დროს სალბოდ სითხეში გროვდება ერბოსა და ძმარმებავა, წყალბადი, ნახშირორეანგი და გოგირდწყალბადი.

7. ლბობის პროცესში ფოთლობზე ჩატარებულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ აქ ფოთლის მაცერაცია ცოტა სხვა თანამიმდევრობით მიმღინარეობს, ვიდრე კენაფისა და სხვა ლაფტიანი მცენარეების ლეროების ლბობის დროს.

ზემოხსენებული მცენარეების ლეროს ლბობის შემთხვევაში ჩვეულებრივად ჯერ ეპიდერმისის ქსოვილის პექტინის ნივთიერებათა დაშლა ხდება, შემდეგ — კაბიტური შრის, და ბოლოს — ლაფტის პარენქიმის. ფოთლობოკერების შემთხვევაში კი დასაწყისში იშლება ლრუბლისებრი პარენქიმის, შემდეგ მესრისებრი პარენქიმის, ბოლო — ბოლოს ეპიდერმისის ქსოვილის პექტინის ნივთიერება.

8. იუკის გამხმარი ფოთლების ლბობა მიზანშეწონილია ჩატარდეს წყლის ტემპერატურის $33\text{--}35^{\circ}\text{C}$ დროს, ხოლო წყლის ჩასხმიდან 24 საათის გასვლის შემდეგ წყალი მთლიანად უნდა გამოიცვალოს და იმავე ტემპერატურის ახალი წყალი ჩაისხას.

9. იუკის ფოთლების ლბობის პროცესი შეიძლება საგრძნობლად დაგანქაროთ (40% -მდე) კერძოდ *Bac. felsineus* ანდა ხის დამშელები სოკოს — *Trametes pini*-ს მიერ გმოყოფილი ფერტინტების გამოყენებით.

ლბობის დასაჩქარებლად შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე სალბობ სითხეზე ნახშირმებავა ან ორნაბშირმებავა ამონიუმის ან ნატრიუმის დამატება ფოთლის წონის $0,5\%$, რაოდენობით (წყლის სრული გამოცვლის შემდეგ).

10. იუკის ფოთლის ლბობისათვის საქართვა შემდეგი მოწყობილობა:

- ა) სალბობი აქზი, მოწყობილი წყლის გამოსაცელელი და გამთბობი არმატურით.

ბ) დამთელავი-გამჩენი მანქანა HII—9 ტიპისა.

11. ასეთი წყისთ გადამუშავებული იუკის ფოთლობი შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

გრძელი ტემპერატური ბოჭკოს გამოსაცელი საშუალოდ — $26,2\%$,

საშუალო სიმაგრე — $26,2$ კგ,

წყვეტითი სიგრძე — $17,3$ კმ.

12. იუკის გამხმარი ფოთლების მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებამ გვიჩვენა, რომ მაღალხარისხის ბოჭკოს მისალებად დაორთქვლის პრო-

ცესში აუცილებელია ფოთლის წინასწარი ხანგრძლივი გაღმობა ცხელ წყალში (90°C), რაც დიდი რაოდენობით ორთქლის ხარჯვას მოითხოვს და არაეკონომიურია.

13. ქიმიური რეაქტივებით (NaOH და კალციუმირებული სოდი) იუკის გამხმარი ფოთლების დამუშავებით თუმცა დამაკმაყოფილებული ხარისხის ზოქ-კოს ვლებულობა, მაგრამ ეს ჭესი მაინც არ შეიძლება რეკომენდებულ იქნეს გამოსაყენებელი რეაქტივების დეფიციტურობისა და სიძირის გამო.

14. იუკის გამხმარი ფოთოლი საესებით დამაკმაყოფილებლად შეიძლება გადამუშავდეს წყალში ხარშეით 1 ატმოსფეროს წნევით 90 წუთის განმავლობაში, ამ 1,5 ატმოსფეროს წნევით 60 წუთის განმავლობაში. ამ შემთხვევაში სახარში ხსნარი დიდი რაოდენობით შეიცავს მეავებს, გადასამუშავებელი მასალის პიღროლიზი ჭარბი ტენიანობის პირობებში მიმდინარეობს, რაც კერტინის და სხვა ინქრუსტაციული ნივთიერებების სრული დაშლას აპირობებს, ვიდრე ეს იყო დაორთველის დროს.

15. იუკის გამხმარი ფოთლის გადამუშავების ჩვენ მიერ შესწავლილი მეთოდებიდან უბირატესობა უნდა მივიყეთნოთ პირველ რიგში ლბობას, ხოლ შემდეგ—წყალში ხარშეას დაფგენილი რეუიმით.

Х. Б. ШАЛАМБЕРИДЗЕ

Кандидат с./х наук

ТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ СВОЙСТВА ЛИСТЬЕВ И ВОЛОКНА ЮККИ И МЕТОДЫ ПЕРВИЧНОЙ ПЕРЕРАБОТКИ

РЕЗЮМЕ

Для покрытия недостатка в жестких лубяных волокнах Союзная текстильная промышленность вынуждена использовать импортное волокно джута и сизали.

Для освобождения от импорта джутового волокна партия и правительство принимают серьезные меры по созданию отечественной сырьевой базы джутовой промышленности путем развития культур джута, кенафа и канатника.

В субтропических и некоторых южных районах Советского союза могут успешно культивироваться лиственново-волокнистые культуры, листья которых содержат волокна типа сизали, среди которых особое место занимает культура юкки.

Из всех лилейных растений юкка является самым морозостойким. Бесстебельные формы выдерживают, при достаточном количестве снега, морозы до минус 30°C . Она является ценным растением для использова-

ний в мелиоративных целях (закрепление песчаных почв, склонов, подвергающихся размыву, устройства лесных полезащитных полос и др.), т. к. она имеет мощно развитую корневую систему, основная масса которой развивается на глубине 20—50 см.

Широкому освоению этих субтропических растений препятствуют трудоемкость первичной обработки и недостаточно глубокое изучение физико-механических и анатомо-микрохимических свойств листа и волокна.

Целью работ явилось изучение технологических свойств листьев и волокна и изыскание промышленных методов обработки сухих листьев юкки для получения волокна типа сизали.

1. Урожай воздушно-сухих листьев юкки, в зависимости от густоты стояния растений, колеблется с га—от 5 до 8 тонн.

Из разных видов юкки наибольший интерес для текстильной промышленности представляют: из бесстебельных форм—юкка нитчатая (*Lucca filametosa*), а из короткостебельных—юкка прекрасная (*Lucca gloriosa*).

2. Химический состав листьев юкки следующий: золы—3,42%, азота—1,07%, пектиновых веществ—3,38% (в том числе легкорастворимых—1,97%, труднорастворимых—1,41%), лигнина—9,4%, целлюлозы—29,03%, дубильных веществ—1,23%.

3. Выход волокна из листьев юкки нитчатой (в пересчете на воздушно-сухие листья) колеблется в зависимости от качества листа и условий обработки—от 15 до 30%, а выход волокна от зеленой массы—от 4,9 до 10,2%.

4. Анатомо-микрохимические и химические исследования сухих листьев юкки показали, что эти листья как по строению тканей, так и по составу химических компонентов отличаются от известных в технике лубяных растений льна, конопли, кенафа, рами и др.

5. Сосудисто-волокнистые пучки находятся в губчатой и столбчатой паренхиме листа и, в отличие от стебля лубяных растений, они с двух сторон окружают флоэму и ксилему листа при компактном расположении друг к другу.

Это указывает на возможность получения из листьев юкки прочного технического волокна.

6. Листья юкки сильно пропитаны дубильными веществами пирогаллового характера. Наряду с дубильными веществами листья юкки пропитаны еще и смолами.

По содержанию лигнина листья юкки превосходят лен и коноплю, но уступают кенафу, джуту и канатнику.

7. Процесс биологической мочки сухих листьев, так же как и стеблей лубяных растений, протекает в три фазы: а) физическая фаза, б) предварительная биологическая фаза, в) основная биологическая фаза.

Брожения пектиновых и других инкрустирующих веществ при третьей фазе мочки листьев юкки обусловливается бактериями—палочками типа

granulobacter pectinovororum и *Bac. amylobacter*, а в единичных случаях встречается бактерия типа *Bac. felsineus*.

В результате сбраживания пектиновых и других инкрустирующих веществ при третьей фазе в мочильной жидкости происходят насыщения масляной и уксусной кислот, водорода, углекислоты и сероводорода.

Кислотность жидкости в течение всего процесса мочки юкки имеет сравнительно низкий показатель—1,48;

8. Исследования изменений листьев юкки в процессе мочки показали, что макерация листьев протекает несколько в иной последовательности, чем при мочке стеблей кенафа и других лубяных растений. При мочке листьев юкки сначала разлагаются пектиновые вещества губчатой паренхимы, затем столбчатой паренхимы и под конец эпидермальной ткани.

9. Мочку сухих листьев юкки желательно проводить при температуре воды 33—35°C, причем после 24 часов от залива листьев водою последняя полностью сменяется и заливается свежей водой указанной температуры.

10. Процесс мочки листьев юкки можно значительно (до 40%) ускорить путем применения ферментов от активной пектиноразлагающей бактерии—*Bac. felsineus* или же от дереворазрушающего гриба *Trametes pini*. Для ускорения процесса мочки юкки можно также применять добавление к мочильной жидкости углекислого или двууглекислого аммония или натрия в количестве 0,5% к весу листьев (после полной смены воды через 24 часа).

Конечный водный модуль 1:18—20.

11. Для мочки листьев юкки необходимо иметь следующее оборудование:

а) мочильные баки, оборудованные арматурой для обеспечения смены и подогрева воды;

б) мяльно-трепальная машина типа НП—9.

12. Листья юкки, переработанные вышеуказанным способом дают следующие показатели: выход длинного технического волокна в среднем—26,2.

Средняя крепость волокна—26,2 кг.

Разрывная длина—17,3 км.

13. Для получения качественного волокна из сухих листьев юкки в процессе пропарки необходима продолжительная предварительная замотка их в горячей (90°C) воде, так как листья юкки перед пропариванием нуждаются в более полном удалении экстрактивных веществ, чем другие лиственноволокнистые.

Применение длительной замотки в воде при температуре 90°C потребует расхода большого количества пара, что будет экономически невыгодным.

14. Опыты показали, что достаточно полная макерация тканей листа юкки происходит при варке в растворе едкого натра в течение 60—90 мин.

В связи с тем, что едкий натр является дефицитным химикатом, одновременно были проведены опыты по выяснению возможности и получения волокна при варке сухих листьев в растворе кальцинированной соды в течение 2-х часов.

После обработки на машине мацерированного листа, ⁰²⁴¹³⁶³⁷ так же как и при варке с едким натром, получается чистое, мягкое и хорошо расщепленное волокно. Несмотря на вышеуказанное, этот метод нельзя рекомендовать из-за дефицитности и дороговизны реактива.

15. Сухие листья юкки могут быть вполне удовлетворительно обработаны для получения волокна при условии варки в воде под давлением в 1 атм. в течение 90 м или 1—5 атмосферы в течение 60 м.

В этом случае варочная жидкость содержит большое количество кислот, гидролиз протекает в условиях повышенной влажности материала, что обуславливает более полное разложение пектиновых и других инкрустирующих веществ, чем при пропарке.

16. Таким образом, из изученных нами методов переработки сухих листьев юкки лучшим является мочка в воде, а затем варка в воде по установленному режиму.

ЛИТЕРАТУРА

1. А. Д. Лебедев—Содержание волокна в листьях различных юкк и драпен в пределах Черноморского побережья. Труды по прикл. ботанике, генетике и селекции т. XXIV, 1936 г. Ленинград.
2. Я. М. Савченко—Юква пятчатая. Госиздат с/х литературы УССР, 1946 г Харьков.
3. Э. М. Лемлейн—Анатомическое исследование волокна представителей рода *Yucca* на Черноморском побережье Кавказа. Труды по прикл. ботанике генетике и селекции. т. XXIV, вып. 4, 1929—30 г. г. Ленинград.
4. К. М. Миронов—Биологическая мочка новых лубяных растений. Гизлэгиром, 1940 г. Москва.
5. К. М. Миронов и М. Э. Кофган—Ферментативная мочка кенафа и других лубяных растений. Рукописный отчет, 1940 г. Библиотека ЦНИИЛВ.
6. Л. Б. Лапина—Юкки Закавказья. Труды по прикл. ботанике, генетике и селекции, т. XXIV, вып. 4, Ленинград 1930 г.
7. А. Д. Лебедев—Некоторые волокнистые растения Черноморского побережья СССР. Бюлл. Кандырного бюро. ч. III, 1928 г.
8. И. К. Недоля—Вегетативное размножение юкки. Советские субтропики, № 6, 1937 г.

9. Л. М. Савченко—Юкка волокнистая и возможности ее культуры на Украине
(рукопись).
10. И. К. Недоля—Юкка и возделывание их в СССР на волокно. Научный отчет
Всесоюзного научно-исследовательского Института новых лубяных культур
за 1941—1942 г. г. Сельхозгиз, 1946 г., Москва.
11. В. А. Карманов—Обработка стеблей кенавы и конопли путем пропаривания.
Рукописный отчет, 1948 г. библ. ЦНИИЛВ. ЗПБ-ЛП101035
12. Erica Kärrn Beiträge zur Anatomie der Jucca und zur Kenntnis ihrer Aufberei-
tungsmöglichkeiten. Faserforschung 18 Band, Leipzig 1938 Heft 4.
13. La Culture du Jucca. La France textile № 4, IV, 1931.
14. Deutsche Jucca Fasern. Rein Meinische Folzzeitung Frankfurt 1931.

უსლუმის წითელი დარბაზის ორდენის ლ. პ. ჭავჭავაძის სახ. საჭ. სასოფ. ქადაგი
იცხვით შტატის გრიგორი, ბ. XXXIV 1951

Труды Грузинского Ордена Трудового Красного Знамени СХИ
им. Л. П. Берия, т. XXXV 1951

1951 16 11
გვ. 100

თ. რობაკიძე

სოფლის მეურნობის მეც. კანდიდატი

სამართველოს ხახვის ძირითადი აღგილობრივი ჯიშები
რობორც საჭირო მასალა სელექციისათვის

ხახვი ადამიანისათვის ყოველდღიური მოხმარების პროდუქტს წარმოიდგენს. მას იყენებენ ნედლად, შემწვარს, დამგავებულს (საპიკულო ჯიშები) და აგრეთვე ფართოდა გამოყენებული საკულინარო და სიკონსერვო მრეწველობაში. ხახვს დიდი ხნიდან იცნობენ როგორც სამეურნალო მცენარეს (არტერიოსკლეროზის, ასტმის, ტუბერკულოზის, საჭმლის მონელებელ ორგანოთა მოშლილობის, სურავანდისა და სხვათა წინააღმდეგ).

საბჭოთა მკელელებრბმა აღმოაჩინეს, რომ ეთერზეთებს, რომლითაც ხახვნაირი მცენარები მდიდარია, აქვთ ბაქტერიოციდული მოქმედების უნარი. ბაქტერიოციდული მოქმედება მიეწერება განსაკუთრებულ მურინავ ნივთიერებას—ფიტონციდებს როგორც სპონს ტიფის, პარატიფის, დეზინტერიის, ტუბერკულოზის, დივტერიტის და სხვათა მიკრობებს.

ხახვს შენახვის კარგი უნარი ახასიათებს და ახალ მოსავლამდეც კი ინახება.

საქართველოს მრავალფეროვან ბუნებრივ პირობებში მრავალსაუკუნოებრივი ისტორიის მანძილზე ხალხის მიერ შერჩეულია ბოსტნეულის მრავალი აღვილობრივი ჯიში, მათ შორის ხახვისაც, რომლებიც სელექციისათვის საუკუთხესო საწყის მასალას წარმოადგენნ.

ხახვის მოყვანას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ბოსტნეულ კულტურებს შორის მას მნიშვნელოვანი აღვილი გაავა და უჭირავს დღესაც.

საქართველოს სსრ სტატისტიკური ცნობით ხახვს ბოსტნეული კულტურების ნაოხეს ფართობის 14%, უკავია.

ხახვის აღვილობრივი ჯიშები ხასიათდება მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ნიშანოვისებით. როგორიცაა: აღვილობრივ პირობებისადმი კარგი შეგუება, კარგი მოსავლისანბა, ავალმყოფობის მიმართ გამძლეობა, გემო, შენახვის კარგი უნარი და სხვა.

ჩვენს ამოცანას შეაღენს გამოვიყენოთ ეს ძვირფასი საწყისი მასალა და მიუცე ჩვენს სოციალისტურ ქვეყანას ხახვის საუკეთესო ჯიშები.

ქვემოთ მოგვყივს დახასიათება საქართველოს ხახვის ძირითადი აღვილობრივი ჯიშებისა, რომლებიც ჩვენ მიერ გამოვლინებულ და შესწავლილ იქნა 1945—47 წლების განმავლობაში.

საწყისი მიხალა უმთავრესად შეგროვილია როგორც აღმოსაფლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს. სისაკონლო ხახვის გვერცელების ძირითად რაიონებში (თელავის, გურჯაანის, ახალციხის, ხაშურის, განისა და სხვ.), მასალის შესწავლა და მისი შემდგომი დამზუავება ჩიტარდა შრომის წითელი დროშის ორდენის ლ. ბერიას სახელმძის საქართველოს სასოფლო-სამეცნიერო სამსტიტუტის თბილის სახწავლო მეურნეობაში.

შესწავლილ იქნა შემდეგი ჯიშები (პოპულაციები). კახური ლია წითელი, კახური მუქი წითელი, ბორჩალოური, სხვილისური, ქართული, ბრილური და ვანური.

აღნიშნული ჯიშებიდან ბორჩალოური, სხვილისური და ვანური უკვე ცნობილია ლიტერატურაში. პირველი ორი აღწერილია ი. მარჯანიშვილის მიერ (1, 6), ხოლო ვანური პროფ. გ. ჯაფარიძისა და შ. შავლაყაძის მიერ (3, 4, 6).

ჩვენ მიერ ეს ჯიშები უფრო დეტალურადაა შესწავლილი, ხოლო დანარჩენები—კახური ლია წითელი, კახური მუქი წითელი, ქართული და ბრილური პირველად ჩვენ მიერაა შესწავლილი და იღწერილი.

კახური ლია წითელი

აღგილობრივი ჯიშია (პოპულაცია). მოსახლეობის გადმოცემით, კახურის რაიონებში მის მოყვანის დიდი ხინდან აწარმოებენ. ძირითადად გავრცელებულია თელავის, ყვარლის, გურჯაანისა და კაჭარის რაიონებში.

კახური ხახვი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოყვარ აღაზნის გაღმა მხარეს ფშავლიდან თვითლაგოდებამდე. ეს გამოწევულია უხვი სარწყავი წყლის არხებობით აღაზნის გაღმა მხარეს. გაღმა მხარის სარწყავი წყლები მდიდარია შლამით, ლამით და ორგანული მინაყოლით, რომელიც მდიდარ ბუნებრივ საკეებს წარმოადგენს და ხახვის მცენარის კარგ განვითარებას ხელ უწყობს.

ბოლქვის ფორმა — მომრგვალო — ოფალური, 6. ტროფიმეცის (6) სკალის მიხედვით III—IV ბოლქვის საშუალო სიმაღლე — 5,07 სმ, დიამეტრი — 5,9 სმ, ინდექსი ტიპობრივი მცენარებისათვის დამახასიათებელია 0,86.

შეფერვა: სიტრიფანა მფარავი ქერქლები ძირითადად ლია წითელია, ხოგჯერ მუქი ვარდისფერი. ხორციანი ქერქლები ლია იისფერია და ზედა ნაწილში ყელისკენ თანდათანობით მუქ ფერს დებულობს.

ვე მო ნახევრად ცხარე.

ბულიანობა. მმ ჯიშის დამახასიათებლად ითვლება ბულე მეცენტრალ გამოხატული ორი ბაზტყით, რომელთაც ირგვლივ შემოხევული აქვს ორი ან სამი წყვება მფარავი სიტრიფანა ქერქლი. ძირითადად ერთბოლქვიანი და ორბაზტყიანია. ჯიშის ფარგლებში გვხვდება აგრეთვე ერთბოლქვიანი უბარტყო მცენარებიცა და ორბოლქვიანი ფორმებიც. ჩანასახი კვირტების რაოდენობა ცალკეულ ბოლქვში საშუალოდ 2,2; ცალკეული ბოლქვის საშუალო წონა 72,3 გრამს უდრის.

სავაგერტაციო პერიოდის მიხედვით საადრეო ჯიშია. აღმოცენებიდან ბოლქვების მიღებამდე (თბილისის პირობებში) საკიროებს 115—120 დღეს, დარგული ბოლქვების აღმოცენებიდან თესლის მიღებამდე — 80—90 დღეს.

სათესლე ლეროების რაოდენობა მცენარეზე საშუალო 6,4-ია,
სიგრძე კი 78 სმ.

კვავილების რაოდენობა ყვავილედში საშუალო 243,7, გამო-
ნასკული ყვავილები საშუალო 154,9. ერთი მცენარე იძლევა საშუალო
12,3 გრამ თესლს. თესლის აბსოლუტური წონა 3,5 გრამია.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან პარაკული
ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურების, კარტოფილისა და საკეთი ძირხვენების
ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის მიერ (2) ეს ჯიში მიჩნეულია დასა-
შეებ ჯიშად ამეტის, გურჯაანის, კაჭრეთის, ყვარლის, ლაგოდეხისა და სიღ-
ნალის რაიონებისათვის.

კახური მუქი წითელი

ადგილობრივი პოპულაციაა. გავრცელებულია უმთავრესად ლაგოდეხის,
გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში. ზოგჯერ მინარევის სახით გვხვდება
კახური ღია წითელი ჯიშის ნათესებშიც.

კახური ღია წითლისაგან განსხვავებით ამ ჯიშის ხახეს განსაკუთრებით
ახასიათებს უბარტყო ერთბოლქვიანი ფორმები.

ბოლქვის ფორმა მომრგვალო — სრტყელი და მრგვალი, ყელთან
ოდნავ ამოზნექილი II'-III', ბოლქვის საშუალო სიმაღლე—5,4 სმ, ღიამეტ-
რი—5,6 სმ, ინდექსი ტიპობრივი მცენარეებისათვის—1,08.

შეფერვა—სიფრიფანა მფარავი ქერქლები მუქი წითელი, ზოგჯერ
მუქი ისფერი. ხორციანი ქერქლები ღია ისფერი.

გემო ნახევრადცხარე; ბოლქვი საშუალო სიმკერივის, ტიპობრივი მცე-
ნარები ერთბოლქვიანია, შეიცავს ერთ ჩანასახ კვირტს.

წონა ცალკეული ბოლქვის — საშუალო 99 გრამი.

სავეგერაციო პერიოდი თესლის ალმოცენებიდან ბოლქვების მიღებამდე
125 დღეა. დარგული ბოლქვების ალმოცენებიდან თესლის მიღებამდე—90—95
დღე.

სათესლე ლეროების რაოდენობა ერთ მცენარეზე საშუალო 6,5,
სიგრძე კი 90,5 სმ.

კვავილების რაოდენობა ერთ ყვავილედში საშუალო 492,7, გამო-
ნასკული ყვავილები კი 341,4. ერთი მცენარე იძლევა 20,4 გრამ თესლს,
თესლის აბსოლუტური წონა 4,5 გრამია.

აღსანიშნავია კარგი გემური თვისებები, მოსავლიანობა და თესლის პრო-
დუქტის დიდი რაოდენობა.

ბორჩალოური („გარდაბნის“)

ადგილობრივი ჯიშია. ჯიშს ახასიათებს მრავალბოლქვიანობა. ტიპობ-
რივი მცენარეები 3—4-ბოლქვიანია. გვხვდება 6—7-ბოლქვიანი მცენარეებიც.

ბოლქვის ფორმა — წაგრძელებულ-ოვალური, მოკრძო ყვლით IV',
ბოლქვის საშუალო სიმაღლე 6,6 სმ, ღიამეტრი—7,3 სმ.

შეფერვა. სიცრიფანა მფარავი ქერქლები ყვითელია, მოვარდისფრო ელფერით. ხორციანი ქერქლები თეთრი, სქელი და უხეშია.

გემო. საქართველოში არსებულ ყველა აღგილობრივ ჯიშთან შედარებით მას ცხარე გემო ახასიათებს.

ბულიანობის მხრივ მრავალბოლქებიანია. ცალკეული მრთლქვე შეიცავს 2—3 ჩანასახ კვირტს.

მრავალბოლქებიანობის გამო დიდი რაოდენობით იძლევა შწვანე შასას. თვით მარნეულსა და გარდაბანში ეს ჯიში მთყავთ შწვანე სახით — „თალიშად“.

ახასიათებს კარგი მოსავალი. ბოლქების საშუალო წონა 125,3 გრამია.

საეგვეტაციო პერიოდის მიხედვით საგვაიანო ჯიშია. თბილისის პირობებში თესლის აღმოცენებიდან ბოლქების მიღებამდე 135 დღეა საჭირო.

ხასიათდება კარგად განვითარებული სათესლე ლეროებით, რომელთა რაოდენობა ერთ მცნარეზე საშუალოდ 4,3.

ერთი ყვავილედი შეიცავს საშუალოდ 447 ყვავილს, გამონასკველი ყვავილების რიცხვი კი 293-ია. ერთი მცნარე იძლევა 27,5 გრამ თესლს. თესლის აბსოლუტური წონა 4,3 გრამია.

მიწნეულია ძირითად ჯიშად თბილისის, საგარეჯოს, გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებისათვის.

ს ხ ე დ ი ს უ რ ი („სუფლისის“, „ახალციხის“)

ადგილობრივი ჯიშია. ძირითადად გავრცელებულია მესხეთში, განსაკუთრებით ახალციხის რაიონში. გვხვდება გორის, კასპის, ქარელის, სტალინირის, წალკის, მცხეთისა და ხაშურის რაიონებშიც.

სხვილისური ჯიშის გაუმჯობესებაზე მუშაობდა საქართველოს სასელექციო სადგური (5).

ფორმა ბოლქების ტიპობრივი მცნარეებისათვის ბრტყელია 1°. ჯიშის ფარგლებში გვხვდება მობრტყო-მომრგვალო ფორმებიც II°—II'. ბოლქების საშუალო სიმაღლე — 4,7 სმ, ტიამეტრი — 6,3 სმ, ინდექსი ტიპობრივი მცნარეებისათვის — 0,97.

შეფერვა. მფარავი სიცრიფანა ქერქლები მოყავისფრო — ყვითელია. ხორციანი ქერქლები კი თეთრი.

ახასიათებს ერთბოლქებიანობა. ცალკეული ბოლქები შეიცავს ერთ ჩანასახ კვირტს, იშვიათად ორს.

ცალკეული ბოლქების საშუალო წონა 87,3 გრამია.

აღნიშნული ჯიში ხასიათდება კარგი შენახვის უნარით, საქმიან მოსავლიანობით და სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობით.

ქ ა რ თ უ ლ ი („ქართლური“, „გორული“)

ადგილობრივი ჯიშია. ძირითადად გავრცელებულია მცხეთის, კასპის, გორისა და ნაწილობრივად ხაშურის რაიონებში. ადგილობრივი მოსახლეობა მას ქართულ ხახვს უწოდებს.

ბოლქვის ფორმა—მობრტყო-მომრგვალო II°—II', ყელთან /ოდნავ
აშონენექილი. ბოლქვის საშუალო სიმაღლე 4,4 სმ, დიამეტრი—5,3 სმ, ინდექსი
ტიპობრივი მცენარეებისათვის—0,85.

შეფერრვა. სიფრიფანა მფარვეი ქერქლები ვარდისფერის ტროცინი
ქერქლები ნაზია, ბაცი ისფერი გვმო ნახევრადცხარე. ტროცინი

გრობოლქვიანია. გვხვდება ორბოლქვიანებიც. ცალკეული ბოლქვი
შეიცავს 1—2 ჩანასახ კვირტს. ცალკეული ბოლქვის წონა საშუალოდ 65 გრამია.

სავეგეტაციო პერიოდი თესლის აღმოცენებიდან ბოლქვის მიღწებამდე (თბილისის პირობებში) 123 დღე, ხოლო დარგული ბოლქვების აღმოცენებიდან თესლის მიღწებამდე—92 დღე.

ერთი მცენარე იძლევა საშუალოდ 5,7 სათესლე ღეროს. ყვავილების
რიცხვი ერთ ყვავილედში საშუალოდ 277,5-ია გამონასკული ყვავილების
რაოდენობა საშუალოდ 167,4. ერთი მცენარე იძლევა საშუალოდ 9,4 გრამ
თესლს. თესლის აბსოლუტური წონა 4,7 გრამია.

ქართული ჯიშის ხახვი ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის შიერ
დასაშეებ ჯიშად მიღებულია გორის, ქარელისა და სტალინირის რაიონები-
სათვის.

ბ რ ი ლ უ რ ი ხ ა ხ ვ ი

დიდი რაოდენობით მოყავთ ხაშურის რაიონის სოფ. ბრილში.

ბოლქვის ფორმა ბრტყელია, I°—I', ზოგჯერ მობრტყო-მომრგვა-
ლო—II'. ბოლქვის საშუალო სიმაღლე—4,2 სმ, დიამეტრი—5,7 სმ, ინდექსი
ტიპობრივი მცენარეებისათვის—0,74.

შეფერრვა. მფარვეი სიფრიფანა ქერქლები ქართული ჯიშის ხახვისაგან
განსხვავებით ლია მოყავისფროა. ხორციანი ქერქლები მოიისტროა.

ერთბოლქვიანია. ცალკეული ბოლქვი შეიცავს ერთ ჩანასახ კვირტს.
ბოლქვები ახასიათებს ფორმისა და ფერის მხრივ ერთგვარობა.

გემო ნახევრადცხარე. ხორციან ქერქლებს სინაზე ახასიათებს.

სავეგეტაციო პერიოდი თესლის აღმოცენებიდან ბოლქვის მიღწებამდე—
100 დღე.

მოსავლიანია. ხაშურის რაიონის სოფ. ბრილის კოლმეურნეობამ 1947
წელს ერთ ჰექტარზე მიიღო 100 ტონა ხახვი.

გავრცელებულია ხაშურის რაიონის თითქმის ყველა სოფელში.

ვ ა ნ უ რ ი

* ადგილობრივი ჯიშია. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს თით-
ქმის ყველა რაიონში. ამ ჯიშს, ისე როგორც ბორჩალოურს, მრავალბოლქვია-
ნობა ახასიათებს. ტიპობრივი მცენარეები 3—4 ბოლქვიანია.

ბოლქვის ფორმა ბორჩალოური ჯიშისაგან განსხვაებით, მომრგვალო, ყელთან შევიწროებული. ბოლქვის საშუალო სიმაღლე 4,9 სმ, ლიამეტრი—4,5 სმ, ინდექსი ტიპობრივი მცენარეებისათვის—1,09.

შეფერვა სიფრიფანა მფარავი ქერქლების მოისფრო წითელი, ბორციანი ქერქლები ღია ისტერია.

გემო ცხარე. სიმეკრივე საშუალო. კარგი მოსაელიანა—სავეტეტუციო პერიოდის მიხედვით საგვიანო ჯიშებს მიეკუთვნება, თესლის აღმოცენებიდან მოსაელის აღებამდე 127—132 დღეს საჭიროებს.

სათესლე ლეროების რიცხვი ერთ მცენარეზე საშუალო 6,4, ლეროს სიგრძე კი საშუალოდ 85,2. ყვავილების რაოდენობა ერთ ყვავილედში საშუალოდ 267-ია. გამონასკული ყვავილები საშუალოდ 205-ია.

ერთი მცენარე იძლევა 17 გრამ თესლს. თესლის აბსოლუტური წონა 4,92 გრამია.

მიჩნეულია ძირითად ჯიშიდ ვანის, ქუთაისის, წყალტუბოს, სამტრედიის ცხაკიას, აბაშისა და ფოთის რაიონებისათვის, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს კახეთის რაიონებისათვის—ახმეტის, თელავის, გურჯაანის, კახეთის, ყვარლის, ლაგოდეხისა და სიღნალისა.

დ ა ხ კ ვ ნ ა

ადგილობრივი ჯიშები (პოპულაციები), როგორც საწყისი მასალა სელექციისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, რადგან კარგად შეიგუა ადგილობრივ ეკოლოგიურ პირობებს და თანაც როგორც მოსალიანობით, ისე სხვა სას.-სამეურნეო ნიშანთვისებებით არ ჩამოუვარდება ცნობილ სელექციურ ჯიშებს.

მოელ რიგ დადგებით თვისებებთან ერთად ადგილობრივ ჯიშებს ზოგიერთი გამოსასწორებელი ნიშანთვისებაც აქვს, როგორიცაა ზოგიერთი მათვანის მოსავლიანობის სიმცირე, ფორმისა და ზომის სიკრელე არათანაბრობა შემთხველის მხრივ და სხვ. ყოველივე ეს მომავალში სელექციის გზით უნდა გამოსწორდეს.

ჩვენ მიერ წარმოებულმა 3 წლის მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ ადგილობრივი ჯიშებიდან სხეილისური და ბრილური ხახვი ყველაზე უფრო ერთგვაროვანია.

ზოგიერთი ჯიში კი, როგორიცაა კახური ღია წითელი, კახური მუქი წითელი და ქართული, უფრო ჭრელ პოპულაციებს წარმოადგენს, განსაკუთრებით ფერისა და ფორმის მხრივ.

ამავე ლროს მათ ხასიათებს შედარებით მცირე მოსავლიანობა. კახური ღია წითელი ხახვი უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიღრე მუქი წითელი. ეს უკანასკნელი ძირითადად ღია წითელი ხახვის ნათესებში გვხვდება მინარევების სახით.

აღნიშნული ჯიშები მომავალში საფუძლიან სელექციურ დამუშავებას მოითხოვს.

ბორჩალოური და ვანური ჯიშები ფართოდაა გავრცელებული და ცნობილი დიდი მოსავლიანობით, ხოლო ფორმისა და ფერის შეზრდებით მათ სიკრელე ახასიათებს.

დასავლეთ საქართველოში, მათ შორის ხახვის წარმოების რაიონში— ვანში, ხახვი ხშირად სოკოვანი ავაღმყოფობით ზიანდება, რაც იწვევს მოსავლიანობის ზემცირებას. ამიტომ საჭიროა სხვა თვისებების გაუმჯობესებასთან ერთად სელექცია წარიმართოს სოკოვანი ავაღმყოფობის მიმართ გამძლე ჯაშების გამოყვანისაკენ.

Т. В. РОБАКИДЗЕ
Кандидат с/х. наук

ОСНОВНЫЕ МЕСТНЫЕ СОРТА ЛУКА ГРУЗИИ КАК ИСХОДНЫЙ МАТЕРИАЛ ДЛЯ СЕЛЕКЦИИ

Р е з ю м е

Целью настоящего труда является изучение местных грузинских сортов лука, имеющих наибольшее распространение и хозяйственное значение.

Исходный материал был собран в районах основного промышленного распространения лука как в Восточной, так в Западной Грузии.

Изучение проводилось в течение 3-х лет (1945—47 гг.) в Тбилисском учебном хозяйстве, Груз. Ордена Трудового Красного Знамени сельскохозяйственного института им. Л. П. Берия.

В результате проведенной работы мы приводим ниже описание новых и уточнение уже известных в литературе некоторых сортов.

Кахетинский светлокрасный

Местная популяция. В основном распространена в Телавском, Кварельском, Гурджаанском и Качетском районах.

Характерным для этого сорта считается резко выраженная детковость в количестве двух деток, вокруг которых находятся два или три слоя кроющих пленчатых чешуй. В основном встречаем однолуковичные и двухдектковые.

Форма луковицы—округло-овальная, типа III'—VI', индекс—0,86.

Окраска наружных чешуй светлокрасная, иногда темнорозовая, окраска мясистых чешуй светлофиолетовая, в верхней части к шейке постепенно бледнеет.

пенно темнеет. Вкус полуострый. Вес отдельных луковиц 72,3 г. Вегетационный период от всходов до уборки 115—120 дней.

Для сорта характерна скороспелость, хорошие вкусовые качества и хорошая приспособленность к местным условиям.

СМР136320
БЛ2-ПРИ003

Борчалинский сорт лука

(оп. Ю. Марджанишвили)

Местная популяция. Характерным для сорта считается многолуковичность. Для типичных растений характерна 3—4 луковичность.

Форма луковицы—удлиненно-ovalная с удлиненной шейкой типа IV. Индекс формы—1,2.

Окраска наружных чешуй желтая с розовым оттенком. Мясистые чешуи белые. Вкус острый. Вегетационный период от всходов до уборки—135 дней. По сравнению с другими местными сортами поздний сорт.

Борчалинский сорт лука районирован основным сортом для Тбилисского, Сагареджойского, Гардабанского Марнеульского и Болниssкого районов.

Схвилиский „Ахалцихский“

(оп. Ю. Марджанишвили)

Местный сорт. Наиболее распространен в Месхети, в особенности в Ахалцихском районе. Для этого сорта характерна однолуковичность. Отдельные луковицы однозачатковые, в редких случаях двухзачатковые. Форма луковицы—плоская и плоско-круглая по схеме I°—II°. Индекс формы—0,85. Окраска наружных сухих чешуй коричневато-желтая. Мясистые чешуи белые. Вкус полуострый. Вегетационный период от всхода семян до получения луковиц равен 123 дням.

Грузинский сорт („Карталинский“, Горийский“).

Местная популяция. В основном распространена в Мцхетском, Каспском, Горийском районах. Форма луковицы плоско-округлая II°—I¹, к шейке слегка выпуклая. Индекс формы—0,85. Окраска наружных сухих чешуй розовая. Мясистые чешуи светлофиолетовые. Вкус полуострый. Вес луковицы—от 45 до 89 г. Вегетационный период от всходов до уборки 123 дня.

Ванский сорт

(Описан Г. К. Джапаридзе)

Местная популяция. Распространена почти во всех районах Западной Грузии, в особенности в Ванском районе. Этот сорт так же, как и Борчалинский, характеризуется многолуковичностью. В гнезде 3—4 луковицы. Луковица округлая, к шейке суживающаяся. Окраска наружных чешуй фиолетово-красная. Окраска мясистых чешуй светлофиолетовая. Вкус полуострый. Плотность средняя. Урожайный сорт. Вегетационный период от всходов до уборки—от 127 до 132 дней.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბალა-ბოსტნეული კულტურების პპრობაციის ინსტრუქცია და ბოსტნეულის ზოგიერთი ჯიშის აღწერა. სახელმწიფო გამომცემლობა, სასოფლო-სამეურნეო სექტორი, თბილისი, 1939.
2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული ბოსტნეულ-ბაზეული კულტურების, კარტოფილისა და საკვები ძირბვენების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისია—ბოსტნეული, ბაზეული კულტურებისა და კარტოფილის ჯიშთა დარაიონება, თბილისი, 1947.
3. ვ. ა. რიძე—მებოსტნეობა. ლ. ვ. ბერიას სახელობის საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა. 1946.
4. Г. Джапаридзе—Ванский Лук. Руководство по апробации сельскохозяйственных культур, том V, стр. 222. Сельхозгиз. 1939 г. Ленинградское отделение.
5. Н. Х. Трофимец.—Лук. Руководство по апробации сельскохозяйственных культур, том V, стр. 354-387. Овощные культуры и кормовые корнеплоды, огиз—Сельхозгиз. Москва—1948—Ленинград.

სამრეკლო
საბჭო-კულტური

პროფ. 06. ბათიაშვილი

დოც. პ. ბალაშვილი

კულტურული მცირებების მავნე ტეივაბის
ფაუნისათვის სამართველოში

ცნობილია, რომ მწერების მიოკოლოგიისა და მათი უარყოფითი ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხი, როგორც ენტომოლოგური, ისე გამოყენებითი ზოოლოგიის ლიტერატურაში, საქმაოდ ფართოდ არის გაშექმნული. ტკიპებზე კი, რომელთაც სას.-სამ. კულტურებისათვის ნაკლები მნიშვნელობა არა აქვთ, ძლიერ მოქლე ცნობებს ეხდებით, გარდა *Tetranychus urticae*, *Phyllocoptes oleivorus* და ზოგიერთ სხვა სახეობებისა, რომლებიც საქმაოდ საფუძვლიანად არიან შესწავლილი. ხეხილზე გავრცელებული მავნე ტკიპების სახეობათა შედგენილობა, მათი უარყოფითი ეკონომიკური მნიშვნელობა და სხვა, ჯერ ჩემში საკმაოდ დადგენილი არ არის.

არსებული ხარების ნაწილობრივი შეკვების მიზნით განვიზრახეთ და-გვეღვინა ხეხილზე გავრცელებული მავნე ტკიპების სახეობათა შედგენილობა, მათი გავრცელების პუნქტები, უარყოფითი ეკონომიკური მნიშვნელობა, სეზონური დინამიკა და სხვა.

გახალა და მოშაობის მეთოდიკა. ზემოჩამოთველილი საკითხების დასამუშავებლად გამოკვლეულები ჩატარდა თბილისის საგარეუბნო შეურნეობებში (სას.-სამ.). ისტორიუტის სასწავლო მეურნეობა, დილომის კოლეჯურნეობები, გამწვანების ტრენინგის მეურნეობები და სანერგე, მათარაძის სახელობის ორთავის კოლეჯურნეობა, აგრო-ბიოლოგიური საგურის მეურნეობა, სოლანულის მეურნეობები, საკარმილამო ნაკეთები ვაკეში, ლენრაიონში, მთლიანობის რაიონში (და სხვ.), ზესტაციონის რაიონში, ყვარლის რაიონში (ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობა და მისი მიღამოები), გორის რაიონში (სურის საცდელი საფურულის მეურნეობა), მცხეთის რაიონში (მუხრანი და ვაშიანი), გურჯაანის რაიონში (მუკუწის საბჭოთა მეურნეობა და მისი მიღამოები), სოფ. გურჯაანი და ბაკურ(კიხე), თელავის რაიონში (წინანდლის საბჭოთა მეურნეობა), სამტრედიის რაიონში და საქართველოს ზევი ზღვის სანაპიროზე.

აღნიშნულ პუნქტებში გამოკვლეული იყო ქვემოჩამოთვლილი კულტურების—ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ატმის, გარგარის, ბლის, ალუბლის,

ტყებმლის, ალუჩის, კომშის, ზღმარტლის, თხილის, ლელვის, ბროჭეულის, თუ-
თის, ნუშის, ხურმის, ვაზის, შინდის, ფშატის, უნაბის, კაქლის, მანგანინის,
ლიმნის, ფორთოხლის, კინეანის, გრეიპფრუტის, ბიგარადის, ხურტელის,
მოცხარის, ქოლოს, მარწყვისა და სხვ. ფოთლები, კვირტები, ყლორტები,
ახალგაზრდა ტოტები და ნაყოფები. ცალკე კულტურებსა და წიგნულებზე
(ზინკულარის ქვეშ დათვალიერების შემდეგ) ნახულ ტკინებს ვაგროვებდით
სათანადო პრეპარატების დამზადების მიზნით.

ნებსითი შეხვედრილი ფოთლების შეგროვება და ანალიზიც ტარდებო-
და, ვინაიდან ტკიპების ზოგიერთი სახეობა დასახლების პირველ ხანებში არ
ძლიერა თვალით შესამჩნევ დაზიანებას. მათ შემჩნევას ართულებს ისიც, რომ
ზოგიერთი სახეობა აბლაციუდის ქსელსა და გალებს არ წარმოქმნის და ამავე
დროს თვით ტკიპები, სხეულის ზომის განსაკუთრებითი სიმცირის გამო,
შეუიარაღებული თვალით თითქმის შეუმჩნეველი არიან, ამიტომ საჭირო იყო
ბინკულარის ქვეშ ათასობით ფოთლების დათვალიერება და შეხვედრილი
ტკიპების გადატანა სასაგნე მინაზე.

მასალის შეგროვების მიზნით მიმღართავდით აგრეთვე ტოტების ჩამ-
ბერტყას მუყაოს ფირფიტაზე, რომელზედაც გადაკრული იყო თეთრი ქა-
ლალდი. ჩამოცვენილ ტკიპებს შემინდა ფუნჯით ვაგროვებდით და გადაგვეკონ-
და დამაკონსერვებელ სითხეში, საიდანაც იმავე ან, უკიდურეს შემთხვევაში,
მეორე დღეს ლაბორატორიაში მზადდებოდა პრეპარატი სახეობის დადგენის
მიზნით.

შეგროვილი ტკიპების ნაწილი ჩვენ მიერ იქნა გარკვეული, ხოლო ის
სახეობანი, რომელთა გარკვევა გაგვიძნელდა, გარკვეულ იქნა საქ. მეც. აკა-
დემიის ზოლლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშავის ჰ. რეკის
მიერ, რომელსაც გულითად მაღლობას ვუხდით.

ზემოაღნიშნული საკითხების გარდა, ჩვენ ჩავატარეთ დაკვირვებანი
ტკიპების ზოგიერთი სახეობის გამრავლების დინამიკის დადგენისათვის. და-
კვირვების ობიექტად ალებული იყო ისეთი სახეობები, რომელთაც არსები-
თი მნიშვნელობა იქვთ ჩვენი მეურნეობისათვის, სახელდობრ: *Tetranychus*
vienensis Zacher, *T. urticae* Koch. და *Tenuipalpus oudemani* Geijskes.

გამრავლების დინამიკის დასადგენად ტკიპების აღრიცხვა ტარდებოდა
ყოველ დეკადაში ერთხელ, დაწყებული ივნისის პირველი დეკადიდან და დამ-
თავრებული ნოემბრის მეორე დეკადით. აღრიცხვას ვახდენდით ყოველ 50
ცალ ფოთოლზე დასახლებული ტკიპებისა და მათი კვერცხების მცხედვით.
საანალიზო მასალას ვიღებდით სას.-სამ. ინსტიტუტის სასწავლო მეურნეო-
ბის ბალში და ვაკის საკარმილამო ნაკვეთებზე ვაშლის, მსხლისა და ქლიავის
კულტურებზე, გამომდინარე იქიდან, რომ ეს უკანასნერელნი ჩვენი მებილეობის
წამყვან კულტურებს წარმოადგენენ და ამავე დროს ამ კულტურებს მავნე
ტკიპებიც შედარებით მეტად აზიანებენ.

მოპოებული მონაცემები და მსჯელობა. გამოკვლევის საფუძველზე მო-
პოებული მასალის დამუშავების შედეგად ჩვენ მიერ დადგენილ იქნა ხეხილ-
ზე გავრცელებული ტკიპების შემდეგი სახეობანი, რომლებიც ძირითადად
Tetranychidae-სა და Tetrapodili-ების წარმომადგენლებია.

Tetranychidae—gōgōbō



1. *Tenuipalpus oudemansi* Geijsskes
 2. *Tenuipalpus granati* Saycd.
 3. *Metatetranychus ulmi* Koch.
 4. *Metatetranychus citri* Meg.
 5. *Tetranychus vienensis* Zacher
 6. *Tetranychus urticae* Koch.
 7. *Bryobia redikorzevi* Reck
 8. *Schizotetranychus viticola* Reck
 9. *Schizotetranychus* sp.

Tetrapodilia - η δ α β :

1. Eriophyes pyri Pagst.
 2. Eriophyes malinus Nal.
 3. Eriophyes padi Nal.
 4. Eriophyes similis Nal.
 5. Eriophyes vermiformis Nal.
 6. Eriophyes ribis Nal.
 7. Eriophyes vitis Land.
 8. Eriophyes tristriatus Nal.
 9. Eriophyes fici Ewing. (!)
 10. Phyllocoptes vitis Nal.
 11. Phyllocoptrus oleivorus Ashm.
 12. Phyllocoptes schlechtendali Nal. (!).

ტერიტორიაზე მდგრადი სახელმწიფო მუნიციპალიტეტი და მუნიციპალური მთავრობის მიერ გამოყენებულ მკვებავ მცხვენარებებზე შემდეგნაირად არიან განაწილებული:

1. გვერდი (*Malus domestica* Borch.): *Metatetranychus ulmi* Koch., *Tenuipalpus oudemansi* Geijskes, *Tetranychus vienensis* Zacher, *T. urticae* Koch., *Bryobia redikorzevi* Reck, *Schizotetranychus* sp., *Eriophyes malinus* Nal.

2. მარალი (Pyrus communis L.): Metatetranychus ulmi Koch., Tetranychus vienensis Zacher, Tenuipalpus oudemansi Geijskes, Tetranychus urticae Koch., Bryobia redikorzevi Reck, Schizotetranychus sp., Eriophyes pyri Pagst., Phyllocoptes schlechtendali Nal. (!)

- 3 ქლიკები (*Prunus domestica* L.): *Metatetranychus ulmi* Koch., *Tetranychus vienensis* Zacher, *T. urticae* Koch., *Tenuipalpus oudemansi* Geijskes, *Schizotetranychus redikorzevi* Reck, *Eriophyes padi* Nal., *E. similis* Nal.

4. ხრამე (Persica vulgaris Mill.): Metatetranychus ulmi Koch., Tetranychus vienensis Zacher, T. urticae Koch., Eriophyes padi Nal.

5. გარეაბრე (Armenica vulgaris Lam.): Tetranychus vienensis Zacher, T. urticae Koch.

2. ალუბალსა (*Cerasus vulgaris* Lam.) და ბალზე (*Cerasus avium* L.)
Metatetranychus ulmi Koch., Tetranychus vienensis Zacher, T. urticae Koch.
Tenuipalpus oudemansi Geijskes.

7. ტყემალსა და ალუბიზე (*Prunus divaricata* Ldb.): Tetranychus
vienensis Zacher, T. urticae Koch., Eriophyes padi Nal.

8. კომპლზე (*Cydonia oblonga* Mill.): Tetranychus vienensis Zacher,
T. urticae Koch., Tenuipalpus oudemansi Geijskes, Eriophyes malinus Nal.

9. ზღმარტლზე (*Mespilus germanica* L.): Metatetranychus ulmi Koch.,
Tetranychus vienensis Zacher, T. urticae Koch., Tenuipalpus oudemansi
Geijskes.

10. ოხოლზე (*Corylus avellana*): Tetranychus urticae Koch., Eriophyes
vermiformis Nal.

11. ლელვეზე (*Ficus carica* L.): Tetranychus vienehsis Zacher, T. urti-
cae Koch., Tenuipalpus oudemansi Geijskes, Metatetranychus ulmi Koch.,
Eriophyes fici Ewing. (!)

12. ბროშელზე (*Punica granatum* L.): Tetranychus urticae Koch.,
Tenuipalpus granati Saycd.

13. თუთაზე (*Morus alba* L.): Tetranychus urticae Koch.

14. ნუშეზე (*Amigdalus communis* L.): Metatetranychus ulmi Koch.
Tetranychus urticae Koch.

15. ბურმბზე (*Diospyrus kaki* L.): Metatetranychus ulmi Koch., Tetra-
nýchus urticae Koch.

16. ვეზზე (*Vitis vinifera* L.): Schizotetranychus viticola Reck, Tetra-
nýchus urticae Koch., Eriophyes vitis Land., Phyllocoptes vitis Nal.

17. ფზატზე (*Eleagnus angustifolia* L.): Metatetranychus ulmi Koch.,
Tetranychus urticae Koch.

18. უნაბზე (*Ziziphus sativa* Gaerth.): Tetranychus vienensis Zacher, T.
urticae Koch.

19. კაქოლზე (*Juglans regia* L.): Tetranychus urticae Koch., Tenuipalpus
oudemansi Geijskes, Eriophyes tristriatus Nal.

20. ციტრუსებზე: Metatetranychus citri McG., Tetranychus urticae
Koch., Phyllocoptrus oleivorus Ashm.

21. ხურტებზე (*Ribes grossularia* L.): Eriophyes ribis Nal., Tetrany-
chus urticae Koch.

22. მოცხარზე (*Ribes rubrum* L., *R. nigrum* L.): Tetranychus urticae
Koch., Eriophyes ribis Nal.

23. ეროვნზე (*Ribes idaeus* L.): Tetranychus urticae Koch.

24. მარწყვზე (*Fragaria vesca* L.): Tetranychus urticae Koch.

ტკიპების ცალკე სახეობათა ვაკრცელება ხეხილის კულტურაზე, ჩვენი
მასალების მიხედვით, ზემდეგნაირ სურათს იძლევა:

1. Tenuipalpus oudemansi Geijskes აღრიცხულია ვაშლზე, მსხალზე,
ქლიავზე, ბალზე, ალუბალზე, კომპზე, ზღმარტლზე, ლელვსა და კაქალზე,
ლიტერატურაში კი ეს სახეობა აღნიშნულია მხოლოდ ვაშლსა და კუ-
ნელზე (5).

2. *Tenuipalpus granati* Sayed. ჩვენ მიერ აღირიცხულია მხოლოდ ბრო-შეულზე. ეს სახეობა სამჭოთა კეფშირისათვის პირველად აღინიშნება.

3. *Metatetranychus ulmi* Koch. (*Paratetranychus pilosus* C. et F., *Tetranychus mytilaspides* Ewing.) აზიანებს ვაშლს, მსხალს, ქლოფებულს, ბალს, ზომარტლს, ხურმას, ლელვს, ნუშს, არამსა და ფშატებულს. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით კი აზიანებს ვაშლს, ქლიავს, კერინჩხსა და სხვა მერქნიან მცენარეებს (5).

4. *Metatetranychus* (*Paratetranychus*) *citri* Meg. აზიანებს ყველა ციტრუსოვან კულტურასა და აგრეთვე ატამს, მაყვალსა და მურყანს, როგორც ეს ლიტერატურაშია მოხსენებული (1,6).

5. *Tetranychus vienensis* Zacher ჩვენ მიერ აღირიცხა ვაშლზე, მსხალზე, ქლიავზე, ატამზე, ტყემალზე, ალუჩიზე, ალუბალზე, ბალზე, ზომარტლზე, კომზე, ლელვსა და უნაბზე. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით კი ეს ტკიპა აღნიშნულია ვაშლზე, ქლიავზე, მსხალსა და კერინჩხზე (5).

6. *Tetranychus urticae* Koch. (*Epitetranychus altheae* Hans., *Tetranychus telarius* L.) აღირიცხა ჩვენ მიერ გამოყვლეულ ყველა მცენარეზე. ლიტერატურული მონაცემების მიხედვითაც ეს ტკიპა ნაირჭამია მავნებლად არის მიჩნეული.

7. *Bryobia redikorzevi* Reck აღირიცხა ვაშლზე, მსხალსა და ქლიავზე. ლიტერატურაში ნაჩენებია, რომ ეს ტკიპა აზიანებს ვაშლს, ქლიავსა და კერინჩხს (5).

8. *Schizotetranychus viticola* Reck-ის დასახლება და დაზიანება ჩვენ მიერ მხოლოდ ვაზზე აღნიშნული, ასევე ლიტერატურაშიც მითითებული (5).

9. *Schizotetranychus* sp. ჩვენ მიერ აღირიცხა მსხალსა და ვაშლზე.

10. *Eriophyes pyri* Pagst. აღრიცხულ იქნა მსხალზე. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ეს ტკიპა აზიანებს მსხალს, ვაშლსა და კოშჩს (7).

11. *Eriophyes malinus* Nal. აღირიცხა ვაშლსა და კოშჩს. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით მისგან ზიანდება გარეული ვაშლი (7).

12. *Eriophyes padi* Nal. აზიანებს ქლიავს, ატამს, ალუჩისა და ტყე, მალს. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით მისგან ზიანდება ქლიავი-ალუჩა და კერინჩხი (7).

13. *Eriophyes similis* Nal. ჩვენ მიერ აღინიშნა ქლიავზე. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ზიანდება ქლიავი, ალუჩა და კერინჩხი (7).

14. *Eriophyes vermiformis* Nal. როგორც ლიტერატურაშია (7) ნაჩენები, ეს ტკიპა ჩვენ მიერაც თხილზე აღირიცხა.

15. *Eriophyes ribis* Nal. აღირიცხა ხურტკმელსა და მოცხარზე; ასევე ნაჩენები ლიტერატურაშიც (4).

16. *Eriophyes vitis* Land. როგორც ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ჩვენ მიერაც ვაზზე აღირიცხა.

17. *Eriophyes tristriatus* Nal. აღრიცხულია კაჟლის ფოთლებზე. ლიტერატურაშიც კაჟალზეა მოხსენებული (7).

18. *Eriophyes fici* Ewng. (!) ოლირიცხა ლელვის ფოთლებსა და ზაყოფუ-
ზე. ეს სახეობა საბჭოთა კავშირისათვის პირველად ჩვენ მიერაა ოღნიშნული.
19. *Phyllocoptes vitis* Nal. აზიანებს ვაზის ფოთლებს. ეს სახეობა/ვა-
ზის კულტურისათვის ჩვენში პირველად ოღნიშნება. ლიტერატურაშიც ვა-
ზის მავნებლად არის მოხსენებული (4).

20. *Phyllocoptes schlechtendali* Nal (!). ჩვენი მასალების შინედვით აზია-
ნებს მხოლოდ მსხალს. ლიტერატურული მონაცემებით მსხლის გარდა
ვაშლსაც აზიანებს (4).

21. *Phyllocoptutra oleivorus* Ashm. ოლრიცხულია ციტრუსებზე, რო-
გორც ლიტერატურაშია მოცემული (2).

ტკიპების მავნე სახეობებისა და მკეციავი მცენარეების სიის დადგენას-
თან ერთად, როგორც ეს ზემოთ აღნიშნეთ, ვიკლევდით აგრეთვე ტკიპე-
ბის გავრცელების პუნქტებს, დაზიანების ხასიათსა და ნაწილობრივად მათ უარ-
ყოფით ეკონომიურ მნიშვნელობას. მოპოვებული მასალის საფუძველზე გამოვ-
ლინებულ იქნა უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სახეობანი. ზემოაღნიშ-
ნული საკითხების დამუშავება—გამოკვლევის შედეგად მიღებულ იქნა ზემდეგი
მონაცემები:

1. *Tenuipalpus oudeansi* Geijskes გავრცელებულია თბილისის მიდა-
მოებში, მცხეთის, გორის, თელავის, გურჯაანისა და ზესტაფონის რაიო-
ნებში. ვფიქრობთ, რომ ამ სახეობის გავრცელება საქართველოს სხვა რაიო-
ნებშიც არ არის გამორიცხული. ტკიპის ეს სახეობა აღრე გაზაფხულზე
(მარტის პირველი რიცხვებში) დიდი რაოდენობით ოღრიცხულ იქნა ტოტებ-
ზე ქერქის ნაპრალებში და ტოტებზე დასახლებული ფარიანების ფარის
ქვეშ, კვირტების ფუძეში და განტოტევის აღგილებში. ტკიპები ერთ ადგილას
იმდენად ხშირად იყვნენ დასახლებული, რომ მათი წითელი ფერის გამო
ტოტს მოწითალო ელფერი გადაჰქმდედა. როგორც ჩანს, ტკიპის ეს სახეობა
ზამთარს ჩამოთვლილ ადგილებში ატარებს იმაგოს სტადიაში. გაზაფხულიდან
T. oudeansi იწყებს ფოთლებზე დასახლებასა და კვებას, ძირითადად ფოთ-
ლის ქვედა მხარეზე. ეს ტკიპია ნერმავალია, აბლაბულის ქსელს არ აკეთებს
და პირველ ხანებში დაზიანებაც შეუმჩნეველია. კველა ამ მიზეზის გამო ტკი-
პები ძნელი აღმოსაჩენია. ტკიპის ეს სახეობა კველაზე მეტი რაოდენობით
გეხვედება ფოთლებზე აპრილ-მაისში; ინისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს
ბოლომდე ეს ტკიპები ფოთლებზე ძნელა აღმოსაჩენი ხდება; შუა სექტემბრი-
დან, ზაფხულთან შედარებით, ტკიპების რაოდენობა ფოთლებზე იზრდება,
ოქტომბერ-ნოემბერში ისევ დიდი რაოდენობით გვხვდება და ნოემბრის ბო-
ლოდან, რაიონისა და წლის მიხედვით, უკვე იწყებს მოგროვებას საზამთრო
ბინაშე—ტოტების წვეროში, ტოტების ილლიასა და სხვ. როგორც ჩანს,
T. oudeansi გამრავლებისათვის საჭიროებს ზომიერ ტემპერატურასა და ზა-
ღალ ტენიანობას. ზაფხულის მაღალი ტემპერატურის დროს მისი გამრავლე-
ბა დეპრესიას განიცდის, რის მიზეზი უსათუოდ მკეცია მცენარის ფიზიო-
ლოგიური მდგომარეობის ცვლილებაში უნდა ვეძიოთ.

2. *Tenuipalpus granati* Saycd. გავრცელებულია ბროჭეულზე თბილისის მიდამოებში, მუკუჩანში, გურჯაანში, ბაკურციხეში, თელავში, ნაჭარეულსა და სამტრედიაში. 6. ელერდაშვილის მიერ ტკიბის ეს სახეობა აღნიშნულია აგრეთვე საგარეჯოსა და სიღნალში. ტკიბა სახლდება ფოთლებსა და ახალგაზრდა ტოტებზე. ახასიათებს მეტად ხშირი დასახლება, თუმცა ზოგინ მცირე რაოდენობითაც ვაკედებოდა. ხშირი დასახლების შემთხვევაში ბროჭეულის ერთ ფოთლზე 60—70 სხვადასხვა ხნოვანების ტკიბა იყო აღრიცხული. ასეთი ხშირი დასახლების გამო დაზიანებული ორგანოები წითლად გამოიყრება, ვინაიდან თვითონ ტკიბა და მისი კვერცხებიც მოწითალო ფრისაა.

ტკიბის ეს სახეობა აბლაბუდის ქსელს არ აკეთებს. ის იწვევს ფოთლების მასობრივ ცვენას და ახალგაზრდა ტოტებისა და ყლორტების გახმობასაც კი. *T. granati* იმავის სტადიაში იზამთრებს ტოტებსა და ლეროზე. ამ პერიოდში ტკიბები ისე ახლოს არიან ერთიმეროვესთან დაჯვეულებული, რომ მათი დაზამთრების ადგილები მცენარეზე წითლად გამოიყრება.

3. *Metatetranychus ulmi* Koch. ეს სახეობა დიდი რაოდენობით არის გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. სოხუმში, კახეთსა და თბილისში განსაკუთრებით ბევრია ლელვები, ალუბალსა და ნუშები. დასახლება ახასიათებს ფოთლის ორივე მხარეზე. კვერცხები უმეტეს შემთხვევაში გამჭვრივებულია მთავარი ძარღვის გასწვრივ. ეს ტკიბა მცირე რაოდენობით გამოყოფს აბლაბუდის ძაფებს; დაზიანებული ფოთლი ლია ფერის წერტილებით იფარება. დახელოვნებული თვალი ფოთლი ადვილად შეამჩნევს ამ ტკიბას, რასაც აადგილებს, ერთი მხრივ, მისი წითელი ფერი და, მეორე მხრივ, სხეულის შედარებით დიდი ზომა. მისი კვერცხიც წითელი ფერისაა და თავზე ერთი ბეწვი აქვს. ზამთრობს კვერცხის სტადიაში. კვერცხები საზამთროდ ტოტებზე იდება.

ტკიბის ეს სახეობა ზაფხულის განმავლობაში მკვებავი მცენარის ერთი სახეობიდან მიგრაციას აწარმოებს მეორე სახეობაზე, რაც გამოწვეული უნდა იყოს მკვებავი მცენარის წვენის შედგენილობის ცვალებადობით.

4. *Metatetranychus citri* Meg. ეს სახეობა ჩვენს ლიტერატურაში Paratetranychus pilosus-ის სახელწოდებით იყო ცნობილი. ახლა კი იწვევება, რომ ის ტკიბა, რომელიც გავრცელებულია ციტრუსოვან კულტურებში როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე აღმოსავლეთში ქოთნის კულტურებზე, *M. citri* და არა *P. pilosus*.

M. citri-სათვის დამახასიათებელია აბლაბუდის ქსელის გაკეთება ფოთლზე, უმეტეს შემთხვევაში ფოთლის ქვედა მხარეზე. ფოთლი დაზიანების შედეგად ბრინჯაოს ფერის ლაქებით იფარება, რის გამოც ასეთი ფოთლები შორიდანაც ადვილი შესამჩნევია. ეს ტკიბა ზამთარს ყველა სტადიაში ატარებს.

5. *Tetranychus vienensis* Zacher ფართოდაა გავრცელებული ყველა ჩამოთვლილ რაოდნში და, როგორც აღვიშნეთ, მრავალ კულტურას აზიანებს, განსაკუთრებით კი ვაშლს, ქლიავს, ალუბასა და ტყებამალს.

ჩვენი გამოკვლევების მასალების საფუძველზე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ის აზრი, რომელიც აქამდე იყო დამკვიდრებული ლიტერატუ-

რაში, თითქოს ხებილზე *Metatetranychus ulmi* შეტად იყოს გავრცელებული, სინამდვილეს არ შეეფერება. ყოველ შემთხვევაში, საჭართველოში ხებილზე უკილაპე შეტად *T. vienensis*-ია გავრცელებული.

ეს ტკიბა აკეთებს აბლაბუდის ქსელს ფოთლის ქვედა და ზოგჯერ ზედა მხარეზეც. წუშნის შედეგად ფოთოლზე ჩნდება ადვილად შესამჩნევი ყვითელი წერტილები. თვით ტკიბის დანახვაც ფოთოლზე, მისი სხეულის წილადში შეტყრვის გამო, ადვილია. ამავე ღრუს ტკიბა ნელმავალია.

T. vienensis ხებილზე შესამჩნევი ხდება იქნისიდან. იყლისში მისი რაოდენობა მატულობს, აგვისტოს შემდეგ რიცხვებში ის ალწვეს გამრავლების უმაღლეს შევერვალს. ამ პერიოდში ქლიავის ერთ ფოთოლზე აღიძიოცხა საშუალოდ 30—40 ტკიბა. სექტემბრიდან მისი რაოდენობა კლებულობს და ოქტომბრის ბოლოსათვის მხოლოდ ერთფულების სახით გვხვდება. როგორც ჩანს, *T. vienensis* თავის გამრავლებისათვის საჭიროებს შედარებით მაღალ ტემპერატურასა და დაბალ ტენიანობას. შეიძლება ითქვას, რომ ის ზაფხულის მაღალ ტემპერატურას შედარებით უკნებლად იტანს.

6. *Tetranychus urticae* Koch. აღრიცხულ იქნა ჩვენ მიერ გამოვლეულ კველა მცენარეზე. ტკიბის ამ სახეობისათვის დამახასიათებელია როგორც აბლაბუდის ქსელის გაკეთება ფოთოლზე, ისე სწრაფი მოძრაობა. ეს ტკიბა ზაფხულში მომწვანო-ყვითელი ფერისაა, ხოლო შემოღომის დასაწყისიდან უფრო მომწვანო-ნაცრისფერია, ოდნავ მოწითალო ელფერით. წითელი ფერის ტკიბა კი, როგორც ამას ლიტერატურაში გვხვდებით, ჩვენ არ შეგვხვედრია.

უნდა აღინიშნოს, რომ *T. urticae* ხე-მცენარეებშე განახტულზე და ზაფხულის პირველ ნახევარში მცირე რაოდენობით გვხვდება, ზაფხულის მეორე ნახევრიდან (ივლისიდან) კი საკმაოდ დიდი რაოდენობით იქნა აღრიცხული ხე-მცენარეებზე. აგვისტოში მისი რაოდენობა ძლიერ მატულობს და სექტემბრში ტკიბის ეს სახეობა გვხვდება კველა ჯურის მცენარეზე და მცენარის კველა იარუსში. ოქტომბრიდან მისი რაოდენობა იწყებს კლებას და ნოემბრის ბოლოს უკვე ერთფულების სახით იქნა აღრიცხული.

ზაფხულის მცირე ნახევრიდან *T. urticae*-ს მეტი რაოდენობით აღრიცხვა ხე-მცენარეებზე, შეიძლება იმით აისნას, რომ ის ამ ღრუს ახდენს მიგრაციას ბალაზოვან მცენარეებიდან ხე-მცენარეებშე. შესაძლებელია ზაფხულის ამ პერიოდში მისთვის ხელსაყრელი სასიცოცხლო ფაქტორები, უმთავრესად კი საკვები წვენის ფიზიოლოგიური მდგომარეობის მხრივ, სწორედ ამ მცენარეებში გვხვდებოდეს იმ სახით, როგორიც მათვისაა საჭირო.

7. *Bryobia redikorzevi* Reck აღრიცხულია თბილისის მიდამოებში, სკრაში, გორსა და საგარეჯოში. უმეტესად ცხოვრობს ფოთლის ქვედა მხარეზე, გვხვდება მის ზედა მხარეზეც. დაზიანებული აღვილები ყვითელი წერტილებით იფარება. ეს ტკიბა აბლაბუდის ქსელს არ გამოყოფს, მას ძლიერ სწრაფი მოძრაობა ახასიათებს. მისი მონაცრისფრო-წითელი ფერისა და მრგვალი ფორმის კერტებით მოთავსებულია ფოთლის ქვედა მხარეზე და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს კერტებით მტვერში იყოს ამოსვრილი.

B. redikorzevi აღნიშნულ პუნქტებში დიდი რაოდენობით იქნა აღრიცხული; განსაკუთრებით ხეხილის ფოთლებზე ხშირად გვხვდებოდა მისი კვერ-

ცხები. უფრო ზუსტი გამოკვლევის საფუძველზე მოსალონელია, რომ ის მიჩნეულ იქნება მნიშვნელოვან მავნებლად.

8. *Schizotetranychus viticola* Reck. როგორც ლიტერატურითა არის ცნობილი, აქამდე ვაზზე ფართოდ გავრცელებულ სახეობად *T. urticae* იყო მიჩნეული, მაგრამ, როგორც ჩვენმა გამოკვლევიბმა ვკიჩვენი, ვაჟის მულტურაზე ფართოდაა გავრცელებული არა *T. urticae*, არამედ *Sch. viticola*; თუმცადა ესეც გვხვდება ვაზზე, მაგრამ გაცილებით მცირე რაოდენობით.

იქნისში და მის შემდეგაც მთელი ზაფხულის განმავლობაში *Sch. viticola* წევნ მიერ დიდი რაოდენობით იქნა აღრიცხული ვაზზე მუკუჭანში, წინანდალში, ბაკურციხეში, გურჯაანში, თელავსა და ნაფარეულში; გვხვდება თბილისის მიდამოებშიც, მხოლოდ შედარებით მცირე რაოდენობით.

ეს ტკიპა ცხოვრობს კვირტებზე, ფოთლის ქვედა მხარესა და ყლორტებზე. *T. urticae*-სთან შედარებით აკეთებს აბლაბულის უფრო მცირე ქსელს. მის მიერ გამოწვეული დაზიანების შედეგად ფოთლები იფარება მოყავისფრო წვრილი წერტილებით. დაზიანებული ფოთლის შეაგული ოდნავ ამოიბურტება და სხვა საღ ფოთლებს ზრდაში ჩამორჩება. ტკიპებით აბლად დასახლებულ ფოთლებს ასეთი ამობურტვა არ ახასიათებს. ზაფხულში აღგილი აქვს დაზიანებული ფოთლების ცვენას.

9. *Schizotetranychus* sp. რეგისტრირებულია სკრაში ვაშლისა და მსხლის ფოთლების ქვედა მხარეზე ერთეულების სახით. აღრიცხული იყო მხოლოდ დედალი ტკიპები. სახეობის დასაღვენად კი საჭირო იყო მამალი ტკიპები, რომლებიც წვენ მიერ ვერ იქნა ნაპოვნი და ამის მიზეზით სახეობა დაუგენერილია.

ამ ტკიპას ახასიათებს აბლაბულის ქსელის მცირედ გამოყოფა. ტკიპის ამ სახეობის მცირე რაოდენობით დასახლების გამო (1949—1950 წლების მასალის მიხედვით) იგი დიდი უარყოფითი ეკონომიური მნიშვნელობის მქონე მავნებლად არ შეიძლება იყოს მიჩნეული.

10. *Eriophyes pyri* Pagst. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული. დაზიანების შედეგად მსხლის ფოთლებზე წარმოიშობა გალები. გალებში შესასელელი ხერელი ფოთლის ქვედა მხარეზეა მოთავსებული. აბლად წარმოშობილი გალები ფოთლის ფერისაა, შემდეგ კი მუქი ყავისფერი ხდება. ამ გალებში ცხოვრობენ და მრავლდებიან ტკიპები. ხშირად ფოთოლი მოთლიანად გალებით იფარება. ზაფხულის მეორე ნახევარში ტკიპების მიერ დაზიანება და, მაშასადამე, გალების რაოდენობა ერთიორად იზრდება, განსაკუთრებით იღმოსავლეთ საქართველოს პირობებში. დაზიანებული ფოთლები ნააღრევად ცვივა ხიდან. ეს ტკიპა იმაგოს სტადიაშიც ზამთრობს კვირტის ქერტლისა და ფარიანების ფარის ქვეშ; დაზიანებას იწყებს აღრე გაზაფხულიდან, ჯერ კვირტებს აზიანებს, შემდეგ კი ფოთლებს.

11. *Eriophyes malinus* Nal. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული, მხოლოდ წინა სახეობასთან შედარებით უფრო მცირე რაოდენობით. ტკიპის ეს სახეობა აკეთებს წითელი ფერის გალებს, რომლებშიც შესასელელი ხერელი ფოთლის ქვედა მხარეზეა მოთავსებული. გალები საბოლოოდ მოწითალო-

ყავისფერისა ხდება. ძველ გალებში ტკიპები არ აჩებიან, ისინი გადადიან ფოთლის დაუზიანებელ ნაწილებზე და ახალ გალებს ჭირობობენ.

ეს ტკიპა იმაგოს სტადიაში ზამთრობს კვირტების ქერცლის ქვეშ. უარ-ყოფით ეკონომიურ მნიშვნელობას მოქლებულია.

12. *Eriophyes padi* Nal. საქართველოში თითქმის ყველთან არის გავრცელებული, თუმცალა უმნიშვნელო რაოდენობით, გარდა ზოგრეტო-ჩაითხოვს. ეს ტკიპა გალების მკეთრებელია, მისი გალი მოყვითალო-წითელი ფერისაა, ჯერჯერობით მის მიერ გამოწვეული თვალსაჩინო დაზიანება და დანაკარგები აღნიშნული არ ყოფილა და ამიტომაც უმნიშვნელო მავნებლად შეიძლება ჩაითვალოს; თუმცალა განსაკუთრებული პირობების შემთხვევაში არ არის გამორიცხული მისი ინტენსიური გამრავლება და შესაფერისი ზიანიც. რომ ეს ასეა, ეს იქიდან ჩანს, რომ უვაროვს (7) ახალ-ციხეში 1916 წელს შეუმჩნევია ამ ტკიპის ინტენსიური გამრავლება სხვა წლებთან შედარებით, რის გამოც ადგილი ჰქონია ფოთლების მასობრივ ცვენას.

13. *Eriophyes similis* Nal. მცირე რაოდენობით აღირიცხა გორის რაიონსა და თბილასის მიდამოებში. ეს ტკიპა, წინა სახეობისაგან განსხვა ვებით, გალებს ფოთლის ქვედა მხრიდან აკეთებს. გალები მოყვითალო-წითელი ფერისა და მოგრძო ფორმისაა. გალებში ჩასასვლელი ხერელი ფოთლის ზედა მხარეზე მოთავსებული. ხერელის ნაპირი დაბალი ბეწვებითაა დაფარული. მისი უმნიშვნელო გავრცელებისა და გამრავლების განსაზღვრული პოტენციის გამო ვფიქრობთ, რომ იგი არ შეიძლება უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სახეობად იქნეს მიწერული.

14. *Eriophyes vermiformis* Nal. აღრიცხულია ზესტაფონის რაიონში, მცხეთასა და მუჯუშანში. ეს ტკიპა თხილის ფოთოლზე აჩენს ნაოჭიან გალს. ტკიპა, მცირე რაოდენობით გავრცელების გამო, უარყოფით მნიშვნელობას მოქლებულია.

15. *Eriophyes ribis* Nal. აღრიცხულია თბილისის მიდამოებში, გორის რაიონსა და კახეთში მცირე რაოდენობით. მისგან ზიანდება მოცხარისა და ხურტექელის კვირტები, რომელიც მოთავსებული არიან ტკიპები, და ფოთლებიც. ფოთლებზე აკეთებენ ლულულობს. დაზიანებული ორგანოები ხმება. ეს ტკიპა საქართველოს კენკროვან კულტურებისათვის მცირე უარყოფითი მნიშვნელობის მქონეა.

16. *Eriophyes vitis* Land. ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ყვილ რაიონში, სადაც კი ვაზხსა ეხვდებით. ეს ტკიპა სახლდება ვაზის ფოთლის ქვედა მხარეზე და მის მიერ გამოწვეული დაზიანების შედეგად წარმოშობა ფოთლის ქვედა მხარეზე ბეწვებიანი ლულულო (ბალიში), რომელშიაც თვითონ ტკიპები ცხოვრიბენ და მრავლდებიან, ხოლო ფოთლის ზედა მხარეზე—ამობურცული ლულულო (გალი). ბალიში პირველიდ თეთრი, შემდეგ მოწითალო და საბოლოოდ კი ყავისფერი ხდება. როდესაც ფოთლი მრავალი გალით დაიფარება, იგი იწყებს ხმობასა და ცვენას.

ვაზის ტკიპა დაზიანებას იწყებს აღრე გაზიფხულიდან; ამ დროს კვირტები ზიანდება. ფოთლის გაშლის შემდეგ კი ტკიპა ფოთლებზე სახლდება; ამ ორგანოების გარდა ზიანდება ულვაშები და ყლორტებიც.

ტკიპა იმავის სტადიაში ზამთრობს კვირტების ქერცლის ქედზე, ამ ტკიპას საქართველოს მეცნიერებისათვის უდავოდ დიდი უარყოფითი ექო-ნომიური მნიშვნელობა აქვს.

17. *Eriophyes tristiiatus* Nal. გავრცელებულია საქართველოს ყველა რეი-ონში, განსაკუთრებით კი კახეთში. ტკიპები ცხოვრობენ კალის, ფოთლის ქედზე მხარეზე. მათ მიერ გამოწვეული დაზიანების შედეგად წარმოიშვება ჩალრმავებუ-ლი ადგილი, რომელიც დაბალი ბეჭვებით არის გამოკრული და რომელშიც თვით ტკიპები ცხოვრობენ. ფოთლის შედა მხარეზე წარმოიშვება ჯიბისმაგარი დიდი გალი. ასეთი დაზიანების შემდეგ ფოთლები იწყებენ ხმობასა და ჩა-მოცვენას.

ამ ტკიპას, განსაკუთრებით კახეთისათვის დიდი უარყოფითი ეკონო-მიური მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ.

18. *Eriophyes fici* Ewing. (!) ალირიცხა თბილისის მიღამებში ლელ-ვის ფოთლებზე. ტკიპა დასახლებულია ფოთლის ქედა მხარეზე და განსა-კუთრებით ხშირად არის დასახლებული მთავარი ძარღვის გასწვრივ. 1 სმ სიგრძის ძარღვის ორივე მხარეზე ალირიცხა 218 ტკიპა; ფოთლის ფირფიტის 1 კვ სმ ფართობზე საშუალოდ 63 ტკიპა იყო დასახლებული. ტკიპის კოლო-ნიებთან ყრია ნაცვალი კანიცა, რომელიც თეთრად გამოიყურება და აადვილებს ტკიპების აღმოჩენას. ეს ტკიპა მცირე რაოდენობით მწვანე ნაყოფებზედაც არის დასახლებული.

19. *Phyllocoptes vitis* Nal. დიდი რაოდენობით ალირიცხა ვაზის ფოთ-ლებზე მუკუზანში, წინანდალში, გურჯაანში, ბაკურციხესა და თბილისის მი-დამოებში. ეს ტკიპა გალებს არ აკეთებს, საესპებით დაუფარავიდ ცხოვრობს ფოთლის ქედა მხარეზე. გვხვდება Sch. viticola - სთან ერთად. ტკიპის ეს სა-ხეობა საქართველოსათვის ჰინკელიად აღინიშნება. როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენეს, გავრცელებისა და დასახლების ხარისხის მხრივ მას გარკვეული უარყოფითი ეკონომიური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენი მეცნიერები-სათვის.

20. *Phyllocoptes schlechtendali* Nal. (!) ალირიცხული იყო მსხალზე, გან-საკუთრებით გარეულზე. ეს ტკიპა გალებს არ აკეთებს, დაუფარავიდ ცხოვ-რობს ფოთლის შედა მხარეზე. დაზიანების შედეგად ფოთოლი კვითოლი წერ-ტილებით იფარება და ისეთ შეთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს გოგირდი იყოს შეფრქვეული. საბოლოოდ ფოთოლი მოყვისისრო ხდება, ამასთან მისი ნაპირები ილუნება. მართალია, ერთეულ ხეებზე დიდი რაოდენობით დასახლება ახასიათებს, მაგრამ ფართოდ არ არის გავრცელებული. მოსალოდ-ნელია მას ექნეს უარყოფითი მნიშვნელობა.

21. *Phyllocoptuta oleivorus* Ashm. გავრცელებულია შავი ზღვის მთელ-სანაპიროზე იმერეთის ჩათვლით. საშიში მავნებელია, ვინაიდან შავი ზღვის სანაპიროს კლიმატური პირობები მისი გმრავლებისათვის ფრიად ხელსაყრ-ლია. ეს ტკიპა ციტრუსოვანი კულტურების ფოთლებს, ნაყოფსა და ყლორ-ტებს აზიანებს. ტკიპა გალებს არ აკეთებს და საესპებით დაუფარავიდ ცხოვ-რობს. ტკიპის ამ სახეობას ციტრუსოვანი კულტურებისათვის დიდი უარყო-ფითი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ საქართველოს
მეცნიერებისათვის ჩევრ მიერ დასახელებული ტკიბების 21 სახეობიდან უძრყა-
ფითი ეკონომიური მნიშვნელობის მქონედ მიჩნეული უნდა იქნეს ზემდეგი
10 სახეობა:

1. *Tetranychus vienensis* Zacher
2. *Tetranychus urticae* Koch.
3. *Metatetranychus ulmi* Koch.
4. *Metatetranychus citri* McG.
5. *Tenuipalpus oudemansi* Geijskes
6. *Tenuipalpus granati* Sayed.
7. *Schizotetranychus viticola* Reck
8. *Eriophyes vitis* Land.
9. *Eriophyes tristiatus* Nal.
10. *Phyllocoptes oleivorus* Ashm.

ეს სახეობები აუცილებლად ყურადღების ღირსი არიან, რის გამოც იმ
რაოდნებში, სადაც მათი გამრავლებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პი-
რობებია და, მაშიაძამე, თვალსაჩინო დაზიანება და დანაკარგებიცა მოსა-
ლოდნელი, საჭიროდ უნდა იყოს მიჩნეული მათ წინააღმდეგ სისტემატური
ბრძოლის წარმოება; მაგრამ, რასაკირველია, ეს ბრძოლა ყველა სახეობის
მიმართ ერთსა და იმავე ვადებში არ უნდა წარმოებდეს, როგორც ეს გვი-
ჩვენა *T. vienensis*, *T. urticae* და *T. oudemansi*-ს გამრავლების დინამიკუ-
რობაზე წარმოებულმა დაკვირვებებმა.

ქვემომოყვანილ ცხრილში მოცემულია დასახელებული სამივე სახეო-
ბის ტკიბის აღრიცხვის საშუალო თვიური მონაცემები 1949 წლის მასალე-
ბის მიხედვით.

T. oudemansi, *T. vienensis* და *T. urticae*-ს გამრავლების დინამიკურობა.

ცხრილი № 1

თვე	ჰაერის საშ. თვიური ტემპერ.	ჰაერის საშ. თვიური შეფარდ. ტემინობა	ტკიბის საშუალო რაოდნებია 50 ფოთოლში თვეში		
			<i>T. oudemansi</i>	<i>T. vienensis</i>	<i>T. urticae</i>
VI	23°	58%	143	43	3
VII	26,4°	53%	25	678	108
VIII	23°	67%	1	1144	689
IX	18,1°	70%	34	139	911
X	11,4°	72%	110	7	61
XI	8,8°	75%	42	—	14

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, *T. oudemansi*-სათვის ოპტიმალური
პირობებია გაზაფხულზე (ამ ცხრილში არ არის მოცემული აპრილისა
და მაისის აღრიცხვები) და შემოდგომაზე, ხოლო ზაფხულში მისი გამრავლე-
ბა დეპრესიის განიცდის. *T. vienensis* ზაფხულში ინტენსიურად მრავლდება

და აგვისტოში მაქსიმუმს აღწევს, ხოლო *T. urticae*-ს რაოდენობა იზიცებს ზრდას იყლისიდან და მისი გამრავლება მაქსიმუმს სექტემბრის დაძველს აღწევს.

ჩვენი აზრით, ხე-მცენარეებზე ზაფხულის სეზონის განმავლობაში ამ ტკიპების ასეთი დინამიკური მიზეზი უნდა ვეძიოთ, ერთი მარტი ტემპერატურის მეტეოროლოგიური ფაქტორების (ტემპერატურა, ტენიანობა, განათების სიკაშვაშე და ხანგრძლივობა ტკიპების, აქტუალი ცხოველმყოფელობის დროს და სხვ.) მოქმედებაში და, შეორე შერიც, ამავე ფაქტორების მოქმედების შედეგად მეცებავი მცენარეების ფიზიოლოგიური მდგომარეობის ცვლილებაში.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც თბილისში ჩატარებულმა გამოკლევებმა გვიჩვენა, ციტრუსოვან კულტურებზე (ქოთის კულტურები, მოთავსებული ცის ქვეშ) გავრცელებულია *T. urticae* და დადგენილია მისი დასახლების სისტემები და საზიანო მოქმედება, რაც საქ. შავი ზღვის სანაპიროზე ციტრუსოვანი კულტურისათვის არ ყოფილა აქამდე შემჩნეული. ამ ადგილებში დასახლებული ტკიპების გაუვრცელებლობის მიზეზი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ის გარემოება, რომ საქ. შავი ზღვის სანაპიროს ჭარბი ტენიანობა იწვევს მისი გამრავლების ინტენსიურ დეპრესიას. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ვასერის (3) მონაცემები, რომლის მიხედვით *T. urticae*-სათვის ოპტიმალურ პირობებად არის მიჩნეული ტემპერატურა 29—31°C ჰაერის ფართობითი ტენიანობა 35—55%, ფარგლებში, რაც მკვეთრად განსხვავდება საქ. შავი ზღვის სანაპიროს ჰიგრო-თერმული პირობებისაგან.

საქ. შავი ზღვის სანაპიროზე ტკიპების ასეთი დეპრესიის გამო გადარჩენილი ტკიპებისათვის მეცებავი მცენარეების სიუხვე გამორიცხავს მათ მიგრაციას ციტრუსოვან კულტურებზე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ რაინტენსი, როგორიცაა კრასნოდარის მხარე, აზერბაიჯანის ლენქორანი, შუა აზია და სხვ., არ არის გამორიცხული, მსგავსად თბილისია, მათი ინტენსიური დასახლება და სათანადო ზიანი ციტრუსოვან კულტურებზე.

დ ა ს კ ვ ნ ა

1. საქართველოს ხეხილზე ჩვენ მიერ დღეისათვის დადგენილია მავნე ტკიპების 21 სახეობა.

2. დადგენილი სახეობებიდან თავისი უარყოფითი ეკონომიური მნიშვნელობით ყურადღებასაღებია შემდეგი ათი სახეობა: *T. vienensis*, *T. urticae*, *T. oudeimansi*, *T. granati*, *M. ulmi*, *M. citri*, *Sch. viticola*, *E. vitis*, *E. tristitius*, *Ph. oleivorus*. გადაუდებელ ამოცანად უნდა იყოს მიჩნეული მათ წინააღმდეგ მიზანშეწონილი ბრძოლის წარმოება, გამომდინარე მათი გამრავლების დინამიკურობიდან.

3. როგორც *T. oudeimansi*, *T. vienensis* და *T. urticae*-ს დინამიკაზე ჩატარებულმა დაცვირვებებმა გვიჩვენა, ამ სახეობათ თავისებური დინამიკურობის მიზეზი ძირითად მეტეოროლოგიური ფაქტორების გავლენით და მკვებავი მცენარეების ფიზიოლოგიური მდგომარეობით უნდა აისხნას.

11. შრომები

4. საყურადღებოდ უნდა იყოს მიჩნეული ის ფაქტი, რომ თბილისში ცატრუსოვან კულტურებზე (ქოთნის კულტურა ცის ქვეშ) გავრცელებულია *T. urticae*, რაც აქამდე საქართველოს შეივის სანაპიროსათვის არ ჟოუტილა აღნიშნული. ჩეენი აზრით, უკანასკნელი გარემოება, ერთი მხრივ, უნდა აისწავით, რომ საქართველოს შეივის სანაპიროს პარის ვარბის ტერიტორიაზე იწვევს *T. urticae*-ს გამრავლების საგრძნობ დეპონესია, ხოლო, მეორე შეჩრდა, გადარჩნილი ტკიბები იმდენად არიან უზრუნველყოფილი თავიანთი ძირითადი მკებავი მცენარეებით, რომ აღიარ საჭიროებენ მიგრაციას ციტრუსოვან კულტურებზე, რომლებიც მათთვის სუროვატს უნდა წარმოადგენდეს.

გამომდინარე აქედან, იმ მხარეებსა და რაიონებში, როგორიცაა კრასნოდარის მხარე, აზერბაიჯანის ლენქორანი, შეა აზია და სხვ., სადაც *T. urticae*-ს გამრავლებასათვის მეტეოროლოგიური ფაქტორები ოპტიმუმშია, არ არის გამორიცხული, საკვები ბაზის სიმცირის გამო ინტენსიური დაზიანების შედეგად, დასახელებული ტკიბის გადასვლა ციტრუსოვან კულტურებზე.

Проф. И. Д. БАТИАШВИЛИ
Доц. А. И. БАГДАВАДЗЕ

К ВРЕДНОЙ ФАУНЕ КЛЕЩЕЙ КУЛЬТУРНЫХ РАСТЕНИЙ В ГРУЗИИ

РЕЗЮМЕ

Своей вредной деятельностью для сельского хозяйства Грузии, наряду с насекомыми, клещи, безусловно, заслуживают должного внимания.

Био-экология и др. вопросы, касающиеся большинства вредных насекомых, более или менее всесторонне и глубоко изучены, но этого нельзя сказать в отношении клещей, за исключением некоторых видов, как например: *Tetranychus urticae* Koch., *Phyllocoptes oleivorus* Ashms. и некоторые др. Можно сказать, что даже не установлен видовой состав вредных клещей на плодовых культурах, список их кормовых растений и т. д., уже не говоря о био-экологии отдельных видов. Ввиду такого положения, мы задались целью, хотя бы частично восполнить существующий пробел в изучении клещей (пока на плодовых и ягодных культурах) с точки зрения их видового состава, с установлением их кормовых растений, отрицательного экономического значения, динамики размножения некоторых видов и др.

Для проработки означенных вопросов нами были проведены обследования садовых культур в Тбилисском, Сагареджинском, Гурджаанском, Телавском, Кварельском, Горийском, Зестафонском, Самтредском и в районах Черноморского побережья Грузии.

Были обследованы следующие культуры: яблоня, груша, слива, алыча, ткемали, персик, абрикос, черешня, вишня, айва, мушмула, фига, фундук, гранат, тута, миндаль, хурма, виноградная лоза, кизил, греческий орех, мандарин, лимон, апельсин, кинаки, грейпфрут, бигарадия, лох, ююба (унаби), а также крыжовник, смородина, малина, клубника, земляника и др.

В результате проведенных обследований и исследований установлен следующий видовой состав вредных клещей:

1. *Tetranychus oudemansi* Geijskes зарегистрирован во всей Восточной Грузии, а также в Зестафонском районе (Зап. Грузия) на листьях яблони, груши, сливы, айвы, вишни, черешни, мушмулы, фиги и др. Этот вид клещика, как и некоторые др. виды, не характеризуется выделением паутины.

Как показали наблюдения, *T. ondemansi* зимует в стадии имаго на веточках перечисленных культур. Пробуждение и начало повреждения клещика отмечены ранней весной. Нарастание численности названного вида имеет место до начала лета, летом же баланс клещика идет на убыль, и поэтому в этот период он встречается в единичных экземплярах, вследствие чего трудно поддается обнаружению; осенью же, до самого ноября, опять наблюдается нарастание его численности.

Как показали учет и наблюдения за динамикой размножения этого клещика в связи с климатическими условиями, его размножению способствуют относительно низкая температура воздуха в пределах 18—23°С и его высокая влажность.

2. *Tetranychus granati* Saycd. Мы его обнаружили на гранате в окрестностях Тбилиси, в районах Кахетии (Вост. Грузия) и Самтредском р-не (Зап. Грузия). Клещик повреждает листья и веточки граната, которые бывают сплошь покрыты его колониями. Благодаря их вредной деятельности, передко имеет место не только опадение листьев, но даже засыхание ветвей. Паутину этот клещик не выделяет. Хотя он малоподвижен, но благодаря своей красной окраске, легко поддается обнаружению. Зимует во взрослой стадии на веточках. Хотя этот вид клещика видимо давно распространен у нас, но досихпор он никем не был отмечен.

3. *Metatetranychus ulmi* Koch. (*Paratetranychus pilosus* C. et F.; *Tetranychus mytilaspides* Ewing.) зарегистрирован во всех обследованных районах на листьях (с обоих сторон) яблони, груши, фиги, сливы, вишни, мушмулы, миндаля, лоха. Для этого клещика характерно выделение паутины. Зимует в стадии яйца на веточках. Благодаря крупной величине и красной окраске как самого клещика, так и его яиц, этот вид легко поддается обнаружению.

4. *Metatetranychus citri* McG. повсеместно распространен на цитрусовых культурах как на Черноморском побережье в условиях грунта, так и на кадочных культурах в Вост. Грузии. Кроме цитрусовых культур, этот клещик повреждает также персик, кавказскую ежевику, ольху и др. Клещик, выделяя паутину, заселяется на нижней стороне листа. На Черноморском побережье Грузии зимою этот клещик встречается во всех стадиях развития.

5. *Tetranychus vienensis* Zacher встречается на целом ряде культур как в Восточной, так и в Западной Грузии. Заражению и повреждению этим клещиком в сильной степени подвергаются, главным образом, слива и яблоня, но в то же время повреждается груша, персик, вишня, черешня, ткемали, азыча, айва, мушмула, фига, ююба и др. Клещик повреждает листья как с верхней, так и с нижней стороны. Для этого клещика также характерно выделение паутины. Благодаря своей красной окраске, крупной величине и малоподвижности, клещик легко поддается обнаружению.

Как показали наблюдения за динамикой размножения этого клещика, его наглядная вредная деятельность в условиях окрестностей Тбилиси начинается с июня и продолжается до конца августа, что обусловлено нарастанием его численности в эти месяцы. Осенью (в октябре) он встречается в единичных экземплярах.

6. *Tetranychus urticae* Koch. (*Tetranychus altheae* Hans. *Epitetranychus althea* Hans., *Eotetranychus telarius* L.) распространен повсеместно и повреждает все плодовые культуры, включая и цитрусы. Причем, его появление на плодовых культурах отмечено с конца июня. Наши наблюдения за динамикой размножения этого клещика в условиях Вост. Грузии показали, что на плодовых культурах нарастание его численности продолжается все лето и достигает максимума в начале сентября, после чего происходит такая депрессия в его размножении, что с середины ноября встречается уже в единичных экземплярах. Как видно, этот клещик мигрирует с травянистых культур на плодовые деревья. На наш взгляд причинами такой миграции являются метеорологические факторы и, главным образом, физиологическое состояние питающегося растения.

По нашим наблюдениям *T. urticae* в условиях Тбилиси заражает также и цитрусовые культуры в кадках под открытым небом. Наличие *T. urticae* на этих культурах в условиях Черноморского побережья никем не отмечено. По нашему мнению, его отсутствие на цитрусовых культурах в Зап. Грузии надо объяснить высокой относительной влажностью воздуха Черноморского побережья, вызывающей интенсивную депрессию размножения этого клещика. Оставшиеся же живые клещики настолько обеспечены своей основной кормовой базой в течение вегетационного периода, что не нуждаются в миграции на цитрусовые культуры, которые для них, повидимому, представляют суррогат.

Исходя из этого, в тех краях и районах, как например. Краснодарский, Азербайджанский Ленкорань, Ср. Азия и др., где гигро-термические условия для развития и размножения этого клещика в оптимуме, или близки к нему, то при сокращении кормовой базы летом (следствие интенсивного повреждения клещаком) не исключается возможность миграции этого клещика на цитрусовые культуры.

7. *Bryobia redikorzevi* Reck был зарегистрирован в Скра, Гори, Тбилиси и Сагареджо на листьях яблони, груши и сливы, но ввиду его малочисленности нельзя отнести *B. redikorzevi* к группе серьезных вредителей.

8. *Schizotetranychus viticola* Reck. По данным наших обследований, этот вид клещика повсеместно распространен в Грузии на листьях виноградной лозы с нижней стороны. Кроме листьев, они повреждают также почки, бутоны и побеги. Существующее до сих пор в литературе мнение о том, что лозу повреждает *T. urticae* (*Epitetranychus altheae*), как выяснилось, далеко не соответствует действительности, хотя не исключена возможность наличия на лозе и *T. urticae*, но последний, если и встречается вместе с *Sch. viticola*, то в незначительном количестве.

Для этого вида клещика характерно выделение паутины.

9. *Schizotetranychus* sp. зарегистрирован нами в небольшом количестве в Скра (Горийский р-он) вдоль главных жилок с нижней стороны листьев яблони и груши под паутинкой, выделяемой им же. Для определения вида необходимо было наличие самцов, но таковых в наших сберах не оказалось.

10. *Eriophyes pyri* Pagst. широко распространен в Грузии, особенно в восточной ее части. Вследствие образования им галл (коричневого цвета) на верхней стороне листьев груши, последние бывают обречены на гибель. Этот вид клещика, благодаря его интенсивному размножению и большой вредоносности, можно причислить к группе серьезных вредителей.

11. *Eriophyes malinus* Nal. не так широко и не в таком количестве распространен, как предыдущий вид; его красные галлы на верхней стороне листьев яблони довольно наглядны.

12. *Eriophyes padi* Nal. в небольшом количестве был зарегистрирован на листьях сливы, на которых он образует галлы красновато-желтого цвета. Ввиду ограниченности у него потенции к размножению, этот вид клещика для садовых культур отрицательного экономического значения не имеет.

13. *Eriophyes similis* Nal. Шиповидные галлы этого клещика встречаются на нижней стороне листьев сливы в Вост. Грузии. Этот вид клещика, как и предыдущий, серьезного значения не имеет.

14. *Eriophyes vermiciformis* Nal. зарегистрирован был на фундуке в Мцхетском и Гурджаанском районах. Его складчатые галлы на листьях довольно наглядны.

15. *Eriophyes ribes* Nal. в небольшом количестве был обнаружен в Тбилиси и Гори в почках и на листьях крыжовника и смородины. Поврежденные почки вздуваются, на листьях тоже появляются вздутия. В Грузии приносимый им вред незначителен.

16. *Eriophyes vitis* Land. очень широко распространен по всей Грузии, поселяется на нижней стороне листьев виноградной лозы, образуя вначале серые, а затем коричневатые, войлочные подушечки, в которых сидят сами клещики. С верхней стороны листа этим подушечкам соответствуют вздутия-галлы. Клещики свою вредную деятельность начинают с ранней весны, причем вначале повреждают почки, а затем перемещаются на листья и усики.

17. *Eriophyes tristiatus* Nal. очень широко распространен на листьях грецкого ореха. В результате повреждения образуются большие вздутия на верхней стороне листа, а с нижней стороны получаются ямочки, выстланые редким войлоком. Этот вид клещика для грецкого ореха в Грузии имеет серьезное отрицательное значение.

18. *Eriophyes fici* Ewing. (!) был нами обнаружен в окрестностях Тбилиси

на листьях и зеленых плодах инжира, причем в довольно большом количестве преимущественно вдоль главных жилок, где на площади в 1 кв. см. число клещиков в июле месяце составляло 218 экземпляров, а на остальных частях листовой пластинки—65. Хотя этот вид клещика ~~внадом давно~~ распространен у нас, но до сих пор никем не был отмечен.

19. *Phyllocoptes vitis* Nal. впервые регистрируется в Грузии. Распространен в Кахетии и Картли на нижней стороне виноградной лозы, причем, встречается вместе с *Sch. viticola*. Ввиду наличия у этого клещика тенденции к интенсивному размножению в условиях Кахетии (на одном кв. сантиметре листа насчитывается в среднем 50 экз.), он безусловно заслуживает внимания, как серьезный вредитель.

20. *Phylloptes shlechtendali* Nal. (!) обнаружен в окрестностях Тбилиси в большом количестве на верхней стороне листьев дикой груши, на которых живет свободно, не образуя галл. Поврежденные листья приобретают желтоватую окраску. Как показали обследования, этот клещик вообще широкого распространения не имеет, повидимому, вследствие того, что предпочитает отдельно стоящие деревья.

21. *Phyllocoptes oleivorus* Ashm. Широко распространен на Черноморском побережье Грузии. Повреждает плоды, листья и побеги цитрусовых культур. Этот клещик имеет очень большое отрицательное экономическое значение для субтропических районов с влажным климатом.

ВЫВОДЫ

1. На плодово-ягодных культурах Грузии зарегистрирован 21 вид вредных клещиков, из которых своей вредной деятельностью заслуживают внимания следующие 10 видов: *T. oudemansi*, *T. granati*, *T. vienensis*, *T. urticae*, *M. ulmi*, *M. citri*, *Sch. viticola*, *E. vitis*, *E. tristriatus*, *Ph. oleivorus*, против которых необходимо систематическое проведение эффективных мероприятий.

3. Данные наблюдений над динамикой размножения *T. oudemansi*, *T. vienensis* и *T. urticae* приводят к выводу, что причинами своеобразной динамики этих видов на плодовых культурах являются метеорологические факторы и физиологическое состояние питающих их растений.

4. Наличие *T. urticae* в условиях Тбилиси на цитрусовых культурах его отсутствие на цитрусовых в условиях Черноморского побережья Грузии можно объяснить наличием высокой влажности воздуха на этом побережье, вызывающей интенсивную депрессию размножения этого клещика. Отмеченный факт дает возможность сделать заключение, что в таких краях и районах, как Краснодарский, Азербайджанский Ленкорань, Ср. Азия и др., где гигро-термические условия для развития и размножения этого клещика в оптимуме или близки к нему, при сокращении его кормовой базы летом, не исключена возможность миграции *T. urticae* на цитрусовые культуры.

დაგონების ული ლიტერატურა

1. ბათიაშვილი ი. რ.—ზოგიერთი უკადოვისური ფაქტურის როდის შემცველება-
თვის ციტრუსოვანთა ტყიბის (*Paratetranychus pilosus*) გამრავლების საქმეზ. ლ. 3. ბერიას საბეჭობის საქ. სას.-სამ. ინსტ. მოამბე. № 1, 1940.
 2. ვათნაშვილი ი. დ.—Серебристый клещик (*Phyllocoptrus oleivorus Ashm.*) в условиях Черноморского побережья Грузии, и факторы, регулирующие его размножение. Тбилиси, 1940.
 3. Вассер Р. Э. — К вопросу о влиянии климатических факторов на развитие паутинного клещика. Журнал „Защита растений“, № 17, Ленинград, 1938.
 4. Рекк Г. Ф. — Клещи, вредящие культурным растениям. Тбилиси, 1941.
 5. რეკი გ. ფ. — სამცობის სტეპის აბლაბუდიანი ტყიბები. საქ. აკად. მოამბე. ტ. X, № 6, ობილისი, 1949.
 6. Савенко Р. Ф. — Красный волосатый клещик на мандаринах в районе Чаквы
Изв. Всесоюз. научно-иссл. ин-та чайного х-ва, 1931.
 7. Уваров Б. Н. — Обзор вредителей с. х. растений Тифлисской и Эриванской
губ. за 1916—17 гг. Тифлис, 1918.
-

პროფ. ლ. კალანდაძე

საქ. მეც. აკად. წევრ-კორესპონდენტი

ასისტ. ელ. ნიაირიძე

სოფ. მეურ. მეც. კანდიდატი

მასალები ჯვაროსანთა რეზილების უმცავლისათვის (სახეობის გადასაცემისათვის, უარყოფითი მკონიანი მნიშვნელობა და ბიოლოგიურ-ეკოლოგიური ზოგი თავისებურიბა)

მებოსტნეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია საქართველოში. სასოფლო-სამეურნეო სხვა პროდუქტებთან ერთად ბოსტნის პროდუქტების სიუხვის მიღწევა ერთი წინაპირობათაგანია სოციალიზმიდან კომუნიზმი გადასევლისათვის. სტალინური ხუთწლების ვადაზე ადრე შესრულების დროს გარკვეულ როლს თამაშობდა და შემდგომაც ითამაშებს მებოსტნეობის დარგში მიღებული შედეგები. ეს უკანასკნელი სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლასთან, რაღაც ცნობილია, რომ მებოსტნეობის მავნებლებს მეტად დიდი ზარალის მოტანა შეუძლია და ზოგჯერ ისეთისაც, რომ საჭირო ხდება სამაოდ დიდ ფართობებზე ამა თუ იმ კულტურის გადათხვება ან ხელმეორედ დარგვა.

მებოსტნეობის ამ მავნებელთა შორის თუ კოველვის წამყვანს არა, მნიშვნელოვან როლს მაინც თამაშობენ ჯვაროსანთა რწყილები. ამავე დროს საქართველოს პირობებში ჯვაროსანთა რწყილები შედარებით სუსტადა შესწავლილი და ამასთან დაკავშირებით მათ წინააღმდეგ ბრძოლის ზომები არათუ არ არის დამუშავებული, არამედ სახეობრივი შედგენილობაც კი არ არის დაზუსტებული, თაობათა რიცხვი არ არის დადგნილი და ასე შემდეგ.

ასე, მაგალითად, ჩ. საკვენცოს ნაშრომში (8) „Перечень вредителей сельскохозяйственных культур ЗСФСР“, რომელიც გამოქვეყნდა 1935 წელს, მიწის ანუ ჯვაროსანთა რწყილების სახით მხოლოდ გვარი *Phyllotreta* არის აღნიშნული და თანაც ხაზგასმულია, რომ სახეობრივი შედგენილობა არ არის შესწავლილი (გვ. 26). 6. ალექსიძის სახელმძღვანელოში (1) „ბოსტანბაზის მავნებლები“ აღნიშნული გვარიდან დასახელებულია მხოლოდ ერთი სახეობა, კერძოდ სამხრეთის რწყილი (*Phyllotreta cruciferae Goeze*). ამავე დროს აქვთ ხაზგასმულია, რომ თაობათა რიცხვი საქართველოს პირობებში გარკვეული არ არის (გვ. 81 და 83). ასეთ პირობებში, ცხადია, ჩვენ წინაშე დაისვა ჯვაროსანთა რწყილების შესწავლის საკითხი.

თემის დამუშავება დაწყებული იყო 1948 წლის აღრე გაზაფხულზე და დამთავრდა 1949 წლის მიწურულში. ცდებისა და დაკვირვებულის ჩანატაქებლად ძირითადად გამოყენებული იყო ქ. თბილისისა და ტბილი ჭარბეჭმელს ბოსტნები, პირველ რიგში კი შრომის წითელი ღრმობის ორდენის ლ. ბერიას სახელობის საქ. სას.-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობა, ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა, აგრობიოლოგიური სადგური და სხვა. აქ შერჩეული იყო ისეთი ნაკვეთები, სადაც სისტემატურად ტარდებოდა დაკვირვებები და მოწმდებოდა ცდის შედეგები. მაგრამ ამის გარდა პერიოდულად მიმდინარეობდა აღრიცხვები ქალაქისა და მისი გარეუბნების სხვა ბოსტნებში და თანაც შესაფერ მასალებს კოდებულობდით საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან.

სპეციალური ხასიათის ცდები და დაკვირვებები ჩატარებული იყო ლ. ბერიას სახ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოოლოგიისა და ზოგადი ენტომოლოგიის კათედრის ლაბორატორიაში. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლაბორატორიულ პირობებში მეტად ძნელი იყო ჯვარისანთა რწყოლების დიდი ხნით ცოცხალ მდგომარეობაში შენახვა და მათზე სათანადო ცდების და დაკვირვებების ჩატარება. ამის მთავარ მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ხოჭოები ძალიან მცირე ზომისა და ძლიერ მოძრავია და მარლაშიც კი გადის, უფრო მციდრო ქსოვილის გამოყენებას კი შესასწავლი ობიექტების დახმცვა მოსდევდა. მხოლოდ 1949 წლის დასაწყისში შესაძლებელი გახდა ამ დაბრკოლების გადალახვა, რადგანაც სკონსტრუირებული იყო სპეციალური ხელსაწყო. ამისათვის აღებული იყო საქმიან განიერი ხის ფიცარი (სიგრძე 72 სმ, სიგანე 44 სმ) და მასში ამოჭრილი იყო 9 სმ დიამეტრის 9 რეოლი. ამ რეოლებში მციდროდ ჩასმული იყო ყვავილების პატარა ქოთნები (სიგრძე-8 სმ, ზედაპირის დიამეტრი-9 სმ), რომლებიც ჩარგული იყო და სისტემატურად ირწყვბოდა წიწმატი, თვის ბოლოები და სხვა.

ეს ქოთნები ისე იყო ჩასმული ფერცარში, რომ ამ უკანასკნელის ზედაპირიდან, ჩანდა მხოლოდ ქოთნების ზედა კიდე. ზევიდან ქოთნებს გადაფარებული ჰქონდა მინის უფსკერო ქილები (სიგრძე 9,5—11 სმ, დიამეტრი-13 სმ); ზევიდან კი, იქ. სადაც ფსკერი უნდა ყოფილიყო გადაკრული, მოთავსებული იყო მციდრი, ქალალდი, რომელიც უამრავ ადგილას დაწერეტილი იყო ნემსით აერაციის გადიდების მიზნით. ასეთ პირობებში ხოჭოები ზემოაღნიშნული მცენარეებით ნორმალურად იკვებებოდნენ, მინის გამჭვირვალე კიდლები კი საშუალებას გვაძლევდა მათზე სათანადო დაკვირვებები ჩაგვეტარებინა. პერიოდულად საჭიროების მიხედვით ადვილად ხდებოდა ქოთნის გამოლება, ახალი მცენარეების ჩარგვა და სხვა.

ბუნებრივ პირობებში ცდებისა და დაკვირვებების ჩატარების დროს გამოყენებული იყო ჩეველებრივი წესები, თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ამ შემთხვევაში მოგვცა შედეგები იზოლატორებმა, რადგანაც ხოჭოები მათ ადვილად აღწევდნენ თავს.

თემის დამუშავების დროს სათანადო დახმარება გაგვიწიეს კაზეფლის უფროსმა ლაპორანტმა ნ. ნადირა ადემ და უუ. პრეპარატორმა ე. ლ. ჩ. დ. ჭ. ნ. ე. ლ. მა, რომლებსაც მაღლობას ვუკრადებთ.

II. სახეობრივი შედგენილობა და გაგრცელება

II. სახეობრივი შედგენილობა და გაგრცელება

ჯვაროსანთა (ანუ მიწის) რწყილები საქმაოდ მდიდარია სახეობებით, მათ შორის სსრ კავშირის სამხრეთ აღგილების, კერძოდ კი კავკასიისათვის, როგორც უფრო საშიში მაკნებელი მებოსტრეობისათვის შემდეგი სახეობანია. ცნობილი:

1. *Phyllotreta armoraciae* Koch.—ხმელოტის ანუ განიერზოლიანი რწყილი.
2. *Phyllotreta cruciferae* Goeze { ჯვაროსანთა სამხრეთის რწყილი
3. *Phyllotreta at a F.*
4. *Phyllotreta diademata* Feudr.—ჭაობის რწყილი.
5. *Phyllotreta fucata* Ws.—კლაკნილი რწყილი.
6. *Phyllotreta latevitata* Kutsch.
7. *Phyllotreta nemorum* L.—ნათელფეხა რწყილი.
8. *Phyllotreta nigripes* F. (*Phyllotreta lepidii* Koch.)—ლურჯი რწყილი
9. *Phyllotreta ochripes* Curt.—ყვითელფეხა რწყილი.
10. *Phyllotreta undulata* Kutsch.—ტალღისებრი რწყილი.
11. *Phyllotreta vittula* Redt. (*Haltica vittula* Redt.)—ჭრის რწყილი.
12. *Phyllotreta vittata* F. (*Phyllotreta sinuata* Redt.)—ჭრილიანი რწყილი და ა. შ.

ბოგდანოვ-კატკოვის (3), ჩესნოკოვის (9), დავილოვის (6), გერასიმოვისა და ოსნიცკაიას (5) და სხვების მიხედვით სსრ კავშირის სამხრეთ ზონაში უფრო გავრცელებულია და მეტი ზიანი მოაქვს შემდეგ 6 სახეობის:

1. *Phyllotreta nemorum* L.—ნათელფეხა რწყილი.
2. *Phyllotreta vittata* F.—ჭრილიანი რწყილი.
3. *Phyllotreta nigripes* F.—ლურჯი რწყილი.
4. *Phyllotreta undulata* Kutsch.—ტალღისებრი რწყილი.
5. *Phyllotreta cruciferaea* Goeze—ჯვაროსანთა სამხრეთის რწყილი.
6. *Phyllotreta atra* F.
7. *Phyllotreta armoraciae* Koch.—განიერზოლიანი რწყილი.

იმ დროს როდესაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოს პირობებში ჯვაროსანთა რწყილების სახეობრივი შედგენილობა დადგხილი არ არის და როგორც უფრო საშიში სახეობა დასახელებულია მხოლოდ სამხრეთის რწყილი (*Phyllotreta cruciferae* Goeze), ჩვენ მიერ ჩატარებული დაკვირვების მიხედვით, უფრო გავრცელებული და მეტი ზიანის მომტანი შემდეგი 5 სახეობა აღმოჩნდა:

1. *Phyllotreta cruciferae* Goeze—ჯვაროსანთა სამხრეთის რწყილი.
2. *Phyllotreta atra* F.—ჯვაროსანთა სამხრეთის რწყილი.
3. *Phyllotreta undulata* Kutsch.—ტალღისებრი რწყილი.

4. *Phyllotreta nemorum* L.—ნათელფეხა რწყილი.

5. *Psylliodes cyanoptera tricolor* Wsc.

მოგვყავს მათი დახასიათება:

1. ჯვაროსანთა სამხრეთის რწყილი (*Phyllotreta cruciferae* Goeze).

აღწერა: შეფერვა მწვანე ლითონისებრი; თავზე ხშირი უქიმი წარტყმუბია, ულვაშების ფუძეები მოშავო-წითელია, ზოგჯერ მოწითალო ფერისაც. დამახასიათებელია ზედა ფრთების წერტილების რიგები, რომლებიც აქა-იქ არა-სწორი ფორმისაა. დედლები მამლებისაგან განიჩრევიან უკანასკნელი სტერნიტით, რომელიც მამლებს ოდნავ ამოკეცილი აქვთ, დედლებს კი არა. სიგრძე—1,8—3 მმ.

გავრცელება—მთელი ევროპა, ხმელთაშუა ზღვის ოლქი, შუა აზია, ციმბირი (პიატაკოვი). სამხრეთის სახეობაა. ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობაა საქართველოში, კერძოდ კი თბილისა და მისს გარეუბნებშიც.

2. *Phyllotreta atra* F. აღწერა და გავრცელება: ზოგი მკვლევარი მას თველის ჯვაროსანთა სამხრეთის რწყილის (*Phyllotreta cruciferae* Goeze) ქვესახეობად. ამ უკანასკნელისაგან განსხვავდება შავი ფერით. *Phyllotreta atra* F. იმავე ადგილებში გვხვდებოდა, მაგრამ შედარებით უფრო მცირე რაოდენობით, ვიდრე *Phyllotreta cruciferae* Goeze (შეფარდება—1 : 10).

3. *Phyllotreta undulata* Kutsch.—ტალღისებრი რწყილი.

აღწერა. ზედა ფრთები შავი ან ლითონისებრ მწვანეა, ყველ ზედა ფრთაზე ერთი ყვითელი გასწვრივი ზოლით, რომელიც შეიძლება დაიყოს 2 ლაქად. ეს ზოლი გარედან ატარებს განიერ და არალრმა ჭრილს. თავი და წინა მკერდი შავია, შებლზე წერტილებისაგან შემდგარი განიერი ზოლია. თხემი უწერტილოა. სიგრძე 2—2,3 მმ.

გავრცელება—ევროპა, ჩრდილო ამერიკა, ციმბირი, კავკასია და შუა აზია. ჩვენი მონაცემებით ის მეტად გავრცელებულია დუშეთში (მეტელიანთ კარი), სკრაში და მცირე რაოდენობით გვხვდება აგრეთვე თბილისის მიდამოებში.

4. *Phyllotreta nemorum* L.—ნათელფეხა რწყილი.

აღწერა და გავრცელება. გავს ტალღისებრ რწყილს (*Phyll. undulata* Kutsch.). განსხვავება ისაა, რომ შებლი და თხემი დაფარული აქვს თანაბარი წერტილებით. თაოები და წვივები მოყითალო ფერისა აქვს, ულვაშების პირველი ნაწილი ყვითელია, ხოლო დანარჩენი კი შავი. სიგრძე 2,5—3 მმ. გაერცელებულია ერთეული ეგზემბლარების სახით.

5. *Psylliodes cyanoptera tricolor* Wsc. (Ps. sophiae Hkt.).

აღწერა—ზედა ფრთები ლურჯი ან მომწვანო, წინა მკერდი კი შავი, თავი და ულვაშები ფუძეესთან მოყითალო—ქარცფერისაა. მკერდი, მუცელი და უკანა ბარძაყები შავია, ფეხები კი—მოალისფრო; სიგრძე 2,8—3,6 მმ.

გავრცელება. ზედარებით სამხრეთის სახეობაა. ჩვენი მონაცემების მიხედვით ხშირად გვხვდება, მაგრამ მეტი რაოდენობით ის აღნიშნული იყო შემოდგომაზე (ოქტომბერი, ნოემბერი), როცა ჭარბობდა სხვა სახეობებს.

ზემომოყვანილი მონაცემები, ცხადია, ვერ ამოწურავენ ჯვაროსანთა რწყილების სახეობრივ შედგენილობას და ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს. მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე უფრო საშიშ და გავრცელებულ მავნებლად დასასახელებელია ჯვაროსებრთა ესამზეტის რწყილი (*Phyllotreta cruciferae* Goeze). როგორც სახელშიც უმატებენებს, ის უფრო გაერცელებულია სსრ კავშირის სამხრეთ რესპუბლიკებში, სადაც ზოგჯერ ჯვაროსანთა რწყილების 60—90% შეადგენს (ჩესნოკოვი—9). ამავე დროს მასთან ერთად ხშირად გვხვდება, მაგრამ მცირე რაოდენობით, მისი მონაცესავე სახეობა—*Phyllotreta atra* F. როც შეეხება *Psylliodes cyanoptera tricolor* Wsc., უნდა ითვეას, რომ ეს სახეობა სხვა ავტორების მიერ აღნიშნული არ არის, როგორც ჯვაროსანთა საშიში მავნებელი. ჩვეულებრივად მის მქვება მცენარედ ასახელებენ ვონგოლას (*Sisymbrium*). ჩენი მონაცემებით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მართალია, ეს სახეობა გაზიაფხულზე მცირე რაოდენობით გვხვდება, მაგრამ შემოდგომაზე მისი რაოდენობა საგრძნობლად დიდდება და ზოგჯერ კიდევ ჭარბობს ჯვაროსანთა სამხრეთის რწყილს. ეს გარე-მოება მით უნდა იჩხნას, რომ *Psylliodes cyanoptera tricolor*, როგორც ჩვენი და-კორეცებებით დაზიანებულია, გაზიაფხულ-ზაფხულის განმავლობაში სარეველებით იკვებება და აქედან შემოდგომაზე გადმოდის კულტურულ მცენარეებზე და პირველ რიგში ჯვაროსნებზე. ნათელყება და ტალისისებრი რწყილები (*Phyllotreta nemorum* L. და *Phyll. undulata* Kutsch.), როგორც აღნიშნული იყო იშვიათად გვხვდებოდა. ყველა ამის გამო ქვემოთ ძირითადად შევეხებით ჯვაროსანთა სამხრეთის რწყილს, მასთან შედარების მიზნით კი ზემონახენებს სხვა სახეობებს.

III. დაზიანების ხასიათი და უარყოფითი ეკონომიური მნიშვნელობა

როგორც ცნობილია, შეტაც საშიშია ჯვაროსანთა რწყილის ხოქის მიერ გამოჭვეული დაზიანება. როგორც სახელშიც გვიჩვენებს, ხოჭოები იკვებებიან ჯვაროსანთა მცენარეებით და პირველ რიგში თვის ბოლოკით, წიწმარტით, კომბოსტოთი, ბოლოკით, თალღამით და სხვ. ისინი ფოთლების ზედა მხარეზე, განსაკუთრებით კი კიდევზე, პატარა ფართობებს ამოქამენ, რომელთა დიამეტრი 1—3,5 მმ უდრის. კერძოდ, თვის ბოლოკის, ბოლოკისა და წიწვარტის ფოთლებში ამოქმება გამჭოლი ხვრელები. ყველა ამ შემთხვევაში ფოთლების ზრდასთან ერთად ამოქმეული აღვილებიც განიტრდება და ფოთოლი საფანტით დაცხრილულს ემსგავსება. ამავე დროს ხოჭოებს შეუძლიათ ახლად ამოსული მცენარეები მოლიანად მოსპონ, რადგან საქმარისია ლებანოთოლის 4—5 ადგილს დაზიანება, რომ მცენარე დაიღუპოს, მით უმტეს მაშინ, როცა ამ დაზიანებას აღვილი აქვს გაღიერებული მცენარის ჯერ კიდევ ნიაღაგში ყოფნისას, ფოთლების ამოქმალე.

ამავე დროს შეტაც საშიშია ხოჭოების მიერ გამოჭვეული დაზიანება ახლად დარგული ჩითოლისათვის, როცა პირველ დღეებში მცენარეები ჯერ კიდევ დასუსტებულია გადარგვის გამო. მაგრამ სამაგიროო საადრეო სათბურებში ხოჭოებს შედარებით მცირე ზიანი მოაქვთ, რადგან მიწის ქვეშ ყოფნისას ხოჭოებს არანორმალური პირობები აქვთ შექმნილი, მაშინ, როდესაც საგვიანო სათ-

ჟურნალში, როცა კარგი ამინდებია და სათბურები თავახდილია, ხოჭოებს დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ.

როგორც დაკვირვებებმა გვიჩვენა, ერთ ხოჭოს შეუძლია ამოქამდის კომიშოსტროს ჩითილის ფოთოლზე დილის 11 საათიდან დღის 4 საათამდე (საშუალო ტემპერატურა— $22,40^{\circ}$, ტენიანობა— 54%) 30—38 კვ. მმ ფართობის, რომელიც შედგება 8—10 ამონაქამისაგან, თითო 2—3,5 კვ. მმ, წიწმატუხე— $30—35$ კვ., მმ ფართობი, თვის ბოლოკზე— $22—30$ კვ. მმ და ა. შ.

ფოთლის გარდა ადგილი აქვს ყვავილების ყუნწის, კოკებისა და პარკების დაზიანებასაც.

კულტურული მცენარეების გარდა ზიანდება გარეული ჯვაროსნები, როგორიცაა წიწმატურა (*Capsella bursa pastoralis*), ზალგი (*Brassica campestris* var. *oleifera*), ბოლოკურა (*Raphanus rapanistrum*), წიწმატასელი (*Camellina sativa*) და სხვა. ჩვენს პირობებში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ხოჭოები წიწმატურასა და ბოლოკურას ფოთლებით იკვებებოდნენ.

იმის გამოსარკვევად, იკვებებიან თუ არა ხოჭოები არაჯვაროსანთა მცენარეებით მაშინ, როცა სხვა საკვები არ გააჩნიათ, დაყვნებული იყო სპეციალური ცდები. ამისათვის ხელოვნურ პირობებში მოთავსებული იყო ხოჭოები ისეთ მცენარეებზე, როგორიც არის საკვები კარხალი, პომილორი, ბალრიჯანი და სარეველა ბალახების მთელი რიგის ისეთი სახეობები, რომლებიც ბოსტნებში დიდი რაოდენობით იზრდებოდა. მაგრამ არც ერთ შემთხვევაში მათი დაზიანება აღნიშნული არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ შიმშილისაგან ხოჭოები ბოლოს იხოცებოდნენ.

რაც შეეხება მატლების მიერ გამოწვეულ დაზიანებას, ის ისეთი დიდი შინიშვნელობის არ არის, როგორც ხოჭოების მიერ გამოწვეული. მატლები იკვებებიან ზემოაღნიშნული მცენარეების ძირხვენებით, ფესურებით, როცა ამ უკანასკნელებს ჩვეულებრივ ფესვის ყელთან ღრნიან ან ზოგჯერ მთავარ ფესვშიც შეიკრებიან ხოლმე.

2. ეს ასოცირებული სისტემა განიცდის დისორიაციას. მენდელევი ამ-ბობს: „ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ხსნარში ნაწილი ნივთიერებისა იმყოფება ნაერთის სახით, ნაწილი კი დაშლილ მდგრამარეობაში“.

შეფარდებითი რაოდენობა, მუდმივობა და შედგენილობა ხსნარში არსებულ ამ ორ ნაწილს შორის უნდა იცვლებოდეს, ე. ი. სხვადასხვა უნდა იყოს სხვადასხვა ხსნარისათვის. ბუნებრივია, რომ არენიუსმა ძმარევის დისოციაცია დაუკავშირა ხსნარში ძმარევის წინასწარ ჰიდრატაციას.

უკანასკნელად ჰანჩიმა თანამიმდევრულად და ლოგიკურად ჩამოაყალიბა თანამედროვე თეორია იმის შესახებ, რომ წყალი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს იონიზაციაში, რომ ჰიდრატების წარმოქმნა შეადგენს იონიზაციის პირველად პროცესს.

ჰიდრატაციის ანალოგიურად, სხვა გამხსნელებშიაც წარმოქმნება სოლვატ-იონები, ე. ი. გამხსნელის მოლეკულებით გარემოცული იონები.

იონთა ირგვლივ გარსის წარმოქმნა ადიდებს იონის ირგვლივ დიელექტრულ მუდმივას, რაც ხელს უშლის იონების ერთმანეთთან შეერთებას.

ეპსონიანთული ნაწილი

დისორიაციის მუდმივის განსაზღვრა ხდებოდა წყალბადიონთა კონცენტრაციის გაზომეოთ ელექტრომეტრული მეთოდით. შესაღარ ელექტროდად გამოყენებული იყო კალომელის ელექტროდი, რომელიც მჴალდებოდა კალომელის ელექტროდის დამზადების ყველა შესის დაცვით.

ელექტრომეტრულ გაზომეას ვაწარმოებდით ლუისის პოტენციომეტრით, რომელიც ელექტრომამიძრავებელ ძალას იძლევა 0,1 მგ სიზუსტით. ტემპერატურის მუდმივობისათვის გამოყენებული იყო წყლის თერმოსტატი ტროლის თერმორეგულატორით, სადაც ტემპერატურა $\pm 0,2^{\circ}$ ფარგლებში მერყეობდა.

ცდების დაწყების წინ შემოწმებულ იქნა ჩემ მიერ დამზადებული კალომელის ელექტროდი წყალბადის ელექტროდის საშუალებით. წყალბადის ელექტროდი ჩაშევებული მქონდა მიხაელსის „სტანდარტულ აცეტატის ხსნარში“. როგორც ცნობილია, მიხაელსის სტანდარტული აცეტატის ხსნარი შედგება 0,1 ნორ. ძმრის მეავისა და 0,1 ნორ. ნატრიუმის აცეტატის ნარევისაგან, რომლის წყალბადიონთა კონცენტრაცია

$$[H^+] = K \frac{0,1}{0,1\alpha} = 1,86 \cdot 10^{-5} \cdot 1,266$$

ანუ

$$pH = 4,627.$$

ჩემ მიერ დაშვადებული კალომელის ელექტროდის გამოყენებისას მას ესნარისათვის

$$pH = 4,62,$$

რაც იმის მაჩვენებელია, რომ კალომელის ელექტროდი კარგადაა დამზადებული. წყალბადის ელექტროდად ვიყენებდით პლატინის ფირფიტის 50 კვ. მმ ფართობით. წინდაწინვე ვახდენდით მისი ზედაპირის „პლატინის შავით“ დაფარვას.

წყალბადის ელექტროდისათვის საჭირო აირად წყალბადს ვლებულობდით კიბის აპარატში, რომელშიც ვათვისებდით მეტალურ ცინკუმს, შემოწმებულს წინდაწინვე დარიშხანის შემცველობაზე და ვუმატებდით 20%, გოგირდის სიმუშავეს. მინარევებისაგან გაზის გასუფთავების მიზნით მას ვატარებდით 10% კალიუმის ტუტის, 2% ორქლორიანი ვერცხლ-ს წყლისა და 5% პერმანგანარის ხსნარში. წყალბადის ელექტროდად აღებული გვქონდა მიხიელსის „მსხლისებრი“ ელექტროდი.

როგორც ცნობილია, დისორეაციის მუდმივას განსაზღვრისათვის არსებობს რამდენიმე მეთოდი, რომელთა შორის ყველაზე მეტად შესწავლილი და გამოყენებულია ელექტროგამტარობის ხერხი, რომელიც ემყარება ოსტვალდის განზავების კანონს.

$$K = \frac{\alpha^2}{(1-\alpha)v} = \frac{\lambda_i}{\lambda_c(\lambda_c - \lambda_i)v} ;$$

უკანასკნელ ხანებში, როგორც ექსპერმენტულად უფრო ადვილად შესასრულდებოს, თანდათან უფრო ფართოდ იყენებენ განსაზღვრისათვის ელექტრომეტრულ მეთოდს, რომელიც მდგომარეობს წყალბადისათვის კონცენტრაციის გარკვევაზი და შემდეგ კი K-ს გაანგარიშებაში შემდეგი ფორმულით:

$$K = \frac{[H^+]}{C - [H^+]},$$

საღაც K დისორეაციის მუდმივაა, $[H^+]$ წყალბადისათვის კონცენტრაცია, C— მეტალის კონცენტრაცია. ჩვენი გამოკვლევებისათვის კი ვიყენებდით პროთ. ვ. ლალაძის მიერ მოცემულ განტოლებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მეტათა ნარევისათვის, ისე სუფთა მეტავისათვის. თუ გვაქვს ორი C₁ და C₂ ცნობილი კონცენტრაციის ხსნარი, $[H^+]$ და $[H_1^+]$ კონცენტრაციით, მაშინ



უკანასკნელი

$$K = \frac{H^3(2C_1 - H_1) - H_1^3(2C - H)}{H(C - H)(2C_1 - H_1) - H_1(C_1 - H_1)(2C - H)};$$

ამ განტოლების გამოყენებით ექვსი მედისთვის გავიანგარიშეთ კორ-
გორც სუფთა წყალხსნარისა, ისე წყალალკომოლიანი ხსნარებისათვების სწავლა
სხვა ტემპერატურის პირობებში. ცდისათვის გამოყენებული ალკომოლი წი-
ნასწარ მოწმდებოდა სისუფთავეზე, განსაკუთრებით ალღეპილებშე, კიტონე-
ბისა და ზეთის შემცველობაზე.

როგორც ლიტერატურიდან არის ცნობილი, ღვინის წარმოებაში წყალ-
ბადიონთა კონცენტრაციის განსაზღვრისათვის იყენებენ ქინქიდრონის ელექ-
ტროდს, რომლის პოტენციალი წყალბადის პოტენციალთან შედარებით და-
დგბითი და 0,7044 ვოლტს შეადგენს. ქინქიდრონის ელექტროდის უპირატე-
სობა წყალბადის ელექტროდთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ როგო
წყალბადის ელექტროდის გამოყენება შეუძლებელია მისი ალღენითი თვისე-
ბების გამო, ქინქიდრონის ასეთივე მოქმედება გაცილებით სუსტია. წყალბა-
დის პარციალური წნევა, რომელსაც დიდი ყურადღება უნდა ექცევოდეს
წყალბადის ელექტროდის გამოყენების დროს, ქინქიდრონის გამოყენების
შემთხვევაში იმდენად მცირეა (10^{-14} ატმ), რომ შეიძლება არ მივიღოთ მხედ-
ველობაში; მასთან ას არ მოითხოვს სპეციალურ დანალგარს და, რაც
მთავარია, პოტენციალის დამყარების ხანგრძლიობა მეტად მცირეა წყალბა-
დის ელექტროდთან შედარებით.


მიუხედავად წყალბადის ელექტროდის წინაშე, ქინქიდრონის ელექტროდის
ასეთი უპირატესობისა იძულებული ვიყავით მაინც წყალბადის ელექტრო-
დი გამოგვიყენებინა. ქინქიდრონის ელექტროდის გამოყენებამ დაგვანახვა, რომ
წყალალკომოლიან ხსნარში ალკომოლის პროცენტული რაოდენობის ზრდასთან
ერთად ადგილი ჰქონდა წყალბადიონთა კონცენტრაციის ზრდას, pH-ის შემცირე-
ბას, მაშინ როდესაც საჭინაალმდევო მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი.

ეს გარემოება მით იცხსნება, რომ წყალალკომოლიან ხსნარში ირლევა
წონასწორობა ქინონსა და პილრიქინონს ზორის მათი ხსნადობის არაპროპორ-
ციული ცვლილების გამო სპირტიან ხსნარებში, ამიტომაც ძნელი ხდება მუდ-
მივი პოტენციალის მიღება.

მზრის მუზიკის დისოციაციის შუდგინა

ვამზადებდით ძმრის მედის სხვადასხვა კონცენტრაციის ორ ხსნარს და
შემდეგ ვსაზღვრავდით pH-ს, საიდანაც ფორმულით $pH = -\log [H^+]$ ვნახულობ-
დით წყალბადიონის კონცენტრაციას სხვადასხვა შედგენილობის წყალალკო-
მოლიანი ხსნარისათვის სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში. სახელდობრ,
ჩვენ გვაინტერესებდა ისეთი პირობები, რომლებიც ახლოს იქნებოდნენ ბუნებ-
რივთან. ამ მიზნით ვამზადებდით წყალალკომოლიან ხსნარს, სადაც მოცულობის
მიხედვით ალკომოლის პროცენტულ რაოდენობას $0\% - დან 40\% - მდე$ ვცვლიდით.
ვაზომვის შედეგები მოცულულია პირველ ცხრილში.

ალკოჲოლის % რაოდენობა შსნარში	P _k	K-ს მნიშვნელობა	
		20	ტემპერატურა C°
0	4,74	1,82.10 ⁻⁵	1,80.10 ⁻⁵
5	4,76	1,74.10 ⁻⁵	1,71.10 ⁻⁵
10	4,96	1,38.10 ⁻⁵	1,34.10 ⁻⁵
15	5,03	9,26.10 ⁻⁶	9,22.10 ⁻⁶
20	5,16	6,92.10 ⁻⁶	6,88.10 ⁻⁶
25	5,30	5,01.10 ⁻⁶	4,99.10 ⁻⁶
30	5,49	3,24.10 ⁻⁶	3,20.10 ⁻⁶
35	5,62	2,40.10 ⁻⁶	2,37.10 ⁻⁶
40	5,77	1,70.10 ⁻⁶	1,72.10 ⁻⁶



ნახ. 1. ძმრის მეცნის P_k დამკიდებულება ალკოჲოლის
პროცენტულ რაოდენობაზე.

ძმრის მეავის P_k -ს დამოკიდებულება ალკოჰოლიდის პროცენტულ რაოდენობასთან მოცემულია № 1 მრუდზე, სადაც აბსცისთა ღრმაშე გადაზომილია ალკოჰოლის პროცენტული რაოდენობა და ორდინატთა ღრმაშე კი P_k -ს მნიშვნელობა ($P_k = -1g K$).

ურმიანული

როგორც მრუდიდან ჩანს, ძმრის მეავის დისოციაციის მუდმივებ პრეცენტოლის პროცენტული რაოდენობის ზრდასთან ერთად მცირდება. ალკოჰოლის 0% დან 40% მდე ზრდა იწვევს დისოციაციის მუდმივას 10-ჯერ შემცირებას. რაც შეტანა ალკოჰოლის რაოდენობა ხსნარში, მით უფრო სწრაფად ეცემა K -ს მნიშვნელობა.

დისოციაციის მუდმივას შემცირება, ერთი მხრივ, გამოწვეულია გამხსნელის დიელექტრული მუდმივას შემცირებით, ხოლო მეორე მხრივ, ჰიდრატაციის შესაძლო შემცირებით. ეს უკანასკნელი გარემოება ანგარიშგასაწვევია.

რაც შეეხება ტემპერატურის გავლენას ძმრის მეავის დისოციაციის მუდმივაზე იმ ტემპერატურის ინტერვალში, რომელიც ჩვენ გვქონდა ალებული (0—40°), ტემპერატურა მასზე თითქმის არაეთარ გავლენას არ ახდენს. ლიტერატურული მონაცემებიდან ჩანს, რომ ტემპერატურის გავლენა ძმრის მეავის K -ზე იწყება 95—100°-დან. შეარცებასის მტკიცება, თითქოს ძმრის მეავის K -ს დამოკიდებულება ალკოჰოლის % რაოდენობაზე გამოისახებოდეს ჰიბერბოლით, მოლიანად არ მართლდება.


რაც შეავი. რძის მეავის დისოციაციის მუდმივას ტემპერატურასა და ალკოჰოლის პროცენტულ რაოდენობაზე მისი დამოკიდებულების განსაზღვრისათვის გამჭვებლით ორი სხვადასხვა კონცენტრაციის 0,1 და 0,01 მოლ ხსნარს და იმავე მეთოდით ვსაზღვრავდით pH-ს, რის მეობებით ენაზულობდით $[H^+]$ კონცენტრაციას და შემდეგ კი ზემომოყანილი განტოლების საშუალებით ვპოულობდით K -ს მნიშვნელობას. შედეგები მოცემულია ქვემომოყვანილ ცხრილში.

რძის მეავის K დამოკიდებულება სპირტის % რაოდენობასა და ტემპერატურაზე

ცხრილი 2

ტემპერატურა გრძელებული დრო წარმოდგენი დრო	დისოციაციის მუდმივა K				
	ტემპერატურა C°				
	12	20	30	40	50
0	$2,88 \cdot 10^{-4}$	$2,75 \cdot 10^{-4}$	$2,40 \cdot 10^{-4}$	$2,19 \cdot 10^{-4}$	$1,99 \cdot 10^{-4}$
5	$2,51 \cdot 10^{-4}$	$2,29 \cdot 10^{-4}$	$2,19 \cdot 10^{-4}$	$2,09 \cdot 10^{-4}$	$1,95 \cdot 10^{-4}$
10	$2,19 \cdot 10^{-4}$	$1,95 \cdot 10^{-4}$	$1,66 \cdot 10^{-4}$	$1,48 \cdot 10^{-4}$	$1,32 \cdot 10^{-4}$
15	$1,98 \cdot 10^{-4}$	$1,58 \cdot 10^{-4}$	$1,26 \cdot 10^{-4}$	$1,00 \cdot 10^{-4}$	$7,98 \cdot 10^{-5}$
20	$1,63 \cdot 10^{-4}$	$1,29 \cdot 10^{-4}$	$1,09 \cdot 10^{-4}$	$8,51 \cdot 10^{-5}$	$7,41 \cdot 10^{-5}$
25	$1,26 \cdot 10^{-4}$	$1,00 \cdot 10^{-5}$	$8,31 \cdot 10^{-5}$	$7,24 \cdot 10^{-5}$	$6,31 \cdot 10^{-5}$
30	$1,05 \cdot 10^{-4}$	$8,32 \cdot 10^{-5}$	$6,31 \cdot 10^{-5}$	$4,57 \cdot 10^{-5}$	$3,31 \cdot 10^{-5}$
35	$8,31 \cdot 10^{-5}$	$6,76 \cdot 10^{-5}$	$4,95 \cdot 10^{-5}$	$3,47 \cdot 10^{-5}$	$2,51 \cdot 10^{-5}$
40	$7,08 \cdot 10^{-5}$	$5,49 \cdot 10^{-5}$	$3,71 \cdot 10^{-5}$	$2,63 \cdot 10^{-5}$	$1,82 \cdot 10^{-5}$
45	$5,89 \cdot 10^{-5}$	$4,37 \cdot 10^{-5}$	$2,88 \cdot 10^{-5}$	$1,90 \cdot 10^{-5}$	$1,29 \cdot 10^{-5}$
50	$4,79 \cdot 10^{-5}$	$3,55 \cdot 10^{-5}$	$2,19 \cdot 10^{-5}$	$1,51 \cdot 10^{-5}$	$1,00 \cdot 10^{-5}$

რძის მეავის დისოციაციის მუდმივას, ტემპერატურასა და ალკოჰოლის პროცენტულ რაოდენობას შორის ფუნქციონალური დამოკიდებულება მოცემულია № 2 და № 3 მრუდით.



ნახ. 2. რძის მეავის K-ს დამოკიდებულება ტემპერატურაზე.


ზემომოყვანილი მუცელებიდან ჩანს, რომ რძის მეავის დისოციაციის მუდმივაზე დიდ გავლენას ახდენს როგორც ტემპერატურა, ისე ალკოჰოლის პროცენტული რაოდენობის ცვლილება. ტემპერატურის ზრდასთან ერთად დისოციაციის მუდმივა მცირდება როგორც წყალსნარში, ისე წყალალკოლიან ხსნარში.

ტემპერატურის გავლენა რძის მეავის დისოციაციის მუდმივაზე მით მეტია, რაც მეტია ხსნარში ალკოჰოლის პროცენტული რაოდენობა. მაგალითად, თუ წყალსნარისათვის ტემპერატურის შეცვლით 12° -დან 50° -მდე დისოციაციის მუდმივა $1,44 \cdot \text{ჯერ}$ მცირდება, 50° ალკოჰოლწყალსნარისათვის, იმავე ტემპერატურის ინტერვალში, დისოციაციის მუდმივა $4,79 \cdot \text{ჯერ}$ მცირდება.

ალკოჰოლის პროცენტული რაოდენობის ზრდაც იწვევს დისოციაციის
მუდმივას შემცირებას; ერთსა და იმავე სიდიდით ალკოჰოლის პროცენტული
რაოდენობის ზრდა ხსნარში იწვევს თითქმის ერთსა და იმავე სიდიდით დი-
სოციაციის მუდმივას შემცირებას.

ერთ 1350 ლი

200 ლიტრისთვის



აჩ. 3. რძის მეტვის K-ს დამოკიდებულება სპირტის პროცენტულ
რაოდენობაზე.

ტემპერატურის ზრდით დისოციაციის მუდმივას შემცირება უნდა იყ-
ხსნათ, ერთი მხრივ, დიელექტრული მუდმივას შემცირებით, ხოლო მეორე მხრივ,
ჰიდრატაციის ხარისხის შესაძლო შემცირებით.

ბიერუშის თეორიის თანახმად, დისოციაციის მუდმივას სიზიდუ სსტარში სხვა ფაქტორებთან ერთად დამიკიდებულია იონის სიდიდუშე. რაც შეტია იონის მოცულობა ხსნარში, მით მეტია დისოციაციის ხარისხი და აგრეთვე დისოციაციის მუდმივაც. მაგალითად, ვერცხლის ნიტრატის ჭრისტრცაციის ხარისხი ამონიაკში, რომლის დიელექტრული მუდმივა 22,0 ჰაუსტერ 1 გრა-ლებით მეტია, ვიდრე ბენზონიტრილში, რომლის დიელექტრული მუდმივა 25,2 ჰეალგენს. ეს იმით აისწნება, რომ ამონიაკში ვერცხლის იონები გაცი-ლებით მეტი მოცულობისაა, ვიდრე ბენზონიტრილში, ჩვენს შემთხვევაშიაც უნდა ვითიქროთ, რომ დისოციაციის მუდმივას შემცირება იმით აისწნება, რომ როგორც ტემპერატურის ზრდა, ისე ალკოჰოლის პროცენტული რაოდე-ნობის ზრდა იწვევს ჰიდრატაციის შემცირებას, ე. ი. ხსნარში იონის ეფექტური მოცულობის შემცირებას, რასაც შედეგად უნდა მოჰყევს დისოციაციის სით-ბოს გადიდება, ეს კი ნიშანას დისოციაციის მუდმივას შემცირებას. მართლაც, დისოციაციისათვის საჭიროა სისტემას მეტი რაოდენობით მივაწოდოთ სით-ბო. ჩვენ მიერ გაანგარიშებულია რძის მევის დისოციაციის ენერგიის დამო-კიდებულება ტემპერატურაზე, რეაქციის იზოქორის განტოლებით

$$\frac{d\ln K}{dT} = \frac{Q}{RT^2}.$$

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რძის მევის დი-სოციაცია კველა ტემპერატურის დროს ექვთოთ მუდმივ მიმდინარეობს. ამიტომ ჩვენ მიერ ზემომყვანილი შედეგები სრულიად ეთანადება სინამდვილეს.

დისოციაციას მუდმივას K -ს მიღებული მნიშვნელობიდან გავიანგარი-შეთ თავისუფალი ენერგია F განტოლებით $F = -RT\ln K$. შედეგები მოცემუ-ლია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4

ალკოჰოლის განცემის მარაგი %	თავისუფალი ენერგია ΔF (კალორიებით)				
	ტემპერატურა C°				
	12	20	30	40	50
0	4641	4799	5042	5270	5498
5	4720	4906	5104	5299	5500
15	4877	5122	5421	5760	6092
25	5112	5392	5687	5962	6241
35	5323	5621	5990	6422	6835
40	5440	5742	6175	6595	7044
50	5663	5998	6477	6941	7430

მოცემული ΔF მნიშვნელობებიდან ჩანს, რომ დაშლის რეაქციის /თავისუფალი ენერგია როგორც ტემპერატურის, ისე ალკოჰოლის პროცენტული რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება.

ქარვის მეზანი ქარვის მევის დისოციაციის მუდმივას ვწითავდით ზემოაღწერილი მეთოდით. გამოვიყვლიერ 0,01 და 0,001 ნორმული შედეგები მოცემულია 5.ცხრილში.

ქარვის მევის დისოციაციის მუდმივას დამოკიდებულება ტემპერატურისა და სირტის პროცენტულ რაოდენობაზე.

ცხრილი 5

ალკოჰოლის მიცემული და ტემპერატური მდგრადი	დისოციაციის მუდმივა K		
	ტემპერატურა C°		
	15	30	40
0	$1.88 \cdot 10^{-4}$	$8.06 \cdot 10^{-5}$	$8.23 \cdot 10^{-5}$
5	$1.42 \cdot 10^{-4}$	$7.39 \cdot 10^{-5}$	$8.19 \cdot 10^{-5}$
15	$8.49 \cdot 10^{-5}$	$4.68 \cdot 10^{-5}$	$5.71 \cdot 10^{-5}$
20	$3.08 \cdot 10^{-5}$	$3.6 \cdot 10^{-5}$	$3.08 \cdot 10^{-5}$
30	$3.08 \cdot 10^{-5}$	$3.08 \cdot 10^{-5}$	$3.08 \cdot 10^{-5}$
35	$3.0 \cdot 10^{-5}$	$2.91 \cdot 10^{-5}$	$2.87 \cdot 10^{-5}$
40	$2.92 \cdot 10^{-5}$	$2.83 \cdot 10^{-5}$	$2.78 \cdot 10^{-5}$

მიღებული K-ს მნიშვნელობებიდან გავიანგარიშეთ Pk-ს მნიშვნელობანი. Pk-ს ფუნქციონალური დამოვიდებულება ალკოჰოლის პროცენტულ რაოდენობასა და ტემპერატურას შორის მოცემულია № 4 და № 5 მრუდით.

როგორც მრუდებიდან ჩანს, ტემპერატურის გადიდებისთან ერთად K-ს მნიშვნელობა მცირდება და ეს ხდება თითქმის 30° ტემპერატურამდე და სანამ ალკოჰოლის რაოდენობა ხსარში 15% , არ მიაღწევს. 30° -დან 40° -მდე დისოციაციის მუდმივა იზრდება აღნიშნულ პირობებში.


ტემპერატურის ასეთი გავლენა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ დიელექტრული მუდმივას შემცირებით.

რაც შეეხება ალკოჰოლის პროცენტული რაოდენობის გავლენას დისოციაციის შედმივაზე, აქ ასეთ სურათს ვხვდებით: ალკოჰოლის პროცენტული რაოდენობის ზრდასთან ერთად დისოციაციის მუდმივა თანდათან მცირდება, $25-30^{\circ}$ -ზე აღწევს მინიმუმს, რის შემდეგ ის ალკოჰოლის პროცენტული რაოდენობის გაზრდით თითქმის არ განიცდის ცვლილებას.

თავისთავად ცხადია თუ ალკოჰოლის რაოდენობის ზრდით მცირდება დიელექტრული მუდმივა და ამ უკანასკნელის შემცირებას უნდა გამოიწვია K-ს შემცირება, მაშინ ალკოჰოლის შემდგომი რაოდენობის გადიდებას უნდა გამოიწვია K-ს შემცირება, რასაც სინამდვილეში ადგილი არა აქვს.

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ K-ს შემცირება ძირითადად გამოწვეულია სხვა გარემოებით, სახელდობრ, რთული ეფექტის შარმოქმნით, რის შე-

დევალ ხდება თავისუფალი შეავის შეკავშირება-შებმა სპირტთან/ზა ეს კბ
იწყვეს დისოციაციის თარისხის შემცირებას და, მაშასადამე, K-ს შემცირე-
ბასაც.




ნახ. 4. ქარვის შეავის P_{k-5} და $K-49$ დამრეცებულება ტემპერატურაზე

К მნიშვნელობიდან გაანგარიშებულია დაშლის რეაქციის თავისუფალი ენერგია ΔF .

ქარვის შეავის დაშლის რეაქციის თავისუფალი ენერგია ΔF .

ცხრილი 6

თავისუფალი ენერგია მდგრადი დაშლის რეაქციის დრო	თავისუფალი ენერგია ΔF კალ.		
	ტემპერატურა		
	15	30	40
0	4938	5711	5875
5	5097	5753	5875
15	5383	5906	5918
25	5971	6292	6491
35	5976	6310	6518
40	6011	6352	6566




ନାଥ. କୁମାରସ୍ଵାମୀ ପାଇଁ ଏହାକିମଙ୍କଳ ପାଇଁ ଏହାକିମଙ୍କଳ ପାଇଁ ଏହାକିମଙ୍କଳ ପାଇଁ

როგორც მე-6 ცხრილიდან ჩანს, F იზრდება ხსნარის როგორც ტემპე-
რატურის, ისე მასში ალფაბეტობის რაოდენობის ზრდით.

ვაჟლის მეცნიერება. იმავე მეთოდით ვიკვლევდით ვაშლის მეცნიერების დისტრიბუციის მუდმივებას, როსოესაც ვაშადებდით სხვადასხვა კონცენტრაციის 0,1 და 0,01 მოლ წყალალექომლიან ორ ხსნარს და ვზომავდით pH -ს მნიშვნელობას. $[\text{H}^+]$ კონცენტრაციის საშუალებით ვპოულობდით K -ს მნიშვნელობას. შედეგები მოცემულია მე-7 ცხრილში.

ალკოჰოლის მეცნიერების რაოდენიმანება %	დისოციაციის მუდმივა K				
	ტემპერატურა C°				
	13	20	30	40	50
0	$2,51 \cdot 10^{-4}$	$2,36 \cdot 10^{-4}$	$2,58 \cdot 10^{-4}$	$2,31 \cdot 10^{-4}$	$2,19 \cdot 10^{-4}$
5	$2,29 \cdot 10^{-4}$	$2,30 \cdot 10^{-4}$	$2,11 \cdot 10^{-4}$	$2,10 \cdot 10^{-4}$	$2,09 \cdot 10^{-4}$
10	$2,15 \cdot 10^{-4}$	$2,24 \cdot 10^{-4}$	$1,90 \cdot 10^{-4}$	$2,04 \cdot 10^{-4}$	$2,04 \cdot 10^{-4}$
15	$1,92 \cdot 10^{-4}$	$2,04 \cdot 10^{-4}$	$1,68 \cdot 10^{-4}$	$1,97 \cdot 10^{-4}$	$2,00 \cdot 10^{-4}$
20	$1,59 \cdot 10^{-4}$	$1,70 \cdot 10^{-4}$	$1,39 \cdot 10^{-4}$	$1,74 \cdot 10^{-4}$	$1,78 \cdot 10^{-4}$
25	$1,22 \cdot 10^{-4}$	$1,32 \cdot 10^{-4}$	$9,84 \cdot 10^{-5}$	$1,45 \cdot 10^{-4}$	$1,55 \cdot 10^{-4}$
30	$8,91 \cdot 10^{-5}$	$1,05 \cdot 10^{-4}$	$5,01 \cdot 10^{-5}$	$1,20 \cdot 10^{-4}$	$1,29 \cdot 10^{-4}$
40	$6,6 \cdot 10^{-5}$	$6,92 \cdot 10^{-5}$	$5,8 \cdot 10^{-5}$	$8,32 \cdot 10^{-5}$	$6,76 \cdot 10^{-5}$
50	$4,6 \cdot 10^{-5}$	$4,79 \cdot 10^{-5}$	$3,55 \cdot 10^{-5}$	$5,75 \cdot 10^{-5}$	$8,32 \cdot 10^{-5}$

როგორც სხვა მეცნიერებაში, აქც ვნახულობდით K-ს უარყოფით
ლოგორიოთს $P_{K-ს}$ და შემდეგ ტემპერატურასა და ალკოჰოლის პროცენტულ
რაოდენობას შორის ფუნქციონალურ დამოკიდებულებას გრაფიკულად.




ნახ. 6. ვაშლის მეცნიერების $P_{K-ს}$ დამოკიდებულება ალკოჰოლის რაოდენობაზე ხსნარში.

როგორც მრუდებიდან ჩანს ვაშლის მეცნიერების დისოციაციის მუდმივას
დამოკიდებულება ტემპერატურაზე შემდეგში გამოიხატება: წყალსნარში

ვაშლის მეავის დისოციაციის მუდმივა თითქმის არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. ალკოჰოლის რაოდენობის ზრდასთან ერთად სხნარში ტემპერატურის გაფლენა დისოციაციის მუდმივაზე შესამჩნევი ხდება, და რაც მეტია ალკოჰოლის რაოდენობა სხნარში, მით მცენტრაცია გამოსახულოს, მათ შორის დამოკიდებულება.

შემთხვევა



ნახ. 7. ვაშლის მეავის P_k -ს დამოკიდებულება ტემპერატურაზე.

ალკოჰოლის რაოდენობის ზრდა სხნარში ყველა აღებულ ტემპერატურაზე იწვევს დისოციაციის მუდმივას K-ს შემცირებას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ K-ს შემცირება არ არის დიელექტრული მუდმივას შემცირების პროპორციული. იმ შემთხვევაში, როდესაც ალკოჰოლის რაოდენობის ზრდასთან ერთად დიელექტრული მუდმივა სწორხაზოვანად ეცემა, დისოციაციის მუდმივას შემცირება გამოიხატება ტეხილი ხაზით, და ამ გარდატეხას ადგილი აქვს 30° ტემპერატურაზე.

როგორც ლიტერატურული მონაცემებიდან არის ცნობილი, სხნარში ადგილი აქვს სოლვატების ჰიდრატებისა და ლაბილური კომპლექსის წარმოქმნას, ხოლო რაც მეტია ალკოჰოლის რაოდენობა სხნარში, მით მეტია წარმოქმნილი კომპლექსის რაოდენობა. მრუდის მოყვანილობის მიხედვით

უნდა ვითიქროთ, რომ ამ ლაბილური კომპლექსის წარმოქმნა 30° ტემპერატურის დროს აღწევს მაქსიმუმს, რის შემდეგ K-ს მნიშვნელობა ისვე იძრდება. K-ს მნიშვნელობის ზრდა მაღალ ტემპერატურაზე გამოწვეული უნდა იყოს კომპლექსის დაშლით.

კომპლექსის წარმოქმნა შეიძლება დაპირობებული იყოს წყალშატატში, რაც არავითარ გაუგებრობას არ იწვევს, რადგანაც ასეთი ტემპერატურაზე კა-ახლოებით $6-8$ კგ / კალორიას იღწევს. ჩვენი გაანგარიშების საფუძველზე-დაც ენერგიათა სხვაობა ამ მდგომარეობასა და სხვა მდგომარეობებს შორის თითქმის იმავე სიიდიდისაა.

გარდა ამისა, შესაძლებელია ასეთი კომპლექსის წარმოქმნა აქსნათ იმ დიპოლური მომენტებით, რომლებიც ახასიათებენ სისტემაში მყოფ კომპონენტებს. მათი დიპოლური მომენტები თავისი სძლიდით მეტად ახლოსაა ერთ-მანეთან, ამიტომაც შესაძლებელია დიპოლური მომენტის საშუალებით ისინი ერთმანეთს დაუკავშირდნენ. რაც შეეხება K-ს გადიდებას მაღალ ტემპერატურაზე, ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ მაღალ ტემპერატურაზე დიპოლმომენტი მცირდება, ამ უკანასკნელის შემცირება გამოიწვევს კომპლექსის დაშლას, მეავის განთავისუფლებას და დისოციაციის მუდმივას გადიდებას.

ვაშლის მეავის დისოციაციის მუდმივას მნიშვნელობებიდან გავიანგარიშეთ ვაშლის მეავის დაშლის რეაქციის თავისუფალი ენერგია ΔF .

ΔF მნიშვნელობა როგორც ტემპერატურის, ისე ალკოჰოლის რაოდენობის ზრდით იზრდება.

ტემპერატურაზე დისოციაციის მუდმივას დამოკიდებულებიდან გავიანგარიშეთ ვაშლის მეავის დაშლის რეაქციის სითბური ეფექტის დამოკიდებულება ტემპერატურაზე რეაქციის სითბური ეფექტის დამოკიდებულება ტემპერატურაზე გვიჩვენებს, რომ რეაქციის სითბური ეფექტი წყალსნარისათვის და 50% წყალალეკომლიანი ხსნარისათვის თითქმის არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე და დაშლის რეაქცია ეგზოთერმულად მიმდინარეობს.

ალკოჰოლის პროცენტული რაოდენობის ზრდა იწვევს დაშლის რეაქციის სითბური ეფექტის დიდ ცვლილებას; 10% და უფრო მეტი წყალალეკომლიანი ხსნარისათვის დაშლის რეაქციის სითბური ეფექტი $13-20^{\circ}$ ტემპერატურის შეუალებში ენდოთერმულია, რის გამოც ტემპერატურის ზრდა იწვევს დისოციაციის მუდმივას ზრდას, რაც მაქსიმუმს აღწევს $20-30^{\circ}$ ტემპერატურის ინტერვალში.

ლვინის მეავა. იმავე მეოთოდით ვსაზღვრავდით ლვინის მეავის დისოციაციის მუდმივას, რისთვისაც ვამზადებდით $0,1$ და $0,01$ მოლ. ლვინის მეავის წყალ და წყალალეკომლიან ხსნარს.

დისოციაციის მუდმივას მნიშვნელობები მოცემულია მე-8 ცხრილში.


დისოციაციის მუდმივას ამ მნიშვნელობებიდან ვნახულობდით P_K-ს მნიშვნელობას და ამ უკანასკნელს, ტემპერატურას და ალკოჰოლის პროცენტულ რაოდენობას შორის ფუნქციონალურ დამოკიდებულებას, რაც მოცემულია № 8 და 9 მრულით.

როგორც № 8 მრული გვიჩვენებს, ტემპერატურის ზრდასთან ერთად დისოციაციის მუდმივა K—თანდათან მცირდება თითქმის 20° ტემპერატურაზე.

რამდენ, რის შემდეგ თანდათან იზრდება და თავის მაქსიმუმს აღწევს, 30° ტემპერატურის დროს. ტემპერატურის შემდეგნ ზრდა კი იწვევს K-ს შემცირებას.

ცხრილი 8

ალფა-გაუგინის მნიშვნელი %	დისოციაციის მუდმივა			
	12	20	30	40
0	$9,55 \cdot 10^{-4}$	$9,01 \cdot 10^{-4}$	$8,90 \cdot 10^{-4}$	$7,80 \cdot 10^{-4}$
5	$8,90 \cdot 10^{-4}$	$8,79 \cdot 10^{-4}$	$7,29 \cdot 10^{-4}$	$6,40 \cdot 10^{-4}$
10	$7,59 \cdot 10^{-4}$	$6,92 \cdot 10^{-4}$	$5,37 \cdot 10^{-4}$	$5,25 \cdot 10^{-4}$
15	$6,28 \cdot 10^{-4}$	$4,40 \cdot 10^{-4}$	$4,90 \cdot 10^{-4}$	$4,50 \cdot 10^{-4}$
20	$4,36 \cdot 10^{-4}$	$3,39 \cdot 10^{-4}$	$3,89 \cdot 10^{-4}$	$3,47 \cdot 10^{-4}$
25	$2,76 \cdot 10^{-4}$	$2,52 \cdot 10^{-4}$	$3,47 \cdot 10^{-4}$	$2,87 \cdot 10^{-4}$
30	$1,74 \cdot 10^{-4}$	$1,51 \cdot 10^{-4}$	$3,16 \cdot 10^{-4}$	$2,24 \cdot 10^{-4}$
35	$1,04 \cdot 10^{-4}$	$7,08 \cdot 10^{-5}$	$2,75 \cdot 10^{-4}$	$1,75 \cdot 10^{-4}$
40	$6,60 \cdot 10^{-5}$	$6,02 \cdot 10^{-5}$	$2,34 \cdot 10^{-4}$	$1,29 \cdot 10^{-4}$




ნაბ. 8. ლფინის მეაუგის K დამოკიდებულება სპირტის პროცენტულ რაოდენიბაზე.

ჩვენი აზრით, ტემპერატურის თანდათანობითი გადიდებისას K-ს შემცირება იმით უნდა აეხსნათ, რომ დაბალ ტემპერატურაზე ადგილი აქვს ლინის მეუკისა და ეთილის ალკოჰოლის რთულ ჰიდრატ-სოლვატური კომპლექსების წარმოქმნას, რაც იწვევს თავისუფალი ზეავის შემძას და შიგი დისოლვაციის მუდმივობის შემცირებას.

ამ მოსახრებას ისიც ადასტურებს, რომ რაც მეტია პროცენტლის ტაოდენობა ხსნარში, მით უფრო შევთრად არის გამოხატული K-ს შემცირება, მაშასადამე, აღნიშნული რთული ჰიდრატ-სოლვატური კომლექსების წარმოქნისათვის საჭიროა ალკოჰოლის გარევეული რაოდენობა.

ტემპერატურის შემცევი ზრდით შენიშნული K-ს მაქსიმუმი იმით აიხსნება, რომ ადგილი აქვს წარმოქნილი რთული კომპლექსის დაზღვანა და ბმული მეავის განთავისუფლებას, რაც თავის მხრივ იწვევს მეავის დისოლვაციის მუდმივობის ზრდას. ტემპერატურის შემცევი გადიდებით გამოწვეული K-ს შემცირება შეიძლება მით მეტია, რაც მეტია ხსნარში ალკოჰოლის რაოდენობა. ეს მოვლენა, ჩვენი აზრით, აიხსნება იმით, რომ ალკოჰოლის დიდი რაოდენობა იწვევს თავისუფალი წყლის შებორვებს, ალკოჰოლი გამოდის როგორც წყლის წარმომევი საშუალება, ეს უკანასკნელი კი იწვევს იონის ელექტური მოცულობის შემცირებას, რასაც მივყვართ დისოლვაციის მუდმივას შემცირებამდე.



ნახ. 9. დეინის მეავის K დამოკიდებულება ტემპერატურაზე.

რაც შეეხება ალკოჰოლის რაოდენობის გავლენას დისოციაციის მუდმივაზე, რომელიც მოცემულია № 9 მრუდით, ის გვიჩვენებს, რომ ალკოჰოლის რაოდენობის ზრდა იწვევს დისოციაციის მუდმივას შემცირებას.

დისოციაციის რეაქციის სითბური ეფექტის ტემპერატურაზე განვითარების შედეგები გვიჩენებს, რომ ლინიის მცირები დისოციაციის ტემპერატურაზე 10—20°-ის ფარგლებში ეგზოთერმულია, 20—30°-მდე ტემპერატურათა შეალებში დაშლის რეაქცია გაძლიერდება ენდოთერმულ რეაქციაში, რის შედეგად ტემპერატურის ზრდა იწვევს დისოციაციის მუდმივას ზრდას, 30—40° ტემპერატურათა შეალებში დაშლის რეაქციის სითბური ეფექტი ისევ ეგზოთერმული ხდება.

უნდა აღინიშვნოს, რომ აუც მეტია ალკოჰოლის რაოდენობა ხსნაზე, მით მეტია დასოკიავის რიგეციის სითბრი გთქმუ.

ლიმონის მეცავა. ლიმონის მეცავის დისოციაციის მუდმივას განსაზღვრას ვაწარმოებდით იმავე მეთოდით, ცდისათვის ვამზადებდით $0,1-0,01$ მლ. სსნარს. დისოციაციის მუდმივას მნიშვნელობები სხვადასხვა ტემპერატურის დროს და სხვადასხვა პროცენტიანი ალკოჰოლიანი სსნარისათვის მოცემულია მე-8 ცხრილში.

ლიმონის მედვის დისოციაციის მუდმივა

3609

અધ્યાત્મિક શરૂઆતી કો % ના નાનુભવ	દેખાવાની પ્રદર્શન મુદ્રણો K			
	13	20	30	40
0	$8,22 \cdot 10^{-4}$	$8,22 \cdot 10^{-4}$	$8,21 \cdot 10^{-4}$	$1,42 \cdot 10^{-3}$
5	$8,16 \cdot 10^{-4}$	$7,91 \cdot 10^{-4}$	$7,45 \cdot 10^{-4}$	$1,31 \cdot 10^{-3}$
10	$6,61 \cdot 10^{-4}$	$6,61 \cdot 10^{-4}$	$7,61 \cdot 10^{-4}$	—
15	$5,36 \cdot 10^{-4}$	$5,27 \cdot 10^{-4}$	$5,70 \cdot 10^{-4}$	$9,40 \cdot 10^{-4}$
20	$4,17 \cdot 10^{-4}$	$4,57 \cdot 10^{-4}$	$4,68 \cdot 10^{-4}$	$4,36 \cdot 10^{-4}$
25	$3,38 \cdot 10^{-4}$	$3,78 \cdot 10^{-4}$	$3,81 \cdot 10^{-4}$	$3,54 \cdot 10^{-4}$
30	$2,57 \cdot 10^{-4}$	$3,09 \cdot 10^{-4}$	$3,16 \cdot 10^{-4}$	$2,88 \cdot 10^{-4}$
40	$1,66 \cdot 10^{-4}$	$2,14 \cdot 10^{-4}$	$2,19 \cdot 10^{-4}$	$1,91 \cdot 10^{-4}$


ლიმონის მეურის დისოციაციის შუდმიგას დამოკიდებულება ტემპერატურისა და ალკოჰოლის რაოდენობაზე -ხსნარში მოცემულია № № 10, 11 მრუდებზე.

როგორც მრავდიდან ჩანს, დისოციაციის მუდმივა ტემპერატურის 30° -მდე გადიდებასთან ერთად წყალხსნარში და 5° , წყალალეკონლიან ხსნარში თითქმის არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. ტემპერატურის შემდგომი ზრდა იწვევს დისოციაციის მუდმივას გადიდებას. $15-20^{\circ}$ -იან წყალხსნარისათვის დისოციაციის მუდმივა თითქმის არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. ივნი შედეგაბი აქვს მიღებული დოკ. ივანოვს ლიმონის მეფის მაგალითში.

ალკოჰოლის პროცენტული რაოდენობის ზრდა ხსნარში იწვევს / დისო-
ციაციის მუდმივის შემცირებას, რაც აისხნება ხსნარის დიელქიტრულ მუდ-
მივას შემცირებით.

ლიმონის მეავის დისოციაციის მუდმივის მნიშვნელობებით გავიანგარი-
შეთ დისოციაციის სითბური ეფექტი. ორგორუ მილებული შემცირებულიან
ჩანს, ტემპერატურის გადიდებასთან ერთად ადგილი აქვს სტაბული ეფექტის
ზრდას. წყალალკოლიან ხსნარებში კი დამოკიდებულება რეაქციის სით-
ბურ ეფექტსა და ტემპერატურას ზორის უფრო რთულია, რაც უნდა აგხსნათ
იმ მოსაზრებით, რომელიც ზემოთ იყო ჩვენ მიერ მოყვანილი (პილრატაცია,
წყალბადის გმია).

საერთოდ უდნა აღინიშნოს, რომ დისოციაცია წყალხსნარში ეგზოთერ-
მულად მიმდინარეობს და მისი სიდიდე ტემპერატურის ზრდასთან ერთად
მცირდება.




ნაშ. 10. ლიმონის მეავის დისოციაციის მუდმივის დამოკიდებულება
ტემპერატურაზე.

შესწავლილი ექვსი მეავის დისოციაციის მუდმივების მნიშვნელობიდან
გაანგარიშებულია ამ მეავების შეფარდებითი ძალა. ორგორუ მონაცემებიდან
ჩანს ყველა პირობაში ძალის, ქარვის, ვაშლის, ლვინისა და ლიმონის მეავის
ძალი მეტია ძმრის მეავის ძალაზე. შეფარდებით მეავიანობას ვანგარიშობდით
ფარლობით

Ki მევისა
ძმრის მევისა

მევის ძალა მით მეტია, რაც მეტია მევაში ჰიდროქსილისა და კარბოქსილის ჯგუფი. ზემოგანხილული მაგალითები გვიჩვენების დროში დასოციაციის მუდმივა დიდადაა დამოკიდებული მოლექულის შედგენილობისა და მის ფიზიურ-ქიმიურ თვისებებზე. რაც უფრო რთულია მოლექულის შედგენილობა, მით უფრო რთულ დამოკიდებულებას ვხედებით მევას დისოციაციის მუდმივიასა, ტემპერატურასა და ოლკოჰოლის პროცენტულ რაოდენობას შორის.



ნახ. 11. ლიმონის მევის დისოციაციის მუდმივას დამოკიდებულება
ალკოჰოლის რაოდენობაზე.

ჰიდროქსილის ჯგუფის შეტანა მევაში ყველა შემთხვევაში იწვევს დისოციაციის მუდმივას ზრდას, როგორც სუფთა წყალსნარში, ისე წყალ-ალკოჰოლიან ხსნარებში. როგორც ჩანს, მართლდება მაკ-ინესისა და ლენგმიურის დებულება, რომ პოლარული რაღიკალის შეტანა იწვევს დისოციაციის ხარისხის გადიდებას, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ელექტრონების გადადგილებას ჰიდროქსილის ჯგუფის მიმართულებით და პროტონის განთავისუფლებას, რის შედეგად პროტონი ადგილად ტროვებს მევას მოლექულას და გადადის ხსნარში ჰიდრატირებული წყალბალინის $[H_2O]^+$ სახით.

ერთი ჰიდროქსილის ჯგუფის შეტანა ორფუძიანი მეცნიერებაში
თითქმის 13,7-ჯერ ადიდებს მეცნიერებას ძალას, მეორე ჰიდროქსილის ჯგუფის შე-
ტანა, შედარებით პირველი ჰიდროქსილის ჯგუფთან, მხოლოდ 3,4-ჯერ ადიდებს
მეცნიერებას ძალას.

ტერმული
ცისაბურისა

დ ۱ ۶ ۴ ۳ ۶ ۹ ۸ ۰

1. ნახულია ექვსი მეცნიერების დისოციაციის მუდმივა სხვადასხვა ტემპერა-
ტურისა (10—50) და ალკოჰოლის სხვადასხვა შედგენილობის პი-
რობებში.
2. დადგენილია, რომ ტემპერატურის გავლენა დისოციაციის მუდმივაზე
მით მეტია, რაც უფრო რთული შედგენილობისაა მეცნიერება.
ეს იმით იმსახურდა, რომ კინეტიკური ენერგიის ზრდასთან ერ-
თად იცვლება ხსნარში არსებული რთული კომპლექსის შედგენი-
ლობა, რაც თავის მხრივ მოქმედებს დისოციაციის მუდმივას სი-
დიდეზე.
3. დადასტურდა მაკინესისა და ლენგმიურის დებულება იმის შესახებ,
რომ მეცნიერება მოლეკულაში წყალბადის ჩანაცვლებით რომელიმე პო-
ლარული ჯგუფით, ჩვენს შემთხვევაში ჰიდროქსილის ჯგუფით,
დადგება დისოციაციის მუდმივა.
4. დისოციაციის მუდმივას ცვლილება ხსნარში არსებული ალკოჰოლის
რაოდენობასთან ერთად არ არის პროპორციული ხსნარის დიე-
ლექტრული მუდმივას ცვლილებისა, რაც უნდა აეხსნათ ხერა მო-
საზრებით, სახელდობრი: ხსნარში წარმოიქმნება რთული ლაბი-
ლური-კომპლექსი, რის შედეგად შესაბამისად იცვლება მეცნიერების
დისოციაციის მუდმივა.
5. გაანგარიშებულია დისოციაციის სითბური ეფექტი და მისი და-
მოკიდებულება ტემპერატურაზე რეაქციის იზოქორის გან-
ტოლებით.
6. გაანგარიშებულია თავისუფალი ენერგია ექვსი მეცნიერების. მიღე-
ბული შედეგები მოწმობს, რომ რეაქციის თავისუფალი ენერგია
იზრდება როგორც ტემპერატურის, ისე ალკოჰოლის რაოდენობის
ზრდის დროს.
7. გაანგარიშებულია მეცნიერების სიმძლავრე ძმრის მეცნიერებით.
მიღებული სიდიდეები ნათლად გვიჩვენებს, რომ ჰიდროქსილის
შეცვანით მეცნიერების მოლეკულაში იზრდება მეცნიერების სიმძლავრე.
8. დამტკიცებულია, რომ წყალალექოჰოლიანი ხსნარებისათვის არ შე-
იძლება ელექტრომეტრული მეთოდით წყალბადის კონცენ-
ტრაციის განსაზღვრის დროს გამოყენებულ იქნეს ქინებიდრონის
ელექტროდი, რაც იმით უნდა აეხსნათ, რომ ალკოჰოლიან ხსნარ-
ში ალკოჰოლის რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება აგრეთვე
ქინებიდრონის ხსნადობაც, რის შედეგად ვერ ვაღწევთ პოტენცი-
ალის მუდმივობას.



Н. И. ПИРЦХАЛАВА
Доцент, канд. хим. наук

ВЛИЯНИЕ РАСТВОРИТЕЛЯ И ТЕМПЕРАТУРЫ НА КОНСТАНТЫ ДИССОЦИАЦИИ НЕКОТОРЫХ ОРГАНИЧЕСКИХ КИСЛОТ

РЕЗЮМЕ

1. Найдены константы диссоциации для шести кислот и зависимость константы диссоциации от растворителя и температуры в интервале от 0° до 50°.

2. Установлено, что влияние температуры на константы равновесия тем больше, чем сложнее состав молекулы. Это объясняется тем, что с увеличением температуры увеличивается кинетическая энергия сложного комплекса, находящегося в растворе, что влияет на константы диссоциации.

3. Подтверждены взгляды Мак-Иннеса и Ленгмюра о том, что сведением в молекуле кислоты полярной группы, в нашем случае гидроксильной и карбоксильной групп, увеличиваются константы диссоциации кислот.

4. Изменение константы диссоциации с изменением количества спирта в растворе не находится в прямой зависимости с изменением диэлектрической постоянной среды, что должны объяснить образованием лабильного сложного комплекса между кислотой и растворителем.

5. На основе экспериментальных данных вычислен тепловой эффект реакции диссоциации, а также свободная энергия диссоциации.

6. Вычислена сила кислот для всех случаев в отношении уксусной кислоты; данные показывают, что с увеличением гидроксильных и карбоксильных групп в составе молекулы увеличивается сила кислот как в водных, так и в спиртно-водных растворах.

7. На основе экспериментальных данных подтверждено, что для спиртно-водных растворов кислот при определении концентраций кислот нельзя применять хигидронный электрод; это объясняется тем, что растворимость хинона и гидрохинона в спиртовых растворах изменяется непропорционально.

თემაზე
შეკმის

დ. გიაშვილი

ტექნიკურ მუცელობებითა კანცილატი

კახური ტიპის ღვინის ტექნოლოგია

კახური ტიპის ღვინოების (ჩქაწითელის, საფერავის) ტექნოლოგიან გა-
დახრის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს ხშირად რთველის ნაადრევად დაწყება
წარმოადგენს. ამ გარემოებას ადგილი აქვს უფრო მეტად იმ რაიონებში,
სადაც კარგა კახურისა ევროპული ტიპის ღვინოების დაყენებასაც აწარმოე-
ბენ (გურჯაანის, თელავის, ახმეტის რაიონები და სხვა).

ცნობილია, რომ კახეთში ევროპული ტიპის ღვინოებისათვის საჭირო
ყურძნის ტექნიკური სიმწიფე ადრე დგება; საკმარისია ყურძნებში შეკარი
 18% -მდე დაგროვდეს, ხოლო საერთო მეავიანობაში $9-8\%$ -მდე დაიწიოს, რომ
რთველი დაიწყოს.

რატომ არის საჭირო ევროპული ტიპის ღვინოების მისაღებად რთვე-
ლის შედარებით ადრე დაწყება და კახურისათვის კი გვიან?

ევროპული ტიპის კახეთის ღვინოების თავისებურება იმაში მდგომა-
რეობს, რომ თეთრ ღვინოებს აქვს ღია ჩალისუფრი, ხოლო წითლებს უფრო ღია
წითელი; მათ აქვს საემაოდ მაღალი საერთო მეავიანობა ($6-8\%$), საშუალო
სიმაგრე ($10-12\%$) და მსუბუქი ნაზი სხეული. ამ ტიპის ღვინოების ორგა-
ნოლებტექურად შეფასების დროს პარმონიულად შეწყობილ შემადგენელ
ელემენტებში უფრო მკაფიოდ უნდა ჩანდეს მეავიანობა და რაც რბილია და
ნაზია ეს უკანასკნელი, მით უფრო სასიამოენდა პროდუქტი. პირიქით, მუქი
ფერი და დაბალი საერთო მეავიანობა, დიდი სიმაგრე და ექსტრაქტის
სიუხვე ევროპული ტიპის ღვინოებს ამძიმებს.

რაც შეეხება ხარისხოვან კახური ტიპის ღვინოებს, მათი ტიპიურობა
შემდეგში უნდა გამოისახებოდეს: ალკოჰოლს უნდა შეიცავდნენ $11,5\%$ -დან
 14% -მდე, ხოლო საერთო მეავიანობას $4-6\%$.

თეთრ ღვინის უნდა ჰქონდეს მუქი ჩასტყოფრი, მდიდარი სხეული, კომ-
პაქტურობა შემადგენელ ელემენტთა შორის და გუნდილოვან ნივთიერებათა
არა უხეში სიმწელარტე, არამედ რბილი გემო. წითელი ღვინი უნდა იყოს
მუქი, ჩაშავებამდე მისული ფერის, მაღალი ექსტრაქტისა და ალკოჰოლის
მქონე, თუმცა ეს უკანასკნელი ღვინოში არც კი უნდა ჩანდეს სხვა შემად-
გენელ ელემენტთა სიუხვის გამო. მასვე აშეარადვე უნდა ჰქონდეს გამოსა-
ხული საფერავის ჯიშური არომატი.

აღსანიშნავია, რომ კახურმა საფერავშა, როგორც ტიპმა, რქიშითელ-თან შედარებით ნაკლები დაქვეითება განიცადა. ძირითადი მიზეზი ამ გარე-მოებისა ის უნდა იყოს, რომ თანაბარ პირობებში კახეთში საფერავი უფრო ადრე იწყებს მომწიფებას და გადამწიფებას, კიდრე რქაშითელი, რადგან კახეთში რთველს უმთავრესად რქაშითლის სიმწიფის მიხედვით, იწყებენ, სახელდობრ 18%. შაქრიანობის დროს, ამ მომენტში უაქერაუში ზერჩად 19—20%. შაქრიან დაგროვილი და რთველის დაწყებილან 5—10 დღის შემდეგ, როდესაც ყურძნის კრეფა მასობრივად წარმოებს, საფერავში შაქრიანობა 22—24%, მდე ადის, რაც საესტიმი უზრუნველყოფს კახური ტიპის მაღალხარისხოვანი წითელი ლვინის მიღებას.

კახური ტიპის ლვინოებთან დაკავშირებით მოკლედ მოვიყვანოთ ტები-ლისა და ლვინის ზოგიერთი შემადგრელი ელემენტის შესახებ ენოქიმიური მონაცემები, რომელთა გათვალისწინებაც საჭიროა ყურძნის ტექნიკური სიმ-წიფის დასადგენად.

ვაზის მწვანე ნაწილებში მიმდინარე ასიმილაციის შედეგად ყურძნში გროვდება შექრები, უმთავრესად ჰექსოზები (გლუკოზი და ფრუტოზი) და მცირე რაოდენობით პენტოზები (არაბინოზი და მეთოლპენტოზი).

პენტოზებს უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს ყურძნის მაგარი ნა-წილები, საიდანაც გადადის იგი ტებილში და შემდეგ კი ლვინოში, სადაც პენტოზების რაოდენობამ შეიძლება ერთ გრამამდე მიაღწიოს.

კახური ტიპის ლვინოები პენტოზებს უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს რადგან ეს ლვინოები მხადდება კაჭაზე ტებილის დუღილით.

პენტოზები არც დუღილის პროცესში და არც შემდეგ დალვინების დროს ცვლილებას არ განიცდის.

ჰექსოზები (გლუკოზი და ფრუტოზი), როგორც ცნობილია, ტებილის მთავარი შემადგრენელია წყლის შემდეგ და მათ რაოდენობაზეა ძირითადად დამოკიდებული ამა თუ იმ ტიპისა და კატეგორიის ლვინოების მისაღებად რთველის დროს დადგენა.

ალკოჰოლური დუღილის თეორიიდან ცნობილია, რომ ერთი გრამი შაქრის დაშლის შედეგად პრაქტიკულად წარმოიქმნება 0,55-დან 0,60%-მდე ალკოჰოლი. ამგვარად, რომ მივიღოთ ხარისხოვანი კახური ტიპის ლვინოები, რომელთაც ექნებათ სიმაგრე 11,5—14%, საჭიროა რთველი ჩატარდეს იმ დროს, როდესაც ყურძნში შაქრიანობა 20—24%-ის ფარგლებში იქნება.

ტებილის ალკოჰოლური დუღილის შედეგად, შაქრის დაშლის ხარჯზე, წარმოიქმნება გლიცერინი. გამორკვეულია და მრავალგზის დადასტურებული, რომ რაც მეტია ტებილის შაქრიანობა, მით, თუმცა არაპროპორციულად, მაგრამ შედარებით მეტი რაოდენობით, წარმოიქმნება გლიცერინი. ეს უკანასკნელი არბილებს ლვინოში ალკოჰოლების დამახასიათებელ მწვავე გემოს და პროდუქტს ხავერდოვნებასა და სირბილეს სქენს.

ადრე დაკრეფილი შეუფერებელი ტექნიკური სიმწიფის ყურძნიდან და-ყენებული კახური ტიპის ლვინოები სიძელგითა და უხეში გემოთი ხასიათდება, რადგან შაქრიანობით ნაკლები კონცენტრაციის ტებილი გლიცერინს

შედარებით მცირე რაოდენობით წარმოქმნის და, ამრიგად, ნაკლებია ამ უკანასკენელის დაცებითი გავლენა პროდუქტზე. გარდა ამისა, ადრე დაკავშირდი უურძნიდან მიღებულ პროდუქტში ალკოჰოლის სიმწვავეს ემატება გუნდილოვანი ნივთიერებების და ე. წ. „მშვანე მეავიანობის“ სიმწვლებრტფ, რისკ დამტკლევინა-უბი უხეში და ჰარმონიას მოქლებული გამოდის.

კახური ტიპის ლვინის მისალებად რთველის დროს დაგჭენისათვის დიდი ყურადღება უნდა მიეკუს ყურძნებით საერთო მეავიანობის დონესაც. როგორც ცნობილია, ტყბილი ძირითადად ლვინის, ვაშლისა და ლიმონის მეავებს შეიცავს.¹

ამ მეავებიდან რაოდენობითა და მნიშვნელობით უმთავრესია ლვინის მეავა, რადგან ალკოჰოლური დუღილის დროს ცვლილებებს უფრო მეტად ეს მეავა განიცდის და ლვინის აქტიური მეავიანობაც (წყალბალიონთა კონკურტრაცია) ძირითადად ამ მეავის რაოდენობაზეა დამოკიდებული.

ცნობილია, რომ ტყბილის ალკოჰოლური დუღილისა და დამაჭრების პერიოდში საერთო მეავიანობა მცირდება $15-25\%$ -ით, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, საფუვერების კვებით და მეავიანობის შემამცირებელი ბაქტერიების მოქმედებით, მეორე მხრივ—ლვინის ჭვის გამოლექვით დუღილის შემდეგ ტემპერატურის შემცირებისა და ალკოჰოლის დაგროვების გამო.

ამიტომ, რომ მივიღოთ კახური ტიპის ხარისხოვანი ლვინოები, რომელთაც ექნებათ საერთო მეავიანობა $4-6\%$ საჭიროა რთველი დაიწყოს იმ დროს, როდესაც ყურძნეს ექნება მეავიანობა არა უმეტეს 7% და დამთავრდეს მეავიანობით არა უმცირეს 5% .

გუნდილოვანი ნივთიერებანი ნივთიერებანი. იმის მიხედვით, თუ როგორ სიმწიფეშია ყურძნები დაკრეფილი, რა პირობებშია გადამუშავებული და აგრეთვე რა რაოდენობით და რამდენ ხანს ეხება ჩენჩი, წიგწა და კლერტი ტყბილს, მაღლარ მასას, ან დაღვინების პროცესში მყოფ მასალას, გუნდილოვანი ნივთიერებანი სხვადასხვა რაოდენობით გადადის. სხვადასხვა კატეგორიისა და ტიპის ლვინოებში.

გუნდილოვანი ნივთიერებანი დიდ გავლენას ახდენენ კახური ტიპის ლვინოების გემურ თვისებებზე, იმის მიხედვით, თუ როგორი სიმწიფის ყურძნიდან არის ეს ლვინოები დაკანონებული. მაგ., კახური ტიპის სუფრის ლვინო, მიღებული $18-19\%$, ზაქრიანობის რქაწითელიდან, რომელსაც კლერტი, ჩენჩი და ხშირად წიგწაც ჯერ კიდევ მომწვანოდ აქვს შეფერილი, ხასიათდება მეტისმეტი სიძელგით, კარბი და ამავე დროს უფრო მკვეთრი სიმწვლარტით, ვიდრე $22-24\%$, ზაქრის შემცველი, შემოსული კლერტისა, წიგწისა და ჩენჩის მქონე ყურძნიდან დაყენებული ამავე ტიპის ლვინო.

ცხადია, აქ ნაგულისხმევია, რომ გუნდილოვან ნივთიერებათა გავლენა ისეთ რთულ კომპლექსზე, როგორიც ლვინო, დამოკიდებული იქნება ლვინოში სხვა შემადგრენელ ელემენტთა რაოდენობაზედაც.

¹ გამორკეულია, რომ ტყბილი შეიცავს აგრეთვე აღმდეგნელ მეავებს, მაგ.: გლიკეალის მეავას (სტრიმონი და ფლანში) ყურძნის ჭით დავადებულ მარცვალში გვხვდება გლუკონისა და გლუკორონის მეავებიც (ვანტრი).

აღსანიშნავის ის გარემოებაც, რომ კლერტის, ჩენწილისა და წიპურის, ფერი და გემო იცვლება ყურძნის სიმწიფის დონის, ვენახის ადგილმდებარების, ნიადაგური პირობებისა და სხვა ფაქტორების მიხედვით, რაც გვავიქრებინებს, რომ გუნდილოვანი ნივთიერებანი ამ ფაქტორების გაულენით გარკვიულ ცვლილებებს უნდა განიცდიდეს. მაგ., ვეროპული ტრპის წლებით გამოიყენებისათვის ყურძნის ტექნიკური სიმწიფის დროს (18% , შაქტის ანგარიშზე, საერთო მეავიანობა) რქაწილელის კლერტის მომწვანო ფერი აქვს შენარჩუნებული; შემდეგ და შემდეგ, შაქტის ანგარიშზე, 22—24% -ის და საერთო მეავიანობის 7—5% -ის პერიოდში, კლერტი თანდათანობით მიხაյის ფერს იღებს, მხოლოდ არა ყველგან, არამედ ძირითადად ურწყავს, სამხრეთ-აღმოსავალეთ მხარეს დაქანებულ, ნეშვიმპალ-კარბონატულ და თიხნარ-კარბონატულ ჩინჩხიან ნიადაგებულებები. სარწყავი, აღუყისულ და ჰერცელი მდიდარ შევმიწისებრ ნიადაგებზე გაშენებულ ვენახებში კლერტი მომწვანო იქრს არ კარგავს და ძირითადად ლია ოქროსფერი ხდება. ამავე ფაქტორების მიხედვით (სიმწიფის დონის, ადგილმდებარების, ნიადაგებისა და სხვა) კიდევ უფრო შეკვეთრად ყურძნის ჩენწილი იცვლება, ვფიქრობთ, რომ ფერის ეს სხვადასხვაობა გუნდილოვანი ნივთიერებების ცვლილების გარეშე არ უნდა ხდებოდეს.

პროფ. გ. ლვალაძის აზრით, მტევნის სხვადასხვა ნაწილი ერთნაირი სახის ტანინებს არ უნდა შეიცავდეს, მოსალოდნელია, რომ კლერტის ტანინი განსხვავდებოდეს მაგ., წიპურის ტანინისაგან.

გუნდილოვან ნივთიერებათა რაოდენობა და თვისობრივი გავლენა ლვინოშე ბევრად არის დამოკიდებული ყურძნის გადამუშავების წესზედაც; რამდენადაც მეტად იყენება, ისრისება და ქუცმაცდება კლერტი გადამუშავების დროს, რამდენადაც მეტად ზიანდება წიპური და ინტენსიურად ისრისება ჩენწილი, იმდენად გუნდილოვანი ნივთიერებანი მეტი რაოდენობით გადადიან ლვინოში.

პრაქტიკული დაკვირვებით და სათანადო ცდებითაც (პროფ. კ. მოდებაძე, დოკ. გ. ბერიძე) (3) დაბასტურებულია, რომ ეგრატუმბოები და ფულოტუმბოები, ყურძნის გადამუშავების დროს, კლერტის დაწყვეტის, მისი დაცემისა და წიპურის ცოტად თუ ბევრად დაზიანების გამო, პროდუქტის გუნდილოვანი ნივთიერებით ამღიდრებენ. ყურძნის გადამუშავების ასეთ პირობებში ლვინოში გადასულ გუნდილოვან ნივთიერებათა საერთო რაოდენობაში დიდი ადგილი კლერტიდან და წიპურიდან გადასულ ტანინის უნდა ექიროს (ეს უკანასკნელი, ჩენწილი აზრით, უფრო ძელგია, ვიდრე ჩენწილის ტანინი).

ძველი წესით ნავში ყურძნის გადამუშავების დროს ადგილი აქვს ჩენწილის მეტად დასრესას; სრესას დაცვულებული მასის გადამუშავებაც აძლიერებს, რაც ჩეცულებრივად 2—3 ჯერ წირმოებს. ნავში კლერტი უფრო უმნიშვნელოდ ზიანდება, ხოლო წიპური მექანიკურ ცვლილებებს არ განიცდის. ამ გარემოებათა გამო ძველი წესით დაცვუნებულ ლვინოებში მყოფი გუნდილოვანი ნივთიერებანი ჩენწილი და კლერტიდან უფრო მეტი რაოდენობით უნდა იყოს გადასული (პარალელი გავლებულია თანამედროვე წესთან შედარებით).

ამ ორი წესით (ძველი და თანამედროვე) ყურძნის გადამუშავების გავლენას ლვინოების ქიმიურ და ორგანოლექტიკურ თვისებებზე უფრო დაწყვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

კახური ტიპის ლვინოები გუნდილოვან ნივთიერებებს სხვა ტიპის ლვინოებთან შედარებით უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს, ეინითან ამ ლვინოების დაყენება მთლიანად პატარებს მიმდინარეობს. თუ უპატოდ დაყენებული სუფრის ლვინოებში ამ ნივთიერებათა რაოდენობა $0,2 - 0,4$ ⁴⁹ მდგრად ტახური ტიპის ლვინოებში იგი $2,5 - 3$ გრამამდე აღიტრში და ნშირად კერძოს რაონების ზოგიერთი მიკროუბნის ლვინოებში $3,5$ გრამამდეც აღწევს.

გუნდილოვან ნივთიერებათა რაოდენობა, როგორც ცნობილია, მცირდება დულილისა და დალვინების პროცესში მისი დაუანგვისა და ცილებთან გამოლექვის გამო, იგი რამდენიმედ მცირდება ლვინის გაწებების დროსაც.

ტანინის მიერ ლვინოდან ცილების გამოლექვას ზოგჯერ ხელს უშლის ე. წ. დამცველი კოლოიდები, რომლებიც, გარს ერტყმიან რა ცილის მოლეკულებს, ტანინს ცილებთან ურთიერთომოქმედებას უზღუდავენ. იმ შემთხვევაში, როდესაც ლვინო ტანიდებითაა მდიდარი, როგორც, მაგ., კახური ტიპის, მაშინ დამცველი კოლოიდის მოქმედებას ტანიდები ძლევენ და ამგვარად ცილოვანი ნივთიერებანიც ნაწილობრივად იჭრებიან.

კველა შემთხვევაში შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გამოტანა: კახური ტიპის ლვინოებში გამძლე გამჭვირვალობის შედარებით მოკლე დროში (1 წელი) მიღწევა უნდა იყოს შედეგი: ა) კიკის მიერ ადსორბციული პროცესების მიმდინარეობის გამო; ბ) ლვინის ქვის მოქარბებული რაოდენობის სწრაფად გამოლექვისა (ალკოჰოლის მაღალი კონცენტრაციისა და რეალური მევარანობის შედარებით სიმცირის პირობები) და, რაც მთავარია, გ) გუნდილოვან ნივთიერებათა სიგარბისა, რომელიც ქრის რა ნაწილობრივ ლვინოში არსებულ ცილებს, წარმოქმნის ნალექს და ეს ნალექი დაძირვის დროს თან გაიყოლიებს ლვინის სხვა ამმღვრევს ნაწილობრივად.

გუნდილოვანი ნივთიერებანი ალკოჰოლთან ერთად კახური ტიპის ლვინების შენახვისა და გამძლეობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ამ ნივთიერებათა მიერ გამოლექვა ცილებისა, რომელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ლვინოში იწვევს სხვადასხვა მავნე მიეროორგანიზმების განვითარების შესაძლებლობას, იცავს პროდუქტს მათი მოქმედების არასასურველი შედეგებისაგან.

ეს ნივთიერებანი, ადვილად დაფანგვის უნარის გამო, ლვინოში ანტიოქ-სიგენის როლში გამოდიან, ე. ი. ხელს უშლიან სხვა შემაღვენელ ელემენტთა დაფანგვას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა იქვე პიგმენტების შენარჩუნებისა და პროდუქტის შემდგომი აფეარგიანობისათვის.

ყურძნის გადამუშავება და ლვინის დაყენება

კველი წესი. დაკრეფილ ყურძენს გოდრებით მარანში ეზიდებოდნენ და ნაეში ყრიდნენ. გადამუშავებას, ე. ი. ფეხებით დაყულეტას, საღმოობით 9—10 საათიდან იწყებდნენ და ყურძნის თანაბრად დაყულეტისა და მისგან ტებილის გამოწრეტის დასაჩქარებლად დურდოს ნიჩბით. 3—4 ჯერ აბრუნებდნენ.

დაწურვის დამთავრებისას (ღამის 12—1 საათი) თეთრი ყურძნეს (რქა-შითელის, მწვანეს) ჭავას აჩენჩავდნენ და ასე ტოვებდნენ მცორე მდგმდე. მეორე დღეს დილით (7—8 საათზე) გამოწრეტილსა და დაუანგულ ჭავას ქვეყრებში მოთავსებულ ტკბილს უნაწილებდნენ. რაც შეეხება წირულუჯუშებს (საფრანგი), მის ჭავას კლერტთან ერთად ტკბილს ყურძნის დაუკულტესული დაწარებისთანავე უმატებდნენ. ალკოჰოლური დუღილი მიმდინარეობდა ქვეწრებში—დურდოს ხშირი ჩახელის პირობებში. წითელ ღვინოებს ჭავიდან ხსნიდნენ დუღილის შენელებისთანვე, არა უგვიანეს 8—10 დღისა დუღილის დაწყებიდან, ხოლო თეთრ ღვინოებს ჭავაზე ტოვებდნენ იანვრამდე და ზოგიერთ შემთხვევაში მაისამდეც კი, მხოლოდ ქვევრები ჰქონდათ მუდამ შევსებული და კარგად დახურული. გადალების დროს დიდი მემარნენი სავსებით დაწმენდილ ე. წ. თავნახადს ცალკე ჭურპელში ათავსებდნენ.

ქვევრში დარჩენილ ჭავას უკეთებდნენ ფილს (ჭავის ჩაღრმავება ქვეწრის ფსევრამდე), ფეხით ჭავას კარგად შემოტკეპნიდნენ და ამგვარად ნარჩენ ღვინოს აცლიდნენ ჭავას. ჭავიდან ან მაშინვე ხდიდნენ არაყს, ანდა ცალკე ქვევრში ინახავდნენ შემდეგ გამოსახლელად.

თანამედროვე წესი. საქ. სსრ კეების მრეწველობის სამინისტროს „სამტრესტის“ მსხვილი საწარმონი კახეთში თეთრ ყურძნების (გურჯაანის ღვინის ქარხანაში, კარდინაბის მეცნიანეობის საბჭოთა მეურნეობაში, მუქუნის მეცნიანეობის საბჭოთა მეურნეობაში და სხვა) ეგრატუმბოებით ამუშავებენ, საფრანგს კი ფულუარ-ეგრაპუარებით, რომელიც უშუალოდ სადუღარ ჭურპელზეა (ქვევრზე, ჩანსე) გამართული. ეს საწარმონი ტკბილის ალკოჰოლურ დუღილს ატარებენ სათანადო საფულერის წმინდა კულტურის მიმარტით, დურდოს ხშირი დარევისა და სისტემატური კონტროლის ქვეშ და ამგვარად კახური ტიპის ღვინოებს უკლერტოდ აყენებენ.

სამტრესტის ყურძნის დამამშადებელ — გადამამუშავებელი პუნქტები, კოლმეურნეობანი და კოლწევრების უმეტესობაც თეთრსა და წითელ ყურძნების ხელის საკულეტი მანქანებით (ფულუარებით) ამუშავებენ და ღვინოებს ღებულობენ კლერტმოუცილებელ ჭავაზე ტკბილის დუღილით, თუმცა ზოგიერთი რაიონული კომბინატი და პუნქტი ყურძნენ კლერტგამცლელი მანქანებით (ფულუარ-ეგრაპუარით) ამუშავებს.

წითელ ღვინოებს ჭავიდან ხსნიან მძაფრი დუღილის დამთავრების შემდეგ, დუღილის დაწყებიდან მეშვიდე-მერვე დღეს, რაც საესებით ნორმალურია. თეთრ ღვინოებს კი, თუ ჩანგებში იყო დაყენებული, მოხსნიან 8—12 დღის შემდეგ დუღილის დაწყებიდან, ხოლო თუ ქვევრებში—15—20 დღის შემდეგ. კახური ტიპის ხარისხოვანი თეთრი ღვინოებისათვის ჭავიდან მოხსნია ეს ვადები, ჩვენი აზრით, ნაადრევეთა.

როგორც წესი, ჭავას წნევავენ წყვეტილი მოქმედების კალათიან წნებში, თეთრადენაა და პირველ ნაწერს ფრაქციას უმატებენ ძირითად მასალას, ხოლო მოლო ფრაქციებს ცალკე აყენებენ.

თეთრი ღვინოების დაყენებასთან დაკავშირებით საჭიროდ ვთვლით ყურძნის გადამუშავების ამ ორ წესს გაეცემოთ ანალიზი.

1. ძველი წესით დამუშავებისას, ე. ი. ნავში ყურძნის გადამუშავების დროს, ხდება მარცვლების თანაბარი და ინტენსიური დაკულეტა-გამოწურ-

ვა; ამ პირობებში ძლიერ მცირედ ზიანდება კლერტი (კაჭის გადამზრუნვების დროს) და თითქმის სულ არ ზიანდება წიპში;

2. აჩენჩილ მდგომარებაში გაჩერების დროს კაჭაში ინტენსიური უანგვითი პროცესები მიმღინარეობს;

3. კარგად დაქცლეტილი, გამოწურული და დაუანგულ ჰიტზეტრიტილის დულილის შედეგად მიიღება ინტენსიური შეფერვის პროცესტი, შეს ემჩნევა უფრო დიდი სხეული, სირბილე და პარმონიულობა;

4. ღვინოების დიდხანს გაჩერება კაჭაში უსრუნველყოფს ბუნებრივად კარგ დაწმენდას და შედარებით მოკლე ხანში გამძლე გამჭვირვალობის მქონე პროდუქტის მიღებას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამჟამად ყურძენს კულეტინ მანქანებით, საიდანაც დურდო დაუანგავად პირდაპირ სადულარ კურკლებში გადადის.

ამასთან ერთად, სადაც კი აქვთ კლერტის გაცლის საშუალება, კახურ ღვინოებს უკლერტოდ აყენებენ.

თანამეცროვე მანქანების კლერტსაცლელ მექანიზმებში კლერტის ნაწილობრივი დაწყვეტა და ნაწილეტი ნაწილების დურდოში შერევა ხდება. ფულო—და ეგრატუმბოების გამოყენების დროს კლერტი ზიანდება ტუმბოში, რადგან ტუმბოს ფრთხები დაქცლეტილ მასაში ტრიალებს და გადატანის სიშორესთან დაკავშირებით განსაზღვრული ძალით მოქმედებს დურდონე. ყურძნის არათანაბრად მიწოდების დროს ხშირად ამ მანქანებში ხდება საჭყლეტი ცილინდრების ურთიერთდარტყმებიც, რის გამოც ზიანდება კლერტიც და წიპშაც.

როგორც დადასტურდა (პროფ. პ. მოდებაძე, დოკ. გ. ბერიძე), გუნდილოვან ნივთიერებათა ექსტრაცებია უფრო ინტენსიურია კლერტის დაქცლებულ ნაწილებისა და დაზიანებულ წიპშისაგან, რის გამოც ასეთ დურდოშე მაღლარი ტკბილიდან მიღებული ღვინოები დამახასიათებელ სიძელგესა და სიუხეშეს ღებულობენ.

კახური ტრაის თეთრი ღვინოების ხარისხშე დაუანგული კაჭის გავლენისა და საწარმოო მასშტაბით მისი შემოღების მიზანშეწონილობის გამოსარეკევად სამტრესტის მუკუნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ქვედა მარანში ჩავატარეთ შემდეგი სახის ცდა:

საცდელი ნაკვეთიდან (ჩუმლაყი) 1945 წ. 12 ოქტომბერს მიღებული ერთნაირი შედგენილობის (ზაქრიანობა 24,7%, საერთო მევეიანობა—5,5%⁰⁰) და ხარისხის ყურძენი ყოველგვარი წესის ზუსტად დაცვით გადავაშუშავეთ როგორც ძევლი, ისე თანამედროვე წესით.

